ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივერია

ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი
პუბლიცისტიკა, ხელოვნება, მეცნიერება

ი-652

36

# IVERIA

*EDITION PÉRIODIQUE EN LANGUE GÉORGIENNE*

თებერვალი 1991
პარიზი

# ივერია

ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი
დაარსებული ილია ჭავჭავაძის მიერ 1877 წელს;
აღდგენილი პარიზში ეროვნულ-დემ. პარტიის
მიერ 1949 წელს.

## 36

# IVERIA

EDITION PERIODIGUE GEORGIENNE

თებერვალი 1991
პარიზი

ი-652

ზურაბ შარაძის ბიბლიოთეკა

# შინაარსი


აკაკი - 150

ს. ქართველი
რას ნიშნავს ქართველობა?
(არა-პასუხი სერიაზე "ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ) 3

გივი გაბლიანი
ზოგი რამ "კვიმატი ჰიპოთეზების" შესახებ 7

ჯანრი კაშია
ზოგჯერ თქმა სჯობა არათქმასა,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდების
(ორიოდე შენიშვნა ბ-ნ გ. გაბლიანის წერილზე...) 11

პეტრე იბერი
რუსეთი და ევროპა
(რუსეთის კონცეპტუალური ისტორია) წერილი პირველი 22

დავით ვაჩნაძე
სამშობლის სამსახურში
(მოგონებათა რვეულები) გაგრძელება 37

პ. ი.
"პერესტროიკა" საქართველოში ანუ
საქართველო არჩევნების შემდეგ. 53

ძალაუფლების აღების "ნეოტოტალიტარული"
ტექნოლოგია. 67

მიხეილ ქავთარაძე
ცვლილება ჟურნალ "ივერიაში" 74

შოთა მარგველაშვილის ხსოვნისათვის 76


სამგლოვიარო
ჟურნალის ფონდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა კ ა კ ი - 150

ვაჟა

## აკაკის საიუბილეოდ

მშობელო ქვეყნის მოზარევ,
უნდა გიმღერო მთურადა.
იმავ ჭირით ვარ სნეული,
რაც შენ გატყვია წყლულადა.
რა ვუყოთ, ბედო, შავბედო
თუმცა გვექცევა მგლურადა
მაინც ვაჟღერებ ჩონგურსა
მტარვალთა შესამურადა,
შენს სამახსოვროდ, მგოსანო,
თავს ჩაჰქნად დასახურადა!
თუნდ არ მოგწონდეს, იქნება,
ჩემის ჩანგურის ჩხაკუნი,
მიიღე, სარეკელასი
როგორც წისქვილში რაკუნი,
ეს ჩემი შენთვის მოძღვნილი
სალამი, გრძნობის ნაჟური.
დღევანდელ დღესა არ ძალმიძს,
არ ჟღერდეს ჩემი ფანდური!
ილიაც მესაუბრება,
უნდა დავუგდო მას ყური.
დავალებული გულისა
უნდა გამოთქვას ენამა:
წყლულები საქართველოსი
გაიგო შენმა სმენამა.
მეც ამატორა ბევრჯელა
შენს თვალზე ცრემლის დენამა.
ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამა!
და ეს იცოდეს ყველამა,
"გადაგვარების მოსურნე"
შეჭამოს ტურა-მელამა!
მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ლხენამა!
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამა!

აკაკი

## მომაკვდავის ფიქრები

თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს
ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ!..
მოდი, ჯალათო, შენი მახვილი
შეუბრალებლად ზედ გულზე დამჰკარ!

ყოველი წვეთი ჩემი სისხლისა
თუკი გამოზრდის მამულიშვილსა,
ცოდვა არ არის, რომ მოვერიდო
მაშინ მე ტანჯვას და თვით სიკვდილსა?

არა! სიკვდილი ვერ შემაშინებს,
მომზადებულსა მამულის მსხვერპლსა!
მზად ვარ შევსწირო სული და ხორცი
და სამშობლოზე ვჰყრიდე თვით ფერფლსა!

თუმცა პირადი ჩემი ცხოვრება
ყოველთვის იყო ტანჯვა-ვაება,
მაგრამ სიკვდილში ვჰპოვებ სიცოცხლეს
და ის იქნება თვით უკვდავება,

თუკი იმედი მე საიქიოს
გამყვა უკეთეს მომავალისა,
რომ ჩემს შემდეგი შთამომავლობა
იქნება შემგნე თვისის ვალისა!

დიახ! თუ მოძმეთ გამოადგება
ჩემი სიკვდილი, მზადა ვარ მეცა...
გამოღვიძებულს სურვილს ქვეყნისას
ხელს მოუმართავს, მრწამს მე,
თვით ზეცა.

## გოგოლის ხსოვნას

("რევიზორის" იუბილესათვის)

როდესაც უგუნერებას,
გაბერილსა დიდებას,
ყოველგვარ საძაგლობას
და ცრუ ჭეშმარიტებას,-

უმაღლეს მტარვალობის
კალთა ეფარებოდა,
და ჩაგრულების ცრემლი
დღითი-დღე იღვრებოდა,

როდესაც ცრუ მგოსნები
ადიდებდნენ ცრუ ღმერთებს,
და მით ფარისევლობა
თამამად ისხამდა ფრთებს,-

მაშინ გაისმა ხალხში
ხმა, რაღაც უჩვეულო,
და იმ ხმამ კიდით-კიდე
ელვასავით შემოვლო...

შეჰკრთა მოულოდნელად
მით მჩაგვრელების კრება,
და გამოფხიზლდა უცებ
მცონარე უმეცრება.

რა ხმა იყო, ნეტავი,
ყოველ ხმაზე ძლიერი,
რომელმაც ციურ ძალით
სცვალა ცხოვრების ფერი?

ის ხმა იყო ამ კაცის
უცნაური ხარხარი!
ჩაგრულებთა "სალხინო"
და მჩაგვრელების "ზარი".

თურმე ამან ნაღველი
ცრემლებში გაილესა
და გულში ჩაიგუბა
სთქვა: "წამლად მსურსო ესა!"

სიცილით ამოჰქონდა
წვეთ-წვეთად ის წამალი,
რომ დაბრმავებულების
აეხილა მით თვალი.

ეუცხოვა სნეულებს
უჩვეულო ფიალი,
რომ ძალაუნებურად
შესვეს მათ ის წამალი.

და მაშინ კი გაიგეს,
რომ ის, ვისაც სძრახავდენ,
ბოროტებას სწამებდენ
და უგულოდ ჰსახავდენ,

თურმე კარგი ყოფილა,
კეთილგანზრახვით სრული,
და მისი ნაღველ-გესლი -
უზომო სიყვარული.

თაყვანი-სცეს საერთოდ
მის ძლიერ მოვლინებას,
და ჩვენც დღეს პატივსა
ვსცემთ
მის ნიჭს და ხელოვნებას.

ხელოვნებას არა აქვს
საკუთრება... საზღვარი!
ის ყოველ ხალხს ეკუთვნის,
ვით ყველას მაცხოვარი.

უცხო არც ჩვენთვის არის
"რევიზორის" შემთხზველი,
და თავზე გვირგვინს ადგამს
ქართლში ქართველთა ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ქართველი

# რას ნიშნავს ქართველობა?

(არა-პასუხი სერიაზე "ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ" ).

ჩემი მიზანი ამ წერილში არ არის რამე ნაირად გამოვეხმაურო ან ვუპასუხო ბატონ პეტრიაშვილის წერილს გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" აწ გამოქვეყნებულს, არამედ გავუზიარო მკითხველს ზოგიერთი ჩემი გრძნობა და წუხილი ამგვარ წერილებიდან გამომდინარე.

1. სამწუხაროა რომ ამდენი ენერგია იხარჯება ლანძღვა გინებაში როცა საქართველო დგას თავის მომავლის და ბედის წინაშე. ქართველობა ჯერ ამ ბედის შეგრძნებაა, და შემდეგ ამ ბედის გარკვევა და ხელში აღება, რაც მოითხოვს დაფიქრებას, მსჯელობას და ღრმა მოაზრებას იმისი თუ რა სჭირდება დღეს საქათველოს, რომ დადგეს ფეხზე.

2. საქართველოს ქართველები სჭირდება, მაგრამ რას ვეძახით ქართველს. საქართველოს არ აკლია ქართულად, კარგად თუ ცუდად, მოლაპარაკე და მოაზროვნე პირები, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ "ქართულ მეტყველებაში" არ გამოიწურება ქართველობა და არც ეს ქართულმეტყველობა არ ყოფილა იმდენად მარგებელი საქართველოსთვის, რომ აქამდე ვერ იხსნა იგი და ვერ გადაარჩინა თავისი უბედური ბედისაგან.

3. რა არის უფრო მნიშვნელოვანი ქართულ ენაზე მეტყველობა და ქართულად აზროვნება თუ ქართული ზნეობის შენარჩუნება? როცა არის ლაპარაკი ქართულ ზნე-წესზე, აქ არ იგულისხმება ქართული კულტურა თავის ვიწრო გაგებულებაში, ანუ ვის შეუძლია უკეთ მოიხსენიოს რომელიმე ლექსი ამა თუ იმ ქართველ პოეტის თუ მწერლის, არამედ ქართული სული, და ცოდნა თუ რა იყო, და რჩება, ქართველი კაცის მნიშნელობა და ღირებულება. რა არის ქართველის და ქართული წესის დამახასიათებელი, რაში მოიპოვება რუსთაველის ქართველობა? - უთუოდ ენაში, მაგრამ, ალბათ, კიდევ უფრო თავის გაგებაში ქართველი ადამიანობის. თუ რამე უნდა შევისწავლოთ რუსთაველისგან, ანუ ვაჟასგან, ან კიდევ ილიასგან, ეს არის წესი ქართული ცხოვრების.

ჩემი გაგებით, და ამაში სრულ პასუხგებლობას ვიღებ ჩემ თავზე, როგორც შერეული კლტურის ქართველი, (და ამდენად, შეიძლება, ჩემი გაგებაც უალბი და შემცდარი იყოს ზოგის თვალსაზრისით), რუსთაველის პირველი ქართული ნიშანი არის ს უ ლ ი ს  გ ა ხ ს ნ ი ლ ო ბ ა. საქართველო იყო ის ქვეყანა რომელიც მსოფლიოს მიმართ გახსნილი იყო და მსოფლიო კულტურის მიმღებელი იყო. ამიტომაც რუსთაველი არ მოერიდა საქართველოს "მტრების" სპარსელებისგან "ესესხებინა" თავის "ვეფხვის ტყაოსანის" თემა და მოსახულება. რუსთველური საქართველო იყო სხვების მიმართ მომთმენი და მშვიდობიანი. მხოლოდ მტერს ეომებოდა. მაგრამ გარკვეული შეგნება ჰქონდა მტერის და არა მტრის. რაც ნიშნავს რომ საქართველოში ქართველობას არავინ არავის დაუშლიდა. ამას არ ჭირდებოდა არც ქართულის ცოდნა, არც ქართული კულტურის "ცოდნა" არამედ მხოლოდ და მხოლოდ სურვილი ქარველობისა, კეთილ-განწყობა და საქართველოს ბედის გაზიარება.

ეს კეთილ-განწყობა არის მეორე, ჩემი აზრით, დამახასიათებელი ქართული ბუნებისა, რაც სავალალოდ ან დაიკარგა (და ეს არის პირველი ნიშანი გაუცხოებისა, გადაგვარებისა ანუ გასაბჭოელებისა) ან ყოველ შემთხვევაში ძალიან დამალულია. არცერთ ქართულ ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშში არ მოიპოვება ნაღველმდინარი, დაბოღმილი, და შურიანი მიდგომა სხვის მიმართ, თუნდაც ის სხვა არა ქართველი იყოს.

არც მგონია, თუ არ ვცდები, რომ მოიპოვებოდეს ქართულ ლიტერატურაში მაგალითი ამდაგვარ შეჯიბრებისა: ვინ არის უფრო თუ ნაკლებ ქართველი. არ მახსოვს რომ შემხვედროდეს ლანძღვა-გინება თერგდალეულების მიმართ, ან იმაში ეჭვის შეტანა თუ ვინმემ რუსეთში ყოფნის დროს დაკარგა ცოტა თუ ბევრად "ქართველობა".

ქართველობა უფრო ძნელია. ამაში დამერწმუნეთ, რადგანც გამოცდილებიდან ვლაპარაკობ. უცხო გარემოში, ვიდრე შენ მიწაზე, რაც არ უნდა მატერიალურად და მორალურად ძნელ პირობებში იმყოფოდეს იგი. ადვილია, ძალიან ადვილი, რომ სხვა კულტურას შეეგუო, ძნელია, თითქმის არა ბუნებრივი, რომ არც იმას უთხრა უარი და ამავე დროს შენი შენად შეინახო. უცხოეთში მყოფ ქართველის შეცდომები უფრო ღირსეულია ვიდრე საქართველოში ქართველის სუფთა მეტყველება. თითოს თავისი ჯვარი აქვს სატარებელი, ერთი წუხს განშორებაზე, მეორე იმაზე რომ ახლოდან უცქერის თავის სამშობლოს ტკივილს და ტანჯვას. არა მგონი რომ რამეში გამოადგეს საქართველოს ამათ შორის გარჩევა თუ ვინ უფრო დაიტანჯა, ვინ უფრო გაუცხოვდა.

სამაგიეროდ საჭიროა დაისვას კითხვა იმის შესახებ თუ რა და ვინ სჭირდება დღეს საქართველოს? სჭირდება თავის თავში ჩაკეტილი ქართველი, რომელიც სხვას აბრალებს თავის ბედილბალს და ამ წუხილში თავს უნაზღაურებს ყოველივე მოთხოვნილებას? თუ სჭირდება გარეთ გამოსული ადამიანი, რომელიც მსოფლიოს უყურებს და მსოფლიოში ხედავს საქართველოს შესაძლო ადგილს და იმასაც თუ რა გზა მიდის იმ ადგილის მოპოვებისაკენ.

ვინ უფრო გამოადგება საქართველოს: ის ვინც დღეს მტრად, საქართველოს დამოუკიდებლობის მტრად აქცევს ყველა იმ ხალხს ვინც ჩვენთან ერთად გაიარა ეს ტანჯული დრო, და რომელთანაც თუ "ქართველობა" არა, ბევრი საერთო ისტორია და კულტურა გვაკავშირებს, თუ ის ადამიანი, რომელიც თავის ცოდნით, ჭკუით, ზომიერებით ჩვენსკენ ზიდავს იმ მსოფლიოს, რომელსაც თითქმის დავავიწყდით. მსოფლიო, რომელიც გვჭირდება ბრჭყალებიდან გამოსასვლელად, იმისთვის კი არა, რომ "გამოგვიყვანოს" - ეს მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის და სხვას ვერ დავაკისრებთ ჩვენ მოვალეობას - არამედ რომ "გამოსულები" გვიცნოს და გვაღიაროს როგორც 'სრული ნაწილი" მსოფლიო ცივილიზაციის.

ძლიერ კულტურას, ძლიერ ეროვნულ გრძნობას თავის თავის არ ეშინია და არ მოითხოვს ყოველ წამში ამის დამტკიცებას: ვინმე "ეკუთვნის" თუ არა ამ კულტურას. ერთერთი ყველაზე დიდი ფრანგი დღევანდელი მწერალი, მარგერიტ იურსენარი, მოშორდა საფრანგეთს და საცხოვრებლად გადავიდა ამერიკაში და იქ გაატარა ცხოვრების მეორე ნახევარი და იქვე გარდაიცვალა. იქ შექმნა ევროპიული კულტურის უდიდესი ნიმუში, გააცოცხლა ევროპიულ კულტურის დაკარგული ბერძნული ფესვები, და არავის მოსვლია აზრში არც ერთხელ რომ ესაყვედურა თუ რატომ დატოვა სამშობლო. მთელმა საფრანგეთმა იამაყა თავისი სიდიადით და კიდევაც მიანიჭეს უდიდესი ფრანგული ნიშანი "ფრანგულ აკადემიაში" მიღებით სადაც ადრე მხოლოდ კაცებს ღებულობდენ. ვიცი რომ საქართველო ვერ შეედარება საფრანგეთს, თავისუფალ და მდიდარ, დაწუნარებულ ქვეყანას, და ბევრი გზა გვაქვს გასავლელი, რომ ამ დონეზე ამოვიდეთ, მაგრამ ღრმად გვაქვს ფესვები და შეგვიძლია გავიხსენოთ რომ ჩვენც ასეთი ვიყავით, სხვასაც ვიღებდით და ჩვენსაც ვაძლევდით, სხვისი არ გვეშინოდა და ჩვენი გვჯეროდა.

საქართველოს ძალიან სჭირდება არა მხოლოდ უცხოეთში მაცხოვრებლები, ევროპის კულტურის ხიდები, არამედ კიდევაც მოსკოვში მაცხოვრებლები. ხომ არ გვგონია რომ უკვე გამოსულები ვართ ან რომ ის გზა თავისუფლებისაკენ ადვილი და გაფენილია. გვინდა თუ არ გვინდა ფაქტია, რომ მოსკოვი უკვე ორი საუკუნეა რაც საქრთველოდან ევროპაში მიმავალ გზაზე დგას და იქიდან უნდა გავიაროთ. დღეს კიდევ იქ გვიხურავენ გასვლის გზას და იქ უნდა გადავლახოთ ჩაკეტილობა. დღეს გვჭირდება მოსკოვის და რუსების სტრატეგიის გაგება და არა ყალბი თავის დაწუნარება მათი ვითომც სისუსტით. გვჭირდება რუსულის და რუსეთის მცოდნეები, და აგრეთვე ევროპის და ევროპიულ ენების მცოდნეები.

მართალია, რომ მოსკოვმა, რამდენიც შეეძლო, დაახრჩო ქართველების და საქართველოს ხმა საზღვარ გარეთ, მაგრამ ამ უკუ-პირობებში რამდენიმე ქართველმა მოახერხა და თავი გააცნო მსოფლიოს და ამითი ააცოცხლა საქართველო სხვის თვალში და გონებაში. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, დღეს რაც ცოტა არის ცნობილი საქართველოზე ისიც არ იქნებოდა და ისევ და მხოლოდ სტალინის სახელს ახსენებდნენ. მოსკოვის მიერ გავრცელებული სურათი საქართველოზე იყო სურათი საქმოსნების, კარგად მაცხოვრებელ, მაფიოზურ და დავარდნილ საქართველოსი. რამდენიმე ქართველმა, პიროვნულად, თავიანთი ნიჭით და დაჯინებით შესძლო დახურული კარების ჩამსხვრევა და საქართველოს სახელის გარეთ გატანა. არა აქვს მნიშვნელობა მოსკოვიდან გავიდნენ თუ სხვა საზღვარიდან, მადლობა ვუთხრათ მათ, რომ გავიდნენ და ხმა ამოიღეს სიჩუმის დროს. ამ პიროვნებებმა შეახსენეს მსოფლიოს, რომ საქრთველო იყო თავის

****************************************************************

დროზე კერა კულტურისა. პოეზიის. ხელოვნების. გემოვნების და ნიჭის. კიდევაც შემიძლია დავასახელო ეს გამოჩენილი ქართველები: მარინე მდივანი. ლიანა ისაკაძე. მარინე ხვიტია. ელისო ვირსალაძე. ალექსანდრე მეტრეველი. ლექსო თორაძე. პაატა ბურჭულაძე. მაყვალა ქასრაშვილი. სუხიშვილების გუნდი. მერაბ მამარდაშვილი. ოთარ იოსელიანი. გიორგი შენგელაია. ელდარ შენგელაია. რობერტ სტურუა. ნინო ანანიაშვილი. ზურაბ სოტკილავა. ეთერ ანჯაფარიძე. ნონა გაფრინდაშვილი. მაია ჩიბურდანიძე. გურამ მინაშვილი. თბილისის "დინამოს" დიდი გუნდი... (რამდენი ჩამოვთვალო...). ამათთან შეხვედრამ. მათი ხელოვნების შეფასებამ გააგებინა უცხოეთს თუ რა იყო ის ქართველობა. ის ქართული თვისებები. რომლისათვის ღირს ბრძოლა და დამოუკიდებლობის მოპოვება. ცხადია. რომ არცერთი მათგანი არ იყვნენ და არც არიან პოლიტიკური მოღვაწენი. და არც უნდა იყვნენ. ტოტალიტარიზმის გარდა არც ერთი წყობა არ მოითხოვს. რომ ყველა. მეტადრე შემოქმედი პირები. იყოს ჩარეული პოლიტიკურ საქმიანობაში. ამავე დროს ყველა მათგანი იყვნენ და არიან ქართველი პატრიოტები. და ქართული კულტურის დროშები.

იმის თქმა არ მინდა. რომ ამათი მოღვაწეობა უფრო მნიშნელოვანი იყოს ვიდრე ის უცნობი და ჩუმი ბრძოლა. რომელსაც ეწეოდა ნაწილი ქართული მოსახლეობისა წლების მანძილზე. უძნელეს პირობებში. მე იმის თქმა მინდა. რომ იმათ ბრძოლას აზრი არ ექნებოდა თუ ქართული კულტურა აღარ იარსებებდა. ამავე დროს ისიც მართალია. რომ ამათი ნიჭი გაქრებოდა. რომ არ ეგრძნოთ. რომ ზურგის უკან მაგრად იდგა და მხარს უჭერდა და მომავალს უმზადებდა ერთი ნაწილი. თუნდაც მცირე. ქართული საქმისთვის განწირულებისა.

სანამ დავიწყებდეთ ქვეყნის აშენებას - თუ კი აშენება გვინდა და არა დანგრევა- საჭიროა შევარიგოთ ეს ორი აუცილებელი ნაწილი. რომელიც ერს ქმნის. ამათი დაპირისპირება არის არა მხოლოდ მცდარი. არამედ საშიშო გზა. რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სახელის დისკრედიტაციას უწყობს ხელს.

საქართველოს დისკრედიტაცია დღეს. როგორც გუშინ. მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მტრებს აწყობს. ახარებს და ამაგრებს.

ქართველობა იმაშია. რომ არც იმითი ვიამაყოთ რაც არ არის საამაყო. არც ის გავლანძღოთ რაც არ არის გასალანძღავი. და ყველამ თავის საქმით დაამტკიცოს. რომ საქართველო არსებობის ღირსია და თვითონაც იმ საქართველოს ღირსი შვილია. ამის გამსჯელი მხოლოდ ერია და ის. ჯერჯერობით. ამდენი უაზრო ხმაურით გაბრუებული... სდუმს...!

*************

ეს წერილი ის იყო დავამთავრე როცა გავიგე მერაბ მამარდაშვილის სიკვდილის შესახებ და შემეცოდა არა მერაბი. რომელიც პირნათელი წარუდგება დიდ ქართველთა საძეოს. არამედ - საქართველო.

კიდევ ერთხელ. როგორც მრავალ ჯერ მომხდარა საქართველოს უბედურ ისტორიაში. საჭირო. ღირსეული. ევროპიული დონის და ულრმესი კულტურის ადამიანი დაგველუპა.

ბევრი ალბათ ამ ადამიანის დაკარგვის მნიშვნელობას მოგვიანებით გაიგებს. ვისაც ბედი ჰქონია და მერაბი გაუცნია. მერაბისთვის მოუსმენია. ის გამიგებს და იმათთან ერთად დავსტირი მაღალ მოაზროვნეს. კარგ ადამიანს და ღირსეულ ქართველს.

უბედურება ის არის. რომ საქართველოში უფრო ხშირად ჩვენის ხელით ვიშორებთ ჩვენი ერის საუკეთესო შვილებს და იშვიათად თუ დროზე ვაფასებთ. მოგვიანებით ტირილში მაგრები ვართ. არ დავივიწყოთ რომ ილია ჯერ ლანძღვა გინებამ მოკლა. და მერე უღირსო ტყვიამ. ასევე. მერაბის გული გატეხეს. სანამ ის გული თავისით გასკდებოდა. ასევე გვერდი შეუქციეს ვაჟასაც და გალაკტიონი ხომ თვითმკვლელობამდე მიიყვანეს. მიტოვებული და მშიერი დაილუპა კაკაბაძე და ასევე რობაქიძე. ტიციანი გააქრეს და პაოლოც თვითსიკვდილამდე მიიყვანეს. ვისი ხელით მოკვდენ არა აქვს მნიშვნელობა. ცხადია რომ ქართული საზოგადოება არ დადგა ფეხზე და ხელი არცერთს არ გაუწია სანამ დრო იყო. და ეს ყველაზე ნაღდი ნიშანია იმისი რომ საზოგადოება თვითონ განადგურებული იყო. მაგრამ დღეს რას ვიტყვით. დღეს ვითომც აღსდგა საზოგადოება და ქართველობას უმღერის. მაგრამ სად იყო საზოგადოება როცა მერაბს

ეროვნული ბიბლიოთეკა

***********************************************************************

უსაყვედურებდენ არაქართველობას და მორალურად ანადგურებდენ. ან სად იყო თავისუფალ საზოგადოების პირველი ნიშანი - მრავალ ფეროვანი აზროვნება. ნუთუ ყველა ერთნაირად ფიქრობდა მერაბზე. და თუ არა, მაშინ რა შიში აკავებდა. უმრავლესობის აზრის წინააღმდეგ სხვა აზრის წარმოთქმა ნუთუ დღესაც შეუძლებელია. ან უარესი: ნუთუ ქართველობამ დაკარგა სურვილი და უნარი მრავალაზროვნების. მაშინ არც დამოუკიდებლობის ღირსი არა ვართ. მერაბის სიკვდილში უფრო დამნაშავენი არიან ისინი ვინც არ იზიარებდა ამ ლანძღვა-გინებას და ხმა არ ამოიღო, ვიდრე ისინი, ვინც ასე ფიქრობდა და სრული ნება ჰქონდა თავიანთი აზრი გამოეხატათ. დემოკრატია ამას ჰქვია და როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძნელი შესაგუებელი ცნება არის დაფრთხობილი ქართველებისა და საქართველოსათვის.

ცოდვაა, რომ საქართველო თავის ახალ გზაზე ასეთ ყალბ ფეხზე დგება, რომ ულირსობით იწყებს თავის ახალ ცხოვრებას.

ქრისტიანობა არის იმედის არ დაკარგვა. ისე როგორც, ერთი მერაბის სიკვდილმა გამოაფხიზლა და შეაერთა ქართველები, ისე შეიძლება, რომ ამ მეორე მერაბის სიკვდილი მარგებელი აღმოჩნდეს. შეიძლება მან შეგვაგონოს, რომ სიძულვილის და სხვისი განადგურების საშვალებით მხოლოდ ჩვენი დაღუპვისკენ წავალთ.

მერაბს კარგათ იცნობდნენ უცხოეთში: ინგლისში, იტალიაში, ამერიკაში და საფრანგეთში, მერაბი უყვარდათ და აფასებდენ როგორც ფილოსოფოსს, მასწავლებელს, მოაზროვნეს და ევროპელ ადამიანს. მის მოქცევაში, მის აზროვნებაში, და დღევანდელი პრობლემების მისეულ გაგებაში "საბჭოთობის" ნასახი არ მოიპოვებოდა და ამიტომაც იღებდენ იმას კულტურულ წრეებში არა როგორც უცხოს, არამედ, როგორც თავიანთს. ეს არის სწორედ ჩვენი მიზანი, რომ ხვალ ევროპამ საქართველო მიიღოს არა როგორც რაღაცა უცხო და გაუგებარი, არამედ როგორც თავისი მკვიდრი ნაწილი. ამისი ერთერთი საფეხური იყო მერაბი და გამოგვეცალა ჩვენდა სავალალოდ. მე არ ვიცი მერაბი "ნამდვილი" ქართველი თუ იყო, და ცოტა არ იყოს ეჭვი მეპარება ამ ცნებაში თუ რას ნიშნავს "ნამდვილი" ქართველობა, მაგრამ ერთი რამე ვიცი, რომ მერაბი ნამდვილი პიროვნება იყო, როცა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს პიროვნებების ნაკლებობა სჭირს. ქართველობა თუ რაღაცა თვისებებში გამოიხატება, მერაბი იყო უაღრესად ქართველი თავისი სინდისით, სიდინჯით, ღრმა ცოდნით და უფრო ღრმა მორიდებით. ქართველობა თუ იმას ნიშნავს რომ საქართველოს სახელი მაღლა ატარო, მერაბი იყო საქართველოს ერთერთი საუკეთესო ელჩი და წარმომადგენელი. მერაბისებური ქართველები მეტი რომ იყოს, საქართველოს მეტი ეყოლებოდა დამცველები და მეგობრები, მხარის დამჭერები, დარწმუნებულები საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობაში.

არ ვიცი მერაბი ქართველი თუ იყო, მაგრამ ვიცი რომ ვინც გაიცნო საქართველო მერაბის მეოხებით ყველამ საქართველო შეიყვარა, და არ კი შეიძულა.

დაბოლოს მე პირადად უნდა ვთქვა, რომ მერაბი რომ გავიცანი პირველად, სრულიად შემთხვევით, ამერიკაში, ვიგრძენი იშვიათი სიამაყე: ასეთი ქართველები თუ არიან და მეც რომ ქართველი ვარ; და მასთან ერთად დიდი იმედი: ასეთი ქართველები თუ იბადებიან, ესე იგი მომავალიც ნათელია.

დღეს კი აღარც ამაყი ვარ ქართველობით თუ ასეთ ქართველებს საქართველო ვერ ცნობს და არც იმედიანი, რადგანც ჩვენი ბედი ისეთი ყოფილა რომ ყოველთვის პირველნი კარგი ქართველები კვდებიან.

* * *

************************************************************************

გივი გაბლიანი

# ზოგი რამ "კვიმატი ჰიპოთეზების" შესახებ

ივერიის 1990 წ. აპრილის ნომერში მოთავსებულ ამ ნარკვევში ბ-ნმა ჯანრი კაშიამ თავისი უარყოფითი აზრი გამოთქვა არა მარტო "მენშევიზმისა და 1924 წლის აჯანყების", არამედ მთელი ქართული ემიგრაციის შესახებ. რა თქმა უნდა თავისუფალ ქვეყანაში ასეთი რამე ყოველი პიროვნების იურიდიული უფლებაა. მეც ასეთი უფლებით ვსარგებლობ და ვაცხადებ. რომ იქ გამოთქმულ აზრს არ ვიზიარებ მიუხედავათ იმისა. რომ "ივერიის" სარედაქციო კოლეგიის წევრათ ვითვლები.

მაგრამ აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლებაც ვერ გაამართლებს სხვათა უდიერათ მოხსენებას; მოპირდაპირეს მარტო კი არა. მტერსაც ეკუთვნის ერთგვარი პატივისცემა და მასთან დამოკიდებულებაში ეთიკურ ფარგლებში შეჩერება.

ეს არის ჩემი უპირველესი საყვედური ბ-ნ კაშიას მიმართ მისი ნარკვევის გამო. მაგალითად რა რიგია საქართველოს განსვენებული პირველი პრეზიდენტის დიდი ისტორიული პიროვნების ფსიქიატრიულ შემთხვევათ გამოცხადება. სად აქვს ბატ. კაშიას ამისი საკმარი საბუთები. ან პროფესიონალური ცოდნა? შეხვედრია და იცნობდა ბატონ ნ. ჟორდანიას პირადათ?

მეორე მსოფლიო ომის დროს ბ-ნ პრეზიდენტთან საუბრის დროს გამაკვირვა ამ "მოხუცის". აზრის სიმკვირცხლემ. არსებული მდგომარეობის რეალურმა განჭვრეტამ და აგრეთვე შევიცანი ის დიდი პასუხისმგებლური გრძნობა. რომელსაც ის ატარებდა. თუ ვისმე მისი ადამიანური მხარეც აინტერესებს წაიკითხოს ღრმა მოხუცის მიერ დაწერილი ლექსი თავისი შვილისშვილის ეთერი ფაღავას მიმართ. იმედი მაქვს. რომ ფსიქიატრიაში მე უკეთესი მასწავლებლები მყავდა ვიდრე ბ-ნ ჯანრის. სოციალ-დემოკრატთა და ჩემ იდეოლოგიის შორის დიდი განსხვავებაა. მე თითქმის 40 წელი ვეკუთვნი ამერიკულ კონსერვატიულ რესპუბლიკურ პარტიას. გარნა ეს ხელს არ მიშლის ვიყო პატივისმცემელი ნაცნობ-მეგობარი სოციალ-დემოკრატების. რომელთა შორის განსვენებული პავლე სარჯველაძეც იყო. ვაღიარებდით რა სხვა და სხვა შეხედულებათა პარალელურათ არსებობის არა მარტო უფლებას. არამედ მათ სასურველობასაც. კონფლიქტების მაგივრათ დრო მოვახმარეთ იმის დადგენას თუ რისი გაკეთება შეგვეძლო ერთად საქართველოსათვის. ომის შემდეგ ასეთივე დამოკიდებულება გაგრძელდა მაგალითად. ქართულ არქივებთან დაკავშირებით. სადაც განსვ. ნოე ცინცაძემ. ვიქტორ ხომერიკთან და სხვებთან შეთანხმებით. საარქივო დირექტორიაში შეგვიყვანეს გივი ზალდასტანიშვილი და მე. (ე.ი. ორი ეროვნული დემოკრატი). როგორც ცნობილია ჰარვარდის უნივერსიტეტის სამკითხველოსთან ხელშეკრულების დადებით და სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით (მიკროფილმებზედ გადაღება. პროფ. გ. ნაკაშიძის მიერ ამ უზარმაზარი მასალის მოწესრიგება. ფინანსიური საშუალებების დაგროვება - აქ ქართულმა ემიგრაციამ გაიღო ხარჯი) გაკეთდა მნიშვნელოვანი ქართული საქმე. ამან არა მარტო დასავლეთის დაინტერესებულ სპეციალისტებს გააცნო საქართველოს წარსულის სიმართლე. არამედ საქართველოშიც. ამ მხრივ "დამშეულ" ამ დარგის სპეციალისტებს. ასეთი მიდგომა სჭირდება დღევანდელ დღეს. პარალელურათ არსებულ პარტიებისა და დაჯგუფებების მიერ აქაც (იმის მიუხედავათ რომ ერთი მუჭაც კი აღარ დავრჩით) და საქართველოშიც. ეს იქნება პირადად ჩემი და ვფიქრობ ყოველი მოხუცი ემიგრანტის ანდერძი ახალი თაობის მიმართ. სანამდე უფალს ჩავაბარებთ სულს. გარნა ეს იმას არ ნიშნავს. რომ პარტიათა შორის შეჯიბრება შეწყდეს.

მე ის კი არ გამკვირვებია. რომ იმპერიალისტური რუსეთის შემხედვარე ზოგი ქართველი. მარქსიზმის "ექსპერიმენტალურ პერიოდში" მას შეუერთდა. არამედ ის. რომ ამ ბოლშევიკების "ძუძუმტეებმა" (ბ-ნ კაშიას გამოთქმაა) გაუძლეს რუსულ ბოლშევიკურ ჰიპნოზს და დასავლეთური სტილის სოციალ-დემოკრატობა ირჩიეს. (ისეთ მნიშვნელოვან ერ. დემოკრატსაც ვიცნობდი. რომელიც თავის ახალგაზრდობის ერთ პერიოდში კომუნისტი იყო).

რადგან ბ-ნი ჯ. კაშიას ნარკვევი ძალზედ ვრცელია მე მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო განსაკუთრებით მე-59-ტე გვერდზედ. ეს იმიტომ რომ ბატონ ჯანრის მისი მკითხველი ლაბირინტების მსგავსი გზით მიჰყავს ამ გვერდამდე. სადაც მისი დასკვნები ჰიპოტეზები კი აღარ არიან. არამედ ცხადათ ჰყოფენ მის აზრს და ამჟღავნებენ მთელი ნარკვევის მიზანს - ემიგრაციის შესახებ.

მაგალითად იგი შენიშნავს: "მაგრამ "მენშევიკებს" უკვე საქმე ჰქონდათ საქართველოში მოქმედ და საქართველოდან გამოსულ ოპოზიციურ პარტიებთან და ახალ ანტისოციალისტურ მიმართულებებთან. რომლებიც ემიგრაციაში წარმოიქმნენ (ვთქვათ. "თეთრი გიორგი") ასე რომ მათ საქართველოზე თავისი "უფლებების" დამტკიცება უხდებოდათ არა საქართველოს დამპყრობელი ძალის (რუსი ბოლშევიკების) წინაშე მხოლოდ. არამედ თვით ემიგრაციაში მყოფ ქართველთა წინაშედაც.

************************************************************************

ამან შექმნა სწორედ ის ყალბი საფუძველი ურთიერთობებისა, რომელზედაც აიგო ქართული ემიგრაციის ფსევდოპოლიტიკური საქმიანობა. ამან, თავის მხრით, არ მისცა საშუალება იმ კულტურული ერთიანი საქმიანობისაც, რომელიც თავის მიზნად დაისახავდა ქართული კულტურული ძალების შემოკრებას ერთი ცენტრის ირგვლივ - "პოლიტიზაცია" ქართული ემიგრაციისა იყო უმთავრესი დამანგრეველი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლიდა იმ კულტურულ საქმიანობას, რომლითაც გამოირჩევიან სხვა ერთა ემიგრაციები (რამდენად მცირეც არ უნდა იყოს ეს მათი კულტურონსნული საქმე). საბოლოო ჯამში ეს ხელს უწყობდა ბოლშევიკების გამკვიდრებას საქართველოში, რადგან გავლენა ემიგრაციისა საქართველოზე, განსაკუთრებით 1924 წლის აჯანყების და, მით უმეტეს "რკინის ფარდის" ჩამოშვების შემდეგ, ვიდრე დღევანდელ დღემდე, სრულიად უმნიშვნელო იყო, ხოლო სტალინისტური რეჟიმი მშვენივრად ახერხებდა ემიგრაციაში შექმნილი ვითარების გამოყენებას თავის სასარგებლოდ. ფსევდოპოლიტიკად იქცევა ის "პოლიტიკა", რომელსაც არავითარი რეალური ნიადაგი და გამოყენება საზოგადოების თუ ერთობ სახელმწიფოს ცხოვრებაში არა აქვს..." პატარა გამოშვების შემდეგ ბ-ნი ჯ. კ. განაგრძობს...."არ დარჩენილა ემიგრაციაში ჯგუფი, მიმართულება თუ პიროვნებაც კი, რომელიც ასე თუ ისე არ ყოფილიყო დაურიდებლად გალანძღული". ამის შემდეგ ბ-ნი ჯ. კ. თითქოს პარადოქსალურათ მოგვახსენებს:

"მთელი ის მეტად მნიშვნელოვანი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელიც ქართულმა ემიგრაციამ დაუტოვა მომავალ ისტორიკოსებს და ქართველ პატრიოტებს, მეტისმეტად მნიშვნელოვანია". ამას კი მოჰყვება: "სწორედ იმ ფსიქოლოგიურ-ქარაქტეროლოგიური მასალის შემცველობით, რომლითაც შესაძლებელი გახდება ემიგრაციაში მოხვედრილი ადამიანებისა და, განსაკუთრებით პოლიტიკური მოღვაწეების ფანტასმაგორიული ფსევდოპოლიტიკური "განწყობის ველის" შესასწავლად." აქ მას მოჰყავს 1927 წლის "თეთრი გიორგის" მე 6-ე ნომრიდან რედაქციის წერილი: "მორიგი მუხანათობა", რომელიც შეეხება ნ. რამიშვილის ცნობილ წერილს, რომელიც ქარცივაძის დაჭერის შემდეგ "ჩეკას" ხელში ჩაუვარდა და იგი გამოაქვეყნა, არა ეთიკური მოსაზრებით არამედ სკანდალის ატეხვის მიზნით. აქ ბ-ნი ჯ. კ. გმობს "ფსევდოპოლიტიკოს" და "ფანტასმაგორულ" სოციალისტებს და მხარს უჭერს ასევე "ფსევდოპოლიტიკოს" და "ფანტასმაგორულ" არა სოციალისტებს.

საერთოთ ამ ნარკვევის ძირითადი კონცეპცია და იქიდან გამოტანილი დასკვნები ჩემის აზრით არ არიან რეალური.

მაგალითად ბ-ნი ჯ. კ. მტკიცების საწინააღმდეგოთ, სოციალ დემოკრატებს საქართველოში გაცილებით უფრო ძლიერი და საშიშო ოპოზიცია ჰყავდათ ვიდრე ემიგრაციაში. იქ სხვა პარტიებს თვით კომუნისტური პარტიაც ემატებოდა თავისი ძლიერი სპონსორით - ბოლშევიკური რუსეთით. ქართველმა ბოლშევიკებმა ჩაატარეს საგრძნობელი ძირის გამომთხრელი მუშაობა საქართველოში, იქ მცხოვრებ ეთნიურ უმცირესობათა შორის და მთელ კავკასიაში. (მაგალითად სამხრეთ ოსეთის აჯანყება, სომეხი კომუნისტების მიერ ქართ. სამხედრო სკოლის აღების ცდა). განა დასაჯერებელია, რომ ისეთ ახლათ დაარსებულ პარტიას "თეთრი გიორგის" ამდენათ ხელი შეეშალა "მენშევიკებისათვის" როგორც ეს ბ-ნ ჯ. კ. ჰგონია? და რომელი არიან ის ახალი ანტისოციალისტური მიმართულებები, რომლებიც ემიგრაციაში წარმოიშვნენ? (თუ თურმე წარმოიშვნენ?). რა იყო მათი სახელები "თეთრი გიორგის" გარდა? სხვათა შორის ბ-ნი ალ. მანველიშვილი თავის დროზედ "თეთრი გიორგის" თეორიაზედ და იდეოლოგიაზედ მომუშავე მის "უკანასკნელ" წიგნის ერთ ერთ ნარკვევში მოგვახსენებს, რომ დიახ სხვა პარტიებსაც უფლება აქვთ იარსებონ, მაგრამ არ შეიძლება "თეთრი გიორგის" მათთან რამე საერთო ჰქონდესო. იგი სპეციფიურად ასახელებს ამ მხრივ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიასაც. ე. ი. "თეთრი გიორგი" მისი დევიზის მიუხედავათ - "საქართველოს ეროვნული მთლიანობის მოძრაობა "თეთრი გიორგი" - არ იყო სხვა პარტიათა გამაერთიანებელი ძალა და ამ მხრივ არც დიდი ოპოზიცია "მენშევიკებისათვის". ოპოზიციური პარტიების არსებობა დემოკრატიაში არის აუცილებელი და საჭირო; ხელის შემშლელი პარტია? ვისთვის ხელის შემშლელი - დიქტატორისათვის? სისტემისათვის ენერგიის წამრთმევი? პირიქით ერთმანეთთან შეჯიბრება და პაექრობა ამაღლებს ენერგიის დონეს და ერისადმი სამსახურის ხარისხს. თავისუფლებასაც სჭირდება ხარკის გადახდა, მაგრამ განა ის ამისი ღირსი არ არის?

საქართველოს ყოფილ მთავრობას - ლტოლვილობაში, ხელს მისი ოპოზიციაში მდგომი პარტიები კი არ უშლიდნენ მიზნის მისაღწევად, არამედ ერთა ლიგის სისუსტე და დასავლეთის ერების მთავრობათა მიერ აღებული პოზიცია საბჭოთა რუსეთის მიმართ. რა იყო ქართველ ლტოლვილთა მიზანი და მისსია?

დამფუძნებელ კრებამ მის უკანასკნელ ურილობის დროს 1921 წ. 17 მარტს ბათუმში, დაავალა საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ მთავრობას ევროპაში წასვლა და იქ ქართველი ხალხის სუვერენული ინტერესების დაცვა. ოპოზიციურ

პარტიათა წარმომადგენლებიც გავიდნენ ემიგრაციაში და მთავრობისთვის თვალყურის დევნა და საჭიროების დროს მისი კრიტიკა ეს მისი უფლება და მოვალეობა იყო. ეს მისია მთავრობამ და მისმა ოპოზიციამაც ე. ი. მთელმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ ჩემის აზრით ბრწყინვალეთ შეასრულა. ერთი კონკრეტული მაგალითი: მიუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთმა საბჭოთა კავშირი 1924 წელს იცნო, საქართველოს საელჩო ოფიციალურათ "ღია იყო"" საფრანგეთში 1934 წლამდე. ეს არის პოლიტიკური მიღწევის ფაქტი და არა "ფსევდოპოლიტიკური" "ფანტასმაგორია". მრავალი დოკუმენტები და პუბლიკაციები ამტკიცებენ ჩემს მიერ აქ მოყვანილ აზრს ემიგრაციის შესახებ. მათი სრული სიის ამ წერილში მოთავსება შეუძლებელია. ისინი არსებობენ და მათი ობიექტური გამოყენებაა საჭირო. ეს ის მინიმუმია, რომელიც ყოველ ისტორიკოსს მოეთხოვება, მითუმეტეს მათ ვინც არ ყოფილა პირადათ მოწმე წარსული მოვლენებისა. სწორეთ ცალმხრივობის გამო დაკარგეს საბჭოთა რუსეთმა და ბოლშევიკურმა პარტიამ ნამდვილი ისტორია, დღეს კი ცდილობენ მის აღდგენას რადგან ეს მათთვისაც თავდაუღწეველი აღმოჩნდა. გამამხნევებელია დღევანდელ საქართველოში ახალი თაობის მკვლევართა მიერ ჩატარებული მუშაობა, სადაც ქართულ ემიგრაციასაც დაუთმეს ადგილი. ჩემის აზრით "აქაურებს" უკვე გვაჯობეს. მაგალითად საუცხოვო ნარკვევი გამოაქვეყნეს ერ.-დემოკრატიული პარტიის ერთერთი ლიდერის გიორგი გვაზავას შესახებ. საფრანგეთში ჟურნალ "პრომეთეოსის" დამაარსებელი, საზოგადო მოღვაწე, ვექილი, გიორგი გვაზავა იყო (არა მარტო ჩემი არამედ სხვების აზრითაც) საუკეთესოთ განათლებული ქართველ-ევროპიელი ჯენტლმენი. ამისი ცოდნის გარდა მისგან ბევრი რამეს შესწავლა შეგვიძლია: მაგალითად თავმდაბლობის, ტოლერანტობის, განჭვრეტის და ინტელექტუ-ალური მიუდგომლობის. მაკვირვებს რომ ჩვენი ივერიის ფურცლებზედ მას ჯეროვან ადგილს არ უთმობენ. ბ-ნი ჯანრის აზრით: ""პოლიტიზაცია" ქართული ემიგრაციისა იყო უმთავრესი დამანგრე-ველი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლიდა იმ კულტურულ საქმიანობას, რომლითაც გამოირჩევიან სხვა ერთა ემიგრაციები (რამდენად მცირეც არ უნდა იყოს ეს მათი კულტუროსნული საქმე). საბოლოო ჯამში ეს ხელს უწყობდა ბოლშევიკების გამკვიდრებას საქართველოში, რადგან გავლენა ემიგრაციისა საქართველოზე, განსაკუთრებით 1924 წლის აჯანყების და, მით უმეტეს "რკინის ფარდის" ჩამოშვების შემდეგ ვიდრე დღევანდელ დღემდე, სრულიად უმნიშვნელო იყო." საოცარი მტკიცებაა ეს იმიტომაც, რომ პოლიტიკურ ემიგრაციას ვერ მოვთხოვთ მან პოლიტიკას თავი დაანებოს. ცხადია "პოლიტიზაციის" პროცესში კონფლიქტები წარმოიშვება, როგორც პარტიათა შორის, აგრეთვე შინა პარტიულიც და არა მარტო ემიგრაციაში. ხომ ვნახეთ მარგარიტ ტეჩერის რა დაემართა მისივე "ტორის" პარტიაში, რომელიც ამავე დროს ინგლისელ "სოციალ-დემოკრატებს" ("ლეიბორ პარტი") უნდა შეეჯიბროს. დარწმუნებული ვიყოთ ეს ინგლისს არ დაღუპავს. საფრანგეთის პარლამენტსაც აქვს სახელი მათ წევრთა შორის ზღვასავით აღელვებული სხდომების, გარნა ამას არ ჩაუძირია არც პარტიები და არც საფრანგეთი.

არავითარი საბუთი არ არსებობს იმისი, რომ "პოლიტიზაციამ" დანგრევამდე მიიყვანა ქართული ემიგრაცია და არც იმისა, რომ "საბოლოო ჯამში ეს ხელს უწყობდა ბოლშევიკების გამკვიდრებას საქართველოში". პირიქით, პოლიტიკური შეჯიბრება ბიძგს აძლევდა მათს სიფხიზლეს და ამახვილებდა შემოქმედებით ენერგიას. ამან გარკვეული როლი ითამაშა იმ მაღალი ხარისხის და რიცხვის საერთოდ კულტურულ შემოქმედებაში, რომელიც ახასიათებს ქართულ ემიგრაციას. იგი აქ პირველ ადგილს ვერ დაუთმობს პროპორციულათ გაზომილ სხვა ერთა პოლიტიკურ ემიგრაციას. თუ ამას ვინმე არ ეთანხმება ვთხოვთ წარმოგვიდგინოს შესაფერისი საბუთი.

ეს ვრცელდება აგრეთვე მეორე ომის დროს თავისი ქვეყნის ინტერესების დასაცავათ მოქმედებაზეც: მე ბევრ სხვა ერთა წარმომად-გენლებს გავეცანი ამ რთულ პირობებში. აქ ქართულ ემიგრაციის თავის დაჭერა იყო სამაგალითო: მისი მოქმედება წარმოადგენდა 1924 წლის აჯანყების გაგრძელებას, გლობალურათ შეცვლილ პირობებში. იხილეთ ამის შესახებ "ივერია" 24, 1981 წლის "ქართველები და მეორე მსოფლიო ომი" (გ. გაბლიანი) და "ივერია" 34, 1990 წ. "მტერი მტერსა ვერას ავნებს..." გვ. 72-დან 82-მდე (მ. ქავთარაძე). როცა ქართველი ერის პატარა ემიგრაციაზედ ვლაპარაკობთ არ უნდა დავივიწყოთ მისი სინდისის, მორალის და ჰუმანიზმის ნამდვილი საზომი. მეორე მსოფლიო ომის დროს მან გადაარჩინა რამდენიმე ასეული, არა მარტო ქართველი ებრაელი, არამედ რუსი და სხვა ეროვნების ებრაელიც: არა მარტო საფრანგეთში არამედ კავკასიის ფრონტზედ და სხვაგანაც. რომელმა სხვა ემიგრაციამ მიაღწია ამას? ქართული ემიგრაცია არ "დაანგრია" "პოლიტიზაციამ" და "ფანტასმაგორიამ". იგი საშინლათ შეამცირა და დაასუსტა ბუნების გარდუვალმა კანონმა. ერთი მუჭაც კი აღარ დავრჩით და ამან შექმნა პიროვნების კრიზისი აქ. მისი ხელოვნურათ დამცირება და ვითომ "მეცნიერული" "პოსტ მორთემ" მიკროსკოპის ქვეშ დადება კი არც უცხოეთში და არც საქართველოში არავის ჭირდება და სარგებლობას არავის მოუტანს.

**************************************************************************

ვუსურვებ ბ-ნ ჯანრის რომ უფრო ნაყოფიერი თემა გამოენახოს. მას კიდევ ერთი რამე უნდა ვუთხრა: მე უმეტესობას ჩვენი ემიგრაციის ლიდერებისა შევხვდი და გავეცანი. საერთოთ ისინი დაჯილდოებული იყვნენ საუცხოვო თვისებებით, მაგრამ ალბათ იმათაც ჰქონდათ ზოგი ადამიანური სისუსტეები. უნდა მივიღოთ ისინი როგორც უფალმა ინება მათი შექმნა. მათ მიერ ზოგჯერ გაჯავრებულ გულზედ დაწერილიც არ არის მაინდამაინც მოსეს მიერ მთიდან ჩამოტანილ ათ მცნებათა შორის მოსაქცევი. ამის მრავალი მაგალითი მაქვს, ერთს მოვიყვან. ჩემგან დიდათ პატივცემული მიხაკო წერეთელი სოციალ დემოკრატებზედ იტყოდა ხოლმე "ეს წუეულულები"-ო. მიხ. კედიასთვის შვეიცარიაში გაგზავნილ წერილში კი აი რას ამბობს:"... აღარ გვყავს ჩვენი ევგენი. მისმა დაკარგვამ თავზარი დამცა. აწი ვიღან დაიცავს ქართულ საკითხს ინტერნაციონალურ არენაზედ..." ეს დაწერა მიხაკომ ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და რა წერილი მიუძღვნა მან ნოე ჟორდანიას? ჩვენმა უფროსმა თაობამ იცოდა ერთმანეთთან წაჩხუბება, მაგრამ ერთმანეთი უყვარდათ და დაზოგვა და შერიგება იცოდნენ.

რაც შეეხება 1924 წ. აჯანყებას, ის ეროვნული მოვლენა იყო და არა ვინმეს თითის დაქნევით ან განსვ. პრ. ნ. ჟორდანიას "ფრანცუზების" სამხედრო ძალების იმედით მომხდარი. რა მოხდა 1921 წლის თებერვლის შემდეგ, როცა მეთერთმეტე წითელმა არმიამ საქართველო შედარებით "ადვილათ" აიღო? ხალხი მიხვდა თუ რა ძვირფასი იყო 26 მაისი, თუ რა დავკარგეთ და იგი რითი შეგვიცვალეს: შერცხვათ კიდევაც. ისიც მოაგონდათ, რომ "სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა...". ასეთი ატმოსფერო არსებობდა უკვე 1921 წლიდან მოყოლებული 1924 წ. ჩათვლით სვანეთში და ხევსურეთში მარტო კი არა, სხვა კუთხეებშიც. 1922 წ. სპონტანური პატარა გამოსვლები მოხდა. განსვ. სოლიკოს მოგონებებში მე-18 გვერდზედ ვკითხულობთ: "იმის შიშით, რომ ხალხი თავისთავათ არ გამოსულიყო და ამით საერთო გამოსვლისათვის არ ევნო ქაქუცა კახეთიდან მთიულეთში გადავიდა". მე-19 გვერდზედ კი: ერ. დემოკრატიულ პარტიის თავმჯდომარემ აფხაზმა, პოლკ. ვაჩნაძემ, გიორგი წინამძღვრიშვილმა და ექიმმა იმხნელმა მხარი დაუჭირეს სეპარატიულ გამოსვლებს. "ისინი ასაბუთებდნენ იმას, რომ რაკი არ ხერხდებოდა ხალხის სტიქიური გამოსვლების შეჩერება, საჭიროა მისი დაუყოვნებლივ გამოყენება და გაფართოვება..." იქვე: 1922 წ. აგვისტოში აჯანყება მაინც მოხდა, გამოვიდა კახეთი და ხევსურეთი, მოძრაობას ქაქუცა ჩაუდგა სათავეში და სხვა..."

როდესაც 1943 წ. ზაფხულში განს. დათა ვაჩნაძესთან ბერლინში 1924 წ. აჯანყების შესახებ ვლაპარაკობდი, გამიკვირდა თუ რა ზერელე წარმოდგენა ჰქონდა მას სვანეთის აჯანყებაზედ. ის კი არა ღმერთო შეგცოდე და ისეთი შთაბეჭდილებაც ქი დამრჩა თითქოს მისთვის დასავლეთი საქართველო მთლათ ისეთი საქართველო არ იყო, როგორც აღმოსავლეთი. ვიფიქრე უფალო დაგვიფარე ესღა გვჭირია. ამის მიუხედავათ ჩემ მიერ დიდათ პატივცემულმა ბ-ნმა დათამ, არა მგონია იცოდა ის, რომ 1921 თუ 22 წელში სვანებმა მათ "მოსაჭკვიანებლათ" პროხოროვის ხელმძღვანელობით ამოსული წითელი არმიის კავალერიის მთელი ბრიგადა ენგურის ხეობაში (ზუნტარის და სურმულდაშის კლდეებში) ისე გაანადგურეს, რომ იმათგან ამბის წამღებიც კი არ გადარჩენილა. ყოველ შემთხვევაში თუ ეს ბ-ნმა დავითმა იცოდა ჩემთან ეს მას არ უხსენებია. ამას იმიტომ ვამბობ რომ აღვნიშნო, თუ რა ძნელი იყო იმ დროს კომუნიკაციები; მით უმეტეს თბილისიდან სვანეთში და სხვაგანაც. ამ ბრიგადის განადგურების დროს მამაჩემი ქუთაისში იყო, მაინც დაიჭირეს, რადგან იანგარიშეს, მის დაუკითხავათ ამას სვანები არ გააკეთებდენო.

დედა ჩემიც დაიჭირეს, მე კი ბებიამ ტახტის ქვეშ უცბათ დამმალა: "ბავშვი მძევლათ არ წაიყვანონო". მამამ დახვრეტისაგან თავი მხოლოთ იმით გადაირჩინა, რომ ციხის გადაჯებრილი ფანჯარა ხელებით მოგლიჯა, გადახტა და თოვლით დაფარული გადასავალებით ქუთაისიდან სვანეთს თავი შეაფარა.

1924 წლის აჯანყების ხხვაგან დამარცხების შემდეგ სვანებმა ბრძანება მიიღეს ლეჩხუმიდან უკან დაეხიათ. 9 წლის ბიჭი მამასთან ერთად, ტყით დაფარული მთიდან ჭოგრებით ვუყურებდით თუ როგორ ააფეთქეს ჩვენი ევროპიული სტილის სახლი. ჩვენი კოშკის აფეთქებასაც შეეცადნენ, მაგრამ მაშინდელი წითელი არმიის ტექნოლოგიამ ვერ შესძლო ეს. მამაჩემი თავისუფალი სვანეთის აჯანყებულთა შტაბის უფროსათ დანიშნეს. აჯანყების უფროსი კი იყო სტუდენტი ერ. დემოკრატი ბიძინა პირველი. მამა იყო ფედერალისტი, მაგრამ ისეთი, რომელსაც არჩილ ჯორჯაძის სურათთან ერთად ილია ჭავჭავაძის სურათი ეკიდა თავის ოთახში. ბიძინას აჯანყების გამარჯვება სჯეროდა, მამას კი არა. მამა დანიშნეს იმიტომ, რომ სვანებს ის უყვარდათ და იფიქრეს მას უკან გაჰყვებიანო. მამამ ხალხს აუხსნა აჯანყების გამარჯვების არავითარი გარანტია არა გვაქვსო. მაინც იგრიალეს ხანჯლის გარშემო ჩოხა აკაპიწებულმა და მხარზედ თოფგადებულმა სვანებმა: "წავიდეთ ან თავისუფლება ან სიკვდილიო". სინამდვილეში მოხდა ის, რომ სვანები კი არ გაჰყვნენ მამაჩემს, არამედ ის გაეკიდა მათ უკან. სვანებმა კარგათ იბრძოლეს. ღმერთი არის ამის

მოწამე. მამაჩემის წამოსასხამს ლაჯებს შორის ორჯელ ტყვიის ნახვრეტი ჰქონდა, ცაგერის ბრძოლების დროს მიღებული. დამარცხების შემდეგ მამა კიდევ ერთხელ გადაარჩინეს ტყით დაფარულმა სვანეთის მთებმა, რომელსაც ჩვენმა ოჯახმა და სვანების პატარა რაზმმა თავი შეაფარეთ. სამწუხაროთ ბიძინა პირველი როგორღაც ხელში ჩაიგდეს და "ჩეკიდან" წერილი მოაწერინეს მამასთან: ყველაფერი გათავდა, ახლა წინააღმდეგობამ აზრი დაკარგათ. ეგნატე გაბლიანმა კარგად იცოდა ჩეკიდან მოწერილი ასეთი წერილის ფასი და აგრეთვე იცოდა, როგორც მას ხელში ჩაიგდებდენ ბიძინასთან ერთად ორივე დაიხვრიტებოდენ. მაშინ ფილიპე მახარაძის მიერ ხელმოწერილი ფურცლები გადმოყარეს: სვანებო დაიჭირეთ და ჩაგვაბარეთო ეგნატე გაბლიანი. ამას სვანი კომუნისტებიც კი არ ჩაიდენდენ, კიდევაც რომ შესძლებოდათ. ბოლოს და ბოლოს "ჩეკამ" მათი წარმომადგენლები გამოაგზავნა ზედისზედ. ეხლა დახვრეტები უკვე გათავებული იყო, მისცეს ამნისტიის ყოველგვარი გარანტიები "მთავრობის" სახელით, რადგან მათ ანგარიშში არ შედიოდა ტყეში გასული სვანების თავისუფალი ნავარდობა, (მამას ადგილობრივი მილიციონერები "ხარკათ" უხდიდნენ ტყვია-წამალს). ბოლოს და ბოლოს მამა გამოვიდა, ამის შემდეგ მას ათი წლით გადასახლება პირობითათ შეუცვალეს, ბიძინა პირველი გადაასახლეს (დახვრეტის მაგივრათ). მამაჩემი გამწარებული იყო დამარცხებით, თუმცა ჩემთვის აღარ გაუმეორებია "მე გამარჯვება თავიდან არ მჯეროდა". იოსებ იმედაშვილის "თეატრი და ცხოვრებაში" წერილიც კი გამოაქვეყნა, ამბობდა "გველების ანკესზედ აღარ უნდა წამოვეგოთო". წავიკითხე, მეწყინა და როცა დრო ვიშოვნე მამას ვუსაყვედურე, ეს როგორ დასწერე-თქო. ამდენი კარგი მამულიშვილის დაკარგვით გავმწარდიო - ასე მიპასუხა "სვანეთის არწივმა" (ეს სახელი უწოდა ეგნატე გაბლიანს ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, რომელიღაც გაზეთში, მისმა კარგმა მეგობარმა, დამსახურებულმა პედაგოგმა ვარლამ ძიძიგურმა (აკადემიკოს შოთა და აკაკი ძიძიგურების მამამ).

ბიძინა პირველი გადასახლებიდან დაბრუნდა, პოლკოვნიკ ნესტორ გარდაფხაძის უნცროსი ქალიშვილი "კისია" ცოლათ შეირთო და დასახლდა. მან ერთი "დრაპის" პალტოთი დამაჯილდოვა (მაღაზიის დირექტორი გახდა). 1937 წელში ბიძინა პირველი და ეგნატე გაბლიანი ისევ დაიჭირეს და გააქრეს. ჩემის აზრით მეც მაქვს უფლება 1924 წლის აჯანყებაზედ ჩემი შეხედულება გამოვთქვა.

* * *

## "ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების"

ორიოდე შენიშვნა ბ-ნ გ. გაბლიანის წერილზე "ზოგი რამ "კვიმატი ჰიპოთეზების შესახებ"

"მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ,
პასუხი უყო ცოდვისა...
"ქორონიკონს ქრისტეს აქეთ
ათას-შვიდას-ოც-და-ერთსა[0]
ცოდვა მათი უმეტესად
ესმა, მოეხსენა ღმერთსა...;
ამ ამბის თქმა გარჩევითა
გულმან ამად არ მინება,
ბევრი ავი გამოჩნდების
ჩვენი, მაზე მერცხვინება.
მტერს შაესმის, იამების,
მოყვარეს კი ეწყინება.
რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ,
ამაზედაც მხვდეს გინება.
ტყუილი ვთქვა, ჩემი თქმული
შეიქმნების რა სავარგი?
მართალი ვთქვა, მეშინიან,
ვა, თუ გავხდე დასაკარგი!
კაცს მის მეტი არა აქვს-რა
სიკვდილს უკან თან საბარგი
სულს მიუძღვის ხორც ნაქნარი
ავსა ავი, კარგსა კარგი.
აწ რომ ავი არ ვაძაგო,
კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ დავარქო?
კარგს სახელად რა დავარქო?
კარგს კაცს ვითარ დავუკარგო
რაც რამ სიკარკაცე აქო?
ავს კაცს კარგი ვით უძებნო,
ორმოს ჩამსვა, თავს დამაქო?!
მართალს ვიტყვი, შევიქმნები
ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა,
უფერულთა პირ-საფერად.
მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან,
ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა,
მას ვერ ვიტყვი კახაბერად...
მართალია, მძრახველს ძრახვა
თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა
ქვეყანას არ მოუხდების!
წამხდენელთა და მბაძველთა
კიდევ სხვაც რომ წაუხდების;

---

[0] წაიკითხეთ "ათას-ცხრაას-ოც-და-ერთსა"

ძრახვავე სჯობს საძრახავთა.
ძრახვას კაცი მოუფრთხვების.
კაცმან უნდა თავიდგანვე
საქმე კარგა მოახდინოს.
თორემ ბოლოს ვით იქნების.
ავზედ ძრახვა დაიცდინოს?...“

“სიცრუე და ორპირობაავნებს ხორცსა. მერმე სულსა“
“რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა...“

“არა იცრუო!“

*

მკითხველი თავად დაინახავს. რომ მე არ ვკამათობ ბ-ნ გივი გაბლიანთან და ჩემი “კვიმატი ჰიპოთეზა“ არ არის პასუხი სხვათა წერილებზე. თვალსაზრისზე. შეხედულებაზე. დამოკიდებულებაზე.... ეს არის დოკუმენტირებული სურათი ქართული ემიგრაციის ყოფასა და საქმიანობაზე ჩემი კომენტარებითა და ამა თუ იმ მოქმედების თუ გამოვლინების (თვალსაზრისისაც. ამავე დროს) ჩემეული შეფასებით (სახელის შერქმევით!). აღებული მაქვს სრულიად კონკრეტული პერიოდი და მოვლენა: 1924 წლის აჯანყება. ამ აჯანყების შეფასება სხვადასხვა მოღვაწეთა მიერ და ნოე ჟორდანიას წიგნაკი “რა მოხდა“. რომელიც საკუთრივ აჯანყებას ეხება და აჯამებს “მენშევიზმის“ დამოკიდებულებას აჯანყებისადმი. მე არ მაინტერესებს საქართველოს ისტორიის მიმდინარე საუკუნეში პოლიტიკურ თუ სოციალურ და ცივილურ ასპარეზზე მოქმედ ადამიანთა პირადი ცხოვრება. არამედ მათი ქარაქტეროლოგია როგორც პოლიტიკური და სოციალური სცენის პერსონაჟთა. ისტორიკოსების (და პუბლიცისტებისაც) წინაშე ისტორია. ერთგვარად. დრამატიულ ნაწარმოებად იშლება იმთავითვე და. ამდენად. იგი სავსებით ემორჩილება ფსიქოლოგიურ-ქარაქტეროლოგიურსა და ფილოლოგიურ (ამ სიტყვის უძველესი და ულრმესი გაგებით) ანალიზს და წარმოგვიდგენს (გასაგები ტიპოლოგიურობისა გამო) მეოცე საუკუნის ქართველი ადამიანის ბუნებასაც თავის ყველაზე უტყუარ - საცხოვრებისო ურთიერთობათა საზოგადოებრივ ველში. თუმც მე პირადად არ ვესწრაფვი “ობიექტურობას“ და ვკმაყოფილდები “სუბიექტური“ საკუთრივობით ჩემი თვალსაზრისისა. ვცდილობ-რა რაც შეიძლება მეტი ფაქტობრივი მასალა ან თვალსაზრისები წარმოვადგინო მკითხველის წინაშე. რომ მასაც ჰქონდეს დასკვნების დამოუკიდებლად გაკეთების საშუალება. მკითხველმა განსაჯოს თავისი შეხედულებისამებრ. თუ რამდენად ვაღწევ ამ ჩემს მიზანს.

და კიდევ: ჩვენი სოციალური და პოლიტიკური უბედობის მიზეზი ისიც არის. რომ პროფესიონალიზმის ნასახი აღარ შეგვრჩა. ამის გამოა. რომ “ყველას ყველაფერი ემარჯვება“. ქვეყანა კი ინგრევა. კულტურა ინფანტილური (ეთნოგრაფიულ-თვითმოქმედებით) და პროვინციალური გახდა; ინტელიგენტები “სახელდებულებმა“ და “წოდება-მინიჭებულებმა“ შესცვალეს. ვეტექიმები პოლიტიკოსობენ. ექიმები ისტორიკოსობენ. ფიზიკოსები იურისტობენ. იურისტები დახლიდარობენ. ხოლო ყველანი ერთად კი საქართველოს დიდებას გაჰმღერიან და თავს “საკაცობრიო ცივილიზაციის უნივერსალური პრინციპების“ დამდგენ. კაცობრიობის წინაშე ვალმოხდილ. რჩეულთა ქვეყნად წარმოიდგენენ. ამ ფარული განწყობიდან მომდინარეობს ის განცდებიც. რომლებითაც არის აღბეჭდილი ბ-ნ გივი გაბლიანის წერილის გულნატკენი პათოსი. თუ კი ისტორიას დაცვა სჭირდება - მხოლოდ არაპროფესიონალე-ბისაგან. ისევე. როგორც მედიცინას. პოლიტიკას. მეცნიერებას და ა.შ. სამედიცინო ტერმინებში გაგება პუბლიცისტური კვალიფიკაციისა სწორედ ამგვარ სავალალო მდგომარეობას აღნიშნავს. მე ნოე ჟორდანიას (რომელმაც მშვიდობიანად და ჯანსავსედ იცოცხლა 85 წელი) საექიმო “პაციენტად“ კი არ მივიჩნევ. არამედ გარკვეული ტიპის ცნობიერებისა და პიროვნების მქონე პოლიტიკურ და პარტიულ მოღვაწედ. ისტორიული სცენის პერსონაჟად. რომელსაც აკლია სწორედ ეს სოციალური და პოლიტიკური ჯანმრთელობა. ამ თვალსაზრისით. მისი წიგნაკი “რა მოხდა?“ რომელსაც მე ვიხილავ. ნამდვილად არის “ფსიქიატრიული შემთხვევა“ (ბ-ნ გაბლიანის გამოთქმას მოვიშველებ). საკმარისია ბ-ნმა გივიმ თხოვოს რომელიმე ფსიქიატრს გაანალიზოს ბ-ნ ნოე ჟორდანიას ნაწერების ენა. მისი ტიპოლოგია. ლოგიკა და ერთობ ის. რასაც უწოდებენ “ლანგ დუ ბუას“. რომ სწორედ იმ დასკვნამდე მივა. რომელთანაც “ავტორიტარული განწყობის“ და “დიქტატორების“ მკვლევარები მიდიან. თვით ენობრივ ქსოვილში იმალება ის. რაც მე მაძლევს საშუალებას ასეთი გულმოსაკლავი კვალიფიკაცია მივცე ქართველ სოციალ-დემოკრატთა “ღვთაებრივი“ მეთაურის სოციალ-პოლიტიკურ პიროვნებას. ამისთვის სამედიცინო განათლება (სპეციფიკურ-პრაქტიკული და არა ფილოსოფიური. რადგან მედიცინა ფილოსოფიის დარგიცაა. როგორც ბ-ნ გივი გაბლიანს მოეხსენება და ტყუილად აქვს იმედი. რომ უკეთესი მასწავლებლები ჰყავდა ამ დარგში. თუმცა მასწავლებლები რა მოსახსენებელნი არიან “მოწაფეთა“ დავაში...) მართლაც არ დამჭირვებია. ვაღიარებ. უნდა ხაზგასმით აღვნიშნო. რომ არც ნოე ჟორდანია. არც რომელიმე სოციალ-დემოკრატი. ან რომელიმე სხვა პარტიის წარმომადგენელი

მტრობა-მეგობრობის თვალით არასოდეს გამისინჯავს. ადამიანებთან მეგობრობენ და ადამიანებს მტრობენ და არა პარტიის წევრებს ან სახელმწიფო მოღვაწეებს თავისთავად. ხოლო ამა თუ იმ პიროვნებისადმი პატივისცემას მისი თანამდებობა კი არ განსაზღვრავს, არამედ მისი საქმე! რაც შეეხება ისტორიულ ასპექტში განხილვას სოციალური თუ პოლიტიკური პერსონაჟის ნააზრევისა და საქმისა, მისი სოციალური და პოლიტიკური ქცევისა, ღირსებისა, ხასიათისა, ტიპოლოგიისა და სხვა, აქ მტრობა და მეგობრობა რა სახსენებელია. ამიტომაცაა, რომ საქართველოში არც კრიტიკა ჰგავს კრიტიკას (ცუდი სადღეგრძელო უფრო ვიდრე კრიტიკა), არც ისტორია ჰგავს ისტორიას, და არც საზოგადოებრივი ურთიერთობა ურთიერთობას: მოვლენის კრიტიკა პირად შეურაცხყოფად აღიქმება, ყველა ცდილობს ტყუილსა და პოზას შეაფაროს თავი და ავიწყდება კი, რომ ჩვენს გარდა სხვაც სწავლობს საქართველოს ისტორიას, სხვაც გვხედავს, და ვიდრე ჩვენ გსირაქლემობთ, საქართველოს ისტორიას, როგორც "უნდათ" (ანუ როგორც ჩვენ არ "გვაწყობს") ისე წერენ. სწორედ იმიტომ, რომ საკუთარი თავისთვის სიმართლის თქმა ვერ გაგვიბედნია და ყოველ გამოთქმულ აზრს ან ხანჯალს უპირისპირებთ, ან ტყვიას, ან კიდევ... გაიხსენეთ, როგორ სდევნეს ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატებმა საუკუნის დასაწყისში და როგორ სდევნეს მერაბ მამარდაშვილი და სხვა ინტელიგენტები იგივე ცნობიერების მქონე "ფსიქოიდებმა" საუკუნის მიწურულს. ეს ყოველივე ისტორიის მასალად ლაგდება და მომავალი ისტორიკოსი რომ წაიკითხავს ამ პუბლიკაციებს ის რომ ჩვენზე იტყვის, აი მაშინ დავირტყათ გულზე ხელი და მივწვდეთ ხანჯლებს... თავის მოსაკლავად. მე პირადად ამ წერილის დასაწყისში მოყვანილი სტროფების დამწერების კვალზე და მოძღვრებით მინდა ვიარო, "თუნდაც რომ პირში ბალახი ამომივიდეს" - როგორც ვაჟა ამბობს, და ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ, და ისე, როგორც ვფიქრობ. ეგებ ამან ჩვენს ახალგაზრდობას "მადა გაუღვიძოს სიმართლის თქმისა".

ბ-ნ გივი გაბლიანს ნოე ჟორდანია მიაჩნია "პირველ პრეზიდენტად" და "დიდ ისტორიულ პიროვნებად" - მე არ მიმაჩნია ამგვარად (ცხადია თუ "დიდი" ღირებულებითი ცნებაა და "კარგს" ნიშნავს, და არა სამედიცინო-ანატომიური). საქართველოს რესპუბლიკას პრეზიდენტი არ ჰყოლია.[1] მე ვცდილობ ვაჩვენო, რომ ამ აზრს სხვა იმდროინდელი მოღვაწენიც იზიარებდნენ, რომლებიც პირადად იცნობდნენ ნოე ჟორდანიას. ჩემი წყარო მხოლოდ და მხოლოდ ის პუბლიკაციებია, რომლებიც 1921-1981 წლებში ქვეყნდებოდა აქ. უცხოეთში. ყოველი ჩემი თვალსაზრისი ეყრდნობა აქ გამოქვეყნებულ მასალას. ბ-ნ გივი გაბლიანს ჰგონია, რომ მე რომელიღაც მიმდინარეობას თუ პარტიას ვემხრობი და ვუჭერ მხარს, რომელიღაც სხვის ("მტრის") წინააღმდეგ - ეს მხოლოდ მას ჰგონია და არ შეესაბამება სიმართლეს. ისტორიულ მიხედვაში ყოველი პარტია და ყოველი თვალსაზრისი წარმოსაჩენად და საანალიზოდ ერთნაირად "ნეიტრალურია" და ემოციურად შეუვალი. მე არავის მხარეს არა ვარ, გარდა იმ სინამდვილისა რომელსაც ვხედავ ჩემს წინ გაშლილ ისტორიაში აღმოჩენილ იმ მასალებში, რომლებიც წინაპრებმა დაგვიტოვეს. და ვცდილობ გამოვამზეურო ეს სურათი ყოველგვარი წყენის გარეშე. ერთი რამ კია: "კვიმატი ჰიპოთეზა" პუბლიცისტური "აჯიკით" შევკმაზე, რადგან მიმაჩნია რომ დღეს საშიშროება არის იმ შეცდომების გამეორებისა, მაგრამ არცერთი ეს "საკმაზი" არ არის უსაფუძვლო.

მე ვთვლი, რომ ემიგრაციამ საქართველოს ისტორიაში ითამაშა როლი არა როგორც პოლიტიკურმა ძალამ, არამედ, როგორც პუბლიცისტური აზრის რეზერვუარმა. ამდენად ამ ემიგრაციას თუმც კი დაერქვა პოლიტიკური, მაგრამ, არსებითად მას პოლიტიკური ფუნქცია არ ჰქონია უკვე 1924 წლიდან, ხოლო 1934 წლიდან, საქართველოს ლეგაციის გაუქმებით, მას "პოლიტიკურის" სახელიც კი გაჭირდება ვუწოდოთ.

დღეს სავსებით ნათელია, რომ ემიგრანტული პუბლიცისტური ნაწერების მნიშვნელობა გაცილებით მეტია, ვიდრე ემიგრაციის პოლიტიკური ანგაჟირება და, თუნდაც განწყობილება (განწყობილებისა და განწყობის თვალსაზრისით). და მართლაც ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები აშკარად გვიდასტურებს, რომ პოლიტიკურად ემიგრაცია არც ამოქმედებული ყოფილა და არც, ჩვენდა საუბედუროდ, მომზადებული, რადგანაც ეს საკითხი მეტისმეტად მწვავედ დგას მრავალთათვის, ვისაც, გაუგებარი მიზეზებით, "პოლიტიკოსობა" და "პოლიტიკური" ბრძოლა უფრო მნიშვნელოვან და მაღალი ღირებულების მიმნიჭებელ მახასიათებლად მიაჩნია, ხოლო პუბლიცისტობა და ინტელიგენტობა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა კი რაღაც მეორეხარისხოვან მოვლენად. (ამ კრიტერიუმით ახალი სოციალ-დემოკრატები, ნეომენშვიკები ნოე

---

[1] "მუხლი 67: მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედი ზედ მხოლოდ ორჯერ. მუხლი 70: მთავრობის თავმჯდომარეს ენიჭება რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა..." - იხ. "საქ. კონსტიტუცია" მიღებული საქართველოს დამფ. კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

ჟორდანიას-პოლიტიკოსს, გაცილებით უფრო მაღლა აყენებენ ილია ჭავჭავაძეზე - საზოგადო მოღვაწეზე!) ამიტომ აუცილებელია, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, შეხსენება პოლიტიკისა და პოლიტიკურის ცნებების განსაზღვრებისა. ეს მოგვცემს საშუალებას ნათლად წარმოვიდგინოდ აღწერილ სურათში რა შეესატყვისებოდა პოლიტიკას, რა იყო ფსევდოპოლიტიკა (ცრუ, ყალბი პოლიტიკა, რაც არაპოლიტიკას ანუ პოლიტიკის სახელით რაღაც სხვის კეთებას აღნიშნავს) და რა ანტიპოლიტიკა (ეს უკანასკნელი თუმც პოლიტიკა არის თავისთავად, მაგრამ ყველა უარყოფითი ნიშნით დახასიათებული, რასაც ფაქტობრივად იმის საწინააღმდეგო მიზნისკენ მიჰყავს, რომლისკენაც არის მისწრაფებული სიტყვიერად) - ეს ორი უკანასკნელი მომენტი, ცხადია, თავისთავში ერთგვარ შეფასებასაც შეიცავს, თუმცა ფსევდოპოლიტიკა გარკვეულად მიუთითებს რომ აქ პოლიტიკასთან საქმე არა გვაქს, არამედ რაღაც მოჩვენებითობასთან, რომელიც სურთ პოლიტიკად წარმოადგინონ, ანუ თვალში ნაცარი შეაყარონ (იქნებ თავისთავსაც და სხვასაც?!).

POLITEIA - ნიშნავს მოქალაქეობას, პოლიტიკურ აქტივობას; აქედან წარმოსდგება POLICE-ის ცნება, რომელიც განისაზღვრება ლექსიკოლოგიურად (ვებსტერის ლექსიკონით) როგორც:

1. ა: შინაგანი ორგანიზაცია ან რეგულაცია პოლიტიკური გაერთიანებისა მმართველობითი ძალაუფლების (ანუ ხელისუფლების - ქართ.) გამოყენებით, მიმართულის საერთო კეთილმოწყობის, სიჯანსაღის, ზნეობის, უსაფრთხოების და აყვავებისაკენ.

ბ: საერთო წესრიგსა და ნებისმიერი ერთობისა თუ არეს კეთილმყოფობაზე ზეგავლენის მქონე საქმეების კონტროლი და რეგულირება.

გ: კანონთა სისტემა ამ კონტროლის ეფექტურობისათვის.

2. ა: მმართველობის განყოფილება რომელსაც ევალება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, უსაფრთხოება და ჯანმრთელობა და გაძლიერება კანონებისა და მქონებელი აღმასრულებელი, სასამართლო და არჩევითი ძალაუფლებისა.

ბ: მმართველობის განყოფილება რომელსაც ევალება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილება, გამოვლინება და აღკვეთა.. და სხვა...

ახლა ვნახოთ რას ნიშნავს სიტყვა პოლიტიკა (politics):

**Politics** 1. a: the art or science of government b: the art or science concerned with guiding or influencing governmental policy c: the art or science concerned with winning and holding control over a government 2: political actions, practices, or policies 3. a: political affaires or business; specif: competition between cowpeting interest groups or individuals for power and leadreship (as in a government) b: political life esp. as a principal activity or profession c: political activities characterized by artful and often dishonest practices 4: the political opinions or sympathies of a person 5: the total complex of relations between people in society.

თუ თქვენ შეძლებთ და მიუსადაგებთ რომელიმე ამ განსაზღვრებას ქართული ემიგრაციის (მენშევიკებისაც და სხვებისაც.) საქმიანობას, მაშინ მე ვიტყვი რომ არასწორად მაქვს გაგებული შინაარსი ცნებისა პოლიტიკა და სხვა რაღაც მგონებია.

ბატონი გაბლიანი გულმოკლულად წერს: "ისინი დაჯილდოებულნი იყვნენ საუცხოვო თვისებებით, მაგრამ ალბათ მათაც ჰქონდათ ზოგი ადამიანური სისუსტეები. უნდა მივიღოთ ისინი როგორც უფალმა ინება მათი შეჰქმნა." - რასაკვირველია ასეა, ისინი რომ უბრალო ლტოლვილი მოქალაქენი ყოფილიყვნენ და არა "მთავრობა" და "ოპოზიცია", რომელსაც სრულიად სხვა ხასიათის გამოვლინება ევალებოდა. გარდა ამისა ჰიტლერი და სტალინიც ხომ იმას აკეთებდნენ რაც "შეეძლოთ" და მათაც ჰქონდათ "ზოგი ადამიანური სისუსტეები" - აბა მათი განსჯა ისტორიკოსმა უნდა შეწყვიტოს. (სიმართლე რომ ითქვას, სინამდვილეში აღარც "მთავრობა" იყო მთავრობა და აღარც "ოპოზიცია" - ოპოზიცია. იქნებ ამიტომაც ურთიერთობა სწორედ რომ "წაკიდებული" იყო: იყო ფეხის დადება, დასმენაც კი ურთიერთისა ხან ფრანგებთან, ხან გერმანელებთან, ხან კი... აქედან გამომდინარე შედეგებითურთ). სხვათა შორის, მეორე მსოფლიო ომის შესახებაც მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას: მეორე მსოფლიო ომი ერთადერთი მომენტი იყო, როდესაც შესაძლებელი გახდა პოლიტიკურად დაჯგუფებულიყო ქართული ემიგრაცია და ჩაბმულიყო საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაგრამ როგორც ვიცით დღემდე გამოქვეყნებული მასალებიდან (მათ შორის "ივერიაში" გამოქვეყნებულიდანაც) საბოლოოდ ასე არ მოხდა, ქართული ემიგრაცია აქაც გაყოფილი აღმოჩნდა, ნოე ჟორდანიამ თავისი ცნობილი დეკლარაციით "ომი გამოუცხადა" გერმანიას და "მიიღო დემოკრატიის მხარე", ხოლო მას შემდეგ, რაც ჰიტლერი სტალინს დაესხა თავზე, ნოე ჟორდანია აღმოჩნდა სტალინის მხარეს ჰიტლერის წინააღმდეგ. ხოლო მართალია ისიც, რომ სოციალ-დემოკრატების ნაწილი ამ დროს გერმანელებთან თანამშრომლობდა "ბერგმანში" და სხვაგან. ახლა ვიკითხოთ, იყო თუ არა ეს რაიმე პოლიტიკური შინაარსის შემცველი საქმე, რომელსაც რაიმე ზეგავლენის მოხდენა შეეძლო ან

გერმანულ პოლიტიკაზე. ან "მოკავშირეთა" პოლიტიკაზე და ან საქართველოს ბედზე. განა არ გახდა მაშინვე ნათელი. რომ ჰიტლერის თვალსაწიერში საქართველო არაფერს არ წარმოადგენდა და განა არ უთხრა ეს ამბავი საქართველოს ერთადერთმა და მართლა ერთგულმა გრაფმა ფონ შულენბურგმა ქართველებს? მიხაკო წერეთელს. მიხეილ კედიას და. იქნებ. თვით ბატონ გაბლიანსაც კი. რის შემდეგაც დაიწყო ზრუნვა და თავდადებული გადარჩენა ქართველ ტყვეებისა და საერთოდ ქართველებისა. ახლა მივუბრუნდეთ ნოე ჟორდანიას აღნიშნულ დეკლარაციას იმ სახით. როგორც იყო იგი გამოქვეყნებული გერმანულ-ქართულენოვან ჟურნალში "ახალი დროება". აქ ორი რამ არის საყურადღებო. თვით "დეკლარაციის" ტექსტი და ამ ტექსტისადმი და საერთოდ თვით ნ. ჟორდანიასადმი ავტორის დამოკიდებულება (რედაქციისაც):

"ჟორდანიას "დეკლარაცია"

ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში მკითხველი გაეცნობა საქართველოს ყოფილი მთავრობის თავმჯდომარის ბ. ჟორდანიას "დეკლარაციას". ჟორდანია იგივე ჰაილი სელასიე-ბენეშ-ზოგუა. ოღონდ ემიგრანტულ "კარიერით" მათზე ძველი. ჟორდანია მხოლოდ ორწელიწად-ნახევარი მართავდა საქართველოს და მას შემდეგ სრული ოცი წელიწადია. რაც ემიგრაციაში ზის. მისი "მოღვაწეობის" ასპარეზი. ამ ოცი წლის განმავლობაში. მეორე ინტერნაციონალი. სახალხო ფრონტი და ერთა ლიგა იყო. ამ ოცი წლის განმავლობაში. დემოკრატიასთან ერთად. ის იყო ჯერ ფაშიზმის. მერე ჰიტლერიზმის. შემდეგ ესპანიის განმათავისუფლებელი ომის წინააღმდეგ. მაგრამ მუსოლინიმ ინგლისს სძლია აბისინიაში. გაძლიერდა ჰიტლერის გერმანია და გაიმარჯვა ფრანკომაც. დემოკრატიის საქმე შეირყა . ეს იგრძნო პრინციპებში დაუდევარმა ჟორდანიამ და 1939 წელს. ომის წინ. მან მოწოდებაც კი გამოუშვა ქართულ ემიგრაციაში. სადაც ამბობდა. რომ დემოკრატიამ თავისი კალო გალეწა. ერთად-ერთი ცხოველი ძალა დღეს ევროპაში დინამიური და ავტორიტეტული სახელმწიფოები არიანო.

მაგრამ მოხდა ომი. ევროპა მართლა ავტორიტეტულ და დემოკრატიულ სამარ ფრონტად გაიყო და ჟორდანიამაც ისევ თავისი ძველი ჭაობი მონახა. თავის "დეკლარაციაში" ჟორდანია გადაჭრით დემოკრატიის ფრონტზე დგება და. რაც უფრო ყველაზე აღმაშფოთებელია. ამას ქართველი ერის სახელით ლაღადებს. ჩვენი მკითხველი წაიკითხავს არა მარტო ჟორდანიას "დეკლარაცას". ჩვენს "პრესის" განყოფილებაში ის წაიკითხავს პარიზში გამოსულ "კურიერ ყეორჟიენ"-ის და "ბულეტენის" წერილებს. საიდანაც ნათლად იხედება. თუ რა სახით სურს ჟორდანიას და კიდევ სხვებს. წარმოუდგინონ ომის დროინდელ ევროპას ქართული ემიგრაცია და ქართველი ერი.

...ქართული ემიგრაციისათვის მიუღებელია არა მარტო ჟორდანიას "დეკლარაცია". აღსავსე დემოკრატიული ფლიდობით. არამედ თვით ჟორდანიას პიროვნებაც. ისტორიამ დაგვიტოვა ამბავი. რომ მარქსისტი ჟორდანია ულტრა-მარქსისტულად მართავდა დამოუკიდებელ საქართველოს. მისი გამგებლობა სრული ბარბაროსობა და უვიცობა იყო როგორც კანონმდებლობაში. ისე კანონის აღსრულებაში. მან არაფერი იზრუნა ქვეყნის დასაცავად და საქართველოს დამოუკიდებლობა ისე ადრე ამან შეიწირა. მისი წარსული მოღვაწეობა ეს იყო.

ხოლო თუ რამდენად მიჩნეული პირი იყო ჟორდანია ემიგრაციაში. ესა სჩანს თუნდა იმ გარემოებითგან. რომ მან ვერ შემოიკრიბა თავის გარშემო ის დანარჩენი რამდენიმე პირი. რომელიც თუ მისებრ ანგარად არა. მცდარად და უპასუხისმგებლოდ მაინც ფიქრობს. რომ ქართველების ადგილი ამ ომში დემოკრატიის ბანაკში უნდა იყოს. "კურიერ ყეორჟიენი". რომელიც ჟორდანია-გეგეჭკორი-ჩხენკელის წრის ორგანოა და "ბულეტენი". რომელიც ამ რამდენიმე. ჟორდანიას გარეშე მდგარი პირის "დეკლარაციაა" აგრეთვე. იმის გამო ეომებიან ერთმანეთს. თუ რომელი მათგანი უფრო სწორი წარმომადგენელია ქართველი ემიგრაციისა დემოკრატიის მხარეზე?! უფრო მეტი დაცემა. უფრო მეტი გათახსირება ემიგრაციის ასეეთი წრეებისა. "ისტორიულ წუთში". წარმოუდგენელია. ისინი ვერ გაერთიანებულან მაშინაც. როცა საერთოა მათთვის არა მარტო "დემოკრატია". არა მარტო "საქართველოს თავისუფლება". არამედ გზა და საღსარი. რომ თავის მიზანს მიაღწიონ. მარტო ეს ამბავიც კმარა მკითხველმა ნათლად და ერთხელ წარმოიდგინოს. თუ ქართული პატიოსანი ემიგრაციის რა გარეწარ. რა გამთიშველ ნაწილს წარმოადგენენ დღეს ჟორდანია და მისი მეტოქე სხვა დემოკრატები ჩვენ საპასუხისმგებლო დროში...

არა ნაკლებ აღმაშფოთებელი არის ის კომედია. რომელსაც ბალაგანის კაცი ჟორდანია მუდამ თამაშობდა ემიგრაციაში და "დეკლარაციის" გამოშვების წი.ნაც გაითამაშა. მან მოაგროვა ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დამფუძნებელი კრების რამდენიმე წევრი. თავისი დეკლარაცია წაუკითხა და მისი დასტური მიიღო. რამდენი იყო ეს წევრი. არავინ იცის. მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვიცით. რამდენი წევრისაგან შესდგებოდა საქართველოს დამფუძნებელი კრება. ისინი იყვნენ ას-ოცი კაცი. ამ ას-ოცი კაციდგან ასი მარქსისტი იყო. როცა ჟორდანია გაიქცა. ხოლო საქართველოში ახალი რეჟიმი შეიქმნა. ახალმა ხელისუფლებამ ამ

************************************************************************

დამფუძნებელი კრების სხდომა დანიშნა და მოითხოვა, რომ დამფუძნებელ კრებას თავისი თავი თვით გაეუქმებია. მარქსისტულმა დამფუძნებელმა კრებამ თავისი თავი სიტყვის შეუბრუნებლად გააუქმა. ამრიგად "დეკლარაცია" მოიწონა საკუთარი ხელით გაუქმებული დამფუძნებელი კრების რამდენიმე წევრმა. ჟორდანიას "დეკლარაცია" ეს არის. და ბებერი კომედიანტი ნოე ჟორდანია უოველივე ამას ქართველი ემიგრაციის და ქართველი ერის სახელით აკეთებს. მაგრამ ისტორიამ ამ კომედიანტს გრიმი ჩამოაცალა. დღეს ჩვენს წინაშე დგას გაუსწორებელი ემიგრანტული "კნეხტი" ჟორდანია, მუდამ მზა, რომ თავისი თავი პირველ დამქირავებელს მიჰყიდოს. ამან ერთხელ კიდევ საბოლოოდ დაანახა ქართულ ემიგრაციას თუ ვინ ბრძანდება ბ. ნ. ჟორდანია.

ტირიფონელი. "

ნოე ჟორდანიას "დეკლარაცია" საფრანგეთში მცხოვრებ საქართველოს დამფუძნებელი კრების ყოფილ წევრთა წინაშე.
4 თებერვალი 1940 წ. პარიზში.

საქართველოს ეროვნული მთავრობის სახელით მაქვს პატივი განვაცხადო ქვემორე:

დღევანდელი საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩვენ იმთავითვე ავირჩიეთ ჩვენი ადგილი: ჩვენ ვართ საფრანგეთ-ინგლისის ბლოკის მხარეზედ.

ჩვენი არჩევანი ემყარება პოლიტიკურ და ეროვნულ საფუძველს.

ჩვენ ვართ დაპყრობილი ერის შვილები. უცხო ძალამ ჩვენ წაგვართვა როგორც პოლიტიკური, ისე ეროვნული თავისუფლება: ამ უღლის ქვეშ ჩვენ ვიმყოფებით როგორც ხალხი და როგორც ნაცია. ვინ გაიგებს ჩვენს ტანჯვას უფრო უკეთესად, თუ არა ის, ვისაც ეს ორი თავისუფლება სწამს, ვინც თავის დროშას ადამიანის უფლება და ხალხთა უფლება წააწერა და ვინც ეს უფლება ყველასათვის და მთელი კაცობრიობისათვის გამოაცხადა. სწორედ საფრანგეთი იყო და არის მუდამ დაპყრობილთა დამცველი. საფრანგეთი არის, რომ თავის მეში გააერთიანა სული ფრანგული და სული მსოფლიური, სული ეროვნული და სული კაცობრიული.

ჩვენ არასოდეს არ გვწამდა და არც ეხლა გვწამს, რომ ისინი, ვინც თავის ერსაც-კი დესპოტიზმს ამყნიან, სხვებს თავისუფლებას მიანიჭებენ და თავისუფალ ერთა დამპყრობელნი დაპყრობილ ერებს გაანთავისუფლებენ. საერთაშორისო ბანდიტიზმმა შემუსრა ყოველი უფლება ყველა მისი სახით. დღეს მსოფლიოში ფრიალებს ორი მოპირისპირე დროშა: ერთია თავისუფლებისა, მეორე - მონობის. ქართული დროშის ადგილი თავისუფლების ბანაკშია.

ეს ამოძრავებს ჩვენს პოლიტიკურ ორიენტაციას და აქეთ მიდის ჩვენი ეროვნული აზროვნებაც.

საქართველო გმინავს საბჭოთა რუსეთის დომინაციის ქვეშ; ის არასოდეს შერიგებია ასეთ გარემოებას და დაუღალავად ებრძვის თავის დამპყრობელს. მოსკოვის ხელისუფლებას და მასთან ერთად მას, ვინც მას ეხმარება, ყველა მის მოკავშირეს, ვინც არ უნდა იყოს. ჩვენ არ ვყოფილვართ, არა ვართ და არც ოდესმე ვიქნებით სტალინის მხარეზედ არც იდეოლოგიურად, არც პოლიტიკურად, არც ეროვნულად. დიდი ხანია, რაც ჩვენს შორის ხიდი ჩატყდა და ბრძოლა გამოცხადებულია. ეხლა მოკავშირენიც იმავე პოზიციაზედ შესდგნენ, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ. ჩვენ მიერ ბოლშევიზმის უარისყოფა, როგორც ძველი რუსულ-აზიური ბარბაროსობის აღდგენა, დღეს ნათელი შეიქნა და ის გაიზიარა მთელმა განათლებულმა მსოფლიომ.[2] (ხაზგასმა ჩემია-ჯ.კ.).

ჩვენი პროტესტი 1934 წელს ერთა ლიგის წინაშე ს.ს.რ.კ-ის მიღების წინააღმდეგ ლიგაში.[3]

---

[2] ეს ანტიბოლშევიკური პათოსი მიგვახედებს 1920 წლისაკენ, როდესაც ნოე ჟორდანია, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე და "თვითმპყრობელი", თეთრგვარდიელებსა და ბოლშევიკებს შორის ბოლშევიკებს ირჩევდა როგორც "პროგრესულ" ძალას. აი რას წერდა გაზეთი "ახალი კომუნისტი" 1920 წლის 11 ნოემბერს წერილში " ნ. ჟორდანია და ს. დევდარიანი"

"ჟორდანიამ გვარდიის ყრილობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა საერთო მდგომარეობის შესახებ. მე არ შევეხები ამ მოხსენებას საერთოდ. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ მომენტს. მომხსენებელი არკვევს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას და დასკვნა გამოაქვს: რუსეთში იბრძვის მხოლოდ ორი ძალა: ბოლშევიზმი, რუსეთის მთავრობა, მოსკოვი და ვრანგელის კონტრრევოლუცია. მესამე ძალა სახელგანთქმული დემოკრატიისა არ არსებობს. ამ ორ ძალაში ჩვენ არჩევანი უნდა მოვახდინოთ: ან ბოლშევიზმი ან ვრანგელი. როგორია ეს ძალები? კითხულობს მომხსენებელი და უპასუხებს: რუსეთის პირობებში ბოლშევიზმი რევოლუციონური პროგრესული მოვლენაა, ვრანგელი რეაქციის მებაირახტრეა. ვრანგელი მოსკოვში, ამბობს ჟორდანია, ნიშნავს ვრანგელს თბილისშიც. ამიტომ არჩევანიც მისთვის ცხადია. ბოლშევიზმის მიღება წინააღმდეგ ვრანგელისა.

ამ რიგად ჟორდანიამ მთლად ნათლად სთქვა, რომ რუსეთის პირობებში ორ სამკვდრო სასიცოცხლოდ მებრძოლ ძალთა შორის ერთი, ბოლშევიზმი, იცავს რევოლუციას, პროგრესს, მეორე კი - ვრანგელი, იბრძვის ძველი რუსეთის წესწყობილების აღსადგენად, იცავს რეაქციას. პირველი მისაღებია, მეორე - უარსაყოფი..."

[3] აქ კარგად ჩანს რატომ იარსება საქართველოს ლეგაციამ 1934 წლამდე და რატომ იყო მისი კარები ღია. ამ წლამდე, სსრკ თუმც დე იურე ცნეს ფრანგებმა, მაგრამ რეზერვით და ერთა ლიგაშიც არ უშვებდნენ. 1934 წელს კი, როგორც კი გადაწყდა სსრკ-ს მიღება ერთა ლიგაში, საქართველოს ლეგაციის კარიც სწრაფად დახურეს რეალპოლიტიკოსმა

ეხლა გაზიარებულია იმავე ერთა ლიგის მიერ. იმ ამბავით. რომ ს.ს.რ.კ ამ საერთაშორისო დაწესებულებიდგან განდევნილია.

ამ რიგად ცხადია. რომ ჩვენ არ გამოგვიცვლია ჩვენი ადგილი და ჩვენი საქციელი დარჩა ისეთივე უცვლელი. როგორიც იყო იმთავითვე. ისტორიამ ჩვენი პოზიცია გაამართლა. ქართველი ერის პოზიცია და დღეს ჩვენი შეხედულება გაზიარებულია მსოფლიო დემოკრატიის მიერ. და თუ აქამდის ჩვენ მხოლოდ იმედით ვიყავით აღჭურვილი. დღეს ეს იმედი უფრო რეალურ საფუძველს ემყარება.

საქართველოს ეროვნული მთავრობა. რომელმაც სამშობლო დასტოვა დამფუძნებელი კრების დადგენილებით და სპეციალური მანდატით: "ბრძოლის გაგრძელება მოსკოველ დამპყრობელთა წინააღმდეგ გამარჯვებამდის მოუწოდებს ყოველ ემიგრანტს მასთან ერთად მოკავშირეთა გვერდით დადგეს. მას გამარჯვება უსურვოს და თითონ კი გაერთიანდეს. რათა ყველა ძალით შეუდგეს ქართველი ერის განთავისუფლების საქმეს."

პრესსა

"ლე კურიერ ყეორჟიენ" პირველი ნომერი. აპრილი 1940. სწერს:

"....პრეზიდენტ ნოე ჟორდანიასთან ერთად. რომლის დეკლარაციასა ჩვენ აქვე ვაცხადებთ. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ჩვენს თანამემამულეს ემიგრაციაში. გვერდში ამოუდგეს მოკავშირეებს. უსურვოს მათ გამარჯვება და თითონაც შეკავშირდეს მთელის ძალებით ქართველი ერის გასანთავისუფლებლად".

ასე სწერს ჟორდანიას გაზეთი. ვერ გაგვიგია. რად უცხადებს ჟორდანია "ჰიტლერის გერმანიას" ომს? განა რა ტირის საქართველოსი გერმანიაში? რად უნდა გამოუცხადოს პატარა ქართველმა ერმა გერმანიას ომი? ჟორდანია ჩადის ისეთ დიდ რეგვენობას. რომ მეტ კითხვას ჩვენ ჟორდანიას აღარ ვუყენებთ...

"ბულეტენიც". როგორც ითქვა. დემოკრატიების გამარჯვებისაგან გამოელის საქართველოს ხსნას. მაგრამ ამავე დროს ჟორდანიასაც ეკამათება. იგი თითქოს ვერა ბედავს ქართველი ერის წარმომადგენლობის მითვისებას და დემოკრატიებს სხვანაირად აწონებს თავს: უმთავრესად ბ. ჟორდანიასი და მისი ამყოლ-დამყოლების და მათი მნიშვნელობის გაბათილებით. იგი სწერს:

"ჩვენ არ ვფიქრობდით ეს საკითხი გაგვეტანა პრესაში. მაგრამ მენშევიკურ გაზეთში გამოქვეყნებულმა ცნობამ "საქართველოს ეროვნული მთავრობის გარშემო ეროვნული საბჭოს შექმნის" შესახებ შეცდომაში შეიყვანა ერთი დიდი ფრანგული გაზეთი და ამან გვაიძულა გამოვაქვეყნოთ სწორი ცნობები ამ საგანზე.

1. ამა წლის (1940 წ.-ჯ.კ.) 28 იანვარს დაარსდა ქართული ეროვნული კომიტეტი. ერთი კვირის შემდეგ. 4 თებერვალს. პარიზში გაიმართა "საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრთა კერძო თათბირი". ის თითქოს მოწვეული იყო იმისათვის. რომ გამოეტანა რეზოლუცია ომის შესახებ. მაგრამ გამოირკვა. რომ ყოფილ მთავრობას სურდა თათბირს მიეღო მისი დეკლარაცია. სადაც ის გამოცხადებული იქნებოდა როგორც ეროვნული საქართველოს მთავრობა. თათბირმა ეს არ მიიღო და გადასწყვიტა საკუთარი რეზოლუციის შემუშავება. გამოირკვა აგრეთვე. რომ ყოფილ მთავრობას განზრახული ჰქონია ამ "კერძო თათბირის" შევსება რამოდენიმე პირით და მისი გამოცხადება ეროვნულ საბჭოთ. ნაცვლად წინანდელი საბჭოსი. რომელიც უკვე დაშლილი იყო. ასეთს საბჭოს. როგორც სათათბირო ორგანოს. უნდა ეთანამშრომლა "ორგანიულად" ყოფილ მთავრობის სამ წევრთან. თანახმად პოლონეთის მაგალითისა.

თათბირებზე გამოირკვა. რომ ასეთს გეგმას მხარს უჭერენ მხოლოდ მენშევიკი წევრები და ისიც არა ყველანი. გარდა საყოველთაოდ ცნობილ იურიდიულ მოსაზრებებისა. ასეთი გეგმის წინააღმდეგ თათბირებზე აღნიშნულ იქნა შემდეგი საბუთები:

1. ყოფილ მთავრობას არ გაურევვია 1921 წლიდან არავითარ საქმეში ყოფილ დამფუძნებელი კრების წევრნი. როგორც ასეთნი. ფრიად უცნაური იქნებოდა. რომ დამფუძნებელი კრების მეათედს ნაწილს. მაშინ როდესაც მათ ერთხმად დაადგინეს პირველსავე თათბირზე. რომ ისინი თავის თავს თვლიან მხოლოდ ყოფილ წევრებად დამფუძნებელი კრებისა. ყოფილი მთავრობის სამი წევრი გამოაცხადონ საქართველოს მთავრობად.

---

ფრანგებმა. ეს რომ ადრე მომხდარიყო, ქართული ლეგაციაც უფრო ადრე დაიხურებოდა. ასე რომ აქ არავითარ "პოლიტიკურ გამარჯვებასთან" არა გვაქვს საქმე. ეს უბრალოდ დიპლომატიური თავდაჭერა იყო სწორედ საფრანგეთის მხრიდან, რადგან მის ინტერესებში შედიოდა ეს. ამ პერიოდის დიპლომატიური ურთიერთობების ისტორია ნათელჰყოფს ამას. თუ ამ მოვლენას შევადარებთ გარკვეული მსგავსების მქონე მოვლენასთან, როგორიცაა ბალტიური ქვეყნების დაპყრობის ფაქტის არცნობა აშშ-ის მიერ და ბალტიურ სახელმწიფოთა წარმომადგენლობების შენარჩუნება, აქ სრულიად სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე, რადგან იგი ეხება არა მხოლოდ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობის ფაქტს, არამედ გადაჯაჭვულია მეორე მსოფლიო ომის მოვლენებთან. რაც შეეხება რუსეთის იმპერიის დაშლის ეპოქას ანალოგიურ სიტუაციაში ერთა ლიგამ არც ბალტიისპირა ქვეყნები მიიღო თავის წევრებად და ისინი ბეწვზე გადარჩნენ 1939-41 წლამდე, და იგივე ბედი არ გაიზიარეს, რაც საქართველომ, კავკასიამ და სხვა "მოკავშირე" რესპუბლიკებმა. ამ საკითხებს საგანგებოდ ვეხები "საქართველოს ისტორიის" აღნიშნულ მონაკვეთში, რომელიც მზადდება ქართულ-ევროპულ ინსტიტუტში.

2. თანახმად თვით მენშევიკების მიერ გატარებულ უცნაური კონსტიტუციისა, საქართველოს არ ჰყავდა პრეზიდენტი და მთავრობა ირჩეოდა პარლამენტის მიერ მხოლოდ ერთი წლის ვადით და, მაშასადამე, მისი არსებობა სავსებით დამოკიდებული იყო პარლამენტის ფაქტიურ არსებობაზე.

3. დამფუძნებელი კრების უკანასკნელს სხდომაზე 1921 წლის მარტს, ყველა ფრაქციებმა და, მათ შორის, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მნიშვნელოვანმა ნაწილმაც სრული უნდობლობა გამოუცხადა ნ. ჟორდანიას მთავრობას იმის გამო, რომ მისი მმართველობის შედეგად საქართველოს თავს დაატყდა უდიდესი კატასტროფა.

4. 1922 წელს, მაისში მოეწყო შეთანხმება საქართველოში განთავისუფლებისათვის მებრძოლ ყველა ძალებისა. შეთანხმების პირობების თანახმად, საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის სუვერენულ მეთაურად შინ და უცხოეთში, აღიარებულ იქმნა დამკომი - დამოუკიდებლობის კომიტეტი. ამ შეთანხმებას, სხვებთან ერთად, ხელი მოაწერა მენშევიკურმა პარტიამაც და იგი თავისთვის სავალდებულოდ მიიჩნია, თანახმად დამკომის მოთხოვნილებისა თვით საქართველოს ყოფილმა მთავრობამ.

5. ამის შემდეგ ბრძოლა და მუშაობა საქართველოსა და უცხოეთში სწარმოებს კოალიციურ ეროვნულ ორგანოთა სახელით და არა ყოფილი მთავრობის სახელით.

6. ყოფილი მთავრობის წევრნი თვითონ უწოდებენ თავის თავს მთავრობის ყოფილ წევრებად უცხოელებთან ურთიერთობაში და კავკასიელ მეზობლებთან დადებულ პაქტში.

7. უკანასკნელ დროს ყოფილმა მთავრობამ სცადა ამ საკითხის შეტრიალება ირიბული გზებით. მათ მოინდომეს გაეტარებინათ ამჟამად უკვე დაშლილს ეროვნულ საბჭოში რეზოლუცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ "ქართული პოლიტიკური ძალები თავს იყრიან ნ. ჟორდანიის მთავრობის გარშემო"; მაგრამ ასეთი ფორმულა არ იქმნა მიღებული სხვა პოლიტიკურ მიმდინარეობათა წარმომადგენლების მიერ და მით ასეთი განზრახვა ჩაიშალა.

8. თვით ემიგრაციაში ყოფილ მთავრობის სამ წევრს არა სცნობენ ეროვნულ მთავრობად არამც თუ სხვა პოლიტიკური დაჯგუფებანი, არამედ თვით მენშევიკების მნიშვნელოვანი ნაწილიც კი, და მათ შორის, ყოფილი მთავრობის წევრი და ისიც იუსტიციის მინისტრი.

9. ნ. ჟორდანიის ყოფილი მთავრობისათვის გამოსადეგი იქნებოდა პოლონეთის მაგალითი, რომ არსებობდეს ოცი წლის წინეთ დამარცხებული მთავრობა პოლონეთისა; მაგრამ პოლონეთს ჰყავს ახალი მთავრობა თავისი ელჩებით ყველა ქვეყანაში და ჯარებით ბრძოლის ველზე, და არის მოკავშირე საფრანგეთისა და ინგლისისა.

10. ჩვენს მდგომარეობას უფრო უახლოვდება ჩეხებისა და ავსტრიელების მაგალითი; მათ ჰყავთ არა მთავრობები, არამედ ეროვნული კომიტეტები, მიუხედავად იმისა, რომ ამათი ამბავი მეტად ახალია და ისინიც არიან მოკავშირენი საფრანგეთისა.

11. ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებათა მიხედვით, ყოფილი მთავრობის ეროვნულ მთავრობად გამოცხადების განუხორციელებელი ცდა და ამ საგანზე დავის წარმოება ვერ აღადგენს იმას, რაც უკვე აღარ არსებობს 19 წლის განმავლობაში. იგი მხოლოდ ხელს შეუშლის, როგორც ქართული ისე კავკასიური ერთობის საქმეს, შეუძლებლად გახდის ეროვნული მუშაობის წარმოებას უცხოეთში რეალურ ნიადაგზე და ამასთან ერთად ფრიად შელახავს ქართულ ეროვნულ ღირსებას..."[4]

დავანებოთ თავი აქ აღძრულ მრავალრიცხოვან საკითხებს და დავკმაყოფილდეთ სურათით, რომელიც მრავალწილად აზუსტებს და ადასტურებს ჩემს დამოკიდებულებას საქართველოს ტრაგედიის "მთავარი მოქმედი პირისადმი". ვიკითხოთ: სწორი იყო თუ არა ნოე ჟორდანიას ეს ნაბიჯი? ჩემის აზრით, სწორი იყო იმ მომენტისათვის, როდესაც ეს დეკლარაცია დაიწერა, რადგან მაშინ ჰიტლერის წინააღმდეგ ომში ჩაება ინგლის-საფრანგეთი და არჩევანი სრულიად ბუნებრივი იყო (კეთილშობილურიც საფრანგეთში თავშეფარებულთა მხრიდან). ჰიტლერ სტალინის პაქტით შეკავშირებული ორი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ერთადერთ მხარეს მიუთითებდა საქართველოსათვის მებრძოლსაც . იმ მომენტში, ე.ი. 1939-1941 წლებში. მაგრამ იმ მომენტიდან, როდესაც ეს "კავშირი" გაწყდა და სტალინი ანტიჰიტლერულ კოალიციაში გადმოვიდა, სტალინის წინააღმდეგ მებრძოლს (ბ. ნოე ჟორდანიას, რომელიც ამ დროსაც საქართველოს მთავრობის სახელით ლაპარაკობდა, თუმცა ამის ლეგალური უფლება აღარ ჰქონდა - მაგრამ ეს მივუთვალოთ საჭიროებას) ის მაინც უნდა განეცხადებია, რომ იგი რჩება ამ კოალიციაში მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სტალინის წინააღმდეგ ბრძოლა ნელდება და იგი არ იბრძვის საქართველოსათვის. თვით ამ კოალიციაშიც უნდა დაწყებულიყო იმის მაგვარი საქმიანობა, როგორიც იყო ჰიტლერის "ბანაკში" - კავკასიური შტაბის მიერ წარმოებული; თუნდაც არა სპეციფიკურად პოლიტიკური, არამედ ჰუმანიტარული მიმართების (რადგან კავკასიის შტაბის საქმიანობა უფრო ჰუმანიტარული აქციების

4 იხ. "ახალი დროება" ყოველთვიური ქართული ეროვნული ჟურნალი რედაქტორი: შ. ამირეჯიბი; გამომცემელი: ა. მეტრეველი. ბერლინი აგვისტო 1940 წ. N1.

ხასიათისა იყო ვიდრე პოლიტიკურის, როგორც თვით ბატონი გივი გაბლიანის წერილიც და ივერიაში გამოქვეყნებული მასალებიც ადასტურებს). უყოველივე ეს გვაძლევს უფლებას მთელი ეს საქმიანობა შევაფასოთ როგორც მწვავე პოლიტიკურ პირობებში წარმოებული ფსევდოპოლიტიკური საქმიანობა, რაც სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ არ იყო გაკეთებული სასარგებლო საქმე საქართველოსათვის, თუნდაც იმდენი ქართული სიცოცხლის შენარჩუნებით.

ახლა რაც შეეხება 59 გვერდს. ამოწერილ ციტატებსა და დადგენას იმისა, რომ მიზანი ჩემი უოფილა არა ნოე ჟორდანიასა და მენშევიზმის კრიტიკა 1024 წლის აჯანყების და საერთოდ საქართველოს ისტორიის კონტექსტში, არამედ ემიგრაციის საქმიანობის დაკნინება. ამონაწერები ჩემი წერილიდან არა მარტო ტენდენციურად და კონტექსტის გარეშე, არამედ საერთოდ არაეთიკურად არის გაკეთებული, რაც, ალბათ, ექიმს ეპატიება. მაგრამ ამან, მე მაინც ეჭვი აღმიძრა, რომ ბ-ნ გივი გაბლიანს დაკვირვებით და მთლიანად არა აქვს წაკითხული ჩემი ვრცელი წერილი, თორემ ციტატის ამოწერისას თავს შეიკავებდა ამგვარი "ხუჭა-ხუჭადან", თუ ეს აბზაცი ჩემი ჰიპოთეზის "ღერძია", როგორც ის თვლის, და ჯერ კეთილსინდისიერად გადმოსცემდა "ღერძს", მერე კი გააკრიტიკებდა...). მე ვწერ:

"საქართველოს "მუდმივი მთავრობის" ასევე "მუდმივი პრეზიდენტის" ეს ანალიზი და დეკლარაცია "ფსოქოპოლიტიკური" ანალიზის იშვიათი ნიმუშია. მსურს ყურადღება მივაქციო ერთ მეტად საყურადღებო მოვლენას, რომელიც ერთგვარად გვიმახვილებს ყურადღებას ჩვენი ჰიპოთეზის კონტექსტში: აჯანყების ეს ანალიზი (დავანებოთ თავის მის აბსურდულობას) თითქოს მიზნად ისახავს დამალოს ჯიათურის საბედისწერო "შეცდომა" (ჯიათურა ხომ სოციალ-დემოკრატიული ბასტიონი იყო!) და ამავე დროს ხაზი გაუსვას სოციალ-დემოკრატების გადამწყვეტ როლს აჯანყებაში. ორივე ეს მომენტი ამაგრებს ჩვენს ეჭვს და სპირიდონ კედიას (და სხვათა) მიერ წამოყენებულ ბრალდებას. (ჯიათურიდან გატაცებული "სალაროს" ამბავი მეტად ბუნდოვანია და განზე ვტოვებ). სტალინის ცნობილი განცხადება "ДОПУСТИТЬ И ПРОУЧИТЬ" ასევე მეტად თავისებურ ელფერს აძლევს ნ. ჟორდანიას მიერ მეტად გულისხმიერად (სოციალისტური გულისხმიერებით, ცხადია) ჩატარებულ ანალიზს და კიდევ უფრო დიდ განზომილებას აძლევს ეჭვებს "მთავრობის" აქტიურ როლზე აჯანყების... დამარცხებაში. აქ მე სრულიად არ ვეთანხმები სპირიდონ კედიას: "მთავრობას" არავითარ შემთხვევაში არ აწყობდა აჯანყების გამარჯვება: მას ხელს აძლევდა აჯანყების მოწყობა და მხოლოდ დამარცხება. და მან უოველივე იღონა, რომ ეს ასეც მომხდარიყო. სოციალისტური დემაგოგია, რომელიც მათ უზნეობას მალავს ჩვეულებრივ. ამ შემთხვევაში სწორედ საწინააღმდეგო შედეგს აღწევს - ააშკარავებს "მთავრობის" და "პრეზიდენტის" (ანუ იმავ დროს და პირველ უოვლისა "მენშევიკური ლიდერების") ჭეშმარიტ ზრახვებსა და მიზნებს. ამას მოწმობს ის რეაქციაც, რომელიც გამოიწვია ნ.ჟორდანიას და ნ. რამიშვილის მიერ 1927 წელს საქართველოში გაგზავნილმა წერილებმა, გამოქვეყნებულმა კომუნისტების მიერ. ამ წერილების საკუთრივობა მაშინვე იყო დადგენილი. ქვევით გაგაცნობთ მიხაკო წერეთლისა და "თეთრი გიორგის" რედაქციის თვალსაზრისს მათზე. რადგან ეს წერილები ააშკარავებენ სოციალისტური მთავრობის ჭეშმარიტ ანტისახელმწიფოებრივ და ანტიეროვნულ ბუნებას და ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ რომ "მენშევიკური მთავრობა", ზუსტად ისევე, როგორც "ბოლშევიკური მთავრობა" არის პარტიული ძალაუფლება, რომელიც სახელმწიფოს და ერს განიხილავს თავის პირად საკუთრებად და, ამდენად, ვერ ეგუება ამ საკუთრების ვერავითარ "განაწილებას". აგრეთვე იმას, რომ სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის "ხიდი" არასოდეს არ ტუდება, რადგან ორთავეს ემუქრება ერთადერთი რეალური ალტერნატივული ძალა - ეროვნული გამაერთიანებელი სულისკვეთება, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ადვილად და სწრაფად ერთიანდებიან ეს ძალაუფლებისათვის "ურთიერთწაკიდებული" გამონაყოფები.

1927 წელს გაზეთმა კომუნისტმა გამოაქვეყნა ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის საიდუმლო წერილები. რადგანაც ეს "საქმე" სრულიად უცნობია მთელი რიგი თაობებისათვის ამიტომ მოვიყვან რამდენიმე პასუხს. ცხადია, ამ წერილებმა აღაშფოთა ემიგრაციაში მყოფი ის მოღვაწენი, რომელთაც ეხებოდა ეს წერილები და პირველ რიგში მიხაკო წერეთელი. ამ პასუხებს პირდაპირი კავშირი აქვთ ჩვენს თემასთან, რადგან 1924 წლის აჯანყების შემდგომ ვითარებას ახასიათებენ. უნდა ითქვას, რომ ემიგრაციაში ქართულ პოლიტიკურ პარტიათა თუ მიმართულებათა საქმიანობის ისტორიის დაწერისათვის მეტად მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ფაქტობრივად ემიგრაციაში არავითარი რეალური პოლიტიკური ბრძოლა არ წარმოებულა და არც შეიძლებოდა წარმოებულიყო. ამის მიზეზი იყო არა მარტო ის შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა სხვადასხვა[5] დაჯგუფებას, პარტიას თუ ფრაქციას

5 "ივერიის" 34-ნომერში დაბეჭდილ წერილში

**************************************************************************************

შორის (ეს საერთო-ემიგრანტული "აკადმყოფობაა" და ქართული ემიგრაცია ამ თვალსაზრისით არაფრით არ გამოირჩეოდა), არამედ იმ ყალბ წანამძღვარში და სიცრუეში, რომელიც ემიგრაციის საძირკველში იდო. საკმარისია შევადაროთ ურთიერთს ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის საქმიანობა ევროპაში (1900-1917 წ.წ.) და "მენშევიკური" ლტოლვილობა" რომ ნათელი შეიქმნას თუ რა სხვადასხვა საფუძველს ემყარებოდა და რა განსხვავებულ მიზნებს ისახავდნენ ევროპაში აღმოჩენილი ქართული ძალები. 1900-1917 წლებში ევროპაში მოღვაწე ქართველებს, მიუხედავად პროგრამათა განსხვავებისა, ჰქონდათ ერთი ეროვნული მიზანი - საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება და საქართველოში თანამედროვე წყობილების დაფუძნება. "მენშევიკურ ტალღას" მიზნად ჰქონდა საქართველოში ბოლშევიკების მიერ წართმეული ძალაუფლების დაბრუნება და იქ თავისი პარტიის ძალაუფლების რესტავრაცია. მაგრამ "მენშევიკებს" უკვე საქმე ჰქონდათ საქართველოში მოქმედ და საქართველოდან გამოსულ ოპოზიციურ პარტიებთან და ახალ ანტისოციალისტურ მიმართულებებთან, რომლებიც ემიგრაციაში წარმოიქმნენ (ვთქვათ, "თეთრი გიორგი"[6]) ასე რომ მათ საქართველოზე თავისი "უფლებების" დამტკიცება უხდებოდათ არა საქართველოს დამპყრობელი ძალის (რუსი ბოლშევიკების) წინაშე მხოლოდ, არამედ თვით ემიგრაციაში მყოფ ქართველთა წინაშედაც. ამან შექმნა სწორედ ის ყალბი საფუძველი ურთიერთობებისა, რომელზედაც აიგო ქართული ემიგრაციის ფსევდოპოლიტიკური საქმიანობა. ამან, თავის მხრით, არ მისცა საშუალება იმ კულტურული ერთიანი საქმიანობისაც, რომელიც თავის მიზნად დაისახავდა ქართული კულტურული ძალების შემოკრებას ერთი ცენტრის ირგვლივ - "პოლიტიზაცია" ქართული ემიგრაციისა იყო უმთავრესი დამანგრეველი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლიდა იმ კულტურულ საქმიანობას, რომლითაც გამოირჩევიან სხვა ერთა ემიგრაციები (რამდენად მცირეც არ უნდა იყოს ეს მათი კულტუროსნული საქმე). საბოლოო ჯამში ეს ხელს უწყობდა ბოლშევიკების გამკვიდრებას საქართველოში, რადგან გავლენა ემიგრაციისა საქართველოზე, განსაკუთრებით 1924 წლის აჯანყების და, მით უმეტეს "რკინის ფარდის" ჩამოშვების შემდეგ ვიდრე დღევანდელ დღემდე, სრულიად უმნიშვნელო იყო, ხოლო სტალინისტური რეჟიმი მშვენივრად ახერხებდა ემიგრაციაში შექმნილი ვითარების გამოყენებას თავის სასარგებლოდ. ფსევდოპოლიტიკად იქცევა ის "პოლიტიკა", რომელსაც არავითარი რეალური ნიადაგი და გამოყენება საზოგადოების თუ ერთობ სახელმწიფოს ცხოვრებაში არა აქვს. უკეთეს შემთხვევაში ეს ფსევდოპოლიტიკა პუბლიცისტურ-თეორიული ღირებულების შემცველი იქნება და ამ საკითხთა მკვლევარისათვის საანალიზო მასალა. არ დარჩენილა ემიგრაციაში -ჯგუფი, მიმართულება თუ პიროვნებაც კი, რომელიც ასე თუ ისე არ ყოფილიყო დაურიდებლად გალანძღული მოპირდაპირის და, ხშირად, გუშინდელი თანამოაზრის მიერ, განსხვავებული აზრის ან პოზიციის დაკავება ერთბაშად "ღალატად" ცხადდებოდა. ეს მეტად მოგვაგონებს იმ ვითარებას, რომელიც "პერესტროიკამ" შექმნა საქართველოში (ვმსჯელობ

---

შეცდომითაა გამოტოვებული რამდენიმე ბწკარი. სიტყვიდან: "სხვადასხვა"... სიტყვამდე: "ლტოლვილობა". ეს შეცდომა რედაქციამ გაასწორა მომდევნო, "ივერიის" 35 ნომერში.

[6] ბ-ნი გივი კითხვას მისვამს: "რომელი არიან ის სხვა ახალი ანტისოციალისტური მიმართულებები, რომლებიც ემიგრაციაში წარმოიშვნენ? ... რა იყო მათი სახელები?" - ეს დიდი საკითხი არ იყო ჩემთვის და ამიტომ მაგალითად ვახსენე "თეთრი გიორგი". რაც შეეხება სხვა ანტისოციალისტურ პარტიებს, ჯგუფებს, მიმართულებებს და ერთობ განწყობას, ისინი მრავლად არიან წარმოჩენილნი იმ გამოცემებში, რომელთა ზვავმა 1920-იანი წმების ბოლოდან 1930 წლების განმავლობაში და შემდეგაც, 60-იან წლებამდე, შემოგვინახა სწორედ ისტორიისათვის ფასდაუდებელი მასალა. 1924 წლისათვის იწყება სწორედ საქართველოდან ახალი დიდი ნაკადის გამოსვლა. ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულების გამოჩენამ სწორედ რომ "თავზარი" დასცა "მენშევიკებს" და კიდეც შეეცადნენ მათ სამტროდ მოქმედებას. მაგრამ საინტერესო არის და გასაანალიზებელი სწორედ ყველას მოქმედება ერთიანად - რაც მაძლევს სწორედ საშუალებას ჩემი თვალსაზრისი გამოვთქვა ამ მოვლენაზე. აი რამდენიმე სახელწოდება, მიმართულების და დაარსების წლის აღნიშვნით:
"სამშობლოსათვის" - ეროვნული პოლიტიკის ორგანო - სპირიდონ კედია; 1925.
"მამულიშვილი" - რ. გაბაშვილისა; 1927.
"საქართველო" - ორგანო ერ-დემ. პარტიისა; 1929.
"სამშობლო" - ერ. დემოკრატიული მიმართულების; 1929.
"ახალი ივერია" - ერ. დემოკრ. ახალგაზრდობისა; 1931.
"მხედარი" - ქართველ იუნკერთა კავშირისა; 1929.
"ორნატი" - ვიქტორ ნოზაძისა - 1934
და სხვა..; აქ არც არის აუცილებელი განხილვა ამ მიმართულებათა, მაგრამ თავისთავად ეს სურათი, თითო და ორკაციან ჯგუფებად დაშლისა, უკვე გამოხატავს ერთგვარ ბუნებრივ აპოლიტიკურობას ქართული ხასიათისა. ამიტომაც ვამბობ მე, რომ "პოლიტიზაციამ" დამანგრეველი როლი ითამაშა, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც საპოლიტიკო საქმე აღარ იყო და პოლიტიკა "ლაპარაკად" იყო დაღვრილი. ეს ფაქტია ჩვენი ისტორიისა და ჩვენი ხასიათისა: პოლიტიკოსობამდე ქართული სოციალური ცნობიერება ვერ მივიდა. შესაძლოა ამაში ისტორიული პირობები იყო "დამნაშავე", შესაძლოა ეს ქართული ბუნების განსაკუთრებულ ხასიათს ავლენს, ან უბრალოდ ჩვენს აცდენას და ამოვარდნას მოწმობს ისტორიული განვითარებიდან, წყვეტილობას განვითარებაში... ასეა თუ ისე, ეს შესასწავლი და გასაანალიზებელი საკითხია და არა დასამალავი.

ქართული ესოდენ გამრავლებული "ფორმალური" და "არაფორმალური" პრესის მიხედვით), და, ამდენად, შესაძლოა დასაფიქრებელი იყოს და გასაანალიზებელი რა მექანიზმი და რა მახასიათებელი განსაზღვრავს ამ მსგავსებას "პატარა ხელოვნურ საქართველოში" (ემიგრაცია) და რეალურ ფუძე საქართველოში შექმნილ ვითარებებს შორის..

მთელი ის მეტად მნიშვნელოვანი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელიც ქართულმა ემიგრაციამ დაუტოვა მომავალ ისტორიკოსებს და ქართველ პატრიოტებს, მეტისმეტად მნიშვნელოვანია სწორედ იმ ფსიქოლოგიურ-ქარაქტეროლოგიური მასალის შემცველობით, რომლითაც შესაძლებელი გახდება ემიგრაციაში მოხვედრილი ადამიანებისა და, განსაკუთრებით პოლიტიკური მოღვაწეების ფანტასმაგორიული ფსევდოპოლიტიკური "განწყობის ველის" შესასწავლად. ყოველივე ეს ასე თუ ისე არის ასახული იმ წერილებში, რომელთა ზოგიერთ ნაწილს გთავაზობთ:..." ("ივერია" 34 გვ. 58-59). -

თუ რაიმე გაუგებარია ამ ჩემს "დედაბოძ" დებულებაში შემეკითხონ და დავუზუსტებ, ხოლო ეთიკა მოითხოვს რომ აზრი და სიტყვა არ დაუმახინჯო ავტორს და იგი ზუსტად გადმოწერო, როდესაც მას აბრალებ მთელი ემიგრაციის შეურაცხყოფას. მაგრამ განა ეს გაკვრით ნათქვამია ჩემი წერილის "ღერძი"?

ჩემი წერილის დაკვირვებულ მკითხველს (შესაძლოა და დასაშვები, რომ ბევრ რამეს არ დაეთანხმოს ან არადამაკმაყოფილებლად ფაქტოგრაფიული ეჩვენოს) არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ "1924 წლის აჯანყება და ქართული მენშევიზმის" ძირითადი მასალა სწორედ მენშევიკების ლიდერის ნ. ჟორდანიას ნაწერები გახლავთ, ხოლო დანარჩენი კი დამატებითია სწორედ იმის საჩვენებლად, რომ პირადად ნოე ჟორდანიას ედება ბრალი საქართველოს უბედურობათა მთელი ჯაჭვის გამოწვევაში იმ უკანსკნელის ჩათვლით, რომლითაც საქართველოს მწუხრის ზეწარი გადაეფარა. ქართველ ერს და თუ კონკრეტულად ვიტყვი, ბატონ გაბლიანს, ქართველ ლტოლვილებს, მათს ოჯახებს, მთელ სვანეთს და ერთობ საქართველოს და სხვათა შორის მეც პირადად, სწორედ რომ მენშევიკების არასახელმწიფოებრივი და თავკერძული - ტოტალიტარული ტენდენციის მქონე - საქმიანობისა გამო მოუხდა იმის გადატანა, რაც გადავიტანეთ და დღესაც გადაგვაქვს მთელს საქართველოს. დღევანდელი დღე უკვე პირველ სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიაში (მარქსიზმში) იყო მოდელირებული და ილიას მკვლელობით საფუძველჩაყრილი, შემდეგ ეს საფუძველი განმტკიცდა 1918-1921 წლებში საქმიანობით, რომელსაც ყველაფერი შეიძლება ვუწოდოთ, სოციალური და ეროვნული პოლიტიკის გარდა - ეს ფაქტია ჩვენი ისტორიისა. კოალიციური მთავრობის ერთპარტიულ მთავრობად გადაქცევით, "სოციალისტური სამოთხის მშენებლობით" და საბჭოთა რუსეთთან პარლამენტის ზურგს უკან დადებული ხელშეკრულებით, რომელმაც ერთის მხრით ევროპას მოგვკვეთა და მეორეს კი რუსეთს მიგვაბა "საიდუმლოდ", და სხვა მსგავსი "საქმით" ნოე ჟორდანიამ გაკვალა ის გზა, რომელზედაც გათამაშდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის ტრაგედიის ყველა აქტები. უკანასკნელი აქტი ამ დრამისა გათამაშდა 1924 წელს. მას შემდეგ საქართველოში გრძელი ღამე გამეფდა, რომელშიც აქა იქ ბოლომდე ბჟუტავდა და ახლაც განაგრძობს ბჟუტვას არა მასის, არამედ სულმაღალ პიროვნებათა სანთელი. ეს სანთელია რომ არ აძლევს საშუალებას უკუნი ღამის დადგომისა საქართველოს ცაზე, თორემ...

კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა: მე მიმაჩნია, რომ საქართველოს ტრაგედიაში ოპოზიციურ ძალთა სისუსტემაც და უთავბოლობამაც ითამაშა დიდი როლი. მაგრამ ოპოზიციის სისუსტე სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ძალაუფლება მართალი იყო და სწორად აკეთებდა იმას, რასაც აკეთებდა. ოპოზიციის სისუსტე ნიშნავს, რომ არ არსებობს ძალაუფლების თავკერძობის და თავნებობის შემზღუდველი მექანიზმი (ასეთად ცივილიზებულ ქვეყანაში კანონი გამოდის, რომლისადმი სამსახურიც ევალება ხელისუფლებას, მითუმეტეს არჩევითს. ოპოზიცია სწორედ ამ კანონიდან გადახვევებს მიუთითებს ხელისუფლებას და აიძულებს კანონის ჩარჩოში იჯდეს!) და სახელმწიფოში ჩნდება ტენდენცია საზოგადოების ისეთ სისტემად გადაქცევისა, რომელშიც ბატონობს არა წარმომადგენლობითი წყობა, არამედ პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატი. ეს ტენდენცია ნათლად ჩანს სწორედ უკვე მენშევიკების წყობასა და სამწლიან მმართველობაში. მენშევიკები განიხილავდნენ ძალაუფლებას არა როგორც სახელის, გადაცემულს მათთვის და ლეგალიზებულს ხალხის (ერის) მიერ, არამედ, როგორც თავისი პარტიის საკუთრებას, რომელსაც იყენებენ ისე და იმ მასშტაბით, როგორც მოეპრიანებათ ან დაადგენენ თავისი პარტიის "შინაურ" ყრილობებზე. როგორც იდეოლოგიური და მასობრივი პარტია სოციალ-დემოკრატია (მისი ორივე ფრთა მენშევიკურიც და ბოლშევიკურიც) ლოზუნგებსა და იდეოლოგიურ კლიშეებზეა აგებული და ესე იგი ხელს უწყობს სოციალური სიცრუის განვითარებას. ამის ნიშნებს ვხედავთ ჩვენ 1918-1921 წლებში და ამის სრულყოფილ განვითარებას 1921-1990 -ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივია, რომ დიდია სურვილი სირაქლემასავით თავის დამალვისა შემოსეული მტრის და ერთობ "სხვათა" ბოროტმოქმედებაზე მითითებით: "ჩვენი ბრალი კი არა ბოლშევიკების ბრალი იყო..." "რუსეთის ველურობის ბრალი იყო..." და ა. შ. მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაძლებს ადამიანის სინდისი და სირაქლემასაც სული შეეხუთება სილაში თავჩარგულს, თუ მანამდე მონადირის ტყვიამ არ განგმირა. ისტორიული სიმართლე უნდა ითქვას საკუთარ თავზეც და სხვაზეც ერთნაირი დაუნდობლობით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარი მონობის ჯაჭვების მუდმივმკვერავები ვიქნებით. მხოლოდ სიმართლეს და ფაქტების სრულ გამომზეურებას შეუძლია მოჰფინოს შუქი ჩვენს ტრაგედიას და ოდნავ მაინც შეგვაგნებინოს, რომ ისტორიას თუ რამე ღირებულება აქვს, მხოლოდ განსაწმენდელის თვისებისა. თავისთავად კი, ამბავთა მოჰყოლითა და "ძველი დროის სიდიადით" თავის გართობა და თრობა პერმანენტული ინფანტილიზმის ფსიქოსოციალურ სინამდვილედ გაგვიცხადდება და კიდეც გვიცხადდება.

ბ-ნ გივი გაბლიანის წერილის სხვა ასპექტებს ჩემს "კვიმატ ჰიპოთეზასთან" პირდაპირი კავშირი არა აქვს, ხოლო უნდა ითქვას, რომ წერილის დასასრული მეტად საინტერესო ნაწილია და ჩემი მხრით სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ჩემმა "კვიმატმა ჰიპოთეზამ" შესანიშნავი მასალა გააცოცხლა ხანდაზმული მებრძოლის მეხსიერებაში და ქართველი ერის ბრძოლის ერთი ეპიზოდი შეჰმატა გარდასულ დროთა გაყვითლებულ ფურცლებს.

"კვიმატი ჰიპოთეზა" ამიტომაც ჰქვია.

ჯანრი კაშია.

*

* *

ი ვ ე რ ი ა

ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი

დაარსებული ილია ჭავჭავაძის მიერ 1877 წელს:
აღდგენილი პარიზში ეროვნულ-დემ. პარტიის მიერ 1949 წელს.

36

თებერვალი 1991
პარიზი

პეტრე იბერი

# რუსეთი და ევროპა

## რუსეთის ადგილი ერთიან ევროპაში კულტუროლოგიური თვალსაზრისით

(რუსეთის კონცეფტუალური ისტორია)

"ტოტალიტარიზმის რეინკარნაციაში" მე შევეცადე რუსეთის ისტორიის კონცეფტუალური სურათი დამეხატა ძალაუფლებრივი ღერძის, როგორც რუსეთის სოციალური და პოლიტიკური ქვაკუთხედის, სპეციფიკური ბუნების გახსნით. ამ თვალსაზრისით განხილული რუსეთი ტიპოლოგიურად სხვა აღმოჩნდა ევროპასთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ისტორია ნაწილობრივ მაინც ევროპ-ულ გეოგრაფიულ (და გეოპოლიტიკურ) არეალშია განფენილი. რუსეთის სოცილური და პოლიტიკური ისტორია მისი მამოძრავებელი მექანიზმები და შინაგანი მისწრაფებანი მაინც გაუგებარი დარჩება, თუ ჩვენ მხოლოდ ამ ერთი ღერძის ანალიზით შემოვიფარგლებით და თვალსაწიერს სოციალურ-პოლიტიკური ასპექტებით შევზღუდავთ. ამიტომ მსურს სხვა კუთხიდან შევხედო რუსეთის სოციალურ და პოლიტიკურ ყოფას, და, კერძოდ, კულტურის თვალსაზრისით, და შევეცადო "რუსული ენიგმის" გაშიფრვას იმ ღირებულებათა შეპირისპირებით, რომლებიც წარმოქმნილან რუსეთში და ევროპაში, ამ ღირებულებათა ტიპოლოგიური ნიშნების გამოკვეთის მიზნით. მართლაც და მეტად გასაოცარი სურათი იქმნება, როდესაც რუსულ კულტურას როგორც ფენომენს ვაანალიზებთ: ერთის მხრივ უბრწყინვალესი ნაყოფი ინტელიგენციისა და არისტოკრატიის შემოქმედებითი ენერგიისა, რომლითაც ბრწყინავს რუსული ყოფიერება, მეორეს მხრივ აღნიშნული ძალაუფლებრივი ღერძი, რომელიც მიმართულია ყოველგვარი შემოქმედების წინააღმდეგ და თავისთავშია ჩახვეული, ხოლო მესამეს კი რუსული ხალხური ბნელი ყოფა, რომელიც თავისი არსებით უცხოა ერთისაც და მეორისაც და რჩება "სტიქიურ" მაგმად. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რუსეთში სამი სხვადასხვა "სტიქია" მოქმედებს, რომელიც ტიპოლოგიური განსხვავებისა გამო ურთიერთშემბორკავია და არ აძლევს საშუალებას თავის სოციალურ პარტნიორებს თავი დააღწიოს სტიქიურობას და შეასრულოს თავისი სოციალური როლი მშვიდად და საფუძვლიანად.

კითხვები, რომლებიც ამგვარი სურათის ხილვიდან ჩნდება და უპირველესი მათგანი: "რა არის რუსეთი?" ახალი არ არის. ეს კითხვა აწუხებდა, თითქმის უკლებლივ, რუს ინტელიგენციას თავისი წარმოშობის დღიდანვე და მასზე გაცემული პასუხები დაფორმულდა ორ ძირითად თვალთახედვად: მეღასავლურ (ЗАПОДНИКИ) და სლავოფილურ (СЛАВОФИЛЫ). ამ უკანასკნელთა რადიკალურ ფრთად შეიძლება ჩავთვალოთ პოჩვენნიკები (ПОЧВЕННИКИ) თუ მათ დამოუკიდებელ მნიშვნელობას არ მივცემთ (დოსტოევსკი, მაგალითად, სლავოფილებსაც და მეღასავლეებსაც ერთნაირად აკრიტიკებდა და თავს გამოჰყოფდა მათგან, როგორც პოჩვენნიკი). თვით ფაქტი ამგვარი გაყოფისა, რომლის ისტორიოსოფიურ ფორმულებს გამოხატავს ბენკენდორფისა და ჩაადაევის ცნობილი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალთახედვა (იხ. ივერია 31 "ტოტ. რეინკარნაცია") მეტად საყურადღებოა, რადგან აღნიშნავს რუსულ ინტელიგენტურ ცნობიერებაში არსებულ თვითდაეჭვებას ანუ, საფუძველგამოცლილობას: რუსული ცნობიერება თავისთავში ვერც ევროპელს აცნობიერებდა და ვერც აზიელს. იგი ეძებდა თავისთავს რაღაც "მესამე მდგომარეობაში" და ამ ძიებაში აწუდებოდა საკუთარ ამორფულობას, რომლის ქაოსური ძალები მას მოსვენებას უკარგავდა. არცერთ ევროპელ ერს თავისი ევროპელობა ეჭვის ქვეშ არ დაუყენებია, ისევე, როგორც არცერთ აზიელს. ევრაზიის ყელზე - კავკასიაში მოსახლე ხალხები თავისთავს მკვეთრად გარკვეულ კავკასიელებად შეიმეცნებდნენ და აცნობიერებდნენ, ხოლო მის იქით გაშლილ სივრცეთა (ცივილიზაციათა) მიმართებაში თავისთავში ორივე საწყისს აღმოაჩენდნენ, ოღონდ კავკასიურ ყალიბში მოქცეულსა და გაფორმებულს. რუსული ინტელიგენციის თვითდაეჭვება ბუნებრივად იწვევს იმ კითხვებს, რომლებზეც პასუხის ცდა არის ჩემი ეს წერილი. ცხადია, ძირითადი საკითხი არის რუსეთის კულტურული რაობა, მისი კულტურულ-ტიპოლოგიური ხასიათი ანუ რომელი ცივილიზაციის წრეში თავსდება რუსეთი თავისი ღირებულებებით (კულტურით): ევროპულის თუ "აზიურის".[7] თუ... რაღაც "მესამის"?...

ვიდრე საკუთრივ რუსეთის კულტურასა და კულტურულ რაობას შევეხებოდე, აუცილებელია თვით კულტურის ცნება განვსაზღვრო ანუ მივსცე მას ის ზუსტი მოცულობა, რომლითაც ჩემს ანალიზში გამოვიყენებ მას.

არსებობს კულტურის ცნების დაახლოებით ორასამდე განსაზღვრება, რომელთა უმრავლესობა მიისწრაფის მეცნიერული უნივერსალიზმისაკენ.[8] კულტურის სახით მოცემული რეალობა, როგორც ადამიანის სპეციფიკური და ღირებულებითი აქტივობა სოციალურად და ეროვნულადაა განსაზღვრული. კულტურა აქვთ ერებს და ამ ერის წევრებს, როგორც სოციალურ ერთობას და როგორც პიროვნებებს. ადამიანთა ესა თუ ის ერთობა კულტურად გვევლინება იმდენად, რამდენადაც არსებობს ისეთ ღირებულებათა სისტემა, რომლის შენარჩუნებაში და თაობიდან თაობაზე გადაცემაში არის დაინტერესებული ეს ერთობა. ამ თვალსაზრისით კულტურა მოცემული ერთობის თვითშემეცნების და ისტორიულ მიხედვაში იგივეობისდამდგენ ღირებულებით ბადეთ წარმოსდგება, რომლის ყოველი კვანძი ყოფისშე-

---

[7] ევროპის ცნება თუ საკმაოდ ჰომოგენური და გარკვეულია, "აზიის" ცნება მეტად ბუნდოვანია და არსებითად არ შეესატყვისება იმ რეალობას, რომელიც აზიის სახით გვაქვს მოცემული. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს რომ მხოლოდ და მხოლოდ ევროპამ შესძლო შეექმნა ერთიანი ცივილიზაცია, რომელიც გარკვეული საერთო ნიშნებით ხასიათდება და თავს იჩენს ყოველ კულტურაში, რომელიც ამ ცივილიზაციას ქმნის. აზიაში შეიძლება მრავალი ასეთი "ევროპა" გამოვყოთ, რომელნიც ისევე იქნებიან განსხვავებული ერთიერთისაგან, როგორ "ევროპა" "აზიისაგან". ეს უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც რაიმე მოვლენის "აზიურობაზე" ვლაპარაკობთ. რუსეთის შემთხვევაში "აზიურობა" მონგოლიზმის სახით არის გამოვლენილი, რადგან არცერთ სხვა აზიურ ცივილიზაციას თუ კულტურას რუსეთზე გავლენა არ მოუხდენია. სხვა საკითხია, თუ რამდენად არის თვით მონღოლური ფენომენი "ცივილიზაცია" და რამდენად შედის იგი სპეციფიკურად აზიური ცივილიზაციის წრეში. ეს საკითხები თავიდან ითხოვს გადააზრებას, რადგან კუზალ მოჰყვება მეოცე საუკუნეს წინარე საუკუნეებიდან და, განსაკუთრებით, მარქსიზმიდან მოყოლებული. ტოინბიმ სცადა ერთგვარი გადააზრება ამ საკითხისა, მაგრამ საკმაოდ სქემატური და ზედაპირული კრიტერიუმები იხმარა და, არსებითად, ვერ დაძლია ეს წინააღმდეგობა. თუმცა გეზი სწორი აიღო. მე შევეცდები გზადაგზა გავაშუქო ეს საკითხები მოკლედ "ინტეგრალური მეტათეორიის" თვალთახედვით.

[8] ენციკლოპედია ბრიტანიკა ასე განმარტავს კულტურას: "The integrated pattern of human knowledge, belief, and behavior. Culture thus defined consiste of language, ideas, beliefs, customs, taboos, codes, institutions, tools, techniques, works of art, rituals, ceremonies, and other related components; and the development of culture depends upon man's capacity to learn, transmit knowledge to sucseeding generations."-ე.ი. ადამიანის შესაქმე, არსებით კულტურული შესაქმეა.

კლუგეს ეტიმოლოგიურ ლექსიკონში წერია: "Kultur - am Ende des 17 Jh. aufgenommen aus lat. cultura "Bebauung, bestellung, Pflege" (zu colo "bebaue, pflege") und zwar von vornherein in doppeltem Sinn, als landwirtschaftlicher "Anbau" wie als unsinnliche "Pflege" der Sprache, einer Wissenschaft, kurz der **Geisteskultur**, die von Ciceros cultura animi ausgeht"
ეს ეტიმოლოგიური განსაზღვრება, ცხადია არ ამოსწურავს კულტურის ცნების შინაარს, მაგრამ გარკვეულ ესსენციალურ მოცულობას მიგვანიშნებს.

**********************************************************************

მოქმედი ენერგიით ავსებს მის მატარებელ-შემოქმედ ადამიანებს. ღირებულებათა ეს ბადე განუწყვეტლივ იქსოვება - თაობიდან თაობაზე გადასული და გადაცემული ზრდილობის უაისნალით. აღზრდა ანუ ზრდილობა კულტურის. როგორც განსაკუთრებული უოფიერების არსებობის არსია. კულტურა არსებობს იმდენად. რამდენადაც აღზრდის პრინციპები განაგრძობენ მოქმედებას თაობათა მდინარებაში. სწორედ აღზრდა ქმნის იმ კვანძებს. რომლებიც კულტურის ბადეს ქმნიან და აძლევენ საშუალებას მოცემულ ერთობას თავისი ღირებულებითი უოფიერების შესაქმისა ანუ მეტაისტორიული არსებობისა. ადამიანის უოფიერება არსებით არის მეტაფიზიკური-და-ფიზიკური შესაქმე. ფიზიკური უოფიერება თავისთავში არაფერს არ შეიცავს ისეთს. რამაც ადამიანი შეიძლება გამონუყვანოს ბიოლოგიური არსებობის საზღვრებიდან და მას ღირებულებითი მნიშვნელობა დაუდგინოს. არც თავისთავად მეტაფიზიკური უოფიერება შეიცავს თავისთავში არაფერს. რამაც ადამიანი ბუნების (ფიზიკურის) საზღვარში უნდა შემოიყვანოს და იქ ღირებულებითი მნიშვნელობა დაუდგინოს. ადამიანის განუყოფელ ორბუნებოვანებაში უნდა არსებობდეს რაღაც. რაც იძლევა საშუალებას მეტაფიზიკურის ფიზიკურად და ფიზიკურის მეტაფიზიკურად ტრანსფორმირებისა - და რაც არის კიდეც ის. რასაც ადამიანის უოფიერება და შესაქმე ეწოდება. კულტურა არის სწორედ ის ნაყოფი. რომელიც გვაქვს მოცემული ადამიანის ამ ტრანსფორმატორული შესაქმით ფიზიკურისა მეთაფიზიკურად და მეტაფიზიკურისა - ფიზიკურად. ის ინსტრუმენტი. რომლითაც ხდება ადამიანის მიერ ამ ტრანსფორმაციათა განხორციელება არის აღზრდა. აღზრდა არის მეტაფიზიკურის ფიზიკურად და ფიზიკურის მეტაფიზიკურად ტრანსფორმაციის ინსტრუმენტი. რომლითაც ადამიანი ახორციელებს თავის შესაქმეს. ქართულად დაფორმულებული ეს პრინციპი. რომელიც ძველბერძნული პაიდეიას (PAIDEIA) იდეაში იყო სრულყოფილად განსახიერებული. ასე გამოიყურება: "ათასად კაცი დაფასდა. ასიათასად ზრდილობა. თუ კაცი კაცად არვარგა. ფუჭია გვარიშვილობა". აღზრდა სოციალიზაციას ნიშნავს. ანუ ისეთ ურთიერთობაში შესვლას სხვა ადამიანთან ან ადამიანებთან. რომელშიც ფიზიკური (ბუნებრივი) მოთხოვნილებები მეტაფიზიკურ პრინციპს ექვემდებარებიან და ამ პრინციპად გარდაიქმნებიან. საზოგადოება იმდენად არის ადამიანის ბუნებრივი უოფიერების ველი. რამდენადაც არის მასში განხორციელებული ეს გარდაქმნა და იერარქიზებული ანუ სტრუქტურირებული ურთიერთობები დადგენილი. ანუ რამდენადაც ბუნებრივი. ფიზიკური (გეოგრაფიული) გარემო ტრანსფორმირდება მეტაბუნებრივ სოციალურ ველად უოფიერებისა. კულტურათა ტიპოლოგია სწორედ ამ ტრანსფორმაციისა და იერარქიზების ტიპოლოგიაა. სოციალური განვითარება არის ამ ტრანსფორმაციის ტექნოლოგიის განვითარება. ანუ განზოგადება იმ პრინციპისა. რომელიც აწესრიგებს ბუნებისა და მეტაბუნების ურთიერთგახსნილობას და ურთიერთგამსჭვალვას. აღზრდა. როგორც ტრანსფორმაციისა და სოციალიზაციის ინსტრუმენტი. ამ წონასწორობის საშესაქმო ინსტრუმენტიცაა. კულტურა არის აღზრდის მეშვეობით სტრუქტურირებული შესაქმით უოფიერების სტიქიური არსებობის მოწესრიგება და კოსმიურ წესრიგში ჩართვა.[9] ზევით აღვნიშნე. რომ კულტურა ეროვნულადაა განსაზღვრული. რომ კულტურა აქვთ ერებს. მაგრამ ეს განსაზღვრება თავისთავად მოითხოვს ერის ცნების დაზუსტებას.

"ქართველი ერი" როგორც ეთნიკური ცნება არ არსებობდა არასოდეს და არ არსებობს დღესაც. ცხადია. "ქართველი ერი" იმთავითვე განსაზღვრავდა იმ ცივილიზებულ ან კულტურულ ერთობას. რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საზღვრებში იყო მოთავსებული. ქართველი ერის ეთნიკური შემადგენლობა ისეთივე ჭრელია. როგორც ქართული ხალიჩა. ის რაც ოქროს ხანაში არსებობდა იყო "ქართველი ერის კავკასიის იმპერია". სავსებით შესატყვისი "გერმანელი ერის წმ. რომის იმპერიისა". აქედან გამომდინარე უველა შედეგებით. გავიხსენოთ გიორგი მერჩულეს განსაზღვრება: "ქართლად ( საქართველოდ - პ. ი. ) მრავალი ქვეყანა აღირიცხების. რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი უოველი აღესრულების". ხოლო კირიელეისონ უფალო შეგვიწყალენ - წარმოითქმის ბერძნულადო. გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის მიერ გადაწყვეტა ამ პრობლემისა: მისთვის მუსულმანიც "ქართველი მოქალაქე" იყო. რამდენადაც ის ცხოვრობდა და მოქალაქეობდა საქართველოში. და არა სტუმარი. ან უცხოელი. კანონი განსაზღვრავდა ამ მოქალაქეობას და ეს კანონი "ქართველებზე" და "არაქართველებზე" ერთნაირად ვრცელდებოდა - ცივილიზებურად! ისიც მნიშვნელოვანია. რომ ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს სათავეში. ქრისტიანობის

---

9 ბერძნებს უნდა ვუმადლოდეთ კულტურის ამგვარ გაგებას. ჯერ ჰომეროსის "ილიადა" და "ოდისეა" და შემდეგ ჰესიოდეს "თეოგონია" და "სამუშაონი და დღენი" ადგენენ ამ პრინციპს და იდეას, რომელიც მთელი ბერძნული კულტურის და შემდეგ ევროპული ცივილიზაციის საშესაქმო პრინციპად დადგინდა. ბერძნული მითოლოგია "კოსმოსიზაციის" ამ პრინციპის ნათელი ილუსტრაციაა. იხ. ამ საკითხზე ვერნერ იეგერის ბრწყინვალე "პაიდეია. ბერძენი ადამიანის ჩამოყალიბება" Werner Jaeger "Paideia La formation de l'homme grec" Gallimard 1964.

პირველმიმღებები და სახელმწიფო რელიგიად დამდგენები იყვნენ სპარსელი მირიანი და ბერძენი ნანა. საქმეც ისაა, რომ "წარმომავლობას" ან "ეროვნებას" ეთნიკური მნიშვნელობა კი არ ჰქონდა, არამედ იერარქიული და რჩეულობითი. არსებითად, თუ კარგად დავუკვირდებით, როგორც ევროპის, ასევე აზიის, მეფეთა სახლები ურთიერთნათესაობის ისეთ ერთიან ბადეს ქმნიან რომ, არსებითად ძნელია გარჩევა ვინ რომელ "ერს" ეკუთვნის, რაც სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ სრულიად მივიწყებულია პოპულისტური ისტორიოგრაფიის მიერ.

ერი გახსნილი, მუდმივქმნილი და მუდმივქმნადი რაობაა. იგი ყოველთვის არის და ყოველთვის იქმნება: მარადი აწმყოა! - ამიტომაც, იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც წყდება ერის ეს თვითქმნადობა, შესაქმე - იგი წყვეტს არსებობას, თუმცა ინარჩუნებს მითებრივ არსებას განახლებისა, აღდგენისა. ამგვარი წყვეტილი არსებობა აქვს ქართველ ერსაც. დააკვირდით ჩვენი ისტორიის წყვეტილებს თუნდაც ამ საუკუნეში...

რაც შეეხება ეთნოსს ანუ ხალხს, ეს უფრო ვიწრო და ლოკალური ცნებაა და პრინციპით "ერთი ხევი - ერთი ეთნოსი (ხალხი)" - განისაზღვრება. ის დრო დიდი ხანია წავიდა, როდესაც ერთი სოფელი ერთ "ერს" უდრიდა, ყველას სისხლი ყველაში მიედინება. და "ეთნოსი" ეთნოსობს, ვიდრე იგი თავის სოფელს არ გასცილებია და არ ჩართულა უფრო დიდ ერთობაში და მის აღმშენებლობაში. ერად ანუ სახელმწიფოდ ქცეული, იგი უკვე კულტურული და ცივილური ნიშნებით განისაზღვრება.

ერის პიროვნებას აყალიბებს მოცემული გეოგრაფიული გარემოს ათვისება დროში ანუ ის, რაც ქმნის იმას რასაც ისტორიულ-კულტურული განწყობა ამ ადგილისადმი შეიძლება ვუწოდოთ. ნათელია, რომ ამა თუ იმ ადამიანთა დასახლებული ჯგუფის გაერთიანება და ერის (nation) ჩამოყალიბების პროცესი სწორედ ამ ისტორიულ-კულტურული განწყობის ველის გაფართოებაა და ამ ველში სულ უფრო და უფრო მეტი გამთანაზიარებელი ადამიანის, ჯგუფის და მისი საცხოვრისის შემოსვლა. არც პოლიტიკურ და არც სოციალურ წყობას თავისთავად ერის შემქმნელ-წარმომქმნელი ძალა არ გააჩნია: ერი (nation) წარმოიქმნება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მოცემული ისტორიულ-კულტურული განწყობის ველის ენერგია მისი ცხოვრების სტრუქტურას აყალიბებს და მას საზრისს აძლევს. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ამა თუ იმ გეოგრაფიულ სივრცეში მოსახლე ხალხის ერად ჩამოყალიბების უეჭველ ნიშანს წარმოადგენს "მტრის" საფრთხის უახლოესი საზღვარი. არსებითად ერი სხვა არაფერია, თუ არა ერთიანი განწყობა გვერდით-მოსახლე ადამიანებისა "მტრის" მიმართ. იქ, სადაც "მტერი" არ გამოჩენილა, არც ერი (nation) წარმოქმნილა. ქართული სიტყვა "ერი" - თავის დროზე ნიშნავდა ჯარს, არმიას, რაც კარგად ჩანს იმ დაპირისპირებულ გამოთქმაში, რომელიც გვაქვს "ერი და ბერის" სახით. ყველა სხვა ნიშანი ერისა როგორც ენობრივი იგივეობა, რელიგია, პოლიტიკური საზღვრები, ეკონომიკური ურთიერთობანი და ათასი სხვა - ამ ნიშანთა მართლაც მთელი "გროვა" არსებობს, თუ ერთად მოვუყრით თავს, არსებითად თავსდება ამ განსაზღვრების საზღვრებში. თავისთავად კულტურა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენს კრიტერიუმში, განსამარტავი ცნებაა და, უნდა ითქვას, რომ ასევე "თავის ამტკენი". მარტივად და პირველმნიშვნელობით განვსაზღვროთ იგი, როგორც "ველურის" ან "ტყიურის" მოშინაურება ანუ, ისევ და ისევ რაღაც მოვლენა, რომელიც "ათვისებას", "გათავის-ებას" გულისხმობს. ის რაც არ ათვისებულა და გათავისებულა, არც კულტურად ჩამოყალიბებულა, ე.ი. არ შეუძენია სტაბილური და მარეპროდუცირებელი (იგივეობრივ-წარმომქმნადი) სტრუქტურები. ჩვეულებრივ კულტურის და ე.ი. ერის არსებით, გამოსაცნობ და განმსაზღვრავ ნიშნად გამოყოფენ ენას. "ერთი კულტურა - ერთი ენა" ან "ერთი ერი - ერთი ენა". ამგვარი გაგება შედარებით ვიწროა და თუ გამართლებული რომელიმე ჯგუფის (ვთქვათ ეთნოსის) საზღვრებში, ისტორიულ პერსპექტივაში გაუმართლებელია. ჩვენ ვიცით სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ერთი ერი, და ვიცით სხვადასხვა კულტურის მქონე მაგრამ ერთ ენაზე მეტყველი ერები, ამერიკელები და ინგლისელები, ესპანელები და ლათინოამერიკელები, ებრაელები უნივერსალური მაგალითია ყოველივე ამისა. თუ წამოვწევთ წინ რელიგიას - (იგივე ებრაელთა მაგალითით, თუმცა ათეისტი ებრაელებიც არსებობენ) - მაშინ ისევ ქართველებს დავასახელებ: ქართველები არიან ქრისტიანებიც და მუსულმანებიც, მართლმადიდებლებიც და კათოლიკებიც...

ჩვეულებრივ ვიყენებთ სამ ცნებას - რასა, ეთნოსი და ერი. ეს ცნებები თავსდებიან ურთიერთში და სხვადასხვა განზომილებებს გვაძლევენ: რასა ის პირველერთობაა, რომელიც შემდეგ ეთნოსებად იშლება და ერებად ყალიბდება. ვთქვათ ინდოევროპული რასა დაიშალა სხვადასხვა ეთნოსად და გაერთიანდა სხვადასხვა ერებად. დღევანდელი ევროპის სურათს თუ ავიღებთ მაგალითად. ე.ი. ერი ერთგვარად სახელმწიფოსაც უნდა გულისხმობდეს ანუ იმ საზღვრებს, რომელთა შიგნითაც ხდება ამა თუ იმ ეთნოსის თუ ეთნოსების ურთიერთდაახლოვება და ორგანიზება სოციალური და პოლიტიკური ცხოვრებისა, გამომუშავება ურთიერთობის სტაბი-

ლური და მაორგანიზებელი სტრუქტურებისა და ა.შ. ე. ი. ხდება კულტურის ჩამოყალიბება. დღევანდელი გაგებით ერი და სახელმწიფო თანხვდომადი ცნებებია (état-nation) აქ ამ სახელმწიფოს სიდიდესა და სიმცირეს კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ თვით სახელმწიფოდ არსებობის ფაქტს, როგორი წყობისაც არ უნდა იყოს ეს სახელმწიფო. ხოლო სახელმწიფოს ცნებაში კი გადამწყვეტია საზღვრის ცნება - სახელმწიფო, რომელსაც საზღვარი არა აქვს, სახელმწიფო არ არის. (ისევ პირველსაწყისი "რუკების ომი" გავიხსენოთ). აღნიშნული ცნებებიდან ყველაზე აბსტრაქტული არის რასა, ყველაზე კონკრეტული - ერი, ხოლო შუალედური ფორმა კი ეთნოსი, რომელიც აღნიშნავს რასის ზოგადი მახასიათებლების ლოკალიზაციისა და კონკრეტიზაციის პროცესს - ეთნოსი უკვე განსაზღვრულ გეოგრაფიულ გარემოში განსახლებული და ამ გარემოსთან ურთიერთობაში ჩამოყალიბებული ერთობაა ნათესავებისა და მეზობლებისა, რომლებიც თანდათან მრავლდებიან და ამასთანავე დიფერენცირდებიან... ეს პროცესი არქეოლოგიურ ეპოქათა მონაცვლეობასავითაა განფენილი ისტორიაში - რაც უფრო უკან მივდივართ, მით უფრო აბსტრაქტული ხდება კავშირები და ფორმები, რაც უფრო ჩვენსკენ ვიწევთ, მით უფრო კონკრეტიზირდება და დიფერენცირდება. ამასთანავე აღსანიშნია, რომ ერი - ცივილიზაციის შესატყვისი ცნებაა. ერებს თუ ეთნოსები ქმნიან, ცივილიზაციას ერები ქმნიან. აქ ჩვენ ვუახლოვდებით ერის იმ გაგებას, რომელიც გამომდინარეობს მოქალაქეობის ცნებიდან და ფუძნდება სამართლებრივ საფუძველზე: ერი უკვე არის არა ერთი წარმოშობის ადამიანთა კავშირით შექმნილი ერთობა, არამედ ერთი და იგივე სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობა. უოველივე ეს გვაფრთხილებს კიდეც, რომ ფრთხილად მოვეპყრათ უოველგვარ ისტორიკო-იდეოლოგიურ ინსინუაციებს, რომლებიც თავისი აბსტრაქტულობისა გამო ნებისმიერი "რუკების" შექმნის საშუალებას იძლევა. ისტორიას აზრი და საზრისი თუ აქვს, მხოლოდ იმის გასარკვევად, თუ რა გავაკეთოთ დღეს ისეთი, რომ ის ღირებულებები შევინარჩუნოთ და განვავითაროთ, რომელიც ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ და ჩვენ ისტორიაში აღმოგვიჩენია, და რა გზით წარვმართოთ ჩვენი ცხოვრება, რომ ამ ღირებულებათა დაცვა და გამოყენება გახდეს შესაძლებელი და, ამავე დროს, ახალ ღირებულებათა შექმნა; რადგანაც თუ ახალს არ ვქმნით ესე იგი აღარც ვარსებობთ. ხოლო ახალ ღირებულებათა შექმნა ნიშნავს გათვალისწინებას და მიღებას ყველა იმ ღირებულებისა, რომლებიც შეუქმნია სხვა ადამიანებს, სახელმწიფოებს, ცივილიზაციებს და მათი გაცნობიერებით შერწყმა ახალი სინთეზისათვის. ისტორიულ-კულტურული განწყობა ათვისებული (და ასათვისებელი) სივრცის მიმართ განსაზღვრავს როგორც კერძო ადამიანის, ასევე ერის რაობას. ერი ეს არის ერთნაირი განწყობის (ისტორიულ-კულტურული) მქონე ადამიანთა სანათესაო და სამეზობლო კავშირი. ამ კავშირის საზღვრები განსაზღვრულია "მტრის გამოჩენის" ჰორიზონტით (Horizont de l'apparition d'ennemi) ანუ სხვაგვარად, საფრთხის საზღვრით (Frontiére du danger) ან კიდევ, "სიმშვიდის ველით" (Champ de quiétude).

ქართველი ერი (nation) და ქართული კულტურა არის სინთეზი იმ ისტორიული განვითარებისა, რომელიც განვლეს აქ მოსახლე სანათესაო და სამეზობლო კავშირში მყოფმა ადამიანებმა და ე.ი. ხალხებმა (ეთნოსებმა) ამ თავისი სივრცის ასათვისებლად და მტრისაგან დასაცავად.

უკვე ამ მონახაზში ჩანს თუ რაოდენ პირობითი და ხელოვნურია ერის ცნება. იგი წარმოიშვა არა ფილოსოფიისა ან კულტუროლოგიის, არამედ პოლიტიკური იდეოლოგიის სფეროში და განისაზღვრა იმ იდეოლოგიური და პოლიტიკური მოთხოვნილებებით, რომლებიც ამოძრავებდა პოლიტიკოსებსა და სოციოგრაფებს. ერი არ არის არც ფილოსოფიური და არც კულტუროლოგიური ცნება. ერი ისტორიოსოფიური და პოლიტიკური ცნებაა და ყველაზე კარგად ამას ის ადასტურებს, რომ ქართულ ენაში, ისევე, როგორც ყველა ძველ ცივილიზაციათა ენაში ერის ცნება არ არსებობდა (ყოველ შემთხვევაში XVII ს-მდე) - ცხადია, იმ გაგებით, როგორითაც დღეს გვსურს გავაცნობიეროთ ეს ცნება და მივცეთ მას ფილოსოფიური ღირებულება.[10] აქ მეტად მნიშვნელოვანია დავინახოთ ის ხიდი, რომელიც გადებულია კულტურასა და ცივილიზაციას შორის, ვამბობ ხიდი, რადგან სწორედ ამ ხიდზე გადასვლა არის იმ ხევიდან გამოსვლა და ე. ი. იმ კულტურიდან გამოსვლა, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უოფიერებიის პირველსაშესაქმო ველს - როგორც იყო აღნიშნული ზევით. თუ ჩვენ არა ვართ თანახმა.

---

10 ვებსტერის ლექსიკონით, სიტყვა "nation" -"ერი" - უკავშირდება ბერძნულ "genos"... "gignesthai" - შობას, წარ-მო-შობას. ამ წარმოშობის მეხსიერება განსაზღვრავს ლოკალურ წრეში ეთნოსის მის ჰომოგენურობას. მაგრამ უკვე შეუძლებელი ხდება მისი დაფიქსირება უფრო დიდ წრეში. აქედან წარმოსდგება, სხვათა შორის, წინაპართა ხის "გენეალოგიური ხის" სოციალური და, ვიტყოდი "კოსმიური" ან მეტაისტორიული მნიშვნელობაც. მაგრამ რამდენს შეუძლია ამ ხის "გენეტიური უზადობის" დამტკიცება?.. ეს შოვინიზმის სრულ ა-კულტურობაზე და პრიმიტიულობაზე მიუთითებს. "შოვინისტური ცნობიერება" ისტორიიდან ამოვარდნილი, გაველურებული ცნობიერებაა.

ერის ცნება შემოვსაზღვროთ "ეთნოსის" საზღვრებით, მაშინ უნდა გაცნობიერებულ იქნას, რომ ერი არის ცნება, რომელიც "ფიზიკურად" სახელმწიფოს შეესატყვისება და წარმოადგენს ცივილიზაციისათვის დამახასიათებელ ერთობას, რომელშიდაც დამლეულია ეთნიკური საწყისები, ანუ "ყველას სისხლი ყველაში მიედინება". "მეტაფიზიკურად" კი აქსეოლოგიურ კონცეფციას, რომელიც იმ იდეალურ ღირებულებად ფუნქციობს, რომლითაც მოცემული კონცეფციის მატარებელი პიროვნება თუ ერთობა თავისთავის კოსმიურ ღირებულებას ადგენს. იმ მომენტში, როდესაც კულტურა ეროვნულად ცნობიერდება - იგი ცივილიზაციაა და არა კულტურა, ანუ "ხიდზე გადასულია" და თავისი "ხევიდან" გამოსული, სხვა ნაპირს შერთვული. "ერის თვითცნობიერება არაფერი სხვა არ შეიძლება იყოს თუ არ თავისთავის გაცნობიერება კულტურის სუბიექტად (და ობიექტად), ე.ი. ღირებულებათა მატარებლად, ხოლო ამ თვითცნობიერების რელიგიური ფორმისათვის - აგრეთვე როგორც ღვთით რჩეული ხალხისა."[11] "კულტურა სხვა არაფერია თუ არ ღირებულებათა განსახიერება, იდეალურის რეალიზაცია, მატერიალიზება სულიერისა.... კულტურასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც იდეალურ-სულიერი ღირებულებები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით რეალურდება, მატერიალურდება, ხორცს ისხამს, იძენს სივრცულ-დროულად განფენილ სხეულს".[12] სწორედ სულიერის მატერიალიზების ან მატერიალურის გაიდეალურების ანუ ფიზიკურისა და მეტაფიზიკურის ურთიერთტრანსფორმირების არსებობისათვის ღირებულ და აუცილებელ მოდალობებად დადგენა ხდება ა ღ ზ რ დ ი თ. ზრდილობაში (ბერძნ. **paideia**[13]) ხდება იმ ენის შეთვისება, რომელიც მოცემულ კულტურას ახასიათებს როგორც კოსმიურად მოდიალოგე ნიშანთა სისტემას. ამ შეთვისების, და ე.ი. ამ თანამონაწილეობის ანუ ზრდილობის გარეშე, კულტურა არ არსებობს, რადგან ადამიანი თავისი არსებით არის "საუბარი"(ჰოლდერლინი)[14].

მაგრამ ის, რაც თავისთავში განხილული ცივილიზაციაა, უფრო დიდ სისტემაში განხილული კულტურად გვევლინება, ანალოგიურად სისტემისა და სტრუქტურის ურთიერთმიმართებისა. აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ როდესაც კულტურას განვსაზღვრავთ ეროვნულად, მას ვუყურებთ უფრო დიდი ერთობის, ცივილიზაციის თვალით და ეს ისევე, როგორც მოცემული კულტურის შიგნით ცალკეულ შემადგენელ კულტურებს (ეთნოსებს) განვიხილავთ ამ მოცემული ერის როგორც ცივილიზაციის მატარებელი ერთობის თვალსაზრისით. კარგი დასანახია ეს ენის მაგალითზე, რადგან ენა თავისთავად, როგორც "ყოფიერების სახლი" არის ამავე დროს კულტურის უპირატესი ფორმა არა როგორც გამომთქმელი, გამოთქმული და გამოსათქმელი ყოფიერების ერთობა, არამედ, როგორც ის პირველყოფიერება, რომელშიდაც და რომლითაც ხდება კულტურის შექმნა ანუ მეტაფიზიკურის ტრანსფორმირება ფიზიკურ და ფიზიკურის მეტაფიზიკურ ღირებულებად. ენა ამ ტრანსფორმაციების ლოგოსია. ენაში (მაგალითად ქართველურ ენაში), მოიაზრება ყველა ის სიტყვა და სიტყვათწყობის (გრამატიკის) წესი, რომელიც ყოველ ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანს წარმოუთქვამს "დასაბამიდან" და წარმოსთქვამს "უკუნისამდე": ნებისმიერ ხევში, მთაში, ბარში, სოფელში... ყველა დიალექტი, ყველა შტო-ენა(სვანური, მეგრული, ლაზური), ყველა ისტორიულ ურთიერთობაში შემოსული და დავანებული სიტყვა - ეს არის ის მაგმა, რომლიდანაც დაწურულია ის ენა, რომელსაც ქართული ენა ეწოდება და რომელიც ქართველი ერის თვითცნობიერების გამოხატულებას წარმოადგენს. კულტურა და ცივილიზაცია ისეთსავე მიმართებაშია ურთიერთთან, როგორც ენა და დიალექტი. ამ თვალსაზრისით, ქართული ენა,

---

[11] იხ. ნ. ზ. ჭავჭავაძე "ერის ცნების ღირებულეთი ასპექტის შესახებ" კრებულში: "Философские Проблемы Культуры" გვ. 108. "მეცნიერება" თბილისი 1980.

[12] იქვე გვ. 100.

[13] **Paideia**-ს რომელიც მეტად მომცველი ცნებაა და მოიცავს თავისთავში ყოველივეს, რასაც ჩვენ აღვნიშნავთ კულტურის, ცივილიზაციის, ტრადიციის, ლიტერატურის ან საკუთრივ აღზრდის სახელით. "ეს ყველა paideia-ს ასპექტებია",- ამბობს იეგერი. მე მაინც "ზრდილობა" ვარჩიე მის გადმოსაცემად, რადგან რუსთაველთანაც და ქართულ შესაქმეშიც ზრდილობას პიროვნების სრულყოფილების გამომხატველი მნიშვნელობა აქვს, შესატყვისად ფორმულისა: "ათასად კაცი დაფასდა, ასიათასად ზრდილობა..." ან კიდევ: უწვრთნელი ვირის ყოლა სჯობს, უწვრთელი შვილის ყოლასა" "უზრდელი"ს ნიუანსით.

[14] აქ არ შემიძლია არ გავიხსენო შესანიშნავი ქართველი (თუში) პოეტის, ეთერ თათარაიძის "ჰოლდერლინისებური" ლექსი:
"ღმერთთან სასაუბროა,
სამზადისში ვარ,
მარცხენაში მიჭირავ
ლექსის აღის კვარ,
მარჯვენაში - დანაღალ
წმინდა ნინოს ჯვარ,
შუბლზე მყარი სიწმიდის
სიალალის ცვარ,
ფეხთან მიძოვს ყბაწითელ
შუბლატუსულ ცხვარ...
ღმერთთან სასაუბროა,
სამზადისში ვარ".

როგორც ქართული ცივილიზაციის შემქმნელი და მატარებელი ერის თვითცნობიერება (გამოთქმულობა ან შესაქმე) ქართულ კულტურად ცნობიერდება ქრისტიანული ცივილიზაციის არსებობის ჰორიზონტში. ხოლო ენისაკენ მიმავალი გზაც ზრდილობაზე (**paideia**-ზე) გადის. კულტურა და ცივილიზაცია უნივერსალიზების სხვადასხვა დონეებს გამოხატავს ღირებულებათა სკალაზე. რომელიც ადამიანის საშესაქმო გახსნილობის მოდალობათა სისტემას ქმნის. თუ "ქართლად მრავალი ქვეყანა აღირიცხების. სადაც ქართულითა ენითა სწირავენ. ხოლო "კირი ელეისონს" ბერძნულად წარმოსთქვამენ" - ეს უკვე ქართული კულტურის ქრისტიანულ ცივილიზაციაში პიროვნულ გასრულებას აღნიშნავს.

კულტურათა უნივერსალიზება ცივილიზაციაში შესაძლებელი გახდა უნივერსალური. მსოფლიური რელიგიების საფუძველზე. ასე მაგალითად: გვაქვს ევროპული ცივილიზაცია - ქრისტიანული ცივილიზაცია. რომელიც პარადიგმულად იშლება სხვადასხვა ერთა კულტურად: როგორიცაა: გერმანული. ფრანგული. ინგლისური. ესპანური. ბერძნული. ქართული. პოლონური. უნგრული. რუსული და სხვა მრავალი. გვაქვს მუსლიმანური ცივილიზაცია. რომელიც სხვადასხვა კულტურათა პარადიგმადაა გაშლილი (არაბული. სპარსული.. თურქული. ეგვიპტური და ა.შ.) ასევე ბუდისტური ცივილიზაცია. რომელიც აზიური ქვეყნების კულტურულ პარადიგმაში სახიერდება (ინდურ. ჩინურ. იაპონურ. ტიბეტურ. მონღოლურ. კორეულ. ვიეტნამურ და სხვა). ერთი წყაროს ამგვარი კულტურულ-პარადიგმული წაკითხვა და შეთვისება გვამცნობს სწორედ. რომ კულტურის უპირველესი მაკონსტიტუირებელი პრინციპი ენაში სახლობს. ხოლო ენა კი ვითარცა ყოფიერების შესაქმის ლოგოსი - მითია: იგი "მარადი აწმყოა". "ყოველთვის არის" როგორც უკვე გამოთქმული. ახლა გამოთქმადი და მომავალში გამოსათქმელი. "ენის წარყვნა" "ყოფიერების წარყვნის" მოდალობაა და. ე.ი. ბუნების ცვლის გამოხატულება. გაუზრდელება ყოფიერებისა ანუ გაველურება.

ეროვნულ "კოლექტიურ" ცნობიერებაში აქტივიზირებული "წარსულის დიდება" ან "წარსულის ტრავმა" როგორც "ფიზიკური" სიხარულისა თუ ტკივილის განცდა მეტაისტორიული (მეტაფიზიკური) განცდაა. იგი დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ იმ ცოდნაზე. რომელიც არსებობს ერის ისტორიულ მეხსიერებაში და რომელიც "ფუნქციობს" როგორც წარსულისა და აწმყოს "მაიგივებელი" ფაქტორი. ერმა იცის ის. რასაც მას ასწავლიან და არის ისეთი. როგორადაც მას ზრდიან ის ღირებულებები. რომელნიც კულტურად. ან ცივილიზაციად. მატერიალურდებიან. კოლექტიური მეხსიერების შევსება ხდება ამ კულტურისა თუ ცივილიზაციის სიმბოლური ნიშნებით და მისი კოლექტიური ფუნქციონირება იმდენად არის შესაძლებელი. რამდენადაც არსებობს ამ ნიშანთა დანახვისა და ამოკითხვის ზრდილობა. ლოკალურ წრეში მცირე ერთობისა ეს მოცემულია ანდრეზების. გადმოცემების. ხალხური სიბრძნის. პოეზიის. თქმულებების... ერთობ ფოლკლორის (ტრადიციული ცხოვრების წესისა და სტილის გაგებითაც) სახით. ეს არის კულტურის მყარი საფუძველი. მაგრამ უფრო დიდ წრეში ცივილიზაციისა. თვით ამ ნიშანთა უნივერსალიზებისა გამო მათი "ფოლკლორულობა" (ეთნოგრაფიულობა) ანუ პირველღირებულობა იცვლება "ისტორიული ეროვნული ნიშნებით" (ან ანტროპოლოგიურ-ჰუმანისტური სიმბოლიზმით) როგორც ცივილური არსებობის ენით. ამ ენის ფუნქციობის და მისი "ფიზიკურ" ღირებულებებად (საცხოვრებისო ურთიერთობების ფორმებად. ცხოვრების სტილად. შესაქმედ და სხვა) ტრანსფორმირების ფაქტორი არის ზრდილობა. როგორც ცივილური ყოფიერების მოდალობა. ზრდილობა იძლევა საშუალებას წაკითხულ იქნას ის უნივერსალური სიმბოლოები. რომელნიც კულტურული კოლექტიური მეხსიერების მაგმიდან გამოიწურა ეროვნულ (შესატყვ. საკაცობრიო) ღირებულებებად. თუ ცივილურ ღირებულებათა ენა ზრდილად ამოკითხული და წარმოთქმული (ანუ ცხოვრებაში გამოვლენილი) არ იქნა. ცივილიზაციის. ისევე როგორც ერის არსებობა შეუძლებელია. "უზრდელი ერი" უაზრო. ცარიელი გამოთქმაა. "უზრდელი ერი" - არა-ერია. ზუსტად ისევე. როგორც უზრდელი კაცი - არაკაცი. (რაც ნიშნავს რომ იგი ბიოლოგიურ-ფიზიკური არსებაა და არა სულიერ-მეტაფიზიკური). ქვემოთ კვლავ შევეხები ზოგ ასპექტს.

*

ამჟამად ჩვენი ინტერესის ობიექტი არის რუსეთი და მისი ადგილი ევროპულ-ქრისტიანულ ცივილიზაციაში. ევროპული ცივილიზაცია თავის მრავალრიცხოვან და მრავალსახოვან კულტურათა პარადიგმაში წარმოადგენს არსებითად ინდო-კავკასიური რასის "ევროპიზაციის" ან. თუ გნებავთ ქრისტიანიზაციის შედეგს. ევროპიზაციას აქ გეოპოლიტიკური მნიშვნელობით ვხმარობ. ევროპის. როგორც გეოპოლიტიკური სივრცის ათვისება საუკუნეთა (ათეულ საუკუნეთა!) განმავლობაში განუწყვეტელი კულტურშემოქმედებითი საქმიანობით. არის განსაკუთრებული ნიშანი ევროპული ცივილიზაციისა. მისი ჰომოგენურობის მაჩვენებელი.

არსებითად ევროპის განვითარება, ევროპელ ერთა და კულტურათა ჩამოყალიბება ქრისტიანობისა და ფეოდალიზმის წიაღში, მის შიგნით ხდება. ამ განვითარების ყველა ზიგ-ზაგებითა და ზეაღსვლა-დაღმასვლით. მხოლოდ ფეოდალური და ქრისტიანული კულტურის მქონე ერებმა შესძლეს შეექმნათ სახელმწიფოებრივობისა და საზოგადოებრივი უფლებების ის კონცეფცია და მართვის სისტემა, რომელსაც კონსტიტუციური რესპუბლიკა ეწოდება - იქნება იგი კონსტიტუციური მონარქიის თუ დემოკრატიის ფორმით. არც ფეოდალიზმი და არც ქრისტიანობა ცალ-ცალკე არ იძლევა "ევროპელობას".

რუსეთს გეოგრაფიულად ევროპული ცივილიზაციის აღმოსავლეთი სივრცე და, არსებითად, ევროპული კონტინენტის ნახევარზე მეტი უკავია. მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის ათვისება და ევროპულ კულტურულ ერად ჩამოყალიბება მოხდებოდა "ევროპული" განუწყვეტლობითა და ხანგრძლივობით. მაგრამ, ისტორია გვიჩვენებს, რომ ასე არ მოხდა და რუსეთის გეოპოლიტიკურმა საზღვარმა ევროპულ ცივილიზაციას და მის ჰომოგენურობას ბზარი გაუჩინა. რუსეთმა ქრისტიანობა მიიღო მეცხრე საუკუნის მიწურულს (889 წ); ე.ი. მეცხრე საუკუნიდან რუსეთი (კიევის) ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბების პროცესში ექცევა კულტურული ინდივიდის სახით. ამიტომ, მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის განვითარება წავიდოდა იმავე გზით და მთელ ევროპასთან მჭიდრო კავშირში. მაგრამ სხვადასხვა, შინაგანი და გარეგანი ( და მაინც არსებითად შინაგანი!) მიზეზებისა გამო, ასე არ მოხდა და რუსეთმა იწყო თანდათანი არა მარტო ჩამორჩენა და განაპირება, არამედ სრულიად სხვა გზით განვითარება. ამ გზამ რუსეთი არა მარტო დააშორა ევროპას, არამედ დაუპირისპირა კიდეც. უკვე მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოსათვის რუსეთმა, პეტრე პირველის სახით თავისი თავი ევროპიდან სრულიად განსხვავებულ და ნახევრადველურ სახელმწიფოდ გააცნობიერა და იწყო გამალებული ევროპიზაცია. რუსეთის სიდიდე ამ დროისათვის მისი ჩამორჩენის აბსოლუტური შესატყვისი იყო. ამ ჩამორჩენის და აცდენის მიზეზი იყო რუსული ტიპის ძალაუფლების სპეციფიკური განვითარება და ქრისტიანულ-ფეოდალური საზოგადოების ნაცვლად განსაკუთრებული, რუსული ტიპის სისტემის შექმნა. სწორედ ძალაუფლების ეს თავისებურება და საზოგადოებრივი რეჟიმის ხასიათი განსაზღვრავენ იმ გზას, რომელიც გაიარა რუსეთმა დღემდე, გაინაპირა რა თავი ევროპული ცივილიზაციისაგან. რუსეთის კულტურისტორიული განვითარების თავისებურება, ამგვარად, შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც ბრძოლა ორ ტენდენციას შორის: ევროპიზაციასა და ანტიევროპიზაციას შორის. უცნაური რამ ხდება: რუსეთი თავს დიდის გაჭირვებით აცნობიერებს ევროპელ ერად.

არც ერთ ევროპელ ერს არ გაჩენია ეს პრობლემა. ყოველი ევროპელი ერი თავს აიგივებს ევროპასთან არა მარტო როგორც მიმღები, არამედ, როგორც თვით შემომქმედი ევროპული და ე.ი. თავისი ცივილიზაციისა. ეს ბუნებრიობა გამოვლენილია თვით ევროპულ სახელმწიფოთა ზომებშიდაც, რომელიც არ ცდება "ჰუმანურ" მასშტაბებს (ხოლო, როდესაც მოხდა ამ მასშტაბის დარღვევა, გეოპოლიტიკური საზღვრის გადალახვა, ყოველთვის ტრაგიკულად დასრულდა). ყოველ ევროპელ ერს თავისი სპეციფიკური გზა აქვს გავლილი, თავისი სპეციფიკური ენა და მსოფლსახე შექმნილი, თავისი ტრადიციები, მაგრამ ამის ზევით ყოველი გრძნობს, ხედავს, მიიჩნევს ისეთ რეალობას, რომლითაც ერთიანდება ყველა სხვა ერთან და ამ ერთობაში მოქცეული ტიპოლოგიურად ევროპულ არსებად წარმოსდგება. ეს არის ტიპოლოგიურად ერთგვაროვანი სოციალური და პოლიტიკური, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი, ფსიქოლოგიური და მსოფლმხედველობითი ცივილიზაცია. ამის საპირისპიროდ, დღემდე გრძელდება რუსეთში (საკუთრივ რუსეთს ვგულისხმობ) პროცესი ევროპელად გაცნობიერებისა და ეს გვაიძულებს გავხედოთ ამ ბრძოლის ხანგრძლივ გზას და იმ სიძნელეებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა რუსული ცნობიერება. უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი მაშინ კი არ წამოჭრილა, როდესაც "სლავოფილები" და "ზაპადნიკები" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, - მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებიდან -, არამედ გაცილებით უფრო ადრე, და მას საფუძველი აქვს რუსეთის პოლიტიკური და სოციალურ-ეროვნული განვითარების თავისებურებაში.

ცხადია, რუსეთის რეალური ისტორია არც ბენკენდორფისებურად სავსეა ბრწყინვალებით და არც ჩაადაევისებურად ცარიელი და ბნელი. ამ თვალსაზრისთა დაპირისპირებაში გამოვლენილია არსებითი მომენტი რუსული აზრის განვითარებაში.

როდესაც წმ. ვლადიმირმა (რიურიკოვიჩმა) რუსეთში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადა და რუსი ერი მონათლა, ამით მან რუსეთი ევროპული განვითარების გზაზე დააყენა. თავისი განვითარების პირველ პერიოდში, რომელიც მოიცავს მონღოლთა ბატონობის პერიოდსაც, რუსეთი არსებითად მიდიოდა ევროპულ-ბიზანტიური განვითარების გზით; მხოლოდ ერთი არსებითი და სპეციფიკური ნიშნით გამოირჩეოდა-ძალაუფლება რუსეთში თავისთავს განიხილავდა საკუთრივ რუსი ხალხის მესაკუთრედ და მისთვის უცხოდ. ეს გაუცხოებული და მესაკუთრული ხასიათი რუსული ძალაუფლებისა

გახდება იმ მეისრედ, რომელიც რუსეთს ტიპოლოგიურად განსხვავებული გზით წარმართავს და მრავალ რობლემას წარმოუშობს საკუთრივ მასაც და თვით ევროპასაც. პირველი მძლავრი გადახრა საერთოევროპული განვითარების გზიდან მოხდა ივანე IV-მრისხანეს დროს.

გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი კლიუჩევსკი ამბობს თავის სპეციალურ კურსში "დასავლეთის გავლენა რუსეთზე პეტრე პირველის შემდგომ", რომ "ბუნებაში, რაც უფრო დიდი, მასიურია სხეული, მით უფრო ძნელია მისი გადაბრუნება და გადაადგილება.; იგივეა ისტორიულ ცხოვრებაში; ხოლო XVIIIს. ევროპაში არ არსებობდა პოლიტიკური სხეული უფრო მასიური და ნაკლებ მოძრავი, ვიდრე იყო რუსეთის იმპერია თავისი განვრცობით, თავისი ეთნოგრაფიული შემადგენლობით, დაბოლოს, თავისი პოლიტიკური წყობით. ამგვარი მასიური სხეულები როგორც ბუნებაში, ასევე ისტორიაში მოძრაობენ ან უძრავნი არიან უფრო ინერციით, ვიდრე თავის მამოძრავებელთა ნებით". მას შემდეგ რუსეთის იმპერია კიდევ უფრო გაიზარდა, ხოლო ამ ზრდის შინაგანი მექანიზმი და მისწრაფება უკვე ივანე მრისხანეს დროს გვხვდება სავსებით ჩამოყალიბებული და პრინციპად დადგენილი. ჩვეულებრივ მიჩნეულია, რომ რუსეთმა "ევროპიზაცია" დაიწყო პეტრე პირველით და გაგრძელდა შემდგომ საუკუნეებში. ეს თვალსაზრისი ვერ უძლებს კრიტიკას. თუ კი შესაძლებელია რუსეთის ევროპულ გზაზე დადგომის შესახებ საუბარი, ეს იყო სწორედ ივანე მრისხანემდე, ხოლო მისგან მოყოლებული რუსეთის ისტორია არის სწორედ ბრძოლა ზემოთ აღნიშნულ ორ ტენდენციას შორის - ანტიევროპულსა და ევროპულს შორის.

არაერთგზის აღვნიშნე, რომ ისტორიული განვითარება ორი მიმართულებით ხორციელდება გეონაციონალპოლიტიკური და ეთნოსოციალპოლიტიკურით.[15] ეს არის ორი ღერძი, რომლებზედაც სახელმწიფოებრივი და საზოგა-დოებრივი აღმშენებლობის ენერგიის ძალებია დახვეული. ეთნოსოციალპოლიტიკა განსაზღვრავს საზოგადოების (ერის) შინაგანი აღმშენებლობის პრინციპებს და განვითარებას, კულტურის შემოქმედებას, ხოლო გეონაციონალ-პოლიტიკა, არის გამოხატულება სახელმწიფოებრივ - პოლიტიკური მისწრაფებებისა.[16] კულტურის ისტორია არ წარმოადგენს მარტოოდენ "კომფორტის" ან ყოველდღიურ სიკეთეთა განვითარების ისტორიას; იგი მოიცავს მთლიანად ადამიანის საქმიანობასა და არსებობას, როგორც ინდივიდისა და როგორც გარკვეული საზოგადოების წევრისას, აგრეთვე თვით ამ საზოგადოების მიერ გამომუშავებული ყოფიერების ფორმებსაც - ერთი სიტყვით კულტურა - ესაა ერთიან ძალთა ხანგრძლივი და განუწყვეტელი მოქმედების შედეგი. "ტოტალიტარიზმის რეინკარნაციაში" ყურადღება გამახვილებული იყო არსებითად კულტურის პოლიტიკური ასპექტის საფუძველმდებ პრინციპზე და ძალაუფლების რუსულ იდეაზე და აქედან გამომდინარე რუსეთის სოციალური და პოლიტიკური სისტემის ბუნებრივ მისწრაფებაზე ტოტალიტარიზებისა და იმპერიულობისაკენ. ახლა მივაპყროთ ყურადღება კულტურის სხვა ასპექტებს და მათი ანალიზით გავარკვიოთ რუსეთის მიმართება ევროპისადმი და ევროპული ცივილიზაციისადმი. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ზემოთაღნიშნულ კულტურის შემომქმედ ძალთა ურთიერთმოქმედება რუსეთში იმგვარ შეხამებაშია და იმგვარი განსაკუთრებულობით გამოირჩევა, როგორიც, შესაძლოა, არასოდეს არ ყოფილა განსახიერებული და გამეორებული ევროპაში - ეს ეხება საერთოდ რუსეთის ისტორიას და, სპეციპიკურად ივანე მრისხანედან მოყოლებულს ვიდრე დღემდე. ერთი რამ უნდა აღინიშნოს, მიჩვეულები დასავლეთის ისტორიოგრაფიის მიერ აღწერილ რთულ სოციალურ მოვლენათა კითხვასა გა გაანალიზებას, კლასთა, პარტიათა, პიროვნებათა ბრძოლას ევროპელებიც და თვით რუსებიც რუსეთის ისტორიასაც განიხილავენ ამ ევროპული მოდელით და, როგორც კლიუჩევსკი აღნიშნავს სამართლიანად, "ვერ ამჩნევენ, რომ აქ (რუსეთში) მბრძანებლობენ პირველადი ისტორიული პროცესები, სწარმოებს მუშაობა უფრო სტიქიურ, ვიდრე სოციალურ ძალთა, იბრძვიან უფრო ინსტინქტები, ვიდრე იდეები". ეს მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნა უნდა ვიქონიოთ სახეში, როდესაც ვმსჯელობთ რუსეთზე და, მითუმეტეს მის ადგილზე ევროპაში - ხოლო რომ თავისი ადგილი რუსეთს ნამდვილად აქვს და რაც დრო გავა კიდევ უფრო კონკრეტული იქნება ეს ადგილი - გეოპოლიტიკურადაც და კულტურულადაც - ეს უდავოა. ჩვენი მიზანია დავინახოთ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ყოფიერების განმსაზღვრელი პრინციპის, (- რომელსაც საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი მართვის სისტემა ეწოდება და რომელიც არსებითად ორ პრინციპულად კონტრადიქტორულ სახეს იძენს ისტორიაში: ხელისუფლებრივს (მმართველობითს) და ძალაუფლებრივს (მბრძანებლობითს) -), იმ პარალელური ან გადამკვეთი საშესაქმო ძალების მოქმედება, რომელნიც განსაზღვრავენ იმ ღირებულებათა სისტემას, რომელიც ზევით განისაზღვრა

---

15 იხ. "ტოტალიტარიზმის რეინკარნაცია" 1-4; ივერია 31,32,33,35.

16 იხ. პ. იბერი "ტოტალიტარიზმის რეინკარნაცია" 1-4 ივერია 31,32,33,35.

როგორც კულტურა. და ამ ღირებულებათა ცივილიზაციად უნივერსალიზების მიმართულება განვსაზღვროთ.[17]

შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრება და წონასწორობა პრინციპულად არის დამოკიდებული იმ მექანიზმებზე, იმ ფორმებზე, რომელსაც საზოგადოება იმუშავებს თავისი არსებობის მანძილზე ძალაუფლებრივი მისწრაფების შესაზღუდავად. ცივილიზებული საზოგადოება ის საზოგადოებაა, რომელმაც შესძლო გამომუშავება ისეთი ინსტიტუტების, ან პრინციპების, რომელნიც არ აძლევენ საშუალებას ამა თუ იმ (ნებისმიერს!) წევრს (ან ინსტიტუტს) ერთობისა გაბატონდეს სხვაზე ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე და თავისი ნება-სურვილის მიხედვით წარმართოს საზოგადოების ყოფიერება. ევროპული ტიპის საზოგადოების განვითარება, ან ევროპული ცივილიზაცია სწორედ ის ცივილიზაციაა, რომელმაც შექმნა და ჩამოაყალიბა ძალაუფლების ისეთი შემზღუდავი პრინციპები და ინსტიტუტები, რომელნიც გარანტიას იძლევიან (შესაძლოა, არააბსოლუტურს!) იმისას, რომ მართვის სისტემა არასოდეს არ გადაიქცევა ძალაუფლებრივ სისტემად, რომელიც თავისთავსაც და მთელ სინამდვილესაც საკუთარი ნების საკუთრებად თვლის. ევროპამ დიდი და თანმიმდევრული გზა გაიარა ამ მხრივ ( უკანასკნელი ტრაგიკული აქტი გათამაშდა ნაცისტურ გერმანიაში და მის გამო). და დღეს ჩვენ ვსარგებლობთ ამ წმინდად ევროპული პრინციპების რეალიზების შედეგებით ჩვენს პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს პრინციპები და საზოგადოების განვითარების ეს ფილოსოფია თავის სათავეს იღებს ბერძნულ კულტურასა და ცივილიზაციაში. არსებითად ბერძნებმა შექმნეს ყველა ის მოდელი სოციალური არსებობისა, რომელიც ქრისტიანობის ნიადაგზე უნივერსალიზებული საფუძვლად დაედო ევროპულ ცივილიზაციას მთელს თავის კულტურულ-პარადიგმულ მოცემულობაში. თვით რომაული სამართალი, რომელიც თანამედროვე სამართლებრივი ფილოსოფიის პირველფუძეს ქმნის, წარმოადგენს ბერძნული სოციალური ფილოსოფიის პარადიგმას. საკმარისია გავიხსენოთ პლატონისა და არისტოტელეს როლი ქრისტიანობაში, ან "რენესანსები" ან, საერთოდ ყოველწამიერი მიხედვა ბერძნულისაკენ როგორც "კლასიკისაკენ". რომ სავსებით შევაფასოთ კაიზერლინგის დაფორმულება: "ელადა დაბრუნდა როგორც ხელოვნება რენესანსში, როგორც სული ფრანგულ კლასიციზმში და როგორც ფილოსოფია გერმანულ იდეალიზმში".[18]

უკვე ჰომეროსთან და მის მომდევნოდ ჰესიოდესთან გვაქვს არსებითად ყველა ის პრინციპი, რომელსაც ვხედავთ გაშლილს კულტურულ პარადიგმებად ევროპულ ცივილიზაციაში; და უმნიშვნელოვანესი ამ პრინციპთაგან არის "ადამიანის სრულყოფილების იდეალი" ანუ "კულტურის იდეალი" (ბერძნ. areté და paideia). თ. ს. ელიოტმა თავის "შენიშვნებში კულტურის განსაზღვრებისათვის" ზუსტად აღნიშნა მიმართება კულტურის ამ ორ - ჰუმანისტურ (როგორც ადამიანის სრულყოფილებისკენ მისწრაფებულ იდეალსა ანუ არეტესა) და უფრო ფართე, ანტროპოლოგიურ გაგებას შორის. მისი აზრით არქაულ ბერძნულ ლიტერატურაში სიტყვა კულტურა, ამ უფრო ფართო, ანტროპოლოგიური მნიშვნელობით, პირველად ჩნდება ბეოტიელი გლეხი პოეტის ჰესიოდეს "სამუშაონი და დღენი"-ში. და მაინც ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ბერძნულ კულტურას სპეციფიკური აზრით ადამიანის სრულყოფილების იდეალისა - კულტურა ასახული ჰომეროსის ეპოპეაში - არის პრივილეგია მოსახლეობის ერთი გარკვეული ნაწილისა, არისტოკრატიისა - წერს იგი. აქ ჩემს თავს ნებას მივცემ ვრცლად მოვიყვანო ერთი მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნა დიდი ელინისტის ვერნერ იეგერისა, რომელიც თავის ბრწყინვალე "პაიდეიაში" აღწერს აღნიშნულ იდეათა უნიკალურ განვითარებას და უნივერსალურ შემცველობას ქრისტეს წინ V და IV საუკუნეების საბერძნეთში. "...le fait que la culture au sens humaniste du mot fut, à l'origine, l'apanage d'une classe spéciale, n'a jamais empêché les générations suivantes d'exiger qu'un plus grande nombre d'hommes participent à ses bienfaits. La culture démocratique de l'Athènes de Périclès fut le résultat final de la transformation et de l'extension, longue et graduelle, de la tradition aristocratique primitive...

Tout le secret du processus réside dans l'énorme élargissement du domaine de la culture, ce qui rendit cette dernière accessible à l'ensamble de la cité ou nation; et l'esprit nouveao, unissant le politique et le culturel, a laissé sa marque sur chaque production importante du génie grec durant cette période. La métamorphose de l'antique style de vie aristocratique en la démocratie

[17] ცხადია, ამ კონცეფტუალურ მონახაზში მხოლოდ ძირითად მომენტებს შევეხები. ეს საკითხი ვრცლად არის წარმოდგენილი 1965-1971 წლებში დაწერილ თვითგამოცემით წიგნში "ადამიანი ძაღლი არ არის - ყველაფერს ეჩვევა", რომლის ხელნაწერი ინახება ქართულ-ევროპულ ინსტიტუტში.

[18] იხ. ჰ. დე კაიზერლინგი "ევროპის სპექტრალური ანალიზი" H. de Keyzerling "Analyse spectrale de l'Europe" Paris, 1947; გვ. 305.

du temps de Périclès ne saurait être tenue pour une simple extension des droits politique à la masse du peuple. Lorsque la culture grque, à partir de sa forme originelle et plus exclusive, se transforma en quelque chose de plus universel et de plus humain, elle ne fit que suivre son inclination naturelle. En effet, la forme même de cette culture comporta dès le debut un élément puissant d'universalité et de rationalité qui lui permit - et la prédestina en quelque sorte à cette mission - celle consistant à grandir sans se soucier des barrières de classe au point de devenir la culture de la nation hellénique tout entière et, en définitive, la civilisation d'un monde. Dès lors, elle conquit et pénétra l'univers en appropriant sa forme aux divers situations, mais sans toutefois renoncer à son essence.

L'idee humaniste à la base de cette transformation fut que, si la culture devait être tenue pur un " privilège" réservé à une "naissance noble", plus que toute autre raison, la nature même de l'homme en tant qu'être raisonnable lui confrérait le droit de participer à ce privilège. Dès lors, loin de vulgariser ce qui étair noble, la culture greque au cours de son évolution ennoblit l'ensemble de l'humanité en lui proposant le programme d'une forme de vie supérieure, la vie de la raison. Il y a plus. La société des siècles ultérieurs, qui apprit a se gouverner elle-même, devint de plus en plus consciente du fait que la réalisation d'un tel programme ne dépendait pas saulement d'une plus grande diffusion de la culture, mais aussi du maintien constant d'un niveau qualitativement élevé d'activité humaine. Aucune forme de la société ne saurait survivre longtemps sans une éducation attentive et consciente de ses membres d'élite, et ceci même lorsqu'on ne prend plus pour avéré que ceux-ci appartiennent à la classe privilègiée de la noblesse terrienne. En pratique, l'unique moyen d'éviter qu'une classe gouverne de père en fils consiste à confier la direction de l'Etat aux citoyens les plus capables, choisis et éduqués aux fins de servir le bien commun. D'ailleurs, lorsque nous voyons la philosophie de l'âge classique de l'Hellade se préoccuper avec autant de sérieux de cette sélection et de cette éducation, ne s'agit-il pas du même problème que déjà, sous une forme differante, nous avions rencontré au début de la culture greque? Du moins, est-ce ainsi que ces éducateurs et chefs culturels d'une époque ultérieure envisagèrent la question. Ils ne s'attachèrent pas aux privilèges, mais à l'areté, et ils rendiren dès lors à "noblesse" sa vraie signification. Lorsque les humanistes de la Renaissance retrouvèrent l'héritage spirituel de l'Antiquité classique, ils adoptèrent, en même temps que l'idéal culturel classique, cette conception de la noblesse ou dignité de l'homme. Et cette même idée humaniste, qui inspira la renaissance, fut l'un des fondements de notre civilisation moderne. Il est évident que ce concept de noblesse, implicite dans l'idéal hellenique de culture, peut être d'une application intéressant puor les problémes de la democratie moderne".[19]

სრულიად სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე რუსეთში. რუსეთის ისტორია ნათლად გვიხატავს წარმოებულ ცდებს ამგვარი. ევროპული. ინსტიტუტების შექმნისას და ამ ცდების მხოლოდ ნაწილობრივ წარმატებას. გამოწვეულს მართვის აპარატის მიერ ძალაუფლებისა და საზოგადოებისადმი პირად-მესაკუთრული დამოკიდებულებისა გამო. თვით სოციალისტური და კომუნისტური ძალაუფლების ("ხალხის რჩეულთა" მართვის სისტემის) კონცეფციაც კი ვერ განთავისუფლდა რუსეთში ამგვარი მესაკუთრული დამოკიდებულებისაგან. კერძო საკუთრებაში სამუდამოდ დარჩა საზოგადოების მართვის უფლება, რომელსაც არაფერი არ ზღუდავს გარდა საკუთარი ნებისა და, ზოგჯერ, გარეშე პირობებისა... რუსეთის ისტორია ხაზს უსვამს განსაკუთრებულ კონტრადიქტულობას გეონაციონალპოლიტიკური და ეთნოსოციალპოლიტიკური მისწრაფებებისა. კანონის სახით შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ რუსეთის ისტორიის ძირითადი მამოძრავებელი არის არა საზოგადოების ან სახელმწიფოს შინაგანი კეთილმოწყობა, არამედ გეოპოლიტიკური სივრცის გაფართოება შინაგანი ვითარების უცვლელობისა და განუვითარებლობის ხარჯზედაც კი. ამიტომ რუსეთი გაცილებით უფრო მგრძნობიარეა საგარეო ვითარებათადმი, ვიდრე საშინაო. ამის მიზეზი ისიცაა, რომ საგარეო ვითარება არ წარმოადგენს რუსეთის ძალაუფლების კერძო საკუთრებას, მაშინ, როდესაც შინაურობა განუყოფლად ეკუთვნის მას. მისწრაფება გაფართოებისაკენ გამომდინარეობს ძალაუფლების ამ კონცეფციიდან. რუსეთის მონაწილეობა საერთაშორისო და, განსაკუთრებით ევროპულ ცხოვრებაში განისაზღვრება ამ კონცეფციის რეალიზების საშუალებებითა და შესაძლებლობებით. ბრძოლა რუსეთის ევროპიზაციისათვის, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში არის ბრძოლა ამ კერძომესაკუთრული ძალაუფლებრივი კონცეფციისა და სისტემის წინააღმდეგ. ფრიად მნიშვნელოვანი მომენტია ამ ბრძოლისა ის, რომ რუსეთის ისტორიაში, ფაქტობრივად

---

19 იხ. ვერნერ იეგერ "პაიდეია" შენიშვნები; გვ. 474-475.

*******************************************************************************

ბოლშევიკებამდე პირველი მსოფლიო ომის დროს, არავის უფიქრია ებრძოლა რუსეთის ტერიტორიულ-იმპერიული ექსპანსიის წინააღმდეგ თვით რუსეთში. იმპერიალიზმი არავითარ შინაგან წინააღმდეგობას არ აწყდებოდა (და არ აწყდება!) მხარდაჭერა და გამართლება კი საყოველთაო იყო. ამან თავისებური დაღი დაასვა რუსულ სოციალურ განვითარებასაც და რუსულ კულტურასაც. იმპერიის "იმპერატიულობა" იქცა რუსული პოლიტიკური და სოციალური აზრის "კატეგორიულ იმპერატივად". ამან განაპირობა ის, რომ სოციალური რეფორმებისათვის ბრძოლა რუსეთის მთელი ისტორიის მანძილზე არასოდეს არ გულისხმობდა იმპერიულ მონაპოვარზე უარის თქმას, ისევე, როგორც სტალინის მოთხრა და სტალინიზმის უარყოფა სრულიადაც არ ნიშნავს სტალინის იმპერიულ მონაპოვარზე უარის თქმას. ძალაუფლების ამ კერძომესაკუთრულ კონცეფციას ბევრი დამცველი ჰყავს და ახლა ვნახავთ თუ რამ შექმნა ამ დამცველთა ფენა და გააძლიერა ისინი ისე, რომ მათი დაძლევა შეუძლებელი გახდა თვით რეფორმებით ყველაზე მდიდარ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებშიც კი. მადამ დე სტალის მოსწრებული თქმა (1822 წლის 2 აგვისტოს -" En Russie le gouvernement est une despotisme mitigé par la strangulation") კარგად გამოხატავს რუსული ძალაუფლებრივი კულტურის არა მმართველობით, არამედ ძალმომრეობით-მბრძანებლობით ხასიათს. ცნობილი გადმოცემა რუსეთში ვარიაგთა მმართველებად მოწვევის შესახებ კონცეფტუალურადაა საინტერესო. მნიშვნელოვანი ამ გვიანდელ იდეოლოგიურ კონცეფციაში ისაა, რომ მასში აისახა ძალაუფლებაზე, როგორც ხალხისათვის უცხო ძალაზე წარმოდგენა და, ამავე დროს წარმოდგენა თვით ხალხზე, რომელსაც არ ძალუძს საკუთარი ძალებით თავის მართვა. ეს ორმაგობა არსებით მახასიათებლად დგინდება რუსული სახელმწიფოს განვითარების ისტორიაშიც და რუსული სახელმწიფოებრივ-სოციალური ტიპის ჩამოყალიბებაში. მეცხრამეტე საუკუნეში "სლავოფილებმაც" და "ზაპადნიკებმაც" ანუ ერთიანად რუსმა ინტელიგენციამ, თავისი ნაწერებით სავსებით ცხადჰყვეს ეს და აღიარეს. ევროპულ ისტორიაში ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ძალაუფლება გააზრებულია როგორც უცხო ძალა ადგილობრივი მოსახლეობისადმი. ყველგან სხვაგან ძალაუფლება (და ხელისუფლება ან მმართველი სისტემა) ამოზრდილია თვით ხალხის წიაღიდან, ჰომოგენურია მისთვის, ისტორიული განვითარების პროცესში ამაღლებული კლასია იგივე ხალხისა, იგივე სოციოკულტურული ერთობისა, იყოს იგი თუნდაც "ეთნიკურად" უცხო. უცხო ამ თვალსაზრისით არის ყოველთვის მტერი, შემოსეული და დამანგრეველი, რომლის წინააღმდეგ ერთნაირად იბრძვის მთელი ხალხი თავისი ადგილობრივი მმართველი კლასით (ან ხელისუფლებით), ისევე, როგორც თვით რუსეთში ხდებოდა გაერთიანება შემოსეული მტრის წინააღმდეგ - რაც ერთადერთი შემთხვევა იყო ძალაუფლების რუსული კერძომესაკუთრული იდეის დაძლევისა. ის ფაქტი, რომ რუსეთში ძალაუფლება თავისთავს განიხილავდა ხალხისადმი უცხოდ და, თავის მხრივ, ხალხიც მას უყურებდა როგორც მფლობელსა და განუყოფელ მმართველს, კარგად ჩანს ივანე მრისხანეს ბატონობის ერთი ეპიზოდიდან.

ივანემ გადაწყვიტა სამეფო ძალაუფლების დაყენება ყველაფერზე მაღლა ყველა ზნეობრივ კანონზე, მაღლა. ცხადია, კაცობრიობის პოლიტიკურმა ისტორიამ მრავლად იცის დესპოტიური რეჟიმები, რომლებიც "ძალაუფლებას ყველაფერზე მაღლა აყენებენ", მაგრამ ყველა დანარჩენ შემთხვევაში ეს მოვლენა დროებითი იყო და არ ქცეულა სახელმწიფოებრივი სისტემის პრინციპად და იდეად. გამოიხატა ეს პრინციპი სახელმწიფოში სრულიად განსაკუთრებული აპარატის ან, სისტემის შექმნით რომელიც, მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, ძალაუფლებრივი სისტემის არსებად იქცა; ეს იყო "ოპრიჩნინა". ოპრიჩნინა განსაკუთრებულ სისტემას წარმოადგენდა ("სისტემას სისტემაში"), რომელსაც მინიჭებული ჰქონდა საგანგებო პრივილეგიები და უფლებები. მთელი ქვეყანა გაიყო ამგვარად ორ ურთიერთგაუცხოებულ ნაწილად, რომელიც დროთა ვითარებაში ბიუროკრატიით შეიცვლება, მაგრამ სავსებით შეინარჩუნებს თავის "ოპრიჩნიკულ" ხასიათს. ეს ვერტიკალური ჭრილი, ცხადია არ ცვლიდა ჩვეულებრივ ჰორიზონტალურ კვეთას სისტემისა სხვადასხვა ფენებად. და რაც მნიშვნელოვანი იყო, არა მარტო ადამიანები განლაგდნენ ოპრიჩნინა - ზემსტვოს ვერტიკალებზე, არამედ ნივთიერ-უძრავი სამყაროც კი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობდა მაინც ჯერ კიდევ კულტურულად ჰომოგენური ერთობა, რომელიც თავს იცნობიერებდა გარკვეულ "ხალხურ" ერთობად, და საკუთარი ცხოვრების წესით ცხოვრობდა. წინააღმდეგობა ძალაუფლებასა და ხალხს შორის გამოხატული იყო ამ ძალაუფლების თვითნებურ - სტიქიურ და არაცივილურ ხასიათში, რაზედაც კიდეც მიუთითებდნენ პირველი რუსი "დისიდენტი" კურბსკი და პოლონეთის მეფე სტეფანე ბატორი.[20]

კლიუჩევსკი წერს, რომ პეტრეს წინამორბედთა მიერ დაწყებული და მის მიერ განგრძობილი

---

20 იხ. "ტოტალიტარიზმის რეინკარნაცია" წერილი II - "ივერია" 32.

რეფორმები ნაწილობრივ დასავლეთ ევროპის გავლენით იყო წამოწყებული და განხორციელებული ამავე ევროპის ადამიანთა მიერი ხელშეწყობით. "მანამდე ეს გავლენა, რუსული საზოგადოება რომელსაც განიცდიდა, ადგილობრივი წარმომავლობისა იყო. იგი ცხოვრობდა თავისი საკუთარი ცხოვრების პირობებით და თავისი ქვეყნის ბუნების მითითებებით.... მეჩვიდმეტე საუკუნემდე რუსული საზოგადოება გამოირჩეოდა თავისი ზნეობრივი შედგენილობის მთლიანობით. დიდებულსა (ბოიარინ) და ხოლოპს არაერთნაირად ნათლად ესმოდათ საგანთა. არაერთნაირად მტკიცედ იცოდნენ თავისი საცხოვრებისთო კათეხიზისი; მაგრამ ისინი თავის გაგებას ერთსადაიმავე წყაროდან იღებდნენ: ერთსა და იმავე კათეხიზისს იზეპირებდნენ და ამიტომაც კარგად ესმოდათ ერთმანეთის. შეადგენდნენ ერთგვაროვან ზნეობრივ მასას, თუ შეიძლება ასე გამოითქვას. დასავლეთის გავლენა არღვევდა ამ მთლიანობას. იგი არ აღწევდა ხალხში ღრმად. მაგრამ საზოგადოების ზედა კლასებში, რომლებიც თავისი მდგომარეობის გამოც იყვნენ უფრო გახსნილნი გარეგანი გავლენისათვის, ის გამუდმებით ბატონობდა. როგორც სხვადასხვა ადგილას არათანაბრად გაცხელებული შუშა სკდება, რუსული საზოგადოებაც ასევე გაიჩეხა სხვადა-სხვა ფენების მიერ არათანაბდრად შეთვისებული დასავლური გავლენით. "რასკოლ". (განხეთქვა) მომხდარი რუსულ ეკლესიაში მეჩვიდმეტე საუკუნეში, იყო საეკლესიო გამოხატულება ამ ზნეობრივი გაორებისა, გამოწვეულის დასავლეთის გავლენის მიერ რუსულ საზოგადოებაში. მაშინ დადგნენ ჩვენთან ერთმანეთის პირისპირ ორი მსოფლმხედველობა, ორი მტრული წყობა ცნებათა და გრძნობათა, ორი ბანაკი. საზოგადოების ხელმძღვანელი კლასები მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დარჩენილები, მოიცვა გულგრილობამ საკუთარი წარსულისადმი, რომლის სახელითაც იბრძოდა "რასკოლი", და მით უფრო ადვილად ემლეოდა უცხოურ გავლენას, ხოლო სტაროობრიადცებმა გამოგდებულებმა ეკლესიის კარიბჭის გარეთ, იწყეს მით უფრო შეუპოვრად შეძულება ჩამოტანილი სიახლეებისა, მიაწერდნენ რა მათ ძველ მართლმადიდებლურ, წმიდა მამათა რუსული ეკლესიის წარყვნას. ეს გულგრილობა ერთთა და სიძულვილი მეორეთა შევიდნენ რუსული საზოგადოების სულიერ შედგენილობაში, როგორც ადამიანთა სხვადასხვა მხარეს გამქაჩავი, საზოგადოებრივი მოძრაობის გამართულებელი ახალი ზამბარები. მეჩვიდმეტე საუკუნის ომებმა და პეტრე პირველის დაპყრობებმა რუსეთი სრულიად ახლებურ პოლიტიკურ ვითარებაში ჩააყენა და მას ბევრი ახალი მტერი და მოყვარე შესძინა. მთავარი კი ისაა, რომ რუსეთი გახდა ხალხთა ევროპული ოჯახის ორგანიული წევრი და დასავლეთევროპულ მოძრაობათა გულგრილი მაყურებლიდან, იქცა მათ აქტიურ, თუმცა ზოგჯერ არასასურველ და უნებურ მონაწილედ."[21]

რუსეთის "ევროპული" ისტორიაც ამ დროიდან იწყება.

ძველი "ბუნებრივი" ცხოვრების გამართულებელ ყველა პირობაში ჩანს ერთი ზამბარის მოქმედება - ესაა დასავლეთ ევროპის ზეგავლენა. პეტრეს დროიდან იგი გაძლიერდა. ამ გავლენას ეგუებოდნენ ასე თუ ისე, ვიდრე სესხულობდნენ ტექნიკურ, საწარმოო და სამხედრო მიღწევებს, მაგრამ, როდესაც ეს გავლენა შეეხო წარმოდგენებსა და ზნეობას, მის წინააღმდეგ ძლიერი მოძრაობა დაიწყო. პეტრესათვის ევროპა იყო სამაგალითო ფაბრიკა და სახელოსნო, ხოლო წარმოდგენები, იდეები, გრძნობები, ადამიანთა სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობანი, რომლებზედაც მუშაობდა ეს ფაბრიკა, მისთვის მიუღებელი იყო. "ევროპა გვჭირდება ჩვენ კიდევ რამდენიმე ათეული წლით, მერე კი შეგვიძლია ზურგი შევაქციოთ მას". პეტრეს დროის ხალხის მასა რეფორმებიდან გამოწვეულ მთელ სიმძიმეს აბრალებდა პეტრეს ირგვლივ მყოფ გერმანელებს და დასავლეთის გავლენაში ხედავდა ან გერმანელთა ხრიკებს ან კიდევ უწმიდური ძალის - ანტიქრისტეს - მოქმედებას. ხალხი თანდათან და სწრაფი ტემპით "მასად" იქცეოდა მისთვის გაუცხოებული ძალაუფლებისათვის, უფრო ადრე, ვიდრე მომწიფდებოდა ის პირობები, რომლებიც იწვევდნენ მასების ამოსვლას და მასათა ამბოხს ამზადებდნენ, ანუ ბურჟუაზიული ეკონომიკური ბაზისი მომზადდებოდა. ამას არსებითი მნიშვნელობა ექნება რუსეთის ისტორიის "აბრუნდებში".

გაუგებარი და შეუცნობელი გზებით, დასავლეთის გავლენა რუსეთზე, მოულოდნელად გადაიქცა რუსეთში "პათოლოგიურ სიმპტომად, ავადმყოფურ აღტკინებათა წყაროდ." ევროპული განათლებისა და კულტურის შემტანად რუსეთში გამოვიდა სამეფო (საიმპერატორო) კარი და თავადაზნაურობა. განსაკუთრებული ხასიათი შეიძინა ამ გავლენამ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეში. მაგრამ მიუხედავად ამ მძლავრი მოძრაობისა რუსეთში რჩებოდა ისეთი მძიმე და უძრავი ანტიევროპულობა, რომელმაც ათქმევინა ჩაადაევს ცნობილი სიტყვები. ეს იყო ძალაუფლების კერძომესაკუთრული არსება, ხალხისა და საზოგადოების გაუცხოვება და იმპერიულობა, რაც მთელს ძალებს მიმართავდა საზღვრების გაპართოებისაკენ და აღარაფერს სტოვებდა შინაგანი სოციალურ-

---

21 იხ. "В. О. Ключевский, неопубликованные произведения" Изд. "Наука" М. 1983; გვ.13-14.

კულტურული პრობლემებისათვის. გეონაციონალპოლიტიკამ სავსებით შეიწირა ეთნოსოციალური განვითარების ენერგია და რუსეთი მეოცე საუკუნეში შემოვიდა გარეგნულად უზარმაზარ სახელმწიფოდ. იმპერიად. რომელსაც მსოფლიოს 1/6 ეკავა. ევროპის "ჟანდარმად" და... ერთერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანად. პარადოქსულად. უახლესმა მოვლენებმა საბჭოთა კავშირში მიმდინარემ დაადასტურა, რომ რუსეთის იმპერიის (ან ამჟამად სსრკ) სინამდვილეში არსებითად არაფერი შეცვლილა. სახეზე გვაქვს იგივე კონცეფცია ძალაუფლებისა. იგივე განსაკუთრებულობა (ოპრიჩნიკობა) პარტიული სისტემისა, რომელიც თავისთავს მთლიანად სახელმწიფოსთან აიგივებს. და იგივე პრობლემები. რომლებიც არსებობდნენ პეტრედან მოყოლებული. რუსეთში ევროპული განათლება მით უფრო მძლავრი ნაკადით იჭრებოდა. რაც უფრო ნაკლები ხდებოდა ეს გავლენა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში. სოციალურ და პოლიტიკურ კონცეფციათა სისტემაში. ევროპულ ყაიდაზე ლაპარაკი იმდენად იყო შესისხლხორცებული. რომ თვით ევროპელთა გაკვირვებასაც კი იწვევდა. მაგრამ ყოველივე ამის იქით იყო ძალაუფლების თვითმპყრობელურ-მესაკუთრული იდეა. რომელიც ერთიანი საზოგადოებრივი მოძრაობის ნაცვლად. მაგალითად როგორიც იყო ევროპაში (მეთვრამეტე - მეცხრამეტე საუკუნეებში) წარმოშობდა პრივილეგიებისათვის მებრძოლ დაჯგუფებებს. ამიტომ თვით მეოცე საუკუნემდე არ გაჩენილა რეალური მისწრაფება ძალაუფლების თვითმპყრობელური ხასიათის შეზღუდვისა ანუ სოციალური და პოლიტიკური ევროპიზაციისა.

პეტრე პირველის მიერ დაწყებულმა მოძრაობამ განსაკუთრებულ სიმაღლეს მიაღწია ეკატერინე მეორეს დროს. შეუძლებელია ყველა საკითხს შევეხო. მაგრამ ერთი არსებითი მომენტი მაინც უნდა აღვნიშნო. ჯერ კიდევ პეტრემდე აუცილებელი სამსახური აჩვევდა თავადაზნაურობას ემოქმედა ძალაუფლების მითითებით. აძლევდა მას სხვადასხვა სახელმწიფოებრივი საქმის წარმოების ჩვევას. რომლებსაც სახელმწიფო (თვითმპყრობელი) მას აკალებდა. პეტრემ უფრო გარკვეული მიმართულება მისცა ამ ფენის საქმიანობას. აიძულარა ყოფილიყო ტექნიკურ სამხედრო-ადმინისტრაციული ცოდნისა და სამხედრო-ადმინისტრაციული გარდაქმნების გამტარებელი. პეტრეს შემდგომ თავადაზნაურთა გვარდიის (დვორიანსკაია გვარდია) მონაწილეობამ კარის გადატრიალებებში მისცა ამ ფენას პოლიტიკური ძალის შეგნება და. გარკვეულად. შექმნა წანამძღვარი სახელმწიფოებრივი წყობის შინაგანი გარდაქმნისათვის და პოლიტიკური ცვლილებებისათვის. მაგრამ რუსეთის ისტორიაში კანონის სახით გამოვლენილმა გეოპოლიტიკური მისწრაფების პრიორიტეტის პრინციპმა შინასოციალური განვითარების მიმართ არ მისცა საშუალება ამ დაწყებულ მოძრაობას რეალურ სოციალურ გარდაქმნად გაშლისა. ევროპიზაციის პროცესი რუსეთში დაემთხვა სახელმწიფოს საზღვრების მაქსიმალურ გაფართოებას. რაც ნიშნავს რუსეთის საზღვრებში სულ უფრო და უფრო განსხვავებული კულტურის ერების მოთავსებას და ამით. ეთნოსოციალური პრობლემების - ნაციონალურ და გეონაციონალურ რობლემებად გადაქცევას. ამავე დროს ეკატერინემ 1762 წლის 18 თებერვლის კანონით გაანთავისუფლა თავადაზნაურობა სავალდებულო სამსახურისაგან. გარდა სავალდებულო სწავლისა. სწავლა შეიქმნა თავადაზნაურობისათვის ახალ აუცილებელ სამსახურად. ამან ცხადია დიდად შეუწყო ხელი რუსული სულიერი შემოქმედების აყვავებას მეცხრამეტე საუკუნეში და მძლავრი მაღალგანათლებული არისტოკრატიისა და ინტელიგენციის ჩამოყალიბებას, რომელიც ყველაფერში ევროპული იყო. გარდა ერთისა - პოლიტიკურად და სოციალურად გულგრილი ეს განათლებული ფენა არ ისწრაფვოდა პოლიტიკური უფლებების მოპოვებისაკენ და იმპერიული ამბიციების შეზღუდვისაკენ. თავის მამულებში განსახლებული თავადაზნაურობა, ნაცვლად იმისა, რომ სათავეში ჩადგომოდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ევროპული მაგალითით, მიეცა "განცხრომას' და ერთადერთ საზრუნავად გაიხადა არა მიწისა და მეურნეობის კულტურა, არამედ გლეხთა მართვის საქმე. "კრეპოსტნოე პრავო", რომელიც ნაგვიანები ფეოდალიზაციის ცდა იყო, თავისი ბნელი მხარით მოუბრუნდა რუსეთის სოციალურ წყობას.

კლიუჩევსკი ასე აღწერს ამ განათლებული თავადაზნაურობის ყოფას მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში:

სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებაზე. მეურნეობაში განვითარებული ტექნიკისა და ხერხების გამოყენებაზე ზრუნვა თანდათან უკან გადადიოდა. მემამულური მეურნეობის მიზანი გახდა გლეხების მართვა და არა მიწის კულტურა. "კრეპოსტნოე პრავოს" მადლითა და ყმის უფასო შრომის წყალობით მემამულე, რომელიც განათლებული და სამაგალითო აგრონომი და სახალხო მეურნეობის გამძღოლი უნდა გამხდარიყო, გადაიქცა ყმების პოლიციურ მმართველად. მებატონე მიწას კი არ უწევდა ექსპლუატაციას მასზე მცხოვრები ყმების საშუალებით. არამედ ყმებს იმ მიწისა. რომელზედაც ისინი ცხოვრობდნენ. თავადაზნაურობა თავისთავს "შთამომავლობით მოხელეებად" თვლიდა. "რომელსაც მთავრობამ მისცა რა დასასახლებლად მიწა. ამავე დროს ჩააბარა ის ხალხიც. რომელიც ამ მიწაზე

**************************************************************************

ცხოვრობდა" ბატონყმობამ ამგვარი პოლიციური მმართულების მიცემით სოფლის მეურნეობისათვის თავადაზნაურთა მამულებში, მეტად უარყოფითი როლი ითამაშა თვით თავადაზნაურობის მდგომარეობისათვისაც და საერთოდ რუსულ ეკონომიკაში. ამან გამოუმუშავა რუს გლეხს ჩვევა, მეურნეობის ინტენსიფიკაციის ნაცვლად, დაემუშავებია მეტი და მეტი მიწა. ნაგვიანები "ფეოდალიზაცია" პოლიციურ-ბატონყმურ სისტემად შემობრუნდა, რამაც წარმოშვა ის პარადოქსული ვითარება რომელსაც ვხედავთ რუსეთში მთელი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების განმავლობაში. ეკატერინეს თავი მოჰქონდა განმანათლებლებთან "მეგობრობით" და მიმოწერით; თავისი "ნაკაზი" ან "მითითებანი" მან მონტესკიესა და ბეკკარიას - ევროპული აზრის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით შეადგინა, ხოლო გლეხები კი მონებად აქცია. ვოლტერთან მიმოწერით ერთობოდა, თვითონ კი გლეხებს ნივთებივით საჩუქრად არიგებდა. ამგვარი წინააღმდეგობა, გახლეჩა ცნობიერებისა დამახასიათებელია რეფორმების პერიოდის მთელი რუსული სინამდვილისათვის, მოყოლებული მეჩვიდმეტე საუკუნიდან. ამ ევროპულად იდეალურ მწიგნობრულ პროექტებსა და სინამდვილეს შორის არსებული წინააღმდეგობა მეტად თავისებურ აზროვნებას უნვითარებდა განათლებულ რუს საზოგადოებას. პეტრესათვის რუსეთი და რუსი ხალხი არ იყო ევროპული სახელმწიფო და ერი. ეკატერინესათვის კი რუსი ერი თავისი მდგომარეობით ევროპელი ერი იყო. ამიტომაც პეტრე ევროპიდან დროებით იღებდა განვითარებისა ტექნიკურ საშუალებებს, და უპირველესად, სამხედრო საჭიროებებისათვის, რომლითაც იგი ევროპაზე ამაღლებასაც კი აპირებდა. ეკატერინე კი ევროპიდან იღებდა სოციალურ და პოლიტიკურ იდეებს და ქმნიდა ევროპულ კანონმდებლობას - ე.ი. რუსეთში ევროპას აარსებდა. მაგრამ ევროპელ ერთა განუწყვეტელი მოღვაწეობითა და ბრძოლით ბუნებრივად და ისტორიულად განვითარებული კანონები არაფრის მომტანი იყო რუსეთში, რომლის ისტორიული განვითარება სრულიად სხვა მიმართებისა იყო. რუსეთის ყოფიერების ეს კონტრადიქტული არსება მთელის ძალით გამოვლინდა რევოლუციის შემდეგ. შეიძლება სრულის დარწმუნებით ითქვას, რომ რეალობა კომუნისტური სისტემისა მომდინარეობდა რუსული ძალაუფლებრივი და ბატონყმური სისტემის ტრადიციიდან. კომუნისტურმა რეჟიმმა მოახდინა რუსეთის ისტორიაში გაბნეული ყველა იმ ელემენტის ინტეგრირება, რომელიც განსაზღვრავდა რუსეთის ისტორიული ყოფიერების კონტრადიქტულობას და მის ტიპოლოგიურად არაევროპულ, "ამბივალენტურ" სისტემად ჩამოყალიბებას.. ოპრიჩნინადან მოყოლებული რუსეთის ისტორიული ყოფა ამ კონტრადიქტულობით ხასიათდება. და გვაძლევს მეტად პარადოქსულ ვითარებას. ერთის მხრით სულ უფრო და უფრო განათლებული და "ევროპიზირებული" თავადაზნაურობა სულ უფრო მეტად დაშორებული თავის სამშობლოს რეალობას და უგულვებელმყოფი ამ რეალობისა, ხოლო მეორეს მხრივ კი სრული ეკონომიკური და სოციალური "ანტიევროპულობა", რომელიც კიდევ უფრო მძიმდებოდა ძალაუფლების კერძომესაკუთრული პრინციპებითა და იმპერიალიზმით. უცხოელები, რომლებიც რუს განათლებულ საზოგადოებას აგვიწერენ, აღნიშნავენ, რომ სახლში აღზრდილი რუსი ახალგაზრდობა ევროპაში ყველაზე განათლებული და ყველაზე ფილოსოფიურია და თავისი ცოდნით ჯობნის გერმანულ უნივერსიტეტებში განსწავლულ ახალგაზრდებსო. მაგრამ ეს გაევროპულება და მოწყვეტა საკუთარი ნიადაგიდან, ან "გაფრანგულება" კიდევ უფრო აღრმავებდა იმ ბზარს, რომელმაც თავის დროზედ გახლიჩა რუსული ცნობიერება და რეალობა და ხალხში მეტად სპეციფიურ "სტიქიურ" ძალებს აღაგზნებდა. რეფორმები რუსეთში ამიტომაც იყო არა შინაგანი განვითარების აუცილებლობით გამოწვეული, არამედ გეონაციონალპოლიტიკური, სამხედრო და იმპერიული მოთხოვნილებით, და ტარდებოდა ძლიერი ძალაუფლების თვითმპყრობელური ნებით. საზოგადოების როლი ამ რეფორმებში მინიმალური იყო. ძალაუფლებას მანამდე შეეძლო რეფორმების გატარება, ვიდრე ძალაუფლებას მტკიცედ და უჭოჭმანოდ ფლობდა, როგორც თავის პირად საკუთრებას. მთელი მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ისტორია გვიჩვენებს, რომ რუსეთის დაახლოვება ევროპასთან, როგორი კონტრადიქტულიც არ უნდა ყოფილიყო იგი და როგორი უშუალო შედეგებიც არ უნდა ჰქონოდა მას სოციალური თვალსაზრისით, ასუსტებდა ძალაუფლებას და თანდათან ქმნიდა წანამძღვარს სოციალური და პოლიტიკური სისტემის რეალურად ევროპულ ე.ი. სამართლებრივ და კონსტიტუციურ საფუძველზე დაფუძნებისა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, 1861 წლიდან მოყოლებული, როდესაც რუსეთში გაუქმდა ბატონყმობა, რუსეთი დაადგა ევროპული განვითარების გზას. ეს იყო მეტად ნელი და ძნელი სვლა, რადგან დამძიმებული იყო საკუთარი იმპერიალიზმითა და ძალაუფლების თვითმპყრობელურ-კერძომესაკუთრული იდეით. მიუხედავად ამისა, ევროპიზაციამ ამ იდეასაც ბზარი გაუჩინა და შეამზადა ნიადაგი რუსეთის რევოლუციისათვის. რევოლუციის შედეგად, მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთი შეცვლიდა ძალაუფლების ტრადიციულ ანტიევროპულ იდეას და საშუალებას მისცემდა

საზოგადოებას ჩაბმულიყო ქვეყნის მართვის საქმეში. და საფიქრებელია, რომ ეს ასეც მოხდებოდა. რუსეთში რომ რესტავრაცია მომხდარიყო (საფრანგეთის ან ინგლისის მაგალითზე) და რუსეთს ეს თავისი იდეური "კუზი" მოეშორებია. მაგრამ აქაც ურთიერთს დაეჯახა ორი ძირითადი ტენდენცია, რომელიც განსაზღვრავდა რუსეთის ისტორიული განვითარების კონტრადიქტულობას: ძალაუფლების დასუსტებამ და იდეის შეცვლამ გამოიწვია ყველა დაგუბებული და ძალმომრეობით დათრგუნული სოციალური, ნაციონალური და პოლიტიკური ძალების ერთდროული ამოფრქვევა, რასაც ახალგამოჩეკილმა "ევროპულმა" მთავრობამ ვერ გაუძლო.[22] იმპერია დაინგრა და თან გადაიყოლა ის ნერგიც, რომელიც შეიძლებოდა ახალი ევროპული რუსეთის სოციალურ და პოლიტიკურ ხედ გაზრდილიყო. ბოლშევიკების მოსვლით ძალაუფლების სათავეში რუსეთის ისტორია თავის "საწყის" სტიქიურ ვითარებას დაუბრუნდა და მოახდინა ყველა იმ "ანტიევროპული"საფუძვლების ინტეგრირებული რესტავრაცია, რომელზედაც, ივანედან მოყოლებული, აშენდა და გაივრცო იგი მსოფლიოს 1/6 ნაწილზე.

ასეთია ის საერთო ფონი, რომელზედაც არის გამოკვეთილი რუსული კულტურის პარადოქსულად მწიფე სულიერი ნაყოფი. ეს ნაყოფი თავისი არსებით არის თავისებური ხატი იმ "ევროპიზაციისა" რომელიც განიცადა რუსეთის თავადაზნაურობამ და რაზნოჩინულმა ინტელიგენციამ მეთვრამეტე-მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეში, მიუხედავად მისი სოციალური და პოლიტიკური "ამოვარდნილობისა" რეალური შესაქმიდან და სოციალურ სტიქიად დარჩენისა. ეს პარადოქსია აგრერიგად რომ ამძაფრებს საკითხს, დასმულს ამ წერილის დასაწყისში: რა არის რუსეთი?.. საკითხს, რომელიც თვით რუსული ცნობიერების (თვითცნობიერების) ნამდვილ ენიგმად იქცა. ამ საკითხის გაშუქებას მიეძღვნება მომდევნო ნაწილი.

*

* *

---

[22] ცხადია, "რუსეთის რევოლუციად" მხოლოდ თებერვლის რევოლუცია წარმოგვიდგება, "ბურჟუაზიულ-დემოკრატიული" და არა ბოლშევიკური გადატრიალება და ძალაუფლების უზურპაცია.

დავით ვაჩნაძე

## სამშობლოს სამსახურში
### (მოგონებანი)
ნაწილი II - გაგრძელება.

### სომეხ-ქართველთა შეჯახება

1918 წლის ნოემბრის დამლევს, საქართველოს მიწა-წყალი მიატოვა გერმანული ჯარის უკანასკნელმა რაზმმა. დაღონებული ვაცილებდი თბილისის სადგურიდან გენერალ კრეს ფონ კრესენშტაინს თავისი სამხედრო-პოლიტიკური მისიით. ვგრძნობდი, რომ საქართველოს ჯერ კიდევ ნორჩი თავისუფლება, რომლის დაცვა-გამაგრებისათვის გერმანელებმა საკმაო ღვაწლი გაიღეს, კვლავ განსაცდელში ვარდებოდა. ამასვე გრძნობდა ყველა ქართველი. საიმპერატორო გერმანიის ისეთი მოწინააღმდეგეც კი, როგორიც იყო წითელი გვარდიის შეფი, მემარცხენე სოციალ-დემოკრატი ვალერიან ჯუღელი, მაშინ სწერდა: "ერთი რამ ყველასათვის ნათელია: გერმანიამ დაგვიცვა ჩვენ თურქთა ვანდალიზმისაგან და სხვა მრავალ გარეშე ხიფათისაგან (ვ. ჯუღელი, "მძიმე ჯვარი", გვ. 75).

მართლაც ასე მოხდა. გერმანელების წასვლის შემდეგ, ძალიან ჩქარა, საქართველოს ახალი საზრუნავი გაუჩნდა. საქართველო-სომხეთის საზღვრის რაიონებში დაიწყო სომეხ-ქართველთა სისხლიანი შეჯახებები, რომელიც 1918 წლის 18 დეკემბერს, ოფიციალურად სომეხ-ქართველთა ომად გამოცხადდა. ეს ომი მხოლოდ 12 დღე გაგრძელდა და ორსავე მხარეს მეტად მცირე მსხვერპლი ჰქონდა. ამიტომ, ჩვენი აზრით, სომეხ-ქართველთა ამ კონფლიქტის "ომად" მონათვლა ისტორიულ გაუგებრობას უნდა მიეწეროს.

*

სომეხთა რაზმების შემოტევა დაიწყო 13 დეკემბერს ბამბაკიდან. ისინი თავს დაესხნენ სოფ. ვორონცოვკაში (ბორჩალოს რაიონი) გენერალ ივანე ციციშვილის მცირე რაზმს, რომელიც მხოლოდ 100 კაცისაგან შესდგებოდა. მის განკარგულებაში იყო მხოლოდ ერთი ქვემეხი (მეორე ქვემეხი ბრძოლის დროს გაუფუჭდა). ივ. ციციშვილი, მთელი ერთი კვირის განმავლობაში მამაცურად იგერიებდა რიცხობრივად ათჯერ მეტ მოწინააღმდეგეს, რითაც მისცა საშუალება ქართველებს, დაეგროვებინათ თავისი ძალები სოფ. ეკატერინოფელდში. თვითონ გენერალი ივ. ციციშვილი, ამის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:

"უკვე ნოემბრიდან დაწყებული, მე რამდენჯერმე ვაცნობე სოფ. ვორონცოვკიდან ჩვენს

მთავრობას. იმის შესახებ, რომ სომხები დიდ სამზადისში არიან საქართველოზე თავდასასხმელად და მოვითხოვდი ჩემი პატარა რაზმის გაძლიერებას. მაგრამ ყველა ეს განცხადება უყურადღებოდ იყო დატოვებული. ვორონცოვკიდან დაწყებული ეკატერინოფელდამდე, 70 ჯარისკაცით, დიდი გაჭირვებით ვაკავებდი სომეხთა კარგად შეიარაღებულ ექვს ასეულს. ერთი კვირის განმავლობაში ვიხევდი უკან ბრძოლებით, რათა ჩვენებისათვის მიმეცა დრო. 18 დეკემბერს, საღამოს შევედი ეკატერინოფელდში და მიუხედავათ საშინელი მოქანცულობისა, დაუყოვნებლივ გავეშურე ქართული შტაბის სადგომისაკენ. ოთახში დამიხვდნენ: ვალ. ჯუღელი, გენერალი სტეფანე ახმეტელი და სახალხო გვარდიის შტაბის სხვა წევრები. ისინი მაგიდას მისხდომოდნენ და რუკებს ათვალიერებდნენ. მოკლედ ვაუწყე მათ ჩემი თავგადასავალი და გავაფრთხილე, რომ სომხებს საგრძნობი ძალები ჰყავთ და ეხლა ისინი შეეცდებიან ეკატერინოფელდის გარშემო მდებარე მაღლობებზე გამაგრდნენ მეთქი. ჩემი აზრით საჭირო იყო ჩვენ დაგვესწრო სომხებისათვის და დაგვეკავებინა ეს მაღლობები. ვ. ჯუღელმა და ს. ახმეტელმა ღიმილით მიპასუხეს - ბატონო გენერალო, ნუღარ შესწუხდებით, წაბრძანდით დასასვენებლად, ვინაიდან ზედმეტად დაღლილი ბრძანდებით. რაც შეეხება თქვენ ცნობას სომხების ძალის შესახებ, ვფიქრობთ, რომ გადამეტებულია, ისევე, როგორც თქვენი შიში მათ სწრაფ შემოტევაზე.

მე მეტად გაკვირვებული დავრჩი ასეთი პასუხის გამო. მადლობას არ მოველოდი, ვინაიდან ვასრულებდი ქართველი მხედრის ვალს, მაგრამ არც ასეთი უდარდელი, დამცინავი და ნახევრადუზრდელი პასუხის ღირსი ვიყავი. უსიტყვოდ გამოვბრუნდი და გამოვედი გარედ.

მეორე დღეს, 19 დეკემბერს, სომხები სწორედ იმ მაღლობებიდან დაესხნენ თავს ქართველებს, ამოხოცეს ჯუღელის გუშაგები და კინაღამ მთელი ეკატერინოფელდი ჩაიგდეს ხელში. 20 დეკემბერს, მაშველი ძალა რომ არ მოსულიყო, ქართველები უეჭველად დამარცხდებოდნენ და სომხებს თბილისისაკენ გზა გახსნილი ექნებოდათ".

ვ. ჯუღელი ამოწმებს თავის განსაცდელს ამ დღეებში და დღიურში სწერს: "19 დეკემბერი. ბრძოლები ეკატერინოფელდთან. ჩვენი დამარცხების შემთხვევაში მე გადავწყვიტე თავის მოკვლა".

ასე დაიწყო სისხლიანი შეჯახება ორ უძველეს, მეზობელ ქრისტიან ერებს შორის. ასე ეკვეთნენ ერთმანეთს ორი პატარა მოძმე ერი. როგორც ახლომდგომი პირი იმდროინდელ ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობასთან, მეც უნებლიე მონაწილე გავხდი ამ ბრძოლისა. ჩემი მოგონებებით მე მსურს ნათელი მოვფინო ამ ისტორიული ამბავის ზოგიერთ მნიშვნელოვან მხარეს, რომელიც, ნებსით თუ უნებლიეთ, არ არის აღნიშნული ოფიციალურ მემატიანეთა მიერ.

* *

19 დეკემბერს, ნაშუადღევს, თბილისში უკვე გავრცელდა ხმა, რომ სომხები უეცრად თავს დაესხნენ ვ. ჯუღელის გვარდიის რაზმს ეკატერინოფელდში, დახოცეს გვარდიელების საგრძნობი რიცხვი და მათ შორის ცნობილი სანდრო მუსერიძე. მეტად შეწუხებული ამ უმსგავსო შეტაკებითა და ჩვენი პირველივე მარცხით თბილისის მისასვლელებთან, საღამო ჟამს ვბრუნდებოდი სახლში შავი ფიქრებით მოსილი.

- სომხები თუ თბილისში შემოიჭრნენ, სომეხ-ქართველთა დამოკიდებულება ერთი საუკუნით მაინც გაფუჭდება და ამ გარემოებით ალბათ მესამე ვინმე ისარგებლებს გარედან. ორივე ჩვენ ქვეყანას მოასხრჩობენ! - ასე ვფიქრობდი გუნებაამღვრეული, ბინაზე მისვლის შემდეგ, ჩემ სამუშაო ოთახში. იმ ღამეს ტანზეც არ გამიხდია და დილის რიჟრაჟზე ძლივს ჩავთვლიმე. მაგრამ, მალე მომესმა ზარის ხმა. სასწრაფოდ წამოვდექი, გავაღე ფანჯრის დარაბი და ქუჩას გადავხედე. დავინახე სამხედრო მინისტრის ავტომობილი, სადაც მინისტრის თანაშემწე გენერალი შაქრო მდივანი იჯდა. დამინახა თუ არა შემომძახა:

- ბატონო დავით, მოვედი თქვენს წასაყვანად. სამხედრო მინისტრი გიბარებთ სასწრაფოდ.

რამოდენიმე წუთში მოვემზადე, ამოვუჯექი გვერდში ქართველ გენერალს და მანქანამ სამხედრო სამინისტროსაკენ გაგვაქანა.

- რა ამბავია ბ-ნო გენერალო? - შევეკითხე გზაზე დაღვრემილ შაქრო მდივანს, თანაც პასუხის მეშინოდა, ვფიქრობდი: ვაი თუ თბილისის დაცლა გვიხდება მეთქი!

- ძალიან ცუდი, სომხები რკინიგზის სავალით ორ საათის მანძილზე არიან თბილისიდან, - ხელის ჩაქნევით მიპასუხა გენერალმა. მეც ხმა აღარ ამომიღია. ავტომობილი შეჩერდა ყოფ. ბარატინსკის დაღმართზე აღმართულ თეთრ სამხედრო შენობასთან. შევყევი გენერალ მდივანს სამინისტროს შენობაში. კედლის საათმა 7-ჯერ დაჰკრა. ადიუტანტმა მინისტრის კარები გაგვიღო.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე დიდ დარბაზში წინ და უკან დადიოდა. მხურვალედ მომესალმა:

- ბატონო დავით, დიდათ გმადლობთ, რომ თხოვნა შემისრულეთ და მობრძანდით. მაქვს თქვენთან მეტად სასწრაფო საქმე. მიკლედ გეტყვით: სომხები უახლოვდებიან თბილისს, მთავრობამ ვერ

მოასწრო მობილიზაცია. მაგრამ თბილისში არიან ძალები, რომელთა გაგზავნა ფრონტზე შეიძლება. ამასთანავე, ჯარისათვის საჭიროა მომარაგება. ერთი სიტყვით ჩვენ გსაჭიროებთ თქვენსა და თქვენი მეგობრების დახმარებას. თქვენი იმედი გვაქვს ბატონო დავით! დაგვეხმარეთ!

- ბატონო მინისტრო, ბევრი თხოვნა არ მესაჭიროება. - მივუგე მე. - როგორც ქართველი, მოვალე გახლავართ ჩვენი სამშობლოსათვის ყველაფერი გავაკეთო. მაგრამ, როგორ და რითი დაგეხმაროთ?

- თქვენ უნდა იკისროთ ჯარის შეკრება და მისი დაუყოვნებლივი გაგზავნა ფრონტზე. - მითხრა სამხედრო მინისტრამა და თანაც დაუმატა. - თქვენ, როგორც პარლამენტის წევრმა, უნდა იცოდეთ, რომ ამ ომისათვის მთავრობამ უკვე დასდო 25 მილიონი მანეთი. ეს თანხაც თქვენს განკარგულებაში გადმოვა.

ამ საუბარში ვიყავით გართული, რომ შიკრიკმა სასწრაფო დეპეშა შემოიტანა. გიორგაძემ დეპეშა წაიკითხა და გაფითრებულმა გამომიწოდა. ქართული ძალების სარდალი გიორგი მაზნიაშვილი იტყობინებოდა:

"თუ დღეს, 20 დეკემბერს, საღამომდე არ მომაშველებთ 500 ჯარისკაცს მაინც, წითელ ხიდს სომხები აიღებენ და ნავთლუღისაკენ გზაც მათთვის გახსნილი იქნება".

ყოყმანის დრო აღარ იყო. მივუბრუნდი გიორგაძეს და მოვახსენე ჩემი პირობები: ომის განმავლობაში უნდა ვყოფილიყავი აღჭურვილი სამხედრო მინისტრის სრული უფლებებით: შემდეგ, აღედგინათ ჩემთვის პოლკოვნიკის კუთვნილი ხარისხი, რათა გამმადვილდებოდა ჯარში მუშაობა; ჩემს განკარგულებაში უნდა გადმოსულიყო აგრეთვე მინისტრის ერთი მსუბუქი ავტომანქანა თავისი შოფერით, ორი დიდი საბარგო ავტომანქანა და შიკრიკი.

- ფული კი არ მესაჭიროება - ვუთხარი მე გიორგაძეს. - საგზაო ხარჯებს თვითონვე გავსწევ და ანგარიშს წარმოგიდგენთ. თანახმა ბრძანდებით თუ არა ამ პირობებზე?

- დიახ! - მიპასუხა სამხედრო მინისტრმა.

მაშინვე დაიწერა ჩემი "დროებითი მინისტრობის" საბუთი და იგი ნახევარ საათში გაფორმებული უკვე ხელთ მქონდა. თავის მხრით, გიორგაძის თანაშემწემ გენერალმა მდივანმა გააგზავნა ადიუტანტი და მოატანინა ჩემთვის პოლკოვნიკის ახალი პაგონები. დილის 9 საათზე, ქართულ სამხედრო ჩოხაში და იარაღში გამოწყობილი უკვე ავტომობილში ვიჯექი. გამომშვიდობებისას გიორგაძემ და მდივანმა მთხოვეს:

- სადაც არ უნდა იყოთ, 3 საათისათვის გაგვაგებინეთ თუ რა მოიმოქმედეთ, რათა ჩვენის მხრით გენერალი მაზნიაშვილი გავამხნევოთ.

- გთხოვთ ეხლავე დაუკრათ დეპეშა მაზნიაშვილს, რომ მაშველი ძალა ამ საღამოსვე წავა წითელი ხიდისაკენ! - ვუპასუხე ორივეს და მანქანა ავლაბრისაკენ გავაქანე.

*

ქართული ჯარის ნაწილების უმეტესობა ავლაბარ-ნავთლუღის რაიონში მდებარე, ყოფილ რუსულ ყაზარმებში ბინადრობდა. პირველად მივადექი მე-5 ათასეულის სადგომს. ყაზარმის ეზო მოხეტიალე, უსაქმო ჯარისკაცებით იყო გატენილი. მზიანი დღე იდგა. თვალი მოვკარი ქართველ ოფიცერთა ჯგუფს, რომელნიც საოფიცრო ბინის შესავალ კიბეზე ჩამომსხდარიყვნენ და არხეინად მზეზე თბებოდნენ. ჩემი მანქანა პირდაპირ გაემართა და მათ წინ გაჩერდა. ოფიცრებმა, რომ დაინახეს ავტომანქანაზე მინისტრის ალამი და მეც ქართულ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი, ფეხზე წამოდგნენ. მივესალმე და გსთხოვე დაუყოვნებლივ შეგროვილიყვნენ შიგნით დარბაზში. დავიბარე მათი უფროსიც - პოლკოვნიკი ბალუაშვილი. რამოდენიმე წუთში საოფიცრო დარბაზში თავი მოიყარა ოციოდე ქართველმა ოფიცერმა. მალე ათასეულის უფროსი პოლკოვნიკი ბალუაშვილიც მოვიდა. მე ავუხსენი ყველას, ქვეყნის განსაცდელი და მოვუწოდე დაუყოვნებლივ დაეწყოთ თავისი ნაწილების მომზადება სალაშქროდ.

- ბატონო პოლკოვნიკო, დღეს, საღამოს 9 საათზე, თბილისის სადგურის სამხედრო ბაქანზე, თქვენი ათასეულისათვის მზად იქნება მატარებელი, რომელიც მიგიყვანთ წითელ ხიდთან გენერალ გ. მაზნიაშვილის განკარგულებაში. ამ ბრძანების შესრულება აუცილებელია. გიბრძანებთ ამას, როგორც სამხედრო მინისტრის ნაცვალი! - მტკიცე ხმით ვუბრძანე პოლკოვნიკ ბალუაშვილს და თანაც ჩემი საბუთი გადავეცი.

- ბატონი ბრძანდებით. მხოლოდ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ რომ მე-5 ათასეულში მე მყავს მხოლოდ 500 კაცი. ისინი სრულიად ჩაუცმელნი არიან. ნაწილს იარაღიც არა აქვს. ბატონ ოფიცრებს კი არაფერი აბადიათ, გარდა იმისა, რაც ზედ აცვიათ! - მითხრა აღელვებით პოლკოვნიკმა ბალუაშვილმა.

შუადღემდის ყველაფერს ჩაგაბარებთ, რაც თქვენს ათასეულს დასჭირდება, 1000 კაცის ვარაუდით. შეუდექით დაუყოვნებლივ საგზაო სამზადისს, ბ-ნო პოლკოვნიკო! - განუმეორე მას ბრძანება.

- ბატონო ოფიცრებო, მიბრძანდით თქვენს ნაწილებში და მოამზადეთ ჯარისკაცები სალაშქროდ! მისცა მათ ბრძანება პოლკოვნიკმა ბალუაშვილმა.

ოფიცრები გაეშურნენ თავიანთი ასეულები-

საკენ. მათი რიგებიდან მომიახლოვდა ნაცნობი კაპიტანი ვანო შერვაშიძე და გაბრწყინვებული სახით ხმადაბლა დამეკითხა:

- ბატონო დავით, "გადატრიალება" ხომ არ მოხდა, რომ თქვენ სამხედრო მინისტრის როლში გხედავთ?

- არა, მხოლოდ "დროებითი შეტრიალებაა", როგორც ყოველთვის, "გაჭირვების ტალკვესი" გახლავართ. მაგრამ, ამაზე არ არის საჭირო ლაპარაკი. პოლიტიკური ანგარიშსწორებისათვის ეხლა დრო არა გვაქვს. ჩვენი სამშობლო განსაცდელშია ჩავარდნილი. იმედი მხოლოდ ძველი ქართველი მხედრობისა მაქვს. სწორედ იმიტომ ვიკისრე ასეთი პასუხისმგებლობა, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სავსებით სამართლიანად გამწყრალნი ხართ საქართველოს დღევანდელ მმართველობაზე. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ისიც ვიცი, რომ ამის გამო თქვენ არ მიატოვებთ სამშობლოს. იმედი გქონდეთ - ყველაფერში დაგეხმარებით. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ გამარჯვებისათვის. ნახვამდის! - გამოვეთხოვე ცნობილ კაპიტანს თავად ვანო შერვაშიძეს და გავეშურე ტელეფონისაკენ.

*

- ნავთლუღის სამხედრო საწყობია? სთხოვეთ სასწრაფოდ ტელეფონთან საწყობის უფროსს!

- ნავთლუღის საწყობის უფროსი პოლკოვნიკი თათარაშვილი გელაპარაკებათ!

- გთხოვთ, დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ მე-5 ათასეულის 1000 ჯარისკაცისა და 60 ოფიცრისათვის საზამთრო ტანსაცმელისა და სხვა საჭირო საგნების სრული კომპლექტი. - ვუბრძანე თათარაშვილს.

- არ შემიძლია! არც ხალხი მყავს და არც საბარგო მანქანები - მიპასუხა მან.

- ორი საბარგო ავტომობილი უკვე გამოვის-ტუმრე თქვენი საწყობისაკენ. ეხლა 10 საათია, თუ 11, 1/2 საათამდე ჩემი ბრძანება არ იქნება შესრულებული, მაშინ, ბატონო პოლკოვნიკო, ჩასთვალეთ თქვენი თავი გადაყენებულად და თქვენი თანამდებობა გადაეცით თქვენს თანაშემწეს. გელაპარაკებათ სამხედრო მინისტრის დავალებით პოლკოვნიკი დავით ვაჩნაძე! - ვუთხარი მტკიცე ხმით საწყობის გამგეს.

- ბატონი ბრძანდებით, თქვენი ბრძანება შესრულებული იქნება! - მომესმა პოლკოვნიკი თათარაშვილის უკვე შეშინებული ხმა.

- ველოდები თქვენს ტრანსპორტს საათით ხელში! არ დაიგვიანოთ არცერთი წუთით ბ-ნო პოლკოვნიკო, - გავაფრთხილე კვლავ თათარაშვილი და ჩამოვკიდე ტელეფონის მილი.

*

პოლკოვნიკმა ბალუაშვილმა, მოჰკრა რა ყური ამ არაჩვეულებრივ ლაპარაკს, გათამამებულმა მითხრა:

- 100 თოფი გვაკლია, ბატონო დავით, არსენალში არის, მაგრამ არ გვაძლევენ!

ეხლა არსენალს დავურეკე:

- ტელეფონთან პოლკოვნიკი გ. გედევანი-შვილია.

- ბატონო პოლკოვნიკო, გთხოვთ ეხლავე ჩააბაროთ მე-5 ათასეულს 300 ცვარდიის თოფი. გელაპარაკებათ სამხედრო მინისტრის მაგიერ პოლკოვნიკი დ. ვაჩნაძე.

- მომილოცნია დავით ახალი თანამდებობა, მაგრამ თხოვნის შესრულება, სამწუხაროდ, არ შეგვიძლია. სხვა შეკვეთები გვაქვს ბევრი. მხოლოდ 100-მდე თოფს თუ მოვახერხებთ და ესეც მხოლოდ ხვალისათვის, - მიპასუხა ჩემმა სკოლის ამხანაგმა გიორგი გედევანიშვილმა.

- თუ ასეთი გაჭირვების ჟამს, მაგოდენა არსენალს არ შეუძლია რამოდენიმე ასეული თოფის ქართული ჯარისათვის სასწრაფოდ მიწოდება, მაშინ თქვენი "დუქანი" უნდა დაიკეტოს. გიორგი, გადაეცი არსენალის უფროსს, რომ, თუ ამ ჩემს ბრძანებას არ შეასრულებს 3 საათამდე, გადაყენებული იქნება თანამდებობიდან.

- ოჰო, ეს უკვე ხუმრობა აღარ არის, - მომესმა გედევანიშვილის მხიარული ხმა. - მივდივარ ბატონო თქვენი ბრძანების გადასაცემად. გთხოვთ რამოდენიმე წუთით დამიცადოთ ტელეფონთან.

ცოტახნის შემდეგ მივიღე პასუხიც:

- 300 ახალი თოფი მზად იქნება დანიშნულ დროზე. მოგვაშველეთ მათ წასაღებად საბარგო ავტომობილი.

დანიშნულ 11,1/2 საათზე, მე-5 ათასეულის ყაზარმის ეზოში შემოგრიალდა ოთხი დიდი საბარგო ავტომობილი. მანქანები პირამდე დატვირთული იყო 1000 ჯარისკაცისა და 60 ოფიცრისათვის საჭირო საგნებით: ჩექმებით, თბილი ტანსაცმლით, ახალი სალაშქრო ამუნიციით და სხვ. ჯარისკაცებისა და ოფიცრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ თბილი ტყავები და ახალი ჩექმები დაურიგდათ. პოლკოვნიკი ბალუაშვილი გამომიტყდა:

- ასეთ სიუხვეს არ ველოდი. ვფიქრობდი, მხოლოდ ნახევარს გამოგვიგზავნიდნენ. თუ დღეს 300 თოფიც მივიღეთ, მოგახსენებთ, რომ საღამოს 9 საათისათვის სადგურზე 900 კაცს მოვიყვან!

- რანაირად, ბ-ნო პოლკოვნიკო? საიდან? - გაკვირვებით ვკითხე მე.

- ავლაბარი სავსეა მოხეტიალე სათადარიგო ჯარისკაცებით. დავაგზავნი ოფიცრებს, მოვაგროვებ

მათ და შევავსებ ათასეულს. - მითხრა გახარებით ბალუაშვილმა.

პოლკ. ბალუაშვილს ვუბრძანე, ერთი საბარგო ავტომობილი არსენალში გაეგზავნა თოფების მოსატანად. მეორე მანქანა კი თან გავიყოლე და ნავთლუღისაკენ გავემართე. იქ ქართული ცხენოსანი ნაწილები მეგულებოდა.

*

ავლაბრის მოედანს რომ გავცილდი, კახეთის შარაგზის მარჯვენა მხარეზე თვალი მოვკარი მწკრივად მჯდომარე ხალხს. მივუახლოვდი და გავოცდი: ნაბდის ქუდებში, შავ ჩოხებსა და ხმალ-ხანჯალში გამოწყობილი 50-მდე თუში იდგა. ჩამოვედი ავტომანქანიდან.

- გამარჯვება თქვენი, თუშებო, რა ამბავია? რას ჩამომჯდარხართ ბელურებსავით ამ გზის პირას. ვის ელოდებით? - ვკითხე თუშებს.

- ბატონო, მთაში ამბავი მოგვივიდა: სომხებმა ომი აგვიტეხესო. ჩვენც შევიარაღდით და ჩამოვედით თბილისის საშველად და საომრად. აქ კი, ვერავის მივაგენით, თითქოს ქვეყანა უპატრონო იყოს. ვისაც მივმართეთ, გვიპასუხა - ტყუილად შეგიწუხებიათ თავიო. ჩვენ თვითონ გვიჭირს, უიარაღო და ჩაუცმელნი ვერ მივდივართ საომრადო. თქვენ როგორღა აგიკიდოთ ზურგზეო. ეხლა ვაპირებდით უკან დაბრუნებას და ამაზე ვთათბირობდით ამ გზის პირას. - მიპასუხეს თუშებმა.

- აბა, გამომყევით. გზასაც გიჩვენებთ და დაგაბინავებთ კიდეც. ვუთხარი თუშებს და ფეხით გავუძეხი წინ. ნავთლუღის ყაზარმების უბანში რომ შევედი, რუსეთის დროს ეს ცნობილი საცხენოსნო ბანაკი სულ ცარიელი დამხვდა.

- სად არის ქართული ცხენოსანი ათასეულის კანცელარია? - ვკითხე ერთ ჯარისკაცს. მან მიმითითა ერთერთ კარებამოგლეჯილ დიდ ხვრელზე. თუშები გარეთ გავაჩერე და შევედი ნაჩვენებ "ხვრელში". ოთახში ორი ოფიცერი დამხვდა: პოლკოვნიკი რატიშვილი და უცნობი პორუჩიკი. ძველი ნაცნობი, პოლკოვნიკი რატიშვილი მომესალმა. ავუხსენი ჩემი მისვლის მიზანი და თან ვკითხე, რამდენი ცხენოსანი ითვლებოდა მის ათასეულში.

- ცხენოსანი არცერთი, ვინაიდან ცხენები არა გვყავს. ისე კი 50 კაცი იქნება, ისიც უიარაღო და ჩაუცმელი. - მითხრა რატიშვილმა.

- მაშ რამდენი კაცის გამოყვანას შესძლებთ საღამომდე შულავერისაკენ გასამგზავრებლად?

- 150 კაცის - მოკლედ მომიჭრა რატიშვილმა.

- მაშ, მიუმატეთ მათ 50 თუშიც, ბ-ნო პოლკოვ-ნიკო, და იმედია, ორი სრული ასეული 9 საათზე უკვე გაემგზავრება პოზიციებზე ჩვენებისათვის საშველად.

- თუშები? მაგრამ სად არიან აქ თუშები? პასუხის ნაცვლად დავავლე რატიშვილს ხელი და გარეთ გავიყვანე. გამოცდილ მხედარს თვალები აუთამაშდა, როცა დაინახა ძველი საქართველოს განთქმული მეომრები.

*

პირველ საათამდე უკვე 1.100 ჯარისკაცამდე მყავდა ნაანგარიშევი. ნავთლუღის ყაზარმებს რომ ვშორდებოდი, უეცრად გზაზე თავს წამომადგა პორუჩიკი ალექსი მესხიშვილი. მხარზე ტყვიამფრქვევის ლულა ჰქონდა გადებული...

- საით, ბ-ნო პორუჩიკო? - ვკითხე მას.

- მინდა შევადგინო მეტყვიამფრქვევეთა რაზმი და ვაგროვებ მისთვის იარაღს!

- რამდენი კაცი გყავთ რაზმში?

- სამი. მაგრამ ტანსაცმელი რომ მქონდეს, ერთ საათში 30 კაცამდე გავზრდი ორი ტყვიამფრქვევით. ეს უკანასკნელი უკვე მზადა მაქვს.

- ბატონო პორუჩიკო, ერთ საათში მიიღებთ საჭირო საგნებს! როდის იქნებით მზად?

- საღამოს 8 საათისათვის.

- მაშ, თქვენი რაზმით პოლკოვნიკი რატი-შვილის განკარგულებაში ჩაითვლებით და მასთან ერთად დღესვე საღამოს გაემგზავრებით წითელ ხიდისაკენ, საქართველოს დასაცავად.

გახარებულმა პორუჩიკმა მომცა საჩქაროდ მხედრული სალამი, კვლავ გაიდო მხარზე ლულა და ყაზარმისაკენ გაექანა.

*

ქალაქში დაბრუნების წინ ავიარე მე-5 ათასეულის სადგომისაკენ. ყველაფერი გამოცვლილიყო. ჯარისკაცნი, ახალ ტანსაცმელში გამოწყობილნი, უკვე მწკივში იდგნენ. ათეულისა და ოცეულის მეთაურები ითვლიდნენ რიგით ქვეშევრდომებს. ახალ-ახალი თოფებიც უკვე მოტანილი იყო არსენალიდან. პატარა პოლკოვნიკ ბალუაშვილს ერთი მტკაველი სიმაღლე მოემატა. კმაყოფილი, წიგნაკით ხელში, ხან აქ, ხან იქ ჩნდებოდა და აძლევდა ოფიცრებს დარიგებებს.

- ბატონო დავით, უკანასკნელად ვიანგარიშე და შემიძლია გასიამოვნოთ. მე-5 ათასეულს შეუძლია საღამომდე სრული 1000 ჯარისკაცით გამოვიდეს - მახარა ბალუაშვილმა. ჩამოვართვი მაგრად ხელი და გავიფიქრე - ეხლა გავიმარჯვებთ! - ნასიამოვნები ქართველი მხედრობის ასეთი უნარიანობითა და სულისკვეთებით, გავეშურე სამინისტროსაკენ ჩემი ცნობების მისაცემად.

ალექსანდრეს ბაღს რომ ჩავუარე, ტროტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არზე დავინახე ქართული ლეგიონის ხელმძღვანელი ლეო კერესელიძე. შევაჩერებინე მანქანა.

- დათა, შენი ჭირიმე, მომეხმარე, ორი ასეული ლეგიონისა მზადა მყავს ოფიცრებიანად. მხოლოდ ბევრი რამ გვაკლია სამგზავროდ. ვიყავი სამინისტროში და მოვითხოვე. მითხრეს, თურმე ეს საქმეც შენ გაბარია. გამეხარდა, გამოვარდი გარეთ და შენ დაგეძებდი. საბედნიეროდ, ასე კარგად შევხვდით ერთმანეთს - სთქვა ლეომ.

იქვე მივეცი მას ბოლკ. თათარაშვილის სახელზე ბარათი კერესელიძის ლეგიონისათვის საჭირო ამუნიციის მისაწოდებლად.

- რამდენ კაცს გამოიყვან ამ საღამოს სადგურზე, ლეო?

- 250-ს, ხუთი ოფიცრით - მიპასუხა მან.

- მაშ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ლეო, აბა, შენ იცი, საღამოს შევხვდებით თბილისის სამხედრო სადგურზე, ნახვამდის!

*

შევედი გიორგაძის კაბინეტში. მინისტრი წამოდგა მაგიდიდან, მომეგება და აღელვებულმა მკითხა:

- როგორ არის საქმე, ბატონო დავით?

ამოვიღე ჩემი უბის წიგნაკი და გადავუშალე ჯამი გასაგზავნად დაგროვილი ქართული რაზმებისა.

- ყველა ეს სამხედრო ნაწილები გავლენ თბილისიდან დღეს, საღამოს 9 საათზე და ჩაბარდებიან გენერალ მაზნიაშვილს ღამის 11-12 საათზე. - გამოვუცხადე გიორგაძეს. მეტად გახარებულმა გიორგაძემ ხელი მაგრად ჩამომართვა და მითხრა:

- წავალ საჩქაროდ სასახლეში, რათა გავახარო ჩვენი მთავრობა, თორემ იქ მეტად აღელვებული არიან.

- ბატონო გრიგოლ, 8-ნახევარი საათისათვის მზად იყავით. სასახლეში შემოგივლით, რათა წავიყვანოთ სადგურზე ჯარის გასაცილებლად - მივმართე გიორგაძეს.

- ბატონი ხართ, წამოგყვებით და ერთად გავაცილოთ ჩვენი ჯარი - დამეთანხმა გულკეთილი გიორგაძე.

*

საღამომდე მივიღე ყველა ზომა, რათა რკინიგზის მხრივ უზრუნველმეყო სამხედრო მატარებლების წესიერი გასვლა. სადგურის უფროსებს დავემუქრე "საველე სასამართლოთი", თუ ჩემს ბრძანებას დროზე არ შეასრულებდნენ, მაშინ ჩვენს გზებზე ბევრი უცხო ხალხი მსახურობდა და ქვეყნის გაჭირვების დროს ჩუმად მრავალ უწესრიგობას ახდენდა.

*

საღამოს შევიარე სასახლეში. მთავრობის კრება იყო. მორიგეს ვთხოვე ეცნობებინა გიორგაძისათვის ჩემი მისვლა. გამოვიდა გიორგაძე და მობოდიშებით მითხრა:

- მთავრობის კრებაა. მოხსენებას ვაკეთებ თქვენს სამაგალითო საქმიანობაზე. მთავრობის სახელით გთხოვთ თქვენ დაულოცოთ ჩვენს ჯარს გზა და გააცილოთ. - ეს მე არ მეჭაშნიკა. სრულიად არ ვიყავი იმ გუნებაზე, რომ მთავრობის სახელით დამელოცა გზა ქართველი მხედრებისათვის.

- მთავრობის წევრი არ გახლავართ. მეტიჩრობა არ შემშვენის. ვფიქრობდი ამ გაჭირვების წუთს ჯარის გამხნევება, რომელიც ქვეყნისა და მთავრობის დასაცავად მიემგზავრება, უფრო მნიშვნელოვნად ჩაითვლება, ვიდრე... კრება, რომელიც შეიძლება ნახევარი საათით გადაიდოს - "გასწავლიდი ჭკუას" ქუთაისის ჭკვიან ვექილს. მაგრამ იმავე დროს ვხვდებოდი მიზეზს უარისა: მთავრობაზე გამწყრალ ქართულ ჯართან და ოფიცრებთან მის წევრს ეთაკილებოდა შეხვედრა. ამათ გამოდგა ჩემი ცდა საქართველოს მთავრობის პრესტიჟის დაცვისათვის ჯარში. გიორგაძემ მეტად უხერხულად გაიმეორა თავისი უარი და მეც დავუკარი თავი და დავსტოვე სასახლე.

*

ავტომობილი მიმაქანებდა რკინიგზის სადგურისაკენ. მიხეილის პროსპექტზე სასტუმრო "ნოეს" რომ მივუახლოვდი, უკან მომესმა სამხედრო მუსიკის ხმა. გავჩერდი ჩემი მანქანით. მოდიოდა პოლკოვნიკი ბალუაშვილის ათასეული. ჩემს წინ მწყობრად გაიარა მეხუთე ათასეულის 7 ასეულმა. მას უკან მოსდევდა კერესელიძის ლეგიონის ორი ასეული ნესტორ მაღალაშვილის უფროსობით. ტროტუარებზე დაგროვილი ხალხი აქეთ-იქიდან აძლევდა მათ სალამს. დანიშნულ 9 საათზე ორი გრძელი მატარებელი, ერთმანეთზე მიყოლებით, დაიძრა ალმოსავლეთისაკენ. მათი გაცილების შემდეგ გავექანე ნავთლუღისაკენ, სადაც იტვირთებოდა რატიშვილის "ცხენოსანი ჯარი"... თურმე მათ ნახევარი საათით გამასწრეს... საზოგადოდ, ყველა ჩვენს ჯარის ნაწილებს შევამჩნიე დიდი მხნეობა და ბრძოლის დიდი განწყობილება.

- ეხლა კი ეშველება გიორგი მაზნიაშვილს - ვფიქრობდი მე.

- 500 ჯარისკაცის მაგიერ გავუგზავნე 1.500 და თუ გაიგებს, რომ მე ვარ კვლავ მისი ზურგის გამმაგრებელი, ალბათ უფრო გამხნევდება.

მაგრამ, ამ 1.500 კაცმა საბედისწერო დღეს

უშველა არა მარტო გ. მაზნიაშვილს, არამედ გ. ჯუღელსაც. იგი სწერს თავის დღიურში:

"21 დეკემბერს ღამით ჩვენ მოგვივიდა 1.500 ჯარისკაცი. ეხლა ჩვენ შეგვიძლება უფრო ენერგიული მოქმედება..."

ქართველების მძიმე მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდა. სომხებმა შეაჩერეს შემოტევა. მხოლოთ საჭირო გახდა სასწრაფოდ ორი იმდენი ძალის კიდევ გადაგზავნა, რათა ჩვენებს შესძლებოდათ შეტევაზე გადასვლა. ამიტომ დავუგზავნე დეპეშები საქართველოს ყველა იმ ადგილებს, სადაც ჩვენი მუდმივი სამხედრო ნაწილები ბინადრობდნენ და მოვთხოვე სასწრაფოდ ფრონტისაკენ გამომგზავრება. მალე, ნავთლუღის სადგურიდან, სადაც მუდმივი ბინა გავიმართე, დღედაღამ ფეხზე მდგარი ვაცილებდი მაშველ ქართულ ჯარებს, მომდინარეს სამეგრელოდან, ქუთაისიდან, გორიდან. ათი დღის ნახევრადუძინარი და მშიერი არ ვცილდებოდი თბილისის რკინიგზის სადგურებს... უკვე 4.500 ჯარისკაცი მივაშველე ფრონტს, ველოდებოდი კახელების ათასეულს თელავიდან...

*

25 დეკემბერს გავიგე, რომ მაზნიაშვილი აწყობს ცდებს შულავერის ასაღებად, მაგრამ ვერ აღწევს მიზანს, რადგან შულავერის გარშემო მაღლობები სომხებმა კარგად გაამაგრეს და ზარბაზნებს უშენენ (სომხებს კარგი არტილერისტი ოფიცრები ჰყავდათ) ქართველთა მოიერიშე რაზმებს.

თელავიდან მე-6 ათასეულის უფროსის გენერალი თავაძისაგან დეპეშა მივიღე:

"ნება მომეცით, ერთი დღით დავიგვიანო. ათასეულს აკლია ზოგიერთი საგზაო ნივთი. გენ. თავაძე."

"დაუყოვნებლივ დაიტვირთეთ მატარებელში და წამოდით... ნავთლუღში დაგხვდებათ ყველა საჭირო საგანი ჯარისათვის. დავით ვაჩნაძე."

მეორე დღეს ნავთლუღის სადგურს მოადგა ვეებერთელა მატარებელი. გაისმა ნაღარის ხმა და მთელი ათასეული თვალის დახამხამებაზე კოხტად გამწკრივდა სადგურის ბაქანზე. გენერალი თავაძე მომეგება მოხსენებით.

ათასეულის ადიუტანტს გადავეცი ბარათი გენერალ მაზნიაშვილის სახელზე. მას ვწერდი:

"ძვირფასო ბატონო გიორგი, გიგზავნით კიდევ 500 მეომარს, კახელს. ამისთანა ხუთასი ვაჟკაცით ჩვენი წინაპრები თავრიზსა და არდებილს იღებდნენ. თქვენ კი ამ ათ დღეში 5.000 ჯარისკაცი მოგაშველეთ და შულავერიც კი ვერ აგიღიათ! გულითადი სალამი. თქვენი დ. ვაჩნაძე".

ეს იყო 28 დეკემბერს. მეორე დღეს, ღამით მაზნიაშვილი გადავიდა საერთო შეტევაზე და აიღო შულავერი.

"30 დეკემბერი, 1918 წ. გუშინ (29) ჩვენთვის ბედნიერი დღე იყო. ჩვენმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ აიღო შულავერი: 4 ზარბაზანი და 15 ტყვიამფრქვევი... მტერი შეინძრა და გარბის" - სწერს ჯუღელი თავის დღიურში...

აქვე საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ გამოეხმაურა ამ ამბავს მსოფლიო პრესა. მაგალითად, ინგლისური გაზეთი "ტაიმსი" 1919 წ. 10 იანვარს სწერდა: "დაწყებული 19 დეკემბრიდან, სომეხ-ქართველთა ჯარებს შორის მოხდა სამი შეტაკება: ახალქალაქის მაზრის საზღვარზე, ეკატერინოფელდთან (ბორჩალოს მაზრა) და სადგურ სადახლოსთან (თბილის-ალექსანდროპოლის რკინიგზა). ყველა ეს შეტაკებები სომხების სრული დამარცხებით დამთავრდა. ქართველებმა ბევრი ტყვე და ზარბაზნები ჩაიგდეს ხელში. უკანასკნელი ცნობებით, ქართველები წინ მიდიან და აიძულეს სომხები ალავერდისაკენ დაეხიათ".

ამგვარად, ჩემი ამოცანა თბილისში დასრულებული იყო, გადავწყვიტე სასწრაფოდ ფრონტზე წასვლა პირადი მონაწილეობის მისაღებად სამხედრო ოპერაციებში. მეტად საჭირო იყო ქართული ჯარის წინსვლის აჩქარება და ალავერდამდე მაინც ჩაღწევა, რადგან მოსული ინგლისელები მოითხოვდნენ ქართული ჯარის წინსვლის შეჩერებას, ამის შედეგად კი ჩვენს მეფეთა დროიდან კუთვნილი ალავერდის ვერცხლის ძვირფასი მაღაროები საქართველოს საზღვრის გარეშე რჩებოდა.

30 დეკემბერს, საღამოს, პატარა საგზაო ჩანთით ველოდებოდი ნავთლუღში წითელი ხიდისაკენ მიმავალ მატარებელს. ამ დროს მომიახლოვდა გ. გიორგაძის ადიუტანტი, მომცა სალამი და ოფიციალური კილოთი გამომიცხადა: სამხედრო მინისტრის ბრძანებით, აკრძალულია დღეიდან ყველასათვის ფრონტისაკენ გამგზავრებაო.

- როგორ? მეც მეკრძალება? - დავეკითხე მას.

ადიუტანტი გაწითლდა, თავი დაღუნა და დაბალი ხმით მითხრა:

- ეს ბრძანება განსაკუთრებით თქვენს მიმართ არის გამოცემული. მაპატიეთ, მე მხოლოდ მისი გადმომცემი გახლავართ.[1]

---

[1] ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი, უსათუოდ ის იყო, რომ ნოე ჟორდანიას ეშინოდა ჯარის, ხოლო დავით ვაჩნაძე იმ მემარჯვენე ნაციონალისტებს (რ. გაბაშვილი, შ. ამირეჯიბი და სხვ.) ეკუთვნოდა, რომელნიც სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ არა მარტო მემარცხენე მენშევიკური მთავრობის, არამედ პირველ კოალიციურ მთავრობასაც (რამიშვილის მთავრობას) არასაკმაოდ ძლიერ მთავრობად მიიჩნევდნენ. ამიტომ დ. ვაჩნაძის

რევოლუციის მოხდენა ნავთლუღის სადგურზე არაფერი საგმირო საქმე იქნებოდა. დავბრუნდი შინ იმ იმედით, რომ მეორე დღეს, დილით მაინც წავიდოდი. გზად მინდოდა გიორგაძე მენახა, მაგრამ გადავიფიქრე, ალბათ ეს ჯუღელის გვარდიის ინტერნაციონალური შტაბის ოინებია-მეთქი. გულმოსული გადავწყვიტე აღარ წავსულიყავი, რადგან არალეგალურად გამგზავრება ჩემს მდგომარეობაში მყოფს არ ეკადრებოდა.

მეორე დილას, 31 დეკემბერს გავიგე, რომ ინგლისელ-ფრანგების ჩარევით მთავრობამ გადასწყვიტა 31 დეკემბერს ღამით, 12 საათისათვის, ქართული ჯარის წინსვლა შეეჩერებინა. ამ საათზე, სადამდეც მიაღწევდა ჩვენი ჯარი, ის ხაზი ჩაითვლებოდა საქართველოს საზღვრად.

აქ დაგვეტყო ცხენოსანი მხედრობის უყოლობა, ქვეითი ჯარი კი მძიმედ მიდიოდა წინ, ბოლშევიკთაგან თმას ვიგლეჯდი, ვფიქრობდი, ნუთუ ფრონტზე მყოფთაგან არავინ გამოჩნდება ისეთი უნარიანი ქართველი უფროსი მხედარი, გამოაბას საბარგო ეტლებიდან ცხენები, შესვას ქვეითი ჯარისკაცნი და წინ გაუშვას, რომ ალავერდამდე მაინც მიუსწრონ?!.

მაგრამ ქართულმა მოწინავე ქვეითმა მხედრობამ ვერ მოასწრო ალავერდამდე მიღწევა და იმ ღამით საქართველოს საზღვარი ალავერდის დასავლეთით, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გატარდა.

1919 წლის 5 იანვარს ქართული პარლამენტის სხდომაზე გამოვიდა სიტყვით ვალიკო ჯუღელი:

"მემარჯვენენი გვაყვედრიან, ომი შეაჩერეთ და უნაყოფოდ ჩაატარეთო. მაგრამ ვის უნდოდა ომი? აი, ამისთანა ბატონ პოლკოვნიკებს (ხელით ჯუღელმა ჩემზე ანიშნა), რომლებსაც სწადდათ ბამბაკამდე ასვლა და მერე ის, რომ ჩვენ თავს დაგვსხმოდნენ და ამ სასახლიდან გავერეკეთ. მაგრამ ომის შეჩერებით ქართველ შოვინისტების ამ ფარულ სწადელს გადავეღობეთ" (სტენოგრაფიული ანგარიშიდან).

სხდომა რომ დამთავრდა, კულუარებში შევეჩეხე ოსიკო ბარათაშვილს.

- ძმაო ოსიკო, ვინ არის ეხლა მართალი, შენ თუ მე?

- მე, ძვირფასო დათა... რაც გაკეთდა შენს მიერ, ეს საქართველოს ნამდვილი მოგებაა, რაც ითქვა შენს "სამადლობელად" ეს ნამდვილი წაგებაა საქართველოს დღევანდელი მმართველებისათვის.

- მერე... ერეკლეს ალავერდი, ბარათაშვილო?

- არაფერია! მომავალში მასაც ალაჰ-ვერდი - ღმერთი მოგვცემს!

*

1919 წლის მარტში, საქართველოს სამხედრო სამინისტროს ოფიციალურ უწყებაში შემდეგი ეწერა:

- საქართველოს პარლამენტის წევრს, პოლკოვნიკ დავით ვლადიმერის ძე ვაჩნაძეს, საქართველოს ჯარის სახელით ეცხადება მადლობა იმ ღვაწლისათვის, რომელიც მან დასდო ქართული ჯარის მობილიზაციისა და მისი გამარჯვების საქმეს ქართველ-სომეხთა უკანასკნელ ომში. სამხედრო მინისტრის მაგიერი გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი".

*

გაიარა სამმა წელმა. უკვე ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც თავისუფალი საქართველო და სომხეთი "მესამისაგან" წაიქცნენ.

1922 წლის 10 თებერვალს, ათასზე მეტი ქართველი პოლიტიკური პატიმარი მოვხვდით მეტეხის სატუსაღოში. ჩემს საკანში მოთავსებული იყო გენერალი მაზნიაშვილიც.

ერთ საღამოს მაზნიაშვილმა დამსწრე "სტუმრებს" (მაშინ მეტეხის სატუსაღოს საკნების კარები შიგნით ღია იყო და -პოლიტიკურები ერთმანეთთან დადიოდნენ "სტუმრად"), უამბო ჩემი ეპისტოლეს ამბავიც.

- დათასაგან ასეთი "გარტყმის" წერილი რომ მივიღე, გულმოსული გავიფიქრე: ეხლა კი ვაჩვენებ სეირს შენს კახელებს-მეთქი! მეორე დღესვე, მე-6 ათასეული მოწინავე შემტევად დავნიშნე და თავაძეს ვუბრძანე - აბა, თუ ვაჟკაცნი ხართ, აი, შულავერის ის მაღლობები აიღეთ-მეთქი (ყველაზე კარგად გამაგრებული სომხების მიერ). კახელები მაშინვე გადავიდნენ შეტევაზე და არ შეჩერებულან, სანამ თავისი ამოცანა არ შეასრულეს და პირველი მაღლობი არ აიღეს... ასე ვიძიე შური ძვირფასი დათას შეურაცყოფითს ეპისტოლეზე... როგორ მოგწონთ? - დაამთავრა სიცილით თავისი მოთხრობა ცნობილმა ქართველმა სარდალმა.

- სწორეთ ამ სომეხ-ქართველთა ამბავზე ხვალ გრიშა გიორგაძე სატუსაღოს დიდ დარბაზში მოხსენებას კითხულობს... საგულისხმოა ეხლა, როგორ "იძიებს შურს" თავის მთავრობაზე, რომელმაც ბოლოსდაბოლოს ყველას ბოლშევიკურ

---

ჯართან დაახლოვება, ცხადია, შიშის ზარს სცემდა ჟორდანიას მემარცხენე-მენშევიკურ მთავრობას, რომელსაც ყველგან "ნაციონალისტური ჯარის" შეთქმულება ელანდებოდა. ეს იყო მიზეზი იმისაც, რომ ჯარი, როგორც არის აღწერილი ზევით, სრულიად დაშლილი და მოუმზადებელი იყო... და იმისიც, რომ სახელმწიფო ეროვნულ ჯარს ზემოთ, პირადი "წითელდროშოვანი" წითელი გვარდია დააყენა- რედ. შენიშვნა.

სატუსაღოში ამოგვაყოფინა თავი - სთქვა ერთმა "სტუმართაგანმა".

- წავიდეთ, მოვისმინოთ, ალბათ, როგორც მუდამ, ჩვენ, ქართველ მხედრებს, მოგვხდება მათი სილები! - დასძინა მაზნიაშვილმა.

მეორე დღეს ხალხით გატენილ მეტეხის სატუსაღოს დარბაზში გიორგაძემ გადაშალა სურათი სომეხ-ქართველთა შეტაკებისა და, სხვათაშორის, შეეხო ჩემს აქ მოთხრობილ ამბავსაც. როგორც გადმომცეს, მან თურმე სთქვა:

- უნდა გამოგიტუდეთ, ჩვენი გამარჯვების ავტორი ნამდვილად დავით ვაჩნაძე იყო - და დაწვრილებით მოუთხრო მსმენელებს ჩემი იმ ხანის თავგადასავალი. კრებაზე დამსწრე ხალხი აქეთ-იქით თვალით დამეძებდა. მაგრამ მე არ ვესწრებოდი ამ კრებებს მეტეხში. მეტად მიმძიმდა ყოფილი მმართველების დაგვიანებული მონანიების მოსმენა თავისუფლებადაკარგულ საქართველოში და ამასთანავე თვით დამწყვდეულთაგან სატუსაღოში!

* * *

## ნაწილი III

## დაპყრობილ საქართველოში[2]

1. ქართული სულის გამოძახილნი (1921 წლის ამბებიდან).
2. ერთი მოღალატის ამბავი.
3. პირველი დღე ჩეკას სარდაფში.
4. 1922 წლის აჯანყება.
5. გზა დევნისა: ფოთის ვაგონში; "ზღვის მგელის ბუნაგში"; საბედისწერო მარცხი; ბრძოლა სიკვდილთან; ინგლისელი მეფის სახელით! ელო!.. ხრიზანტემების ბაღში; ბოდბეს ხატი; ბოლშევიკების ხახაში; კათოლიკე ბეთანოვი; მეფაიტონე როსტომა; "ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა"; შულმანის ძროხა; კახური ქეიფი; ტყის მცველი ლადო; "განშორებისა საათმა დაჰკრა"; უკანასკნელი ნახტომი.

### 1. ქართული სულის გამოძახილნი (1921 წლის ამბებიდან)

~~საითკენ? ჯანყის სუნი. "წარმოკავშირი". საყურადღებო გეგმა. სათავის მობილიზაცია. კახეთში. ალავერდიდან - ბოდბემდე~~

საითკენ?

ქართული ჯარი იხევს თბილისიდან! ეს საბედისწერო ამბავი გადმომცა თებერვლის 24 ღამის 10.1/2 საათზე კოტე აბხაზმა რუსთაველის პროსპექტზე.

- დაუჯერებელი ამბავია ბატონო კოტე... ამ რამოდენიმე დღის წინად პირველი დიდი შეტაკებიდან თითქმის უზარალოთ გამარჯვებულნი გამოვედით და 1200 ტყვე ხელში ჩავიგდეთ. დღემდის ათი ათასი ქართველი ჯარისკაცი გამაგრებულ პოზიციებზე დგას და ყოჩაღათ იცავს თბილისს... რატომ, რისთვის ვიხევთ? - გაოცებული გულმოსული ვეკითხებოდი მას.

- აი, იკითხეთ აქვე გვერდზე სამხედრო შტაბში... იქ იციან თუ რატომ? მეც არ გამეგება ამ თავზარდამცემი ამბის მიზეზი - მითხრა აბხაზმა. გავექანე სამხედრო შტაბის სადგომისაკენ. ავარდი ზევით სართულში, სადაც მთავარსარდლის გენერალ კვინიტაძის შტაბი იმყოფებოდა. დერეფანში ირეოდნენ თავჩაღუნული შტაბის მოხელენი. გენერალ კვინიტაძის კარების წინ უცბად შევამჩნიე ზორბა ტანი ჩოხაში ჩაცმულ გენერალ ვასო გაბაშვილისა. მხარზე ჩამოკიდებული პატარა კარაბინით, მიბრუნებულ პირით კედლისაკენ, მოხუცი მწარედ ქვითინებდა...

- ვასილ დავითის ძევ... რა მოხდა, რა ამბავია?

- რაღა რა მოხდა? ჩვენმა მმართველებმა დაგვიღუპეს ქვეყანა... რა გვიქნა ამ კაცმაც? რაზე ახევინებს ხელუხლებელ ქართველ ჯარს თბილისიდან? მერმე სად გარბის? - ბრაზ მორეული ცრემლებისაგან თვალებდაწითლებული მეუბნებოდა გ. გაბაშვილი და თან ხელით მანიშნა გენერალ კვინიტაძის კარებისაკენ.

საქართველოს მთავარსარდალს გიორგი კვინიტაძეს, მართლაც ერთი საათის წინ ხელი მოუწერია ქართულ ჯარის თბილისიდან დახევის ბრძანებაზე. ამის მთავარ მიზეზათ ითვლებოდა, რომ ბოლშევიკთა კავალერიის ერთ დივიზიას ქართულ ჯარის დამცველ ხაზის გვერდებისთვის შემოუვლია. ქართულ მხედრობას დილამდის უნდა დაეცალა თბილისი და დახეულიყო მცხეთისაკენ.

- ნუთუ ასე მალე, ასე უცბად და უგემურად დათავდენ საქართველოს თავისუფლების დღენი? - ვეკითხებოდი ბოლმით აღსავსე ჩემ თავს, როცა ვბრუნდებოდი სახლში. აღარც კი მახსოვს თუ როგორ მივადექი შუა ღამისას ჩემს ბინას.

- თამარ, ჩააცვი ბავშვებს, მოაგროვე პირველ საჭიროებათა ნივთები და მოემზადე საგზაოთ. დილამდის კიდევ დრო გვაქვს საფიქრებლად, თუ საითკენ წავიდეთ - სახლში შესვლისას უთხარი ჩემს მეტად შეწუხებულ ცოლს. ამ დროს მომესმა კაკუნი ფანჯარაში. გავიხედე: კახელი გოზალიშვილი ხუთი სოფლელის თანხლებით.

- დავით, თქვენთან გიახელით სალაპარაკოთ - მომაძახა ქუჩიდან გოზალიშვილმა. გაუღე კარი. დაღვრემილი კახელები შემოვიდნენ ოთახში. - კარგია გნახეთ ბატონო. გზაში სულ იმის ფიქრში ვიყავით: ვაი თუ შენც სხვებსავით იმერეთისაკენ გაჰკარი - მითხრეს შემოსულებმა.

- არ გადამიწყვეტია ჯერ. მაგრამ ხომ იცით, რომ მხედრის ვალია ჯართან იყოს, სანამ ბრძოლა

[2] პირველად ქვეყნდება ხელნაწერის მიხედვით

გრძელდება. თბილისში დარჩენა ხომ დანებებას ნიშნავს? მირჩევნია ვიბრძოლო, ვიდრე უიარაღო მტერს ჩავბარდე.

- ჩვენმა დალოცვილმა სარდალმა თითქმის უბრძოლველად თბილისი დაუთმო მტერს. ამის შემდეგ რაღა უნდა დაიცვას დაშლილ ქართულ ჯარმა? ჩვენი საქმე წაგებულია და ტუნელის იქით ტყვიის ხარჯვა ტყუილია. შენი ჭირიმე დავით. ბევრს შენს წინაპარს თავი თბილისის კართან დაუდვია. ბევრნიც სპარსელებს ჩამოუცვიათ პალოებზე. იმათაც ხომ შეეძლოთ ზღვისკენ გაქცევა? მაგრამ არ გაქცეულან. უფროსები რომ წახვიდეთ საწყალ ხალხს რაღა ეშველება? არა, დავით, უნდა დარჩე. ნუ დანებდები და ნუ ჩაუვარდები მტერს ხელში... თავი მოაფარე სადმე და დროს დაუცადოთ. ვინ იცის იქნებ მოვატრიალოთ ჩვენი ბედის ჩარხიც - მეუბნებოდა დინჯი გოზალიშვილი და სხვებიც მის სიტყვას კვერს უკრამდნენ თავის ქნევით.

- გაქცევას არც მე ვაპირობდი. პირიქით მინდა ჩემი მამულიშვილური ვალის შესრულება და ჯართან ერთად ბრძოლის გაგრძელება... "ტუნელის" იქითაც ხომ საქართველოა?

- მართალი თქმაა. იმერეთიც საქართველოა. მაგრამ უთბილისოთ დღეს იმერეთი თავმოჭრილი და გულამოგლეჯილი მხარეა. აკი მთელი იმერეთი თბილისში არ გადმოსახლდა ბატონო? ქუთაისში რაღა უნდა დავიცვათ? ვინც იქით მიდის - შინისაკენ მირბის. ასიოდე კაცი იბრძოლებს, ათასები კი სახლში დაბრუნდებიან... დარჩი ბატონო, ფიქრი ნუ გაქვს. ჩამოდი კახეთში და შენს თავს შევინახავთ... ქვეყანა უხალხო კი არ დარჩა - მიპასუხა ხნიერმა ქიტესამ.

- მადლობელი ვარ რჩევისათვის. მართალი გითხრათ ჩემი სურვილიც უფრო თქვენსკენაა გადმოხრილი. ალბათ დავრჩები. თქვენ კი საჩქაროდ გადადით კახეთში და ხალხი გაამხნევეთ. თუ ცოცხალი გადაურჩი ბოლშევიკებს მალე კახეთში მეც გამოვჩნდები - მიუგე პასუხად ჩემს მეზობელ სოფლელებს. ფანჯარაში კვლავ ვიღაცამ დააკაკუნა. გოზალიშვილი ეცა კარებს: შემოვარდა გიორგი წინამძღვრიშვილი.

- გამარჯობათ ხალხნო და ჯამაათნო! - მუდმივი თავისებური ღიმილით მოგვესალმა გიორგი.

- დათა, რას აპირობ? საითკენ? იქითკენ თუ აქეთკენ? მიდიხარ თუ რჩები?

- ვრჩები და ვაპირობ კახეთისაკენ გაჭრას!

- მეც შენთანა ვარ... მაშ ვრჩებით და ბრძოლას ვაგრძელებთ. უაბული ხართ კახელებო? - მიუბრუნდა კითხვით სოფლელებს წინამძღვრიშვილი.

- ვართ და მუდამ ვიქნებით სანამ არ გავიმარჯვებთ - სთქვა გოზალიშვილმა.

## ჯანყის სუნი.

ლენინის ცნობილ განკარგულებამ ქართველების ხელუხლებლობის შესახებ დროებით ამოასუნთქვინა თბილისელ მცხოვრებთ. ნ. ჟორდანიის მთავრობის ბათომიდან საზღვარგარედ გახიზვნისა და "ზავის" შემდეგ პოლიტიკური ქართველობაც აქა იქ ცხოვრების ზედაპირზედ გამოჩნდა. მეც გამოვედი ჩემი საფარიდან და ოჯახობით დავბრუნდი ჩემს ძველ ბინაზე, იზმაილოვის ქუჩაზე. სადაც "ყილოტდელმა" (ბინის კომიტეტმა) მალე ჩამისახლა ურიის ოჯახი რვა სულისაგან შემდგარი.

მაგრამ გარეგნული სიმშვიდე დაპყრობილ საქართველოში არავის ამშვიდებდა. ყველა გრძნობდა, რომ იგი მალე დაირღვეოდა. მით უფრო რომ ამისი მიზეზი დღითი დღე გროვდებოდა. ახალ ძალაუფლებისადმი ქართული მოწინავე წრეების მეტად მტრულ განწყობილების გარდა, საქართველოს სოფლის მესაკუთრეთა ხალხის დიდი უმრავლესობაც აშკარად გრძნობდა, რომ კომუნისტურ წესწყობილების ფეხის მომაგრება საქართველოში ემუქრებოდა მის ლობეებს და სარჩო-საბადებელსა. რომ ოჯახისა და სარწმუნოებისა მიმართ ბოლშევიკური უზნეო ქადაგება და მოქმედება ყირაზე აყენებდა მის ურყევად დამჯდარ კეთილ-პატიოსან ცხოვრების ადათებს. და მართლაც, ბოლშევიკების შემოსვლის რამოდენიმე თვის შემდეგ, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში არა ჩვეულებრივი ამბები დატრიალდა.

სოფლებში ბოლშევიკები უკვე მიადგნენ შეძლებულ სოფლის მცხოვრებლებს და დაუწყეს ცარცვა. ქიზიყში ბოლშევიკ რუს სალდათებმა ხმლებით აკუწეს ერთი ქიზიყელი გლეხის ოჯახი, ათი სულისაგან შემდგარი, და მათი ქონებაც გაიტაცეს. გარე კახეთის ერთ სოფელში (ჩაილურში?) ჩამოსული მოსკოვიდან იქ ნაზარდი ქართველი უმაწვილი კომუნისტი ჩაუწვა საწოლში თავის დას და უთხრა - მინდა ცოლათ შევირთოო. მამამ მოჰკლა შვილი და მისი გვამი ხრამში გადააგდო. მერმე სოფლის ხალხის დახმარებით მორეკა ძაღლები და სამი დღე-ღამ სოფლელთა გარშემორტყმულმა რკალმა ხრამის ირგვლივ დამშეულ ძაღლებს შეაჭმევინა გვამი ბოროტმოქმედ ქართველ ვაჟისა.

ამავე ხანებში რკინის გზის მატარებლებმა ჩამოატარა საქართველოს სადგურებზე რუსი ქალები, რომელნიც სადგურის ბაქნებზე გამოდიოდნენ სრულიად ტიტლიკანები, მხრებზე შემორტყმულ წარწერითა: ძირს სირცხვილო!.. ასე იმოგზაურეს ტიტვლებმა, სანამ გორის ახლო ქართველ დედა-კაცებს არ შემოეტყიპათ... ქართულ ჰაერს ჯანყის სუნი მოედო.

## "წარმოკავშირი"

ბოლშევიკების შემოსვლამდე უკვე კაი ხანია თბილისში არსებობდა ქართლ-კახეთის მწარმოებელ კოოპერატივთა კავშირი შემოკლებული სახელით - "წარმოკავშირი", დაარსებული სოფელ ხვედურეთის მცხოვრებ ივანე გიორგის ძე ციციშვილის მიერ. ამ კავშირში შემოდიოდნენ ცნობილი კოოპერატიული საზოგადოებანი: მევენახე-მეღვინეთა, მეხილეთა, მეცხვარე და სხვა. ახალი კომუნისტური მართველობა ალმაცერად უყურებდა ამ ორგანიზაციას, მაგრამ პირველ ხანებში ანგარიშს უწევდა მის გავლენას სოფლის მწარმოებელ კოოპერატიულ წრეებზე და ხელს არ უშლიდა მის მუშაობას, მით უფრო რომ მისი გაფართოება უკვე შეკვეცილი იყო კომუნისტურ ფისკალურ რეჟიმით.

მჭიდროდ გადაწნული ქართულ სოფელთან, "წარმოკავშირი" ცოცხალი გამომხატველი იყო სოფლის ხალხის სულისკვეთებისა და ახალ რეჟიმისადმი უკმაყოფილების ზრდასთან ერთად ქართველ მესაკუთრეთა წრეებში "წარმოკავშირი" მალე გადაიქცა ფარულ დასაყრდენ ბურჯად ბოლშევიკების წინააღმდეგ ყველა აქტიურ ქართულ ეროვნულ ძალებისა აღმოსავლეთ საქართველოში.

ახალგაზრდობიდან ივანე ციციშვილთან დაკავშირებული ვიყავი პირადად დიდი მეგობრობითა ერთობლივ ეროვნულ და პოლიტიკურ აზროვნებითა. ბოლშევიკურ რეჟიმის მძიმე პირობებში "წარმოკავშირი" თავის მეთაურ ივ. ციციშვილით გახდა ყველა მებრძოლ ქართველების საფარავად და მთავარ დამხმარე ძალათ. "წარმოკავშირის" დაწესებულება იმყოფებოდა მოსკოვის ქუჩაზე ეკატერინე გაბაშვილის სახლში. ჩემი ბინიდან. (იზმაილოვის ქ.) ხუთი წუთის სავალზე. ჩემს ბინაზე გამუდმებული ფარულ კრებების თუ შეხვედრების დროს მიღებული გადაწყვეტილებანის სისრულეში მოყვანა, თავდებოდა ვანო ციციშვილის ოთახში მოსკოვის ქუჩაზე "წარმოკავშირისაგან" უხვ დახმარების მიცემით. 1921 წ. სვანეთის და 1922 წ. ხევსურეთის აჯანყებათა ფინანსიური შემზადება "წარმოკავშირს" და მის წრეებს ეკუთვნოდა.

## საყურადღებო გეგმა.

სვანების მეთაურნი პოლკოვნიკი ნესტორ გარდაფხაძე და მოსესტრო დადეშკელიანი, რომლებსაც ჩემთან ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ, ერთ ღამეს შევახვედრე კახეთიდან ჩამოსულ ქაქუცა ჩოლოყაშვილთან. თათბირის შემდგომ ორივე მხარე შეთანხმდა შეიარაღებული გამოსვლის საერთო გეგმაზე. სვანები უნდა შესდგომოდნენ მზადებას ზაფხულიდან - შეიძენდნენ იარაღს, დააგროვებდნენ მებრძოლ მთიელთა რაზმებს და გამაგრდებოდნენ მთაში. ამავე დროს ჩოლოყაშვილი შეუდგებოდა კახეთ-თიანეთის ხალხის შემზადებას და მოჰფენდა ამ მხარეებს პარტიზანულ რაზმებით. როცა დამთავრდებოდა მზადება თიანეთ-კახეთში, პირველები გამოვიდოდნენ სვანები, დაეშვებოდნენ მთებიდან და მოადგებოდნენ ქუთაისს. ბოლშევიკური სამხედრო ძალები ამიერკავკასიისა ბუნებრივად გაეშურებოდნენ დასავლეთ საქართველოს აჯანყების ჩასაქრობად. ამით ისარგებლებდა ჩოლოყაშვილი და თავისი ძალებით შეუტევდა თბილისსა. როცა ამ გეგმას გაეცნო ცნობილი მხედარი პოლკოვნიკი გიორგი თუხარელი, მან სთქვა:

- აზრით გეგმა საყურადღებოა. მაგრამ მის განხორციელებას მთავარი რამ აკლია: არტილერია. ღია კახეთს ერთი ჯავშნიანი მატარებელი შეიარაღებული რამოდენიმე ზარბაზნითა ერთ დღეს გაანადგურებს. ამიტომ კახეთი სათვალავში არ არის მისაღები. რჩება სვანეთის და თიანეთის მთები. მაგრამ აქედანაც უზარბაზნოთ მეამბოხენი ვერ გაიკაფავენ გზას ქუთაის-თბილისისაკენ. ამიტომ საჭირო გახდება ქუთაისის და თბილისის საარტილერიო ნაწილების წინ და წინ ხელში ჩაგდება. ეს კი მოითხოვს კარგ ფარულ ორგანიზაციების მოწყობას ამ ქალაქებში. შევსძლებთ კი ამას ბოლშევიკურ "ჩეკის" პირობებში?

- მხედრულ ანგარიშის მიხედვითაც - ვუპასუხე თუხარელს - არც მე მჯერა ამ გეგმის ამ ხანად განხორციელება, რადგან არც მზად ვართ მხედრულათ... მაგრამ რა ვქნათ? მოძრაობა უქმაყოფილო ხალხისა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში დღითი დღე იზრდება და მოვლას თხოულობს. ერთი რამ ცხადია ეს შემზადებითი მუშაობა პარტიზანულ ორგანიზაციების წესიერ დაარსებას ხელს შეუწყობს და ეს იქნება ჩვენი ნაღდი მოგება... მერე ვნახოთ თუ როგორ მოვიქცეთ ბატონო გიორგი.

- ეს მართალია და მიზანშეწონილი გამოსავალიც. მეც მიგულეთ ამ საქმეში. მხოლოთ მიიღეთ მხედველობაში ჩემი ოფიციალური თანამდებობა "წითელ ოფიცრისა"... და სხვას ნურავის გააგებინებთ ჩვენ საიდუმლო კავშირსა - სთქვა პოლკოვნიკმა გ. თუხარელმა.

## სათავის მობილიზაცია.

- დათა. ხვალ მივემგზავრები კახეთში მუშაობის დასაწყებათ. აბა. შენი და ვანოს იმედი მაქვს. თუ როგორ შემიწყობთ ხელს აქედან. ჯერ მოვივლი თიანეთ-თელავის მხარეებს. ალავერდობის დღეს აგრეთვე შევხვდები მთის პირიქითა ხალხების წარმომადგენლებს და მოვრიგდები მათთანაც. მერმე ამისა გაცნობებთ ჩემს ამბავს. თუ დაგჭირდები

მომიკითხე ამ დროისათვის ალავერდში - მითხრა მარიამობის დასაწყისში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა.

- მიიღე ფული "წარმოკავშირიდან"?

- მივიღე. ვანო ციციშვილმა ერთი მილიონი მანეთი გადმომცა. ამ ხანად სამყოფია.

- ერთი კვირის შემდეგ მეც წამოვალ და დავბინავდები "სართვლოდ" ჩემს სოფელ. ბაკურციხეში. სიღნაღის მაზრაში ბევრი თანამოაზრე გვყავს. ჩვენ საქმეში გამოდგებიან.

- გიორგი წინამძღვრიშვილთან როგორა ხარ? მკითხა ქაქუცამ.

- ჩინებულათ.

- ენერგიული. სასარგებლო კაცია. მის მელვინეთა "კავშირთა კავშირის" საზოგადოებას ბევრი ხალხი აბადია... თვითონაც გავლენა აქვს კახეთში. საჭიროა გიორგის თანამშრომლობაც - მითხრა ჩოლოყაშვილმა.

მეორე დღეს ქაქუცა გაჰქრა თბილისიდან. იმავე დილით შევედი "წარმოკავშირში". ვანო ციციშვილმა ახალი ამბავი დამახვედრა:

-"წარმოკავშირის" მომუშავე ხელმძღვანელნი გვაკლია. დათა. გადავწყვიტეთ შენი მოწვევა ჩვენს გამგეობაში სრულუფლებიან წევრად. შენ ჩაგბარდება კახეთის რაიონი. თბილისის საწყობებში გვაქვს ბევრი რკინეულობა და საქონელი. რომელსაც მსუნაგი ბოლშევიკები მალე მიაგნებენ და გაიტაცებენ რუსეთისაკენ. უკეთესია ჩვენ ხალხს ვარგოთ და საჭირო სალსარიც საკუთრივ გავიძლიეროთ. წაიღე ეს საქონელი შენს ს. ბაკურციხეში. გახსენი "წარმოკავშირის" განყოფილება და გაასაღე კახელებში.

- მადლობელი ვარ. ვანო. ჩემი მოწვევისათვის. მით უფრო იმ აზრისათვის. რომელიც თავში მოგსვლია... ეს ძალიან შეგვიწყობს ხელს ჩვენი ბრძოლის გეგმების შემზადეში. კარგი იქნება რომ "წარმოკავშირში" მოწვეული იყო წევრად და გამგებლად თავის "კავშირთა კავშირით" ორგანიზაციით აგრეთვე გიორგი წინამძღვრიშვილი.

- მე კიდევ მოველაპარაკე გიორგის ამაზე... თანახმაა და ცოტა ხანში ისიც ჩვენი სრული თანამგზავრი გაგვიხდება - მითხრა ვანომ.

- მაშ ჩვენი სათავის მობილიზაცია თბილისში დამთავრებულია და ახლა შემიძლიან გავეშურო კახეთშისაკენ ჩემო ვანო? - დავეკითხე მას.

- კი. წასალებ საქონელს დაგიმზადებთ და დაგადევნით.

კახეთში.

თბილისიდან ცუდი ამბები მიმქონდა კახეთში. ბოლშევიკურ ძალაუფლებამ მოიმაგრა ფეხი თბილისში. გააწყო "ჩეკა"-ს მრავალრიცხოვანი აგენტურა ყველა დაწესებულებებში და ნელ-ნელა უჭერდა მუხრუჭს ქართულ ცხოვრებას ეროვნულ ქონებრივ თავისუფლების გადარჩენილ უკანასკნელ ნაშთებს. შეძლებული ნაწილი თბილისისა სრულ გაკოტრების გზას დაადგა და "დეზერტიორკა"-ს მსხვერპლი შეიქმნა. ქართული სასწავლებლები მოიფინა მოჯაშუშე "კომსომოლი"-ს ორგანიზაციებით. უნივერსიტეტიც გაიტენა "ჩეკა"-ს აგენტებით. რომელნიცუჩუმრად არასაიმედო სტუდენტების სიებს ადგენდნენ. ქართულ პოლიტიკურ წრეებში გაჩნდნენ მაბეზღარა რენეგატები და გზას უტკებნიდნენ კომუნისტურ მმართველობას რეპრესიების შემოღებისათვის.

- ამ ზამთარში. ვგონებ. ყველას "ვირის აბანოში" ამოგვაყოფინებენ თავსა - მითხრა მწერალ მიხეილ ადამაშვილ-ჯავახიშვილმა კახეთში ჩემი გამგზავრების წინა დღეს.

*

კახეთის ვაგონში ჩემს გვერდით მეჯდა ხანში შესული გლეხი. რა გაიგო ჩემი ვინაობა ჩუმად დამეკითხა:

- ბატონო. ხალხი ამბობენ რომ ვიღაც "ქაქუცა" გაჩენილა. რომელსაც თავზე ხელი აუღია და შეუფიცავს. რომ მუხთალ ბოლშევიკებს აქედან გაფერთხავს. მართალია ეს?

- მეც მომიკრავს ყური ამ ამბისათვის. მაგრამ დანამდვილებით კი არ ვიცი... არ გაგიგიათ სადაურია ეგ კაცი? - ფრთხილად ვკითხე ჩემს მოსაუბრე გლეხს.

- ამბობენ ხევსურიაო. ჩოლოყაანთ გვარისაო... კაი ვაჟკაცი და მეომარიო. ნეტამც მართალი იყოს. რომ ერთი ასეთი ბელადი გაგვიჩნდეს თორემ ამ ბოლშევიკების სიმყრალეში ხომ სული ამოგვერთვა ბატონო - მეუბნებოდა ოხვრითა ქართველი სოფლელი.

- ფიქრობთ რომ ჩვენი ხალხი გაჰყვება ასეთ ბელადს ბრძოლაში?

- მთის ქართველობა მთლად აიშლება. ბარიდანაც ზოგი მხარე მოეხმარება. თუ გადამთიელნიც მხარს მისცემენ ცუდ ამბავს დამართავენ ბოლშევიკებს - მიპასუხა მან.

- გვეშველება ვითომ ამით?

- თუ "კაცნი ვართ და ქუდი გვხურავს" ამ ანგარიშს კი არ უნდა გამოუდგეთ ბატონო. ძველიდან ჩვენში ნათქვამია - "სჯობს მყრალსა ცხოვრებას სიკვდილი ვაჟკაცური". მტერს უნდა გავაგებინოთ. რომ ქართველები კროები კი არა ვართ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ ჩემო ბატონო - სთქვა გლეხმა. წამოიკიდა მხარზე ხურჯინი და ჩამოვიდა სადგურზე.

- ეს არი ქართული სულის ნამდვილი გამოძახილი. რომელიც თავის შავბნელ დღეებში ჰუდამ "გმირსა დაეძებს. უყივის"... აკი გმირიც

გაუჩნდა მას - ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი, ჩამომავალი იმ ივანე ჩოლოყაშვილისა, რომელმაც 1802 წ. ასე გაუჭირა დამპყრობ რუსებს საქმე მეამბოხე ხევსურეთში! - გავაყოლე ამ ფიქრით ჩემი თვალთახედვიდან უკვე გამქრალი, ბრძენი ჩალაუბნელი გლეხი.

*

ჩემ სახლში, ბაკურციხეში, ყველაფერი თავის რიგზე დამხვდა. მოჯამაგირე სანდრომ გადმომცა რომ სოფელში დაიარებიან სიღნაღიდან მოსული კომუნისტები რუს სალდათების თანხლებით და შეძლებულ გლეხებს სარჩოს ართმევენ... განსაკუთრებით ბურს, ქერს, სიმინდს...

-კოლაკელი ცალფეხა კომუნისტი "ფირუზა" გუშინ დუქანთან ტრაბახობდა: გათავდა თავადების და ბობოლა სოფლის წურბელების ხანაო... ახლა ჩვენი, ღატაკების ხანა დადგაო... ჩვენც გვინდა გავსუქდეთო.

- მათ რომ მორჩებიან ბოლშევიკები, ჩემო სანდრო, ახლა ღარიბთა ქონებასაც მიადგებიან.

ჩვენ, ღარიბებს რა გვაბადია, ბატონო, რა უნდა წაგვართვან? - სიცილით მიპასუხა სანდრომ.

შენს ძალლონეს... ბოლშევიკები დაგადგამენ უღელს და გახნევინებენ თავის სასარგებლოთ ალმართსა და დალმართსა!

- იიჰ! რასა ბრძანებთ?! ამას როგორ იზამენ, ღარიბებს რაზე დაგვჩაგრავენ? - ხმა აწეულათ მომივო პასუხად კომუნისტურ პროპაგანდით უკვე ნალრძობმა ჩემმა ერთგულმა სანდრომ. მივხვდი რომ ჩემი სოფლის ნაწილი უკვე შერყეულია და საჭიროა დიდი სიფრთხილე.

*

მეწვია ბაკურციხის ეკლესიის დიაკვანი ზ., ჩემი ძველი თანამოაზრე.

- დათიკო, ბოლშევიკები სოფლებში არამზადა პიროვნებებს ამსახურებენ. ეგენი დასდევენ ბოლშევიკურ რაზმებს... აბეზღებენ პატიოსან ხალხს... აცარცვინებენ... ღმერთს გვიგინებენ... ქვეყანა ირყვნება, რა გვეშველება?

- ხალხი რა გუნებაზეა? ზოგნი რომ ელოდებოდნენ რუსების მოსვლას თეთრ პურს და იაფ ფართალს მოგვიტანენო... ეხლა რას ამბობენ?

- იწყევლიან თავს... გუშინ წინ ბოლშევიკები თავს დაადგნენ სწორედ ამ შეძლებულ გლეხკაცს, რომელიც ლოცულობდა მათ მოსვლაზე და გაიძახოდა: - როგორც რუსებს კიდევ დავინახავ ალაყაფის კარებს ღია დავახვედრებო! - ამ ღია კარით შემოსულ ბოლშევიკ სალდათებმა ახლა გაუჩხრიკეს მას მთელი კარ-მიდამო და აღმოუჩინეს ორმოებში დიდი ძალი ხორბალი და მთლად გაზიდეს. მაგრამ ამისთანა უმგვანო ხალხი კახეთში ცოტაა. დიდი უმრავლესობა კბილებს ილესავს და გაიძახის: - ნეტა ვინმე კაცი გაგვიჩნდეს, რომ ამ წუმპაკებს აქედან თავი უკრათო. - ყველაზე მეტად ღელავს ქიზიყი, სადაც ბოლშევიკ ცხენოსნებს ჩაუსაფრდნენ. ამას წინად თქვენ გიკითხათ ქვემო მაჩხანელმა ვასო თამაზაშვილმა. თქვენი მოწერილობის თანახმად შევუთვალე, რომ ერთ კვირაში ჩამოხვალთ. ალბათ ამ დღეებში აქ გაჩნდება. ვასო თამაზაშვილი გავლენიანი ახალგაზრდა კაცია ქიზიყში. ის უფრო სწორ ამბებს ჩამოგიტანთ.

*

მართლაც, სამიოდე დღის შემდეგ ეზოში შემოვიდა სამი ახალგაზრდა კაცი, კარგათ გაწყობილ ჩოხებში და კოხტათ წახურულნი პატარა ნაბდის ქუდებით.

- ბატონო დავით, ქიზიყი ბობოქრობს. ველარ იტანს ბოლშევიკების სიმურტლეს. გაიგებდით, რომ ამ მხეცებმა ერთი ოჯახი აგვიკუწეს რუსულ "კოტლეტებსავით". ახლაც დადიან კარ და კარ... ვის ხარს წაართმევენ, ვის ცხვარს, ან ფულს. ქალები ხომ სულ ჩაკეტილები სხედან სახლებში. ხალხი ამბობს - ან უნდა გავწყდეთ ან და ეს ოხერი ახალი ბატონები თავიდან მოვიცილოთო. თელავიდან ხმა მოვიდა რომ ბ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხალხს აგროვებს და რაზმებს აწყობსო. გთხოვთ ბატონო დავით აცნობოთ ჩოლოყაშვილს, რომ აქეთკენაც მოგვხედოს. ერთ კაი მაგარ რაზმს, ჩვენ, ქიზიყელები შევადგენთ - მომითხრობდა ახალ ამბებს და მთხოვდა ქიზიყელების ახალგაზრდა ბელადი ვასო თამაზაშვილი.

- კეთილი და პატიოსანი ყმაწვილებო... ჩემს მეგობარ ქაქუცას გაცნობებ თქვენს ამბავს და თხოვნასაც. მაგრამ ვიცი რომ ამ ხანად მოუცლელია და თუ შესძლებს აქეთკენ წამოსვლას - ეს ალავერდობის შემდეგ. მანამდე კი ვასო მეტად ფრთხილად სამზადისს შეუდექით. ბაკურციხიდან მოგაშველებთ ქაქუცას ნათესავს ახალგაზრდა ოფიცერს კოტე ჩოლოყაშვილს. კარგი ოფიცერია და მამაცი ყმაწვილიც. ქაქუცასთან ერთად ენკენისთვის ბოლოს თქვენთან გავჩნდები... ეხლა კი მობრძანდით მცირე სუფრაზე. მაპატიეთ რომ დროისა მიხედვით ვერ გაგიმასპინძლდებით ძველებური ჩვენი წესითა - შევუთვალე ქიზიყელებს და ავიყვანე ჩემი სტუმრები ჰაივანზე, სადაც გველოდებოდა მწვადები, ცხელ შოთები, ღვინო და ტარხუნის არაყი...

- ეს ღმერთმა დაგვილოცოს კახეთის ძველ საგვარეულოთა ოჯახების წარმომადგენლობა, რომელნიც ხალხის გაჭირვების ჟამსა მუდამ თავდადებულათ ემსახურებიან თავის მშობელ

ქვეყანას. შევსვამ სადღეგრძელოს ჩვენი მომავალ ბელადისა ქაქუცა ჩოლოყაშვილისა. ალავერდი თქვენთან ბატონო დავით! - სთქვა თამაზაშვილმა და დაცალა პატარა ყანწი.

იახშიოლ: ძვირფასო ქიზიყელნო! ამავე ყანცით ვადღეგრძელებ ჩვენი ქვეყნის ბურჯს ამერ-იმერეთის გაუტეხელ ქართველ ერს და მათ საუკეთესო ნაწილს. საქართველოს აღმოსავლეთის კარის მოდარაჯეს ქიზიყის ხალხსა.

- ამ ხანად კი წაგვიხდა ჩვენი დარაჯობა ბატონო - სთქვა თამაზაშვილის ერთმა ამხანაგმა: - იმდენათ დავავიწყდით გუშინდელ ჩვენ მთავრობას. რომ არც კი გვაცნობა თუ მტერი ჩვენ კარზეა მომდგარი! მთელ ქიზიყს ეძინა. როცა მის თავზე რუს ცხენოსანთა რაზმს გადაუვლია. ასე ჩაგვიჭირეს ქიზიყელები. უკაცრავად სიტყვაზე. ნიფხავ-ბერანგ ანაბარი! დალოცვილებმა რამდენი ფული გვახდევინეს ამ ტელეფონებში. დილიდან სალამომდე არაკურებდნენ და ლაზლანდარობდნენ... და სწორედ ამ საბედისწერო დღეში ენა ჩაუვარდებოდათ?! -

- მაშ გელით ორთავეს ქიზიუში ბ-ნო დავით. თქვენ ჩამოსვლისას დავიბარებ ქიზიყის გავლენიან ხალხს და იმედი მაქვს რომ ქიზიყელები დედაბუდიანათ მხარს დაუჭერენ ჩვენი განთავისუფლების ბრძოლის საქმეს. პირობები. მართალია. მეტად ძნელია... მაგრამ ნათქვამია - ცდა ბედის მონახევრეაო - გამომშვიდობებისას მითხრა თამაზაშვილმა.

## ალავერდიდან - ბოდბემდე.

მომივიდა ვანო ციციშვილის მიერ გამოგზავნილი "წარმოკავშირის" საქონელი. ენკენისთვის ბოლომდე მოუნდა საწყობის რიგიანად მოწესრიგებას და "წარმოკავშირისათვის" ერთგულ აგენტურის შექმნას. გავიჩინე ბუდეები ალაზნის გაღმაც. ბაკურციხის ბაზა მზად იყო.

ალავერდობის წინა დღეს ჩემს ნათესავს გიორგი ვაჩნაძეს-აიდუმურიშვილს. რომელიც ოჯახობით მიდიოდა სადღეობოთ ალავერდში. გადავეცი ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელზე მოკლე ბარათი. ვწერდი - ძმაო ქაქუცა. ამ ბარათის მიღებისთანავე გთხოვ დრო იხელთო და საჩქაროდ ჩემსკენ ბაკურციხეში გამოხვიდე.

ალავერდობის მესამე დღეს. დილით. ჩემს სახლს წინ სამი მოხდენილი ცხენოსანი გაჩერდა: ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ორი მხლებელით.

- დათა. შეგეწიოს ალავერდის წმ. გიორგის მადლმა! როგორც კი მივიღე შენი ბარათი. შუა ღამისას გამლილ სუფრას და მრავალ სტუმარს გავეპარე და ამ ორ ყმაწვილით გამოვქანდი შენსკენ. მთელი ღამე ვიარეთ. ახლა შენს განკარგულებაში ვარ - მითხრა ქაქუცამ და გამაცნო თავისი ახალგაზრდა თანამგზავრები. ერთი მათგანი იყო შალვა ფავლენიშვილი. მეორე სერგო მაისურაძე.

- ძვირფასო ქაქუცა. რაკი ალავერდის უხვ სუფრას გაეპარე ალბათ ნამეტანათ დამშეული იქნებით. თუმცა დღეს არ გელოდებოდით. მაგრამ ჩვენი ადათით ძვირფას სტუმრებისთვის სუფრა მუდამ მზად არის. ამავე წესით საქმეების გარიგებაც სუფრის გარშემო ხდება... ხომ ყაბული ხარ?

- ყაბული ვარ და როგორ?! " ღვინოს დავლევ წყალს არა. შენ გაკოცებ სხვას არა!" დაიმღერა ქაქუცამ - აბა. შენ იცი დათა. თუ რა ღვინოს დაგვალევინებ!

ნახევარ საათის შემდეგ უქვე სუფრის გარშემო ვისხედით... ქაქუცას გავაცანი ჩვენი მხარეთა ამბები და მიზეზიც თუ რატომ ვთხოვე საჩქაროდ გამოსვლა:

- თბილისიდან მივიღე ცნობა რომ ჩვენი პოლიტიკურ ხალხის ბედი ბეწვზე ჰკიდია. რახან ბოლშევიკები ძლიერდებიან კავკასიაში და საქართველოში ვეღარ ინელებენ თავისუფლათ მოსიარულე მოწინააღმდეგე ქართველობას. შესაძლებელია. რომ ერთ მშვენიერ დღეს უცბად ყველას გვიკრან თავი ციხეში. ამასთანავე ჩვენი მხარეც ძალიან ღელავს. სიღნაღის მაზრაში შენი სახელიც. როგორც მათი მხსნელის. გადადის პირიდან პირში. მეტადრე თავისუფლების მოყვარე და ბოლშევიკებით აწიოკებულ ქიზიყში. მათ წარმომადგენელს ვასო თამაზაშვილს დავპირდი. რომ ერთად ვესტუმრებით სოფელ ქვემო მაჩხაანში. სადაც ის დაგვხდება რჩეულ ქიზიყელებით სათათბიროთ. შენი მისვლა მოსვლის გასაადვილებლათ და დასაკანონებლათ ბოლშე-ვიკების მეთვალყურეობის პირობებში. აქ. ბაკურციხეში მოვაწყე "წარმოკავშირის" განყოფილება-საწყობი რკინეულობით და სავენახო სხვა და სხვა საჭირო იარაღით კახეთში გასასაღებლათ წაიღე ამ საწყობის ნაწილი საქონელი თელავის მაზრაში და იქაც გახსენი ასეთი განყოფილების საწყობი. ფულის მოგებიდან ნახევარი "წარმოკავშირისა" იქნება. ნახევარი დარჩება შენს განკარგულებაში... რას ფიქრობ ამ ჩემს წინადადებაზე?

- ძალიან მოსაწონია ჩემო დათა. ეს დიდათ მომეხმარება ჩემს საქმეში. სალსარის მხრივაც და ბოლშევიკების ეჭვების გასაფანტავათ ჩემი ხშირი მოგზაურობის გამო სხვა და სხვა კუთხეში. ახლა ვეტყვი: ვვაჭრობ. მორჩა და გათავდა! მადლობელი ვარ ასეთი შეფარდებულ დახმარებისათვის. ამ ცოტა ხანში მე თვითონ ჩამოვალ ფურგონით და გადავზიდამ თელავში რასაც მომცემ - მიპასუხა გახარებულმა ქაქუცამ.

- ქვემო მაჩხაანში როდის ლა წავიდეთ?

- ხვალვე.

- ახლა ჩემო ქაქუცა, რადგან ჩვენი მხარეც ბოლშევიკების მოჯაშუშე კაცებით გავსილია, საჭიროა, რომ შენ მათ ეჩვენო ძველ მოქეიფეთ, ჩამოსული ბაკურციხეში დროს გასატარებლათ. სხვათა შორის ხვალ უკანასკნელი დღეა ჩვენი სოფლის გომართის წმ. გიორგის ეკლესიის დღეობისა. დილიდან ინახულე აქაური შენი ნათესავ-ნაცნობი ოჯახები, მერმე ადი გომართში, ეჩვენე ხალხს და საღამოს შენი მშვენიერ ოქროს ფერის რაშზე გაჰკარი ქვემო მაჩხაანისაკენ... მე და კოტე ჩოლოყაშვილიც იქ დაგხვდებით, ვასო თამაზაშვილის სახლში.

- ბატონი ბრძანდები! ქეიფი და ცხენოსნობა ჩემი მუდმივი თანამგზავრნი არიან. მით უფრო როცა უნდა ვიომოთ... გავიმარჯვოთ ან დავიხოცნეთ! სიხარულით ორივე ხელით ვეჭიდები შენს ბრძენ და სასიამოვნო გეგმას - სიცილით მითვლიდა პირმშო ქართველი რაინდი ჩოლოყაშვილი...

გათენებისას ვაფრინე ქვემო მაჩხაანში ბაკურციხის დიაკვანი ვასო თამაზაშვილთან ჩვენი მოსვლის ამბავის შესატყობინებლად. მტრის თვალთა ასახვევად ქაქუცასთან ერთად ვეწვიეთ რამოდენიმე მეზობელ ოჯახს და მოვყევით ქეიფს. მაგრამ ორივენი ვცდილობდით რაც შეიძლება ნაკლები ღვინო გვესვა, და ერთ ვაჩნაძის ოჯახის მასპინძელთან მორიგებით ცარიელ ყანწებს ვიყუდებდით... მალე ჩუმად მე და ახალგაზრდა კოტე ჩოლოყაშვილი გავეპარეთ სუფრიდან, შევახტით დამზადებულ ცხენებს და გავქუსლეთ ქიზიყისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ პატარა კოხტა სახლის წინ დაგვხდა ნასიამოვნები მისი პატრონი ვასო თამაზაშვილი. გაიარა ცოტა ხანმა და ეზოში შემოიჭრა ორი რაინდი ცხენოსანი ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის ერთგულ შალვა ფავლენიშვილით.

*

ვასო თამაზაშვილის ბინაზე თავი მოიყარა 15 ქიზიყელმა - სიღნაღიდან, ბოდბედან, მაჩხაანიდან, მანავიდან, ანაგიდან და სხვა ადგილებიდან. ყველანი დიდის ყურადღებით აცქერდებოდნენ ქაქუცას.

- კაი ვაჟკაცია, გაიტანს ლელოს.

- თუ გინდ ვერ გაგვირეკოს რუსები, მაინც კა უაზახია! მომესმა გვერდიდან ორი ხნიერი ქიზიყელის ხმანი.

სტუმართ მოყვარე შეძლებულ თამაზაშვილის უხვად და ლამაზად მორთულ სუფრას გარშემოუჯდა ოცამდე სტუმარი. თამადათ ქ. ჩოლოყაშვილი დაინიშნა.

- ძვირფასნო ქიზიყელნო, თამაზაშვილთა სახლში მივესალმები თქვენს ქვეყანას და კეთილ ხალხს. ღმერთმა წილად დაგვადო კვლავ მტრისაგან წვალება, ტანჯვა და მასთან შებმა, ჩვენ, ქრისტიან ხალხის ეს ძველი წილ-ხვედრია... მოვმაგრდებით და წელში გავსწორდებით, დავაგროვებთ დოვლათსა და აგერ მტერიც გვიჩნდება! თავს ესხმის ჩვენს სამშობლოს, ფეხქვეშ თელავს ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებას, იტაცებს ქართველთა სარჩო-საბადებელს... ასე მუდამ ყოფილა... მაგრამ შედარებით წარსულ ძველ ამბებთანა ის რაც მოევლინა დღეს საქართველოს ბოლშევიკების სახითა - მართლაც რომ შემზარავია. ადამიანთა ცხოვრების ძირიანად გადაყირავება! მისი ოჯახური წესწყობილებისა, უარყოფა რჯულისა, საკუთრებისა, პატიოსნებისა... ესე იგი მე XX განათლებულ საუკუნეში ქართველების ნადირად გადაქცევისა! და საქართველოს მონადირე ბოლშევიკებისათვის სანადირო ტყეთ გადაქცევისა... არა! ღვთისმშობლის საუფლისწილო ძველი ივერია და მისი გმირი ხალხი არ გაიპირუტყვებენ თავსა! თუ ოდესმე თავის განწირვა სამშობლოსათვის დიდათ ფასობდა, ამ ხანად ასეთ ვერაგ და გამანადგურებელ მტერთან ბრძოლებისათვის - იგი დაუფასებელია. არას დროს ჩვენი ძველი მოწოდება: "ქართველო ხელი ხმალს იკარ მტერი გადგია კარზედა" ისე არ იყო მაგარი და დროული როგორც დღესა. ქიზიყელებო! საქართველოს განთქმ-ულნო ვაჟკაცნო და მეომრებო, ვიცი არცა თქვენ ჩამოუვარდებით დღეს დანარჩენ ქართველობას იმ ბრძოლაში, რომელსაც ალავერდის წმ. გიორგის და ბოდბის წმ. ნინოს მფარველობითა ვიწყებთ. მოვფინოთ მთა-ბარი ქართველ მეომართა რაზმებით და როცა დრო მომწიფდება ერთად დავკრათ საზარელ მტერსა! ღმერთმა ქართველებს ეს მისი წმინდა საქმე მოაგებინოს. ალავერდი შენთან ილიავ! - სთქვა ქაქუცამ და გადაულოცა ყანწი მის გვერდში მჯდარ ხნიერ ქიზიყელს.

- ამინ - მოისმა სუფრის ყველა მხრიდან დამსწრეთა ხმები.

- ვიტყვი ჩემო ბატონო ქაქუცა... იახშიოლ! ღმერთმა დაგილოცოს გამარჯვების გზა და შენი წინაპარსავით გაგვიძეხ წინ. მტერი ძალოვანი და ფლიდია. შინა გვრევს, ძმა ძმაზე ამხედრებს, მერე გარედან რკალს გვარტყამს და გვირტყამს... მაგრამ რა ვქნათ? ხმა არ ამოვიღოთ? მათი ურჯულობის, სიმრუშის, ხალხის გავერანების ნათესის ნაყოფის ამოსვლას ველოდოთ? ეს ხომ გვიანი იქნება! უნდა თავიდანვე შევებრძოლოთ. ბრძოლაში დავმარცხდებით დღეს? რა ვუყოთ. ძალა აღმართსა ხნავს - ნათქვამია... მაგრამ მტერს საქართველო მაინც აღმართად დაურჩება და არა დაღმართად ჩაგორებული! ხვალ ამ ბრძოლის დროშით სხვა თაობა გამოვა, ჩვენ სისხლიან კვალს მიჰყვება და ასეთი ბრძოლითა ბოლოს და ბოლოს ამ ჩვენ გამსრეს ლოდს დაღმართისაკენ ჩააქანებს. მხოლოთ ნუ აჩქარდებით, მოვიქცეთ დინჯათ, დავალაგოთ

მწუობრად ჩვენი ძალები. სადაც საჭიროა ხერხი მივაშველოთ. სადაც არა სჯობს შებმა - დროებით გავეცალოთ და მცირე ქართველების ძალები დავზოგოთ. მაგრამ იარაღი კი არ დავყაროთ და ეს ანდერძი ჩვენ შთამომავლობასაც გადავცეთ. ეხლა ჩვენ აქ ვიმყოფებოთ წმ. ნინოს ბოდბეს სავანის ძირში... შეგვეწიოს ყველას მისი მადლი და შევევედროთ რომ ჩვენი ძვირფას ახალგაზრდა ბელადს ქაქუცა ჩოლოყაშვილს წმინდა ვაზის ჯვარით წინ გაუძღვეს და გამარჯვებისაკენ გზა გაუკაფოს! - სთქვა ფეხზე მდგომმა აღელვებულმა მოხუცებულმა ილიამ და დაუკრა თავი ჩოლოყაშვილს. ამ სიტყვა-პასუხზე ყველა აიშალა სუფრიდან და სათითაოდ მიდიოდნენ ქაქუცასთან და მის წინარე სცლიდნენ პატარა ჯამებს წითელი ღვინითა.

მთელი ის ღამე გატარდა ქიზიყელებთან სხვადასხვა სამოქმედო საკითხების გამორკვევა მოლაპარაკებაში. გათენებისას ქაქუცამ გადასწყვიტა პირდაპირ თელავში წასვლა.

- დათა ერთ კვირაში მოვბრუნდები დაპირებულ საქონლის წასაღებად - მითხრა ცხენზე მჯდომარემ ქაქუცამ. - გელი - უპასუხე მე.

*

ოქტომბრის დასაწყისში. ღამე. დაკეტილ ალაყაფის კარებთან მომესმა მაღალი შემოძახილი. კაცმა გაუღო კარი. ჩემს ეზოში შემოგრიალდა ოთხცხენიანი დიდი ფურგონი. კოფოდან გადმოხტა მალაკნურ ყვითელ ტყავში და ასეთსავე ფაფახში - "მალაკანი" ქაქუცა ჩოლოყაშვილი!

- დათაჯან. ადრე დილითვე უნდა უკან მივბრუნდე. ამიტომ საჩქაროდ უნდა დავტვირთო ფურგონი შენ მოცემულ საქონლითა. რომ არ დაგვიგვიანო. გზათ მელიან კაცები. არავინ უნდა გაიგოს ჩემი აქ ჩამოსვლა. უკვე გავარდა ხმა. მიხვდნენ რომ რაღაცასა ვატრიალებთ.

რიყრაჟზედ ჩემი კაცის სანდროს მოხმარებით სამივემ მარდათ დავტვირთეთ. უკვე ცხენებშებმული ფურგონი.

- მაშ ასე ქაქუცა... შენი გამოსვლა შეუფარდე თბილისიდან მოცემულ ნიშანს. თუ ჩვენ ყველას დაგვიჭერენ მაშინ ხომ ეს იქნება შენთვის ბუნებრივად ნიშანი. მებრძოლ ქართველთა ქვეყანა უპატრონო არ უნდა დარჩეს.

გადავეხვიეთ ერთმანეთს. ქაქუცა ახტა ფურგონის კოფოზე. ოთხმა ძალოვანმა ცხენმა გააგრიალა მძიმე ფურგონი თელავისაკენ.

*

მეც მალე მეგობრებმა დამიბარეს თბილისში. გადავწყვიტე ბოდბეს მონასტერში ასვლა ჩემი მამიდა ელოს. ბოდბეს მონასტრის უკანასკნელ იღუმენია ნინოს სანახავად. დილის 11 საათი იყო. რომ შევედი მონასტრის გალავანში დავინახე. რომ წმ. ნინოს სავანის კარი ღია იყო. გავემართე იქითკენ. წმ. ნინოს საფლავის წინ მუხლმოდრეკილი მხურვალეთ ლოცულობდა მისი ერთგული დარაჯი და მცველი იღუმენია ნინო-ვაჩნაძისა.

- დათა. ჩემო საყვარელო... გულმა მიგრძნო რო აქ ახლო იყავ ჩვენგან. შენთვის ვევედრებოდი ჩვენს მფარველ წმ. ნინოს. გადიწერე პირჯვარი. დაიჩოქე და ემთხვიე მის წმინდა საფლავს - დედაშვილურად მიბრძანა იღუმენიამ.

- უკანასკნელ დღეებში ვართ ძვირფასო დათა. სასწავლებელი მიგვიკეტეს. ბავშვები გაგვირეკეს. ალბათ მეც მალე გამაგდებენ აქედან და წმ. ნინოს საფლავს უნდა დაეპატრონონ ურჯულო. უზნეო ადამიანები. ნუ თუ ქართველებში აღარ მოიპოვებიან თავდადებულნი მორწმუნე ქრისტესი. თაყვანის მცემელნი მათ გამანათლებელ წმ. ნინოსი. რომ დაიცვან თავის ჯვარ-ვაზის სამშობლო!

- მოიპოვებიან საყვარელო ჩემო მამიდა ელო... მოიპოვებიან... - ამ პასუხზე იღუმენიამ ერთ წამს დამაცქერდა... და ემგერა ქვითინით ჩემს მკერდსა.

სტამბოლი 1924 წ.[3]

*

* *


ი ვ ე რ ი ა

ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი

დაარსებული ილია ჭავჭავაძის მიერ 1877 წელს;
აღდგენილი პარიზში ეროვნულ-დემ. პარტიის მიერ 1949 წელს.

36

თებერვალი 1991

პარიზი


3 დავით ვაჩნაძის მოგონებები გაგრძელდება "ივერიის" ახალ გამოცემაში, რომელსაც იწყებს ქართულ-ევროპული ინსტიტუტი.

## "პერესტროიკა" საქართველოში ანუ საქართველო არჩევნების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ილუზიის საფუძველი არ არსებობდა და ჩემი დაკვირვებით "პერესტროიკა" ტოტალიტარიზმის რესტრუქტურირებას და რეინკარნაციას წარმოადგენდა (იხ. "ტოტალიტარიზმის რეინკარნაცია" - "ივერია" 31,32,33,35), მე მაინც მოუთმენლად მოველოდი არჩევნების დამთავრებას და იმ საქმიანობის დასაწყისს, რომელსაც ერთადერთს შეეძლო პირუთვნელი პასუხის გაცემა კითხვაზე: არის თუ არა ქართული ცნობიერება განთავისუფლებული ტოტალიტარული სტრუქტურებისა და კლიშეებისაგან ანუ, - შეუძლია თუ არა ქართულმა ცნობიერებამ თავი დააღწიოს ძალაუფლებრივი წყობის მესაკუთრულ ტენდენციებს და წარმოქმნას სოციალური ცხოვრებისათვის აუცილებელი თანამდებობაზე (ძალაუფლებაზე) კანონის უპირატესობის და საზოგადოებრივი ანგარიშგების შეგნება. თუ კი რაიმე აზრით უნდა ყოფილიყო ეს არჩევნები ლაკმუსი ჩვენი დღევანდელი ყოფისა, სწორედ ამ აზრით. არჩევნები ჩატარდა ორჯერ: ერთხელ სრულიად ძალადაუტანებლად და ნებაყოფლობით, რადგან ირჩეოდა იმთავითვე ოპოზიციური წარმონაქმნი, რომელსაც "კონგრესი" ეწოდა და რომელსაც მეტად კეთილშობილი მისია, ძალაუფლებისადმი ოპოზიცია და მორალური კრებითი ნების გამოხატვა ეკისრებოდა. კონგრესის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველი მოსახლეობის დაახლოებით მესამედმა.[1] ეს ჩემის აზრით სრულიად განსაცვიფრებელი ფაქტია, რომლის მსგავსსაც ვერ შეხვდებით ვერცერთ სხვა რესპუბლიკასა თუ სახელმწიფოში, და არა მარტო ტოტალიტარიზმიდან გამოსვლის პირობებში, არამედ დემოკრატიულშიც კი: მოსახლეობის (უფლებამოსილის) მესამედმა რომ თავისი თავისუფალი ნებით ისეთი ოპოზიციური ინსტიტუტის მხარე დაიჭიროს, რომელსაც არავითარი რეალური სოციალური და საცხოვრებისო პრივილეგიების მოცემა არ შეუძლია. აქ პრივილეგიებში ვგულისხმობ არა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ გამარჯვებული თავის კადრებს ნიშნავს თანამდებობებზე და მთელს "შემოგარენს" გარკვეულად ამაღლებს საზოგადოებრივ კიბეზე - ეს გასაკვირი არ არის, ბუნებრივია, არამედ იმასაც, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერს იმედი აქვს, რომ გამარჯვების შემთხვევაში განხორციელდება ის პროგრამა, რომელსაც მან მხარი დაუჭირა და რაც მისი სოციალური კეთილმოწყობის გეგმებში შედის. ამგვარად, "კონგრესის" არჩევნებმა გამოავლინა საქართველოს მოსახლეობის ნაწილის საწყისი მზადყოფნა სოციალიზებისათვის. მზადყოფნა, პრივილეგიებზე მაღლა საზოგადოებრივი და სამართლებრივი მშენებლობის პრინციპი დააყენოს. ეს იმაშიც გამოიხატა, რომ "კონგრესის" შემადგენლობაში საქართველოს ინტელიგენტების უმრავლესობამ მოიყარა თავი.[2] რაც ბუნებრივია ამგვარი დაწესებულებისთვისაც და თვით ინტელიგენტი ადამიანებისთვისაც (ინტელიგენტობის არსებითი ნიშანი ძალაუფლების მსახურებრივი ზეგავლენიდან თავისი პიროვნების გათავისუფლებაა და საკუთარი პრინციპის დაცვა. ამიტომ ინტელიგენტი, როგორც თავისი საკუთარი აზრის მქონე, "ბუნებით" ოპოზიციონერია). "კონგრესის" დანიშნულება განსაზღვრებით არის ძალაუფლების მიმართ ოპოზიციაში ყოფნა და ამით სოციალიზაციის პროცესის დაწყება და გაღრმავება. მე აქ არ შევეხები "კონგრესის" საქმიანობის ანალიზს, რადგან რეალურად "კონგრესს" არცერთი საკანონმდებლო აქტის ან პრინციპული, სტრუქტურული ცვლილების მოხდენა არ შეუძლია. მას შეუძლია ძალაუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა საზოგადოების მობილიზებით და ძალაუფლების ანტისაზოგადოებრივი და ანტისახელმწიფოებრივი (ანტიეროვნული!) საქმიანობის მხილებით. ეს მისი, როგორც ეროვნული ზნეობრივი ინსტიტუტის უპირველესი დანიშნულებაა. ცხადია, ამგვარი მხილება ტოტალიტარული სისტემის პირობებში რეპრესიების საფრთხეს შეიცავს, მაგრამ სწორედ ეს არის კიდეც ნიშანი იმისა, თუ რამდენად შორდება სისტემა ტოტალიტარული დიქტატურისათვის დამახასიათებელ ქცევას და იძენს ნორმალური სოციალური ურთიერთობების ფორმას. თავისთავად ახალარჩეული ძალაუფლების (ხელისუფლების) კრიტიკა ვიდრე ეს ძალაუფლება (ხელისუფლება) არ

---

1 კონგრესის არჩევნების შესახებ იხ. "ივერია" 35. კონგრესის საარჩევნო კომისიის პირველად მონაცემებს მე კიდევ უფრო ვამცირებ, რადგან ამ შემთხვევაში რაოდენობას არა აქვს მნიშვნელობა და, თანაც, ამ მონაცემთა შემოწმების საშუალებას მოკლებული ვარ. ამგვარივე სიფრთხილით ვეკიდები უზენაესი საბჭოს საარჩევნო კომისიის მონაცემებსაც, ვიდრე არ არის გამოქვეყნებული მთელი სტატისტიკა.

2 უზენაესი საბჭოს დეპუტატი, უმცირესობის წარმომადგენელი ნოდარ ნათაძე (სახალხო ფრონტი) თავის ღია წერილში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისადმი("საქ. რესპ." 20 დეკ. 1990) წერს: "ნუ დაგავიწყდებათ, რომ საქართველოში არიან ადამიანები, რომელთაც იციან (ან თავიანთ სფეროში, ან ზოგადად), თუ რა სჭირდება საქართველოს. ამ ადამიანთა 99% მაინც დღეს თქვენდამი რწმუნებული პოლიტიკური ბლოკისა და მისი საპარლამენტო უმრავლესობის გარეთაა..." - ცხადია ეს არ ნიშნავს, რომ ეს 99% კონგრესშია ან მის ირგვლივ, მაგრამ მეტად საგულისხმოა, რომ ეს მცოდნე უმრავლესობა "გარეთაა". საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ვერცერთმა "ინტელიგენტურმა ბლოკმა", რომელიც ოფიციალური ძალაუფლების არჩევნებში მონაწილეობდა, ვერ დააგროვა ხმების საწყისი მინიმუმიც კი (4%).

********************************************************************

გამოსცემს პირველ კანონებს, თავის საარჩევნო პროგრამისადმი, რომელმაც მას არჩევნებში გაამარჯვებინა, მიმართებას არ გამოამჟღავნებს და პირველ რეალურ საქმეს არ გააკეთებს, არაკორექტულია. ასე ვთქვათ, პირველი დღიდანვე "კრიჭაში ჩადგომა" აბუნდოვნებს სურათს და ხელს უშლის საზოგადოებას (ხალხს) სწორად შეაფასოს მოცემული ძალაუფლების (ხელისუფლების) საქმიანობა. მაგრამ უკვე სამი თვე გავიდა და შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ და დავინახოთ, თუ საით მიდის საქართველო ახალარჩეული ძალაუფლების ხელში და რა მიმართებაში არის მასთან "კონგრესის" ოპოზიცია. კონგრესის არჩევნების მონაცემები გამოქვეყნდა "ივერიის" 35 ნომერში. (უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, კონგრესის საქმიანობის შესახებ "კონგრესიდან" ან მისი მხარდამჭერებიდან მომდინარე ინფორმაცია მეტად მწირია და ამბებს, ძირითადად და ძველებურად, ოფიციალური პრესიდან ვიგებთ, რაც სურათს ტოტალიტარულ-დისიდენტურ სიბრტყეში ათავსებს და ხელს უშლის ანალიზს).

მეორე არჩევნები: უზენაესი საბჭოსი, წარმოადგენდა "პერესტროიკის" პირველ მრავალპარტიულ არჩევნებს იმ პირობებში, როდესაც ძალაუფლების სათავეში მყოფმა კომუნისტურმა პარტიამ უარი სთქვა თავის "მმართველ" როლზე და მრავალპარტიულობა "დეკრეტით" დაუშვა. ამ ოფიციალურ არჩევნებში წარმოდგენილი იყო 14(!) ბლოკი. ამათგან ყველაზე ორგანიზებული და პოპულისტური იყო "მრგვალი მაგიდა", ხოლო ყველაზე დისკრედიტირებული და "უკანმიმდგარი", მაგრამ რეალური სტრუქტურების მფლობელი კი - კომუნისტური პარტია. საბოლოოდ გამარჯვება არჩევნებში მოიპოვეს, როგორც მოსალოდნელი იყო, "მრგვალმა მაგიდამ" და კომუნისტურმა პარტიამ: პირველმა მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა 54 %, ხოლო მეორემ კი 29,7%. აღსანიშნია ის, რომ "მრგვალ მაგიდას" მასობრივად მისცეს ხმა კომუნისტებმა,[3] რამაც განაპირობა კიდეც ამგვარი შეფარდება ხმებში.[4] დანარჩენი ხმები წვრილ-წვრილად და თითო თითოდ გაუნაწილდათ სახალხო ფრონტს, დამოუკიდებლებს, "დემოკრატიულ საქართველოს" და სხვ....

უზენაესი საბჭო, ფაქტობრივად, შეადგინა "მრგვალი მაგიდის" აბსოლუტურმა უმრავლესობამ და კომუნისტების უმცირესობამ. სინამდვილეში ისევ მივიღეთ იგივე, ოღონდ "ადგილშენაცვლებული" სტრუქტურა, როგორიც არსებობდა კომუნისტური ძალაუფლების დროს: "კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკი". კომუნისტებმა ახლა თავი დაიმცირეს და დაიკნინეს, თავი ილანძღეს და სცენიდან "გავიდნენ", ხოლო სცენაზე კი გამოვიდა ამ ბლოკის მეორე ნაწილი - ყოფილი "უპარტიოები".

მხოლოდ ამ ახალი ბლოკის რეალური საქმის ანალიზი გვაჩვენებს იცვლება თუ არა "შესაკრებთა ადგილშენაცვლებით ჯამი" და რა რეალური შედეგი მივიღეთ ამგვარი "პერესტროიკით" საქართველოს მომავლისათვის. "მრგვალ მაგიდას", ისევე როგორც მასში შემავალ პარტიებიდან და ჯგუფებიდან უმთავრესებს მეთაურობს საქართველოში დისიდენტიზმის შემომტანი და დამფუძნებელი, გამოჩენილი პოპულისტური ლიდერი ზვიად გამსახურდია. ვიცე თავმჯდომარე უზენაესი საბჭოსი არის "მრგვალი მაგიდის" ბლოკის წევრი ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანი. მთავრობის თავმჯდომარეა (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე) - თენგიზ სიგუა (რუსთაველის საზოგადოება) თავისთავად მონარქიის აღდგენისათვის მებრძოლ "ტრადიციონალისტთა კავშირისა". პოპულისტური დისიდენტიზმის "დემოკრატიულ" პარტიათა და "კომუნისტური ძალაუფლების ( ანუ "სუკის") მიერ თავის დროზე მოწყობილი" "რუსთაველის საზოგადოების" წარმომადგენლის"[5] ეს ალიანსი, "შედუღაბებული" მრგვალი მაგიდის უმრავლესობითა და კომუნისტური პარტიის უმცირესობით, მეტად სატირულ სურათს ხატავს და ბევრ კითხვას წარმოშობს, მაგრამ ამჟამად, რადგან "ტოტალიტარიზმის პერესტროიკის" პირობებში "ყველაფერი

---

3 "ახლა ჩვენი დამოკიდებულების შესახებ კომპარტიასთან: ვრცელდება დეზინფორმაცია, თითქოს ჩვენ გვაქვს ძალზე აგრესიული ზრახვები კომუნისტების მიმართ, თითქოს კომპარტია ჩვენს მიერ მტრადაა გამოცხადებული და ა. შ... ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩვენ ვუპირისპირდებით და ვებრძვით ცალკეულ ფუნქციონერებს, მაგრამ მთლიანად კომპარტიის მასაზე ეს არ ითქმის, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ კომპარტიაში უმრავლესობა შესულია არა იდეური მოსაზრებებით, არამედ ცხოვრების ცუდი პირობების შედეგად: ასე რომ, ჩვენ ამ დიდ მასას არ ვთვლით ჩვენს მტრად. პირიქით, მივესალმებით მის გამოსვლას კომპარტიიდან შესაფერის შემთხვევაში და არავითარი უარყოფითი დამოკიდებულება არა გვაქვს მასთან. არც იმას დავმალავთ, რომ მათში ბევრი მომხრეც გვყავს. ეს ყველასათვის ცნობილია. ვიმეორებ, ეს არ ეხება იმ ფუნქციონერებს, რომლებიც ჯიუტად განაგრძობენ ბრძოლას ეროვნულ მოძრაობასთან და ცდილობენ მის დისკრედიტაციას. ასეთია ჩვენი დამოკიდებულება კომპარტიასთან." - იხ. "თავისუფალი საქ." 23 X 1990 "ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქ. ტელევიზიით". უნდა ითქვას, რომ ერთერთი მთავარი ადგილები - რესპუბლიკის პროკურორისა და იუსტიციის მინისტრისა სწორედ ამ დაგმობილ ფუნქციონერებს უკავიათ ახლაც, კორუფციით ცნობილ საბჭოთა პროკურატურისა და სასამართლოს წარმომადგენლებს: კომუნისტური მთავრობის ნომენკლატურულ რესპუბლიკის პროკურორს, ბ.-ნ რაზმაძეს და ასევე ნომენკლატურულ იუსტიციის მინისტრის მოადგილეს ბ-ნ ხეცურიანს (ცხადია, ჩვენ პრინციპს ვეხებით და არა დასახელებულ პიროვნებებს) - რას მივაწეროთ ეს? შერჩევის რომელი პრინციპია გამოყენებული? როგორც ჩანს "მომხრეები" ნომენკლატურაშიც მრავლად იყვნენ...

4 საინტერესოა, რომ ოფიციალურად ჯერაც არ გამოუქვეყნებიათ სრული სტატისტიკური მონაცემები (გარდა "ბითუმად" დათვლილისა) და არ მოუციათ სოციოლოგიური სტატისტიკა, რაც აუცილებელი ელემენტია დემოკრატიული არჩევნებისა.

5 სწორედ ამგვარად ხასიათდებოდა ამ რამდენიმე ხნის წინაც კი (ყოველ შემთხვევაში არჩევნებამდე) "რუსთაველის საზოგადოება", როგორც ტოტალიტარული რეჟიმის და კგბ-ს მიერ ორგანიზებული ოპოზიციური ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული წარმონაქმნი" - იხ 1988-1990 წწ. "არაფორმალური" პრესა; ზ. გამსახურდიას და სხვათა გამოსვლები და წერილები.

მოსალოდნელია". მსურს მივმართო იმ პირველ საკანონმდებლო აქტებს, და საქმეს, რომლებითაც ახალმა უზენაესმა საბჭომ და მისმა მეთაურმა დაიწყეს საქართველოს "გარდაქმნა" ტოტალიტარულ-ძალაუფლებრივი სისტემიდან კონსტიტუციურ-ხელისუფლებრივ საზოგადოებად.

ჯერ ორიოდე კრიტიკული შენიშვნა თვით არჩევნების სისტემის შესახებ: არჩევნები ჩატარებულ იქნა ორმაგი სისტემით - ნახევარი მანდატებისა აირჩა პროპორციულით და მეორე ნახევარი მაჟორი-ტარულით. პროპორციულში წარმოდგენილი იყო საარჩევნო ბლოკების სიები და მათ ხმა ეძლეოდათ "ბითუმად". ყველას ერთად. ამ არჩევნებში გაიმარჯვა "მრგვალი მაგიდის" სიამ და. მომდევნოდ. "კომუნისტურმა სიამ". თითქოს ამის შემდეგ. დარჩენილი ნახევარი. ნორმალურად. პიროვნებათა შერჩევას მოახდენდა და გამოავლენდა ამა თუ იმ პიროვნების სოციალურ ღირებულებას ამომრჩე-ველთა თვალსაზრისით. მაგრამ საკვირველად. მაჟორიტარულ სიებში აღმოჩნდნენ უკვე არჩეული (პროპორციული სიებით) დეპუტატები. ბევრმა მათგანმა უშუალო შეპირისპირებაში მოწინააღმდეგესთან წააგო არჩევნები, მაგრამ შემდეგ, მაინც მოხვდა უზენაეს საბჭოში. რადგან უკვე დეპუტატი იყო სიით (მაგ იგივე ბ. აკაკი ასათიანი, რომელმაც წააგო ბ. ნოდარ ნათაძესთან, სახალხო ფრონტიდან).[6] ამგვარი რამ მართლაც არ ახსოვს არჩევნების ისტორიას, რომ დეპუტატს ხელმეორედ უშვებდნენ იმავე არჩევნებში და დამარცხებულს ვიცე-თავმჯდომარედ ირჩევდნენ. გამოდის, რომ პიროვნულად ამა თუ იმ კანდიდატს ამომრჩეველი სხვას ამჯობინებს, მაგრამ "ბითუმად" ამა თუ იმ მიზეზით, ვთქვათ "ბლოკის" მეთაურის პოპულარობის გამო ან კარგად ორგანიზებული პროპაგანდის გამო, ის უკვე არჩეული ჰყავს "სიით" და წარმოდგენაც არა აქვს, რას სჩადის. ამის მიზეზი კი, ჩემი დაკვირვებით, იყო ის გაურკვევლობა, რომელიც ახლავს საარჩევნო კანონს და, კერძოდ: ამ კანონში არსად არაფერი არ არის ნათქვამი იმის შესახებ თუ როგორ უნდა გადაწყდეს საქმე იმ შემთხვევაში, თუ სიით წარდგენილმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმები და წააგო თავის მოწინააღმდეგესთან. საარჩევნო კანონის მე-10 მუხლში განსაზღვრულია მხოლოდ "საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. დეპუტატობის კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა". აქ წერია, რომ: "თუ კანდიდატი თავის კანდიდატურას ხსნის საარჩევნო ოლქში, იგი შეიძლება დარჩეს პარტიის (საარჩევნო ბლოკის) კანდიდატთა სიაში." - ეს ნათელია. მაგრამ თუ იგი დამარცხდა? ამის შესახებ საარჩევნო კანონი არაფერს ამბობს. საარჩევნო კანონმა განსაზღვრა, რომ: "კანდიდატად შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ ის პირი, რომელიც შეყვანილია შესაბამისი პარტიის (საარჩევნო ბლოკის) რეგისტრირებულ პარტიულ სიაში." (მუხლი 37). აუცილებელი იყო სწორედ ის განესაზღვრა კანონს, თუ რა მოხდებოდა, თუ მოცემული კანდიდატი არ იქნებოდა არჩეული - ჰქონდა თუ არა მას უფლება სიაში დარჩენილიყო (სია ხომ გაცილებით დიდი იყო, ვიდრე წარდგენილი კანდიდატები...)? კანონმა ეს არ გაითვალისწინა და ამიტომაც მივიღეთ მეტად საეჭვო ხასიათის შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული არჩევნები. აქვე მინდა აღვნიშნო ერთი მომენტი, რომელმაც, ჩემი აზრით, დიდი როლი ითამაშა "ოს სეპარატისტთა" წარმოშობასა და გააქტიურებაში (ცხადია, ეს მხოლოდ "მომენტია" ამ მიზეზებში). კანონის მეცხრე მუხლის ფორმულირება იმდენად გაუგებარია, რომ ვგონებ შემდგენელებს და მიმღებებს ამ კანონისა არ გაუცნობიერებიათ ეს მუხლი, ან იქნებ განგებ დააფორმულეს ასე? მაშინ სხვა ეჭვები იბადება, რომელთა გამოთქმისგან თავს შევიკავებ ამჟამად და ისევ თვით კანონის მეცხრე მუხლს მივხედავ. იგი გვამცნობს (საეჭვო ფორმულირებების გამოყოფით ჩემს მიერ) -

"მუხლი 9. საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან.

"ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის მინისტრთა საბჭოების შემადგენლობაში, გარდა მათი თავმჯდომარეებისა, მათი მოადგილეები, საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის მმართველობის სხვა რესპუბლიკურ ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პირნი, რომლებიც შედიან ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უწყებათა, განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, მართლამსაჯულების ორგანოებში არჩეული პირები, საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის მთავარი სახელმწიფო არბიტრები და სახელმწიფო არბიტრები, საქართველოს პროკურორი, მისი ქვემდგომი პროკურორები და მათი მოადგილეები, საქართველოს კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები არ შეიძლება იმავე დროს იყვნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრები"

ალბათ მკითხველი ხვდება, თუ რა პრინციპული შეცდომებია დაშვებული თავისთავად ფორმულირებებშიც და იმ "გულმავიწყობაშიც", რომელიც

---

[6] დოქტ. რამაზ კლიმიაშვილის ცნობით, რომელიც ესწრებოდა არჩევნებს მეთვალყურედ ინგლისიდან. ზუსტი მონაცემები ოფიციალურად გამოქვეყნებული არ ყოფილა.

კანონის შემდგენლებმა და მიმღებებმა[7] გამოიჩინეს. ჯერ ერთი გაუგებრადაა ნახმარი სამი ცნება: საქართველო, აჭარა და აფხაზეთი. გამოდის, რომ სამ სხვადასხვა მაგრამ ტოლფასოვან ცნებასთან გვაქვს საქმე. მაშინ როდესაც, სინამდვილეში, არსებობს საქართველო (მომენტისათვის საქართველოს სსრ) და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკები: აჭარის ავტონომიური (სს) რესპუბლიკა და აფხაზეთის ავტონომიური (სს) რესპუბლიკა. (და არა აჭარა და აფხაზეთი, რომელნიც საქართველოს მხარეებია, როგორც კახეთი, ქართლი, გურია და სხვა...) არც აჭარის ა(სს)რ და არც აფხაზეთის ა(სს)რ როგორც ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები არ უტოლდებიან არც საქართველოს (რომლის ნაწილსაც შეადგენენ), ერთის მხრით, და არც საკუთრივ აჭარასა ან აფხაზეთს (როგორც ეთნომხარეებს, რომელზე მეტს შეიცავენ) - მეორეს.[8] როდესაც კანონში ამგვარი უზუსტობაა დაშვებული, რასაკვირველია, ამით ხელი ეწყობა იმ მანიპულაციებს, რომლითაც ესოდენ გამოირჩევა ტოტალიტარული სისტემა. მაგრამ ეს კიდევ რაა: კანონმდებლებს "დაავიწყდათ", რომ საქართველოს ტერიტორიაზე ასევე ხელოვნურად და იმპერიულად, ასევე ტოტალიტარული რეჟიმის ნებით, მაგრამ ასევე ფაქტობრივად არსებობს "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური(სს) ოლქი". საარჩევნო კანონში იგი მოხსენებული არ არის, და ამდენად გაუგებარია, სად გაქრა იგი? ცხადია ამგვარმა გულმავიწყობამ შეიძლება წარმოშვას ის დაძაბულობა, რომლის მომსწრენიც ვართ ახლა. ეს საბედისწერო დარღვევაა სამართლებრივი ნორმებისა და თუ თავის დროზე არ იქნა გასწორებული, ეს მხოლოდ კანონის შემდგენელთა არაპროფესიონალიზმსა და არჩევნებში მონაწილეთა სოციალურ-სამართლებრივი ცნობიერების დაშლილობას უნდა მიეწეროს. სამწუხაროდ, "შეურიგებელმა ოპოზიციამაც", რომელიც უარს ამბობდა ამ არჩევნებში მონაწილეობაზე, არ მიაქცია ყურადღება ამ საკითხს, უნდა კი მიექცია, რადგან საქმე ეხება არა ურთიერთქიშპობას, არამედ საქართველოში (გინდაც ტოტალიტარული რეჟიმის ქვეშ იყოს ჯერ კიდევ იგი) სამართლებრივი და სოციალური ცნობიერების (და ყოფიერების) ქსოვილის აღდგენას, რაც ყველას ერთნაირად ეხება![9] ("ოსთა პრობლემას" ქვევით კვლავ დავუბრუნდები).

ამ თვალსაზრისით, ეს მართლაც "ისტორიული" არჩევნები იყო, მაგრამ ასე იყო თუ ისე, არჩევნები ჩატარდა და საქართველოში ძალაუფლება შეიცვალა. თავისუფალ, "დემოკრატიულ" არჩევნებში გაიმარჯვა "მრგვალმა მაგიდამ", რომლის დროშაზე და რომლის პროგრამაში უპირველეს მიზნად დასახული იყო საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატია[10]. მე ბრჭყალებში ჩავსვი სიტყვა "დემოკრატიულ", რადგან მიმაჩნია, რომ არცერთი არჩევნები არ შეიძლება იყოს დემოკრატიული, თუ არ არის განხორციელებული დემოკრატიული საზოგადოების საბაზისო პრინციპი, რომელიც თანამედროვე (და საერთოდ) ცივილიზაციის საფუძველია - კერძო საკუთრების გარანტირებული უფლება. მხოლოდ კერძო საკუთრების უფლება ქმნის პირობებს დემოკრატიული თავისუფლების არსებობისა და ე. ი. დემოკრატიული არჩევნებისაც ( ე. ი. ჯერ კერძო საკუთრება და მერე - დემოკრატია, და არა პირიქით![11]) ის, რომ, ამ

---

7 ამ კანონს ეროვნული ოპოზიციის ის ნაწილი ქმნიდა ძალაუფლებასთან ერთად, რომელიც უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას იღებდა, ცხადია. თავის გამოსვლაში საქ. ტელევიზიით, 1990 წ. ოქტომბერში ბლოკის "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" მეთაური ზვიად გამსახურდია ხაზს უსვამდა, რომ "სამტრედიის აქციამ გადაწყვიტა მომავალი დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ბედი საქართველოში. ამ აქციის გარეშე ეს არჩევნები არ დაინიშნებოდა და დემოკრატიული, მრავალპარტიული საარჩევნო კანონი არ დამტკიცდებოდა, ვინაიდან კომუნისტური ხელისუფლება ამ კანონის წინააღმდეგი იყო" - იხ. "თავისუფალი საქართველო" 23 X 1990. "ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით".

8 აქ საინტერესოა შემდეგი სტატისტიკაც გავიხსენოთ: აფხაზეთის ავტ. რესპ. უკავია საქართველოს ტერიტორიის დაახლ. 8600 კვ.კმ (12,34%); საკუთრივ აფხაზები კი შეადგენენ საქ. მოსახლეობის 1,8%; აფხაზეთის არ-ში - 17,8%;
"სამხრ. ოს. ავტ. სს ოლქი": უკავია 3900 კვ.კმ ანუ საქ ტერ. 5,59%, მოსახლეობა: საქ-ში 3,0% (164 055); სო(სს)ავ-ში 65232 (66,2%); ოსების ძირითადი მასა - 98 823 -მოფენილია საქართველოს სხვა ნაწილებში( ცხოვრობს ოლქის გარეთ.1989 წლ. აღწერის მიხედვით). აჭარის საკითხი არაეთნიკური რიგის საკითხია და ამიტომ არ ვეხები.

9 მოვალე ვარ აღვნიშნო, რომ ოპოზიციის პრესა ჩემამდე მეტად იშვიათად აღწევს და თუ ეს მუხლი ადრე გაკრიტიკებულ იქნა და ეს შეცდომები აღნიშნული, ამ ჩემი შენიშვნისათვის უკაცრავად ვარ.

10 რადგან ამჟამად გამარჯვებული ბლოკის მიერ გარდამავალი პერიოდია გამოცხადებული, მივხედოთ სწორედ გარდამავალი პერიოდისათვის წარმოდგენილ საარჩევნო პროგრამიდან ამონაწერს:
"საქართველოს ეკონომიკის აღორძინების აუცილებელი პირობაა მისი პოლიტიკური სუვერენიტეტი. საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისაკენ მიმართულ ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემა უნდა გამოხატავდეს თავისუფალ მოქალაქეთა საერთო ნებას. იგი უნდა ქმნიდეს პიროვნების მატერიალურ და სულიერი თავისუფლების საფუძველს, რის გარანტიასაც წარმოადგენს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპის აღიარება, სამეურნეო და კომერციული საქმიანობის თავისუფლება, სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის პარტნიორების დამოუკიდებლად შერჩევისა და მათთან ასოცირების უფლება.
კერძო საკუთრებიის პრიმატი არ გამორიცხავს სახელმწიფო საკუთრების არსებობას..." (იხ. "ლიტ. საქ. 26 ოქტ. 1990; ხაზგასმა ჩემია-პ.ი.) როგორც ვხედავთ საარჩევნო პროგრამა გარკვევით და ნათლად აცხადებს: დამოუკიდებლობა (პოლიტიკური სუვერენიტეტი) და კერძო საკუთრება (თავისუფლება). და ეს უკვე გარდამავალ პერიოდში განსახორციელებლად!

11 ბევრისათვის უცხოა იდეა არაკომუნისტური ტოტალიტარიზმის - ნაც-სოციალიზმისა და ფაშიზმის - კომუნისტური ტოტალიტარიზმისაგან პრინციპული განსხვავების შესახებ სწორედ კერძო საკუთრების პრინციპის მოქმედებისა გამო არაკომუნისტურ ტოტალიტარიზმში. პოპულარული შეხედულებით "ჰიტლერმა კოლმეურნეობები არ გააუქმა დაპყრობილ ტერიტორიებზე". ეს არ არის სწორი. დაპყრობილ

**************************************************

ტერმინს იყენებენ საქართველოში ჩატარებული თავისუფალი არჩევნების მიმართ, მიუთითებს, თუ რამდენად არის სოციალური ცნობიერება დესოციალიზებული და შებოჭილი ტოტალიტარული კლიშეებით. დემოკრატიულობა არჩევნებში მონაწილეობის უფლებაზე უფრო მეტად "არჩევნებში არმონაწილეობის უფლებაში" გამოიხატება, რაც ნიშნავს, რომ საზოგადოება ისეა დაფუძნებული კერძო საკუთრებისა და მისი ხელშეუხებლობის კანონზე, რომ, რომელი საზოგადოებრივი ჯგუფი, ან პარტია მართავს სახელმწიფოს ეს ამ საფუძველს არ ცვლის და, ამდენად, "სამმართველო შეჯიბრი" მეორად მნიშვნელობას იძენს. საზოგადოების საფუძველმდები სამართლებრივი პრინციპები და მოქმედი კანონი გარანტირებულია დემოკრატიული ანუ კერძომესაკუთრული წყობით და არა მმართველი პარტიის ან პიროვნების კეთილი ნებით. დემოკრატია საზოგადოებრივი წყობაა და არა საარჩევნო სისტემა, თავისთავად. დემოკრატიის არსებითი დამახასიათებელია სწორედ ის, რომ ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა არჩევნების გზით ამ საფუძველმდები პრინციპების დამრღვევი და მის წინააღმდეგ მოქმედი ხელისუფლების შეცვლისა. და ესაა სწორედ დემოკრატია. და ამიტომაც არის მმართველი სტრუქტურა ხელისუფლებრივი და თავადაც კანონს დამორჩილებული და არა ძალაუფლებრივი და "კანონის მესაკუთრე". ყოველივე ამის გამო, ჩემის აზრით, საქართველოში ჩატარებული არჩევნები არ შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულ არჩევნებად. კაცმა რომ სთქვას, არც მოსალოდნელი იყო, რომ კომუნისტური "პერესტროიკა" მაგიური ჯოხის ერთი აქნევით შესცვლიდა სისტემაში გამეფებულ მესამე მდგომარეობის ცნობიერებას და სოციალიზაციას მოუხდენდა მას. თავისუფალი არჩევნების ეს პირველი ნაბიჯი მაინც დადებითი იყო იმ მომავალი ცვლილებების თვალსაზრისით, რომელიც ამგვარმა პრეცენდენტმა გამოიწვია. ცხადია, თუ ახალი ძალაუფლება იქნება საზრიანი და დაფიქრებული თავისი ნაბიჯების გადადგმისას, რომ არ გამოიწვიოს საქართველოს ისედაც დაშლილი და დანგრეული სოციალური ყოფის კიდევ უფრო დამძიმება და ამით გზის გაკვალვა ტოტალიტარიტარული და ცენტრისტული ტენდენციებისათვის - ანუ ყოველივე იმის გაუქმება, რასაც დღემდე ასე თუ ისე მიაღწია ქართულმა ოპოზიციამ ტოტალიტარიტარულ რეჟიმთან ბრძოლის განმავლობაში.

არჩევნები იყო თავისუფალი იმ თვალსაზრისით, რომ არსებობდა ერთგვარი არჩევანი ხმის მისაცემად და ამ არჩევანს ჰქონდა გადაწყვეტილების მნიშვნელობა. ეს ეჭვს გარეშეა. დამარცხებულმა "ბლოკებმა" მართლა ვერ მოაგროვეს სათანადო რაოდენობის ხმები და, ალბათ, ეს მათი მომავალი სოციალური და პოლიტიკური სტრატეგიის გამოსამუშავებელი კარგი გაკვეთილი იყო. ისინი უფრო ძლიერები ჩანდნენ არსებულ და ტოტალურად დისკრედიტირებულ ძალაუფლებასთან დაპირისპირებაში, ვიდრე საკუთარი პოზიტიური პროგრამისა და გზის მომხრეთა მობილიზებისა და გამრავლების ორგანიზებაში.

ამგვარად, ამ თავისუფალი არჩევნებით შექმნილი უზენაესი საბჭო შეუდგა მუშაობას. ბუნებრივია, მოსალოდნელი იყო, რომ უზენაესი

---

ტერიტორიებზე ყველგან დაშვებული იყო კერძო საკუთრება და, განსაკუთრებით, მიწის საკუთრება.

"დეკლარაცია

გერმანიის მთავრობისა მიწაზე კერძო საკუთრების დაწესების შესახებ განთავისუფლებულ ოლქებში.

გერმანიის მთავრობა ხელს უწყობს და უცავს გლეხის კერძო საკუთრების უფლებას მიწაზე. ამისათვის, ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებულ ოლქებში დაწესებულია მიწაზე კერძო საკუთრების უფლება მშრომელი გლეხობისათვის.

მიწაზე კერძო საკუთრების უფლების საფუძვლად აღიარებულია გეგმიანი მიწათმფლობელობის მოწყობა, რაც გატარებულ იქნა 1942 წლის 15 თებერვლის კანონით მიწათსარგებლობის ახალი წესების შესახებ.

ამ კანონით მიწა ითვლება გლეხის კერძო საკუთრებად. მიწის გაყოფა და გადაცემა გრძელდება მიწადმოწყობის გამოცემული კანონის მიხედვით.

მიწის მფლობელის უფლებით სარგებლობს ყველა, ვინც მიწას ამუშავებს საკუთარი შრომით. მიწის სარგებლობის უფლება ენიჭებათ იმ გლეხებსაც, რომლებიც არ ცხოვრობენ განთავისუფლებულ ოლქებში და დროებით იმყოფებიან სხვაგან, მაგალითად: ისინი ვინც იმყოფებიან სამუშაოზე გერმანიაში, სამხედრო სამსახურში, სამხედრო ტყვეები, წითელი არმიის სამხედრო მსახურები და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ევაკუირებულნი.

მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება არის იმ დამსახურების აღიარება, რომელიც გამოიჩინეს მათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში.

სოფლის მეურნეობის აღდგენა განთავისუფლებულ ოლქებში არის შემდგომი სამღვთო მოვალეობა თვირეული გლეხისათვის, რითაც იგი ხელს უწყობს ბოლშევიზმის საბოლოო განადგურებას"

ამ დეკლარაციას, რომელიც გამოქვეყნდა ქართველ ლეგიონერთა გაზეთში "საქართველო" 1943 წ. 20 ივნისს, ახლავს კომენტარი, სადაც ნათქვამია: "მიწაზე კერძო საკუთრების დაწესება ბოლშევიზმისაგან განთავისუფლებულ ოლქებში წარმოადგენს არა მარტო მნიშვნელოვან ნაბიჯს გერმანიის მთავრობის მიერ საკოლმეურნეო სისტემის საბოლოო განადგურებისათვის, არამედ იძლევა საფუძველს მშრომელი გლეხობის ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობისათვის, ახალი სამეურნეო წესრიგისათვის. დეკლარაცია, სპობს რა საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის სისტემას, სპობს მიწის მონობას, გლეხს აძლევს უფლებას გახდეს ნამდვილი ბატონ-პატრონი მიწისა... - ლეგ. ა. დ." (იხ. "საქართველო" ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი; 23(52) 20 ივნისი 1943 წ.)

ჰიტლერის რასიულ-იმპერიული მიზოფრენიის გარდა, ნაცსოციალისტური ტიპის ტოტალიტარიზმის ხანმოკლეობის ერთი მიზეზი სწორედ კერძო საკუთრების პრინციპის ანტიტოტალიტარულ ბუნებაში მდგომარეობს: ტოტალიტარიზმი დიდხანს ვერ ძლებს კერძო საკუთრების გვერდით და იძულებულია ძალა იხმაროს, მაგრამ ეს ძალა "ათასწლოვანი" რაიხის საარსებოდ არ გამოდგება. ეს კარგად იცოდნენ კომუნისტებმა და ამიტომაც კომუნისტური ტოტალიტარიზმი თავის მომაკვდინებელ საფრთხეს დღესაც კი კერძო საკუთრების პრინციპში ხედავს და ყოველმხრივ გაურბის მის შემოღებას. უნდა ითქვას, რომ კერძო საკუთრებისადმი დამოკიდებულება კრიტერიუმია დემოკრატიულ-ლიბერალური (კონსტიტუციურ-ხელისუფლებრივი) და ტოტალიტარულ-ეტატური (განკარგულებით-ძალაუფლებრივი) ტიპის წყობისა და ცნობიერების შესაფასებლად.

საბჭოს აბსოლუტური უმრავლესობა[12] - "მრგვალი მაგიდა" და მისი მეთაურობა დაიწყებდა იმ პროგრამის განხორციელებას.. რომელიც თავის წინასაარჩევნო პროგრამაში ჰქონდა გამოცხადებული. უმთავრესი მასში იყო საქართველოს **დამოუკიდებლობა** - ლოზუნგი. რომელმაც ცხრა აპრილის ტრაგედია გამოიწვია. და არსებითად იქცა "პანდორას ყუთად" საქრთველოს სინამდვილეში. სწორედ ამ ლოზუნგმა აამუშავებინა ცენტრს "ნაციონალური" ნაღმები. საბჭოთა ერის დასწყისში ასეთის წინდახედულობით ჩადებული და ამუშავებული სტალინის და ტოტალიტარული ძალაუფლების მიერ. ამიტომ. თითქოს ახალი უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან თავის შეკავებისა და მისი "გარდამავალი პერიოდის" "ხუთწლიანი გეგმით" შეცვლის შესახებ ამ საკითხის მოგვარებისა და დამშვიდების ცდას წაავგავდა. მხოლოდ წაავგავდა. რადგან მოსალოდნელი იყო იმ უპირველესი და აუცილებელი კანონის მიღება. რომლითაც ანტიტოტალიტარული ეპოქის კარები უნდა გახსნილიყო. თუ. რასაკვირველია. გამარჯვებული ბლოკი თავს "დემოკრატიული საქართველოს" და არა "საბჭოთა სოციალისტური საქართველოს" მემკვიდრედ თვლიდა. ეჭვს გარეშე. ესააცილებდა ან. გაანეიტრალებდა მაინც. სტალინური ნაღმების აფეთქებას. მაგრამ საბოლოოდ ეს საკითხი მოგვარებულ ვერ იქნა და საქართველომ. რომელმაც აქამდე თავი დააღწია "ყარაბახის სინდრომს", სრულიად მოულოდნელად და გაუთვალისწინებლად (ყოველ შემთხვევაში ნაწილი ქართველებისათვის გაუთვალისწინებლად) "სამოქალაქო ომში" ამოჰყო თავი. ამ "სამოქალაქო ომს" ფორმალურად "ოსსეპარატისტებთან" ომი ეწოდება და როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს. ამ "ომში", რომელსაც უკვე არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. საქართველოს მილიციისა და სუკის (კგბ) ნაწილებთან ერთად ოფიციალურად მონაწილეობს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ნაწილებიც. ეს მეტად უცნაურ ვითარებაში გვაყენებს საერთო ვითარების მიმართ: ბალტიისპირეთში რესპუბლიკების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. მათ უკვე გამოცხადებულ დამოუკიდებლობას (ლიტვა) საბჭოთა ჯარები ცეცხლითა და მახვილით ჰკლავენ; ხოლო საქართველოში კი იგივე ჯარები საქართველოს მთავრობის ნაწილებთან ერთად ებრძვიან "ოს სეპარატისტებს". რა მოხდა? როგორ მოხდა. რომ ის. ვინც გუშინ მტერი იყო. ვინც ცხრა აპრილი მოგვიწყო. დღეს საქართველოს ახალი უზენაესი საბჭოს ("ნაციონალისტური უზენაესი საბჭოს"?!) დავალებით და დასახმარებლად ოფიციალურად მოქმედებს საქართველოში შინაური პრობლემების მოგვარების მიზნით?! ეს უკვე სერიოზულად დაგვაფიქრებს იმაზე. თუ რა ნაბიჯები გადადგა უზენაესმა საბჭომ იმისათვის. რომ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო ნაწილებს ოფიციალურად შეძლებოდათ საქართველოს შინაურ საქმეებში მონაწილეობის მიღება? ამის გასარკვევად. და სწორედ იმიტომ. რომ ეს საკითხი ყველაზე მძიმე საკითხად წარმოსდგა ამჟამად. მივმართოთ იმ პირველ საკანონმდებლო აქტებს. რომლებითაც აღნიშნა თავისი ძალაუფლებაში მოსვლა საქართველოს მოსახლეობის (ამომრჩევლების) უმრავლესობის მიერ არჩეულმა "მრგვალი მაგიდა"-კომუნისტური პარტია - და თითო-ოროლა უმცირესობის - უზენაესმა საბჭომ.

პირველი და უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიღებული უზენაესი საბჭოს მიერ იყო დატოვება არსებული საბჭოთა კომუნისტური კონსტიტუციისა მასში იმ ცვლილებების შეტანით, რომელიც უკვე იყო გამიზნული საკავშირო დონეზე და. სახელდობრ. კონსტიტუციიდან სიტყვების "სოციალისტური". "კომუნისტური" "საბჭოთა" და მათთან კონტექსტით დაკავშირებულ წინადადებების ამოღება ან შეცვლა (იხ. ახალი საქართველო 15 ნოემბერი 1990 წ.) ეს ბუნებრივად გამომდინარეობდა გადაწყვეტილებიდან "გარდამავალი პერიოდის" შესახებ.[13] რომლითაც საქართველო რჩება საბჭოთა

---

[12] პარტიული სიებით მხოლოდ ორმა ბლოკმა მიაღწია წარმატებას: "მრგვალმა მაგიდამ-თავისუფალმა საქართველომ" (რომელშიც შედიან საქ. ჰელსინკის კავშირი, სრ. საქ. წმ. ილია მართლის საზ., სრ. საქ. მერაბ კოსტავას საზ., ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, საქ. ერ. ფრონტი-რად. კავშირი, საქ. ერ.-ლიბერა. კავშირი, საქ. ერ.-ქრისტ. პარტია და ინდივიდ. წევრები. პირველ სამს ფაქტობრივად ხელმძღვანელობს ზვიად გამსახურდია, მეოთხეს - აკაკი ასათიანი, 5 - ნემო ბურჭულაძე; 6 - გიორგი გულბანი; 7.-ემზარ გოგუაძე) და კომუნისტურმა პარტიამ (გივი გუმბარიძე)

2.406.742 ამომრჩევლიდან პირველ ბლოკს ხმა მისცა 1.248.111 (81 მანდატი)ამომრჩეველმა. მეორეს - 683.824. (44 მანდატი. (84.797 ბიულეტენი გაუქმდა).

მაჟორიტარული (კანდიდატისადმი მიცემული ხმების რაოდენობით) სისტემით არჩევნების ჩატარების შემდეგ შეირჩა კიდევ 125 დეპუტატი რასაც, ცხადია, ძალთა განაწილებაში არავითარი ცვლილება არ გამოუწვევია. უზენაესი საბჭოს სტრუქტურას და მის ძალთა ურთიერთმიმართებას მომდევნო წერილში გავაანალიზებ.

[13] ამ "გარდამავალ ხუთწლედთან" დაკავშირებით საინტერესოა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას მიერ არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ წარმოთქმული ორი სიტყვის სათანადო ადგილები შევადაროთ: ტელევიზიით გამოსვლისას 1990 წლის ოქტომბერში (იხ. "თავისუფალი საქართველო" 1, 23 ოქტ. 1990):

" პირველი და უმთავრესი რაც აწუხებს მოსახლეობას, ეს არის დამოუკიდებლობის საკითხი. როგორი იქნება საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში. ემუქრება თუ არა მას მუსულმანური სამყაროს მხრივ რაიმე საფრთხე. ასეთ შემთხვევაში როგორი იქნება თავდაცვისუნარიანობა საქართველოსი, რაც ბუნებრივად აწუხებს მოსახლეობას, ჩვენს საზოგადოებას. ამაზე ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება არ მოხდება, ვიდრე საქართველო არ გახდება სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი ქვეყანა. ვიდრე მას არ ეყოლება ძლიერი ეროვნული არმია, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, ვიდრე მას არ ექნება გარანტიები მსოფლიოს

კავშირის შემადგენლობაში და, უკვე ბუნებრივად, იტოვებს არსებულ საბჭოთა კონსტიტუციასაც, მასში ცვლილებების შეტანით, როგორც გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციას. მაგრამ რადგანაც კონსტიტუციაში არ არის მკვეთრად განსაზღვრული თუ რამდენი წელი არის დადგენილი "გარდასასვლელად". ამიტომ "გარდამავალი პერიოდი" შესაძლოა იქცეს დაუსრულებელ და თვითნებურ "გარდაქმნათა" ეპოქად (ერთი ასეთი ეპოქა უკვე განვვლეთ თავის დროზე - "დიადი სტალინური ეპოქა"). აქაც, როგორც ჩანს კანონმდებლებს "გამორჩათ", რომ, როდესაც კონსტიტუციას მის პრეამბულაში არქმევ "გარდამავალი ეპოქის კონსტიტუციას" აუცილებელია განსაზღვრო რამდენ წელშია განზრახული ამ "გარდასვლის" განხორციელება, რომ ამომრჩევლებს საშუალება ჰქონდეთ შეაფასონ სიტყვა და საქმე კონსტიტუციურად![14] ჩვენდა საუბედუროდ ცვლილებები არ შეხებია (რაც უპირველესი აუცილებლობა იყო!) არც მოქალაქეობის განსაზღვრას და არც კერძო საკუთრების უფლებას. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით (იხ. "ზარია ვოსტოკა" 13 ნოემ. 1990) "ჩვენ არ შეგვიძლია დავუბრუნდეთ საქართველოს

---

წამყვან სახელმწიფოებთან სამხედრო კავშირის დადებისა და ვიდრე ყოველივე ამას არ ექნება სამართლებრივი საფუძველი საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებიდან გამომდინარე....

ამასთან, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ოპონენტების აზრით, საქართველოში ყოვლად გაუმართლებელია და შეუძლებელი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, ვინაიდან აქ დგას საოკუპაციო ჯარი. ესეც მიგვაჩნია შეცდომად, ვინაიდან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დღემდე დგას საბჭოთა საოკუპაციო ჯარი, აგრეთვე დასავლეთ გერმანიაში, სადაც დგას დასავლეთის ქვეყნების საოკუპაციო ჯარი - მუდამ ტარდებოდა დემოკრატიული არჩევნები და როგორც მოგეხსენებათ იგივე მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში..." - ეს სიტყვები, რომელიც სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს პორტ-პაროლს უფრო შეეფერება, ვიდრე ყოფილ "დისიდენტს", მეტად დამაფიქრებელია. უნდა მოვახსენოთ ბ-ნ "დისიდენტს", რომ არც აშშ, არც ინგლისს, არც საფრანგეთს დასავლეთ გერმანიაში საოკუპაციო ჯარი არ ჰყოლია უკვე მას შემდეგ, რაც გამარჯვებულმა "ოკუპანტებმა" დას. გერმანიაში (თავის ზონაში!) არჩევნები ჩაატარებინეს გერმანელ ერს და ადენაუერი იქნა არჩეული, რითაც გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკა შეიქმნა - თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის ამგვარი გაიგივება და დასავლეთის მოკავშირეთა ოკუპანტებად დასახვა, რას უნდა მიეწეროს?..

1990 წლის 15 ნოემბერს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეე გამოსვლისას: (იხ. "ახ. საქ." 4, 16 ნოემბერი 1990):

"როგორც მოგეხსენებათ, ეროვნული ოპოზიცია, მიუხედავად არჩევნებში გამარჯვებისა, ჯერჯერობით არ აცხადებს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დეკლარაციას, რაც განპირობებულია საქართველოში და მსოფლიოში არსებული პოლიტიკური რეალიებით. ჩვენ არ გვსურს, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის დეკლარაცია მარტოოდენ ქაღალდზე დარჩეს, ჩვენ გვსურს რეალური დამოუკიდებლობა, რასაც სჭირდება საფუძვლიანი მომზადება იურიდიულ-სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით.

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, მიუხედავად საქართველოს ანექსიისა 1921 წელს, კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, და ამის გამო დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო და მისი კონსტიტუცია იურიდიული თვალსაზრისით დღესაც განაგრძობს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ ამ კონსტიტუციის მოქმედება დროებით შეჩერდა ანექსიის შედეგად. საქართველოს ტერიტორია იურიდიულად კვლავ ერთიანია და განუყოფელი, მასზე არ მოქმედებს არც ერთი უცხო სახელმწიფოს კონსტიტუცია, მათ შორის არც სსრკ კონსტიტუციები 1936 და 1978 წლისა. მართალია, საბჭოთა იმპერიამ საქართველოს ძალადობით თავს მოახვია თავისი კონსტიტუცია, მაგრამ ჩვენი თვალსაზრისით, მისი მოქმედება დღემდე მხოლოდ ფაქტობრივი იყო და არა იურიდიული. ...

ამჯერად ჩვენს წინაშე დგას ორი არჩევანი. დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების მიერ შედგენილი კონსტიტუციის აღდგენა და მისი მოქმედების განახლება ვერ გამოიღებს სასურველ ნაყოფს, ვინაიდან გაძნელდება მისი მისადაგება თანამედროვე პოლიტიკური ვითარებისადმი. გარდა ამისა იგი არ შეიცავს იმპერიული კონსტიტუციისაგან დამცავ იურიდიულ მექანიზმს, როგორიც აქვს დღესდღეობით არსებულ კონსტიტუციას მისი 77-ე მუხლის სახით. ამიტომ, ჩვენი აზრით, გარდამავალი პერიოდის ძირითადი კანონი უნდა დაეფუძნოს ისევ არსებულ კონსტიტუციაზე, მასში ფუნდამენტური ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით, რათა არ შეიქმნას საკონსტიტუციო ვაკუუმი ახალი ეროვნული კონსტიტუციის შექმნამდე, რომელიც საფუძვლად დაედება უკვე დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს..."

ამ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებას თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ საქართველოს დამოუკი-დებლობა არასოდეს არ უწერია, ყოველ შემთხვევაში უახლოეს საუკუნეებში, რადგან საქართველოს გადაქცევა თანამედროვედ შეიარაღებულ ქვეყანად, არსებული პოლიტიკური სინამდვილის გათვალისწინებით, სწორედ რამდენიმე საუკუნეს მოითხოვს. და ისიც... აგრეთვე, მთელს ენერგიას, რომელიც კიდევ შერჩენია ქართველ ერს. ეს არც სახელმწიფოებრივად და არც პოლიტიკურად სადი განცხადება არ გახლავს და ამის განმცხადებელს, გარდა იმისა, რომ არ ესმის რაზეა ლაპარაკი, როგორც ჩანს სრული იმედი აქვს თავისი მსმენელების პოლიტიკური და ლოგიკური "სიბეცისა". ამასთანავე, აშკარაა, რომ ახალი უზენაესი საბჭო, საბჭოთა კონსტიტუციის შენარჩუნებით იურიდიულ საფუძველს უქმნის ფაქტობრივად (იგულისხმება: ძალმომრეობით და უკანონოდ) არსებულ საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციას და ამით აუქმებს დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციას იურიდიულადაც. კონსტიტუციის "დამცველ" მექანიზმებზე ქვევით მოგახსენებთ. თავისთავად უცნაურია, რატომ ვერ მიუსადაგებთ დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციას ახალ პირობებს? მაშინ რაღა ეთქმის შეერთებულ შტატებს? საფრანგეთს? და ყველა იმ ქვეყანას, რომელსაც უცვლელად აქვთ შენარჩუნებული თავისი კონსტიტუციები ათეულ და მეტიც წლების განმავლობაში. მითუმეტეს, თუ ეს კონსტიტუცია იურიდიულად არასოდეს გაუქმებულა და განაგრძობდა არსებობას?..

14 "საქ. რესპ. კანონი საქ. რესპ. გარდამ. პერიოდის გამოცხ. შესახებ" - "პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:...."ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია (იგულისხმება საბჭოთა საქართველოს ფაქტობრივად არსებული და არა დამოუკიდებელი საქართველოს იურიდიულად არსებული კონსტიტუცია - პ. ი.) სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი.

გარდამავალი პერიოდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები" - იხ. "ახალი საქ." 15 ნოემბ. 1990 წ. - ამგვარად ეს გარდამავალი პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს კიდევ ერთი 70 წელი, ან 100, ან 200, ან 1,2,3,4,5,...- რამდენიც მოეპრიანებათ კანონმდებლებს... ჯერჯერობით "ხუთწლედია" მიღებული, ხვალ "ორწლედი" იქნება, ზეგ?... მაზეგ?... თანაც, წინა შენიშვნის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი მიზეზი დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის "გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციად" ვერმიღებისა, თუ არდაშვებისა, ის უნდა იყოს, რომ: ა) დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციაში საქართველო დამოუკიდებელ ქვეყანად არის განსაზღვრული! ბ) მასში არის კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ გ) მასში არის კანონი კერძო საკუთრების შესახებ და სხვა კანონებიც, რომელთა ამოქმედება საქართველოს რეალური დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისაკენ წარმართავს. მაგრამ ამავე კონსტიტუციაში არ არის არც პრეზიდენტის პოსტი (და საქართველოს უზენაეს ხელმძღვანელად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა განსაზღვრული, ხოლო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს კი საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობა ეკისრება....) და, ბუნებრივია, არც "იმპერიული კონსტიტუციიდან დამცველი მექანიზმი". ასე არის ეს დადგენილი დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციით, რომლის აღდგენაზე უარი განაცხადა დღევანდელმა უზენაესმა საბჭომ...

დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას. იგი მოძველებულია მთლიანობაში. არ შეგვიძლია ჩვენ უბრალოდ გავაუქმოთ არც არსებული კონსტიტუცია საქართველოს სსრ-სი, რადგანაც ამ შემთხვევაში შეიქმნება კონსტიტუციური ვაკუუმი." მე ამ საკითხს დავუბრუნდები, მაგრამ აქვე მინდა შევნიშნო, რომ იმგვარ გადაწყვეტას საკითხისა, როგორც ეს წარმოაჩინა ახალმა უზენაესმა საბჭომ, ნამდვილად სჯობდა კონსტიტუციური ვაკუუმი - მდგომარეობა, რომელშიდაც დემოკრატიულმა საქართველომ (რომლის მემკვიდრეთაც აცხადებს თავს ახალი უზენაესი საბჭო და მისი თავმჯდომარე) მთელი სამი წელი იარსება. მას შემდეგ, რაც საქართველო უკვე იყო გამოცხადებული (წინა "კომუნისტური უზენაესი საბჭოს" მიერ) ანექსირებულ ქვეყანად, და კომუნისტებმა კონსტიტუციიდან მეექვსე მუხლი ამოიღეს (კომპარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ), საქართველოში უკვე იყო ნიადაგი ახალი კონსტიტუციის შესაქმნელად. გავიხსენოთ, რომ უკანასკნელ 5 სესიაზე საზოგადოებრივმა "არაფორმალურმა" ოპოზიციამ საქართველოს (ძველ, კომუნისტურ) უზენაეს საბჭოს მიაღებინა შემდეგი დოკუმენტები (ამის ინიციატორი და გამტარებელი იყო საარჩევნო ბლოკ "თავისუფლებაში" შემდეგ გაერთიანებული პარტიები და ჯგუფები, ცხადია საერთო ოპოზიციური წნეხის დახმარებით):

- 1989 წლის 17-18 ნოემბრის სესიაზე მიღებულ იქნა კონსტიტუციური შესწორებები, რომლითაც საქართველოში დაკანონდა კერძო საკუთრება, საქართველოს საკუთრებად გამოცხადდა მისი მიწა-წყალი, მთელი ბუნებრივი სიმდიდრე, აღიარებულ იქნა საქართველოს კანონთა უზენაესობა საკავშიროს მიმართ, შეიქმნა საბჭოთა კავშირიდან საქართველოს თავისუფალი გასვლის უფლების რეალიზაციის მექანიზმი.

- 9 მარტს მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვითაც 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია აღიარებულ იქნა საერთაშორისო დანაშაულად, უკანონოდ იქნა ცნობილი საქართველოს შეყვანა სსრკ-ს შემადგენლობაში 1922 წელს.

- 19 მარტს მარტის სესიის დადგენილებაით და საკონსტიტუციო შესწორებებით ოფიციალურად დაიშვა მრავალპარტიული სისტემა.

- 20 ივნისის სესიის დადგენილებებით გაუქმდა საქართველოს რევკომის მიერ 20-იან წლებში მიღებული საკანონმდებლო აქტები, მათ შორის 1921 წლის 16 თებერვლის დადგენილება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. დაინიშნა მრავალპარტიული არჩევნები. მიღებულ იქნა კანონი ალტერნატიული (შრომითი) სამსახურის შესახებ, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური, პაციფისტური, რელიგიური და ეთიკური მოტივებით საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს უარი თქვას საბჭოთა არმიაში სამსახურზე, დარჩეს სახლში და გაიაროს შრომითი სამსახური.

- 17-18 აგვისტოს სესიაზე მიღებული საარჩევნო კანონი (ე. წ. მეორე კანონპროექტი) რომლის მიხედვითაც საქართველოში ჩატარდა არჩევნები.

ყოველივე ეს უკვე იყო მიღებული ძველი, კომუნისტური უზენაესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი ოპოზიციის წნეხის ქვეშ.

ამგვარად, უკვე იყო შექმნილი წინაპირობა, მიღწეულის კიდევ უფრო განმტკიცებისა იმგვარი კანონმდებლობით, რომელიც მოხაზული იყო არსებულ (ზევითაღნიშნულ) კანონებში. მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, ყოფილი ოპოზიციის ნაწილის გამარჯვებამ არჩევნებში და მათ შესვლამ კომუნისტებთან ალიანსში, ეს პირობა უეცრად და სრულიად გაუგებრად მოსპო და ახალი ქართული კონსტიტუციის ნაცვლად, ისევ ძველ კონსტიტუციაზე დავრჩით. ეს უეჭველად არის უკან გადადგმული ნაბიჯი. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია იმიტომ ვერ იქნება მიღებული, რომ იგი "არ შეიცავს იმპერიული კონსტიტუციისაგან დასაცავ იურიდიულ მექანიზმს, როგორიც აქვს დღესდღეობით არსებულ კონსტიტუციას მისი 77-ე მუხლის სახით." ეს სასაცილო განცხადებაა. სატირელ საქმეს რომ არ გვიქადდეს. ჯერ ერთი კონსტიტუცია საგარეო თავდასხმისაგან დამცველ არავითარ მექანიზმებს არ საჭიროებს და არც შეიცავს უკვე იმ უბრალო პრინციპისა გამო, რომ კონსტიტუცია არის სახელმწიფოს სოციალური და პოლიტიკური თვითმოწყობის საფუძველმდები კანონი და არა საერთაშორისო ხელშეკრულება! ამის არცოდნა სრულიადაც არ გახლავს არცოდნა! როგორც ჩანს, ამის განმცხადებელს ვერ მოუშორებია თავიდან ლატენტური აზრი ისევ და სამუდამოდ სსრკ-ს ცენტრალურ ხელისუფლებასთან კავშირის აუცილებლობის შესახებ. ის წვრილმანი შესწორებები, რომლებიც ახალმა უზენაესმა საბჭომ შეიტანა საბჭოთა კონსტიტუციაში "გამაახალგაზრდავებელი კოსმეტიკის" იერს უფრო ატარებს, რითაც ძველი მეძავები ცდილობენ თავისი ნაოჭების დამალვას და არა პრინციპულ ცვლილებებს. რა საჭიროა კოსმეტიკა, როდესაც საქმე ეხება ათასგზის გაკრიტიკებულ, უარყოფილ, დხგმობილ და უკუგდებულ სისტემას, რომელსაც ეს კონსტიტუცია ამკვიდრებს, რადგან მასში არ არის ის უძირითადესი, რაზედაც შესაძლებელი იქნება არა მარტო ახალი საზოგადოების მშენებლობა, არამედ იმ პირველადი სტრუქტურების

განვითარებაც, რომელნიც დემოკრატიული და თანამედროვე საზოგადოების საფუძველს ქმნიან - კერძო საკუთრების უფლება და მასზე დაფუძნებული თავისუფლებები! ისევე, როგორც, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის განსაზღვრება! ამ უფლების დაკანონების პირობა უკვე იყო შექმნილი და სათანადო დადგენილებაც მიღებული (იხ. 1989 წ. 17-18 ნოემბრის სესიის კონსტიტუციური შესწორებები); ამიტომ პირველი დეკრეტი, თავისუფალი და დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებული უზენაესი საბჭოს მხრიდან სწორედ რომ კერძო საკუთრების დეკრეტი (კანონი) უნდა ყოფილიყო, საქართველოს მოქალაქეობის განსაზღვრასთან ერთად, ე.ი. არსებითად უნდა აღდგენილიყო ის საფუძველი, რაზედაც შენდებოდა დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველო (რომლის მემკვიდრედაც აცხადებს თავს ახალი უზენაესი საბჭო; მემარცხენე-მენშევიკების მემკვიდრეებს კი უფრო ჰგავს იგი) ამის ნაცვლად კი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ სიმბოლოთა აღდგენასთან და სხვა კოსმეტიკურ "მაკიაჟთან" ერთად "შეპარებულ" იქნა კანონი "საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო წესების შესახებ". ეს ის კანონია, რომლის მე-11 მუხლით საქართველომ (უკაცრავად, საქართველოს ახალმა უზენაესმა საბჭომ, რომელიც საქართველოს ამომრჩეველთა უმრავლესობის ნებას გამოხატავს, და არა მთელმა საქართველომ!) იურიდიული უფლებები მისცა და კანონიერად სცნო საბჭოთა შინაგანი სამინისტროს ჯარების de facto ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე, მათთვის ოფიციალური წესრიგისდამამყარებელი სტატუსის მინიჭებით. აი ეს მუხლიც:

"საქართველოს რესპუბლიკის კანონი საგანგებო წესების შესახებ

....

11. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, **სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ნაწილები**, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით." (იხ. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა" 11 დეკ. 1990 წ. - ხაზგასმა ჩემია - ბ.ი.).

თუ როგორ იყენებს "ნორმატიულ აქტებს" ცენტრალური ტოტალიტარული ძალაუფლება და სსრკ შინაგანი სამინისტრო ეს ჩვენ კარგად ვიცით თვით საქართველოს 70 წლიანი ისტორიით, 56 წლის მარტისა და 89 წლის 9 აპრილის ტრაგედიებით, ავღანეთით, ახლა ბალტიისპირეთით და სხვა მრავალი "სამართლებრივი" "ინტერნაციონალური მოვალეობების" შესრულებით.[15]

---

[15] ამ საკითხმა, როგორც ჩანს, ოპოზიციის დიდი აღელვება გამოიწვია. უარყოფითად შეაფასა ეს გადაწყვეტილება (კანონი!) დეპუტატების უმცირესობამაც, ყოველ შემთხვევაში დეპუტატი ნოდარ ნათაძე აღნიშნულ "ღია წერილში" ასე განმარტავს თავის პოზიციას გამოთქმულს სესიაზე : "იქ ვთქვი: "თუ საბჭოთა კავშირის ჯარები ჩაერია საქართველოს ხელისუფლებისა და შიდა ქართლის თვითმარქვია ჯგუფის ურთიერთობაში"(ლაპარაკია ოსი სეპარატისტების ფსევდომთავრობაზე-ნ.ნ.)"ეს ჩაითვლება თავდასხმად საქართველოზე. მას წარედგინება ულტიმატუმი, რომ ეს თავდასხმა შეწყვიტოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჩავთვლით, რომ ვართ ომის მდგომარეობაში ამ იმპერიასთან"("საქ.რესპ." 20 დეკ 1990); ოპოზიციის (ეროვნული კონგრესის) მკვეთრად უარყოფით რეაქციას ამ საკითხზე (იხ. იქვე გვ. 1) უპასუხა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, ბ-ნმა ჯონი ხეცურიანმა. ღირს ამ პასუხზე შეჩერება, რადგან იგი სარკესავით ასახავს რა ხდება დღეს ქართული ოფიციალური ძალაუფლების ცნობიერებაში და რამდენადაა იგი კვლავინდებურად შეპყრობილი "მესამე მდგომარეობით", რადგან იუსტიციის მინისტრი ხომ პირველი უნდა ავლენდეს სამართლებრივი საზოგადოების პრინციპების ფლობას. მთავარი არგუმენტი, რომელიც ბ-ნ მინისტრს მოჰყავს "სამხრეთ ოსეთის ოლქის" გაუქმების თაობაზე (თუმცა თავისთავად ეს საკითხი არაა მთავარი კონგრესის პრეზიდიუმის განცხადებაში, ბ-ნი მინისტრი მას თავისი პასუხის 3/4 უთმობს!), არის ის, რომ ეს ოლქი უკანონოდ იყო შექმნილი: "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი რომ თავის დროზე უკანონოდ შეიქმნა და არსებობდა, ეს, ვფიქრობთ, კარგად უნდა იყოს ცნობილი როგორც ფართო საზოგადოებისათვის, ისე ოპონენტებისათვის.... სწორედ ამ უკანონოდ არსებულ ოლქში ბოლო დროს უკიდურესად გამწვავდა პოლიტიკური ვითარება..." - კი მაგრამ, რომელი კანონი ან წარმონაქმნი, ან თვით საბჭოთა კონსტიტუციის რომელი მუხლი არ არის "უკანონოდ შექმნილი?" განა თვით ის კონსტიტუცია, რომელიც შეინარჩუნა ახალმა უზენაესმა საბჭომ "სამართლიანი და კანონიერია"? ხოლო თუ ამ კონსტიტუციაში არაფერი არსებითი არ იყო შესაცვლელი და არც შეცვლილა, ხომ არ არის მართლაც პროვოკაციული ოს ექსტრემისტ-სეპარატისტთა წინააღმდეგ ჩატარებული "აქცია" ? მაგრამ მთავარი საკითხი ხომ ეხება "საგანგებო წესების შესახებ კანონის" 11 მუხლს, რომლის კრიტიკასაც ოპოზიციის მიერ (რაც სავსებით ემთხვევა ჩემს შეფასებასაც) ბ-ნი მინისტრი სრულიად უსუსურ პასუხს აძლევს, ღირს ამის მოსმენა(!): "საქმე ეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ძალებთან ერთად სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იმ ნაწილების გამოყენებას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზეა დისლოცირებული."-ყველაზე საინტერესო ახლა იწყება, მაინც - "საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დღეს ასეთი ჯარის სახეობა არ გააჩნია და შესაბამისად არც შესწევს ძალა (იარაღი, ტექნიკა და ა. შ.) დამოუკიდებლად განახორციელოს საგანგებო წესებით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამიტომ თვალი უნდა გავუსწოროთ რეალობებს და გარდამავალი პერიოდის პრინციპებით ვიმოქმედოთ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო უახლოეს სესიაზე განიხილავს და გადაწყვეტს საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის შექმნის საკითხს. შესაბამისი ცვლილებები იქნება შეტანილი საგანგებო წესების შესახებ კანონში და სხვა ნორმატიულ აქტებში" (იქვე გვ. 1) - ამას რომ ვინმე მომიტინგე ჭაბუკი ამბობდეს გაიღიმებდა კაცი და მიუთითებდა გამოთქმული აზრის ულოგიკობაზეც და მის არასამართლებრივ აზროვნებაზეც, მაგრამ ამას რომ იუსტიციის მინისტრი ამბობს, ეს უკვე დამაფიქრებელია! ჯერ ერთი კანონების ასე ჰაი-ჰარად მიღება-შეცვლა რომელ სამართალში წერია?! მერე კიდევ თუ საშუალებები არა გვაქვს, ისინი ხომ მერეც არ გვექნება და, აბა, მთელი რუსეთის არმია უნდა შემოვისახლოთ საქართველოში (ამ არმიაზე მეტად უცნაური რამ ვრცელდება ამჟამად უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირით: იგი აცხადებს რომ საქართველოში მხოლოდ 120 000 საბჭოთა ჯარისკაცი დგას, არჩევნებამდე, როდესაც იგი "დისიდენტობდა" ეს რიცხვი 700 000 აღემატებოდა. საკითხავია სად აორთქლდა ამ ორ თვეში 600 000 საბჭოთა ჯარისკაცი? ვისთვისაა ეს დეზინფორმაცია განკუთვნილი - დასავლეთისთვის თუ ქართველებისთვის? (იხ "ფიგარო" 1 თებ.)- და რაც მთავარია - რიღასთვის იყო მთელი ეს აურზაური, "ეროვნული ბრძოლა", "დამოუკიდებელი საქართველო", და ათასი სხვა ლოზუნგი, რომელიც ერთპიროვნულად თავისად გამოაცხადა ახალმა უზენაესმა საბჭომ თუ "რეალობას თვალებში უნდა შევხედოთ" ახლა და ლეგიტიმურად გავყოთ იმ ყულფში თავი,

ამგვარად, უოველივე იმას, რაც უკვე გატარებული საკანონმდებლო აქტებით იყო მიღწეული ქართული ოპოზიციის საერთო ძალისხმევით, გადაესვა ხაზი მას შემდეგ, რაც ამ ოპოზიციის ერთი ნაწილი მოექცა (უმრავლესობის ნებით) ძალაუფლების სათავეში. აქ ბუნებრივად ისმის კითხვა, რა მოხდა, კადრების შეცვლა და "ტოტალიტარიზმის პერესტროიკა", თუ სრულიად მოუმზადებელი და უპასუხისმგებლო მოქმედება, საქმეში ჩაუხედავი "უზენაესი საბჭოსი", რომელიც კვლავინდებურად ერთი კაცის ნებას მიჰყვება და არც კი კითხულობს იმ ტექსტს, რომელსაც ხმას აძლევს? (სახელდობრ, თავმჯდომარის, რომლის ხელმოწერა კანონად აქცევს ამ ტექსტებს). ხომ არ არის "ოსეთის საკითხი" ერთი რგოლი იმ ჯაჭვში, რომელმაც ისევ უნდა შებორკოს საქართველო და "საუკუნოდ" მიაბას "ერთმოყვარე" ("ერების მოყვარულ") რუსეთს? (ამგვარ მოსაზრებას ოპოზიციაც გამოსთქვამს თავის "განცხადებაში") "ოსმა სეპარატისტებმა" აშკარად დაარღვიეს ყველა არსებული კონსტიტუცია და კანონი და ხელაღებით გამოაცხადებს თავისი დამოუკიდებლობა. მაგრამ განა არავითარი სხვა საშუალება არ არსებობდა ამ საკითხის მოგვარებისა თუ არ "ძველბიჭური" ანგარიშის სწორებით და "ლონიერის" დაძახებით? ისეთი ხელოვნური წარმონაქმნის გაუქმებაც კი, როგორიც "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური ოლქი"(შემოკლებით და სიმპტომატურად "სოსსო") იყო, უნდა მომხდარიყო მთელი მოსახლეობის გამოკითხვითა და ნებით (რეფერენდუმით, რომელიც სწორედ შინაგანი საქმეების გადაწყვეტისას უნდა გამოვიყენოთ, და არავითარ შემთხვევაში ცენტრის მოთხოვნით, რადგან საკავშირო ურთიერთობანი საგარეო-საერთაშორისო ურთიერთობათა კონტექსტში უნდა იქნან განხილულნი! ხოლო ამგვარი საკითხები კი რეფერენდუმებით არ წყდება, თანაც ტოტალიტარულ სახელმწიფოში ჩატარებულით), თორემ ასიოდე სეპარატისტის ექსტრემისტულ აქციაზე ასეთივე ექსტრემალური პასუხი უზენაესი საბჭოსი, "გვაძმობილებს" იმათ, ვინც გუშინ ალესილი ხელნიჩბებით გვჩეხავდა და გაზებით გვშხამავდა. ახალი კანონი კი აძლევს მათ ლეგიტიმურ უფლებას საქართველოს შინაური საქმეების მომწესრიგებლის როლი ითამაშოს. მგელს ჯერ ცხვრის ფარაში უშვებენ და მერე ეუბნებიან არ იმგლოო - გაგონილა ეს? ნუთუ ორასწლოვანმა და კიდევ უფრო მეტად სამოცდაათწლოვანმა ისტორიამ სულ არაფერი გვასწავლა? ანუ მარტო ის გვასწავლა - როგორ გავაბრუოთ სხვაც და საკუთარი თავიც "ლოზუნგებითა" და "პატრიოტული მჯილის" გულში ცემით?! თავისი მოწინააღმდეგის "ხალხის მტრად"(!-"დიდი ტერორის" სუნი ხომ არ გცემთ?) გამოცხადებით, ხოლო სინამდვილეში კი დამპყრობელის ფაქტობრივი ბატონობის იურიდიულად გაფორმებით! ამ აქციას ტიპოლოგიურად მოსკოვური სუნი უდის და ვშიშობ, მის უკან არ გამოიკვეთოს გორბაჩოვის ჯერ კიდევ მარჯვენა ხელის, შევარდნაძის აჩრდილი, რომელმაც არაერთგზის დაუმტკიცა რუსეთს (გახსოვთ, მზეც კი იქიდან ამოიყვანა!) თავისი იმპერიული ერთგულება და ახლაც იმავე გზას ადგას.[16] ხოლო ვიცით საქართველოს ისტორიიდან: ქართველ "სტალინელებს" არაფერი სხვა არა აქვთ რუსეთისათვის მისაძღვენი, თუ არ საქართველო, რომლის გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც უოველთვის, ამჟამად ისევ იძენს საერთაშორისო მნიშვნელობას სამხრეთში წარმოებული ომის გამო. შევარდნაძისა და პატრიკეევის მილოცვები პირადად საქართველოს

---

რომელშიღაც ძალმომრეობითა და დაპყრობით, ანექსიით შეგვათრია საბჭოთა რუსეთმა და მერე კავშირმა?! თუკი იმის საშუალება არა გვაქვს, რომ ოსი სეპარატისტები დავამშვიდოთ, რითიღა უცხადებთ "ახალ ავღანეთს" საბჭოთა ჯარებს, როგორც განაცხადა თავის ამასწინდელ ინტერვიუში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ? რა არის ეს უპასუხისმგებლობა თუ...? კომუნისტების გამონაცვალ კაბინეტებსა და მავ "ვოლგებში", თუნდაც თეთრში, ახალი კადრების ჩაჯდომისათვის გაიწირეს 9 აპრილს ქართველი ქალვაჟნი? მაშინ რა, "რეალობას ვერ ვუყურეთ სახეში"? გაიხსენეთ, როგორ ლანძღავდნენ იმათ, ვინც სიმშვიდისა და სიდინჯისკენ მოუწოდებდა, და პირველ რიგში თვით უზენაესი საბჭოს ახალი თავმჯდომარე! გაიხსენეთ ისიც, როგორი იმედი ჰქონდათ ქართველ ბოლშევიკებს, რუსები ძალაუფლებას აგვაღებინებენ და გაგვამაგრებენ და მერე წავლენო! რუსი მაშინ დამპყრობელი იყო და ეს თვით ბოლშევიკებმაც იცოდნენ, ხოლო ახლა კი ეს დამპყრობელი კანონის ძალით მოქმედებს საქართველოში "ნაციონალისტური" უზენაესი საბჭოს მოწვევით! ამაზე დიდი ცინიზმი გაგონილა-ა?! მაშ რა, ისევ ის ძველი სოციალისტ-კომუნისტური პრინციპი მოქმედებს: "სწორად და კარგად მხოლოდ "ჩვენ" ვიქცევით, დანარჩენებმა კი არაფერი იციან და ჩვენ უნდა დაგვემორჩილონ"?! ყოველ შემთხვევაში ამ სამი თვის განმავლობაში მხოლოდ ეს დასკვნა გამომდინარეობს ახალი უზენაესი საბჭოს მოქმედებებიდან (რომლისადმი პატივისცემა მისი საქმის პირდაპირ პროპორციულია, და სრულიად გამორიცხავს პირად დამოკიდებულებებს), და ბ-ნი იუსტიციის მინისტრიც ამასვე ადასტურებს თავისი "პასუხით". არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ წარმონაქმნების (აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და სამხრ. ოსეთის აო) ხელოვნურობა სრულიად აშკარაა თუნდაც ტერიტორიალური თვალსაზრისით! და მიუხედავად ამისა, საკითხის გადაწყვეტის ექსტრემალური გზა სრულიად მიუღებელია, როდესაც ამა თუ იმ ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობა-არარსებობის საკითხი დგება.

---

16 - "გაღაღგომის ღრამა" პროვინციულ სცენაზე გათამაშებულ სპექტაკლს ჰგავდა. სინამდვილეში არც არავინ "გადამდგარა" და არც არავის "ეღალატნია" სისტემისათვის. შევარდნაძე დარჩა გორბაჩოვთან და, ჩემის ვარაუდით, მოსალოდნელია მისი "შინაგან საერთაშორისო ურთიერთობათა მინისტრის" ან ამავე საკითხებში "ვიცე-თავმჯდომარის" როლში მოვლინება. იგი უკვე იყო ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი, და, რაც მთავარია, ტრადიციით, ქართველები ხომ საბჭოთა სისტემაში "ნაციონალური პრობლემების მოგვარების დიდოსტატები არიან" - სტალინიდან მოყოლებული. ასე რომ ჩვენი ეჭვი შევარდნაძის "მამობრივი" აჩრდილის შესახებ საქართველოს ცაზე, ნიადაგმოკლებული არ უნდა იყოს. ცხადია არც ის არის სავსებით გამორიცხული, რომ შევარდნაძე "გაქრეს" სცენიდან სისტემის სცენარით (რამდენს უღალატია მისთვის და გამქრალა - ვინ მოთვლის). მაგრამ ეს აქამდე გამოიწვევდა ხმაურს პრესაში და მაინც საეჭვოა... და არ ცვლის მის ამჟამინდელ "პატრონატს" საქართველოზე.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისადმი. ძახილის ნიშნებივით ჟღერენ! ხოლო საქართველოს ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ შევარდნაძის ხოტბა ტიპოლოგიურად "მოხელის" ხოტბაა თავისი ძლევამოსილი, თუმც შესაძლოა "ჩრდილში" მიმდგარი უფროსისადმი.[17] ყოველ შემთხვევაში ახალი უზენაესი საბჭო ჯერჯერობით პოზიტიურ გზას ვერ პოულობს რთული ვითარებიდან თავის დასახსნელად და ისევ ძველი ძალაუფლებრივი პრინციპებით მართავს ქვეყანას იქითკენ, საიდანაც მის გამოხსნას შეელია საქართველოს მამულიშვილთა არაერთი თაობა.

მონახავს თუ არა ამ გზას არსებული ძალაუფლება, თუ კვლავაც "დისიდენტურ" პოზაში ჩადგება უკვე "თავისთავის" მიმართ - ამას მომავალი გვიჩვენებს. "დისიდენტური" აზროვნებიდან და აქციებიდან სახელმწიფოებრივ პროგრამებამდე და მათ განხორციელებამდე დიდი მანძილია. ისე კი, დრო მიდის და საქართველო დღითი დღე უკან რჩება იმ პროცესს, რომელიც უკვე დაიწყო და გაღრმავდა კიდეც ბალტიისპირეთში და რომელიც მიუხედავად ყველაფრისა, ბალტიელ ერთა გამარჯვებით დაგვირგვინდება. რადგან თავისუფლების გემოგასინჯულ ლიტველებს (და ლატვიელებსა და ესტონელებს) ყოველ დღე ახალი თავისუფალი უჯრედი ემატება ცნობიერებაში, რომლის აღმოფხვრა უკვე შეუძლებელი იქნება. "ლიტველი ხალხი უკვე თავისუფალია შინაგნად, და ამიტომაც ძნელი იქნება მისი კვლავ მონებად გარდაქმნა" - როგორც აღნიშნა ლიტვის პარლამენტის პრეზიდენტმა ლანდსბერგისმა.

საქართველოში ოპოზიცია განაგრძობს არსებობას და ბრძოლას. ვფიქრობ, ოპოზიციამაც (ერთობ, "გარეთ" მყოფმა) უნდა გაითვალისწინოს ის რეალობა, რომელშიც საქართველო იმყოფება თავისუფალი არჩევნების შემდეგ, და სინამდვილესა და სიმართლეს დაუპირისპიროს გონება, და არა იდეოლოგიურ კლიშეებსა და ლოზუნგებს.

კიდევ ერთი კრიტიკული შენიშვნა მინდა გავაკეთო: ახლა "მოდაშია" შიმშილით საკითხების გადაწყვეტა. რასაკვირველია, ყოველ ადამიანს აქვს უფლება იშიმშილოს, მაგრამ როდესაც ეს იღებს სოციალური ნევროზის სახეს, მაშინ ღრმად დაფიქრება გვმართებს და სამკურნალო საშუალებათა ძიება. ამ მდგომარეობას ტიპოლოგიურად კარნავალურ ფსიქოზს ვუწოდებ. შიმშილობენ ერთნი, მეორენი შიმშილობენ ამათი შიმშილის წინააღმდეგ, მესამენი პირველების შიმშილის გამო მოშიმშილეთა შიმშილობის წინააღმდეგ აცხადებენ უვადო(!) შიმშილს, მეოთხენი კი შიმშილობენ რომ ყველა ამათ შეწყვიტონ შიმშილი... მეხუთენი... მეექვსენი... "დედები"... "შავოსნები"... "ჩოხოსნები"... ერთნი შიმშილობენ იმიტომ, რომ არ მოეწონათ ვიღაცის გამოსვლა ტელევიზიით, სხვანი კი შიმშილობენ რომ მხარი დაუჭირონ მეორის გამოსვლას ტელევიზიით... რა არის ეს? სოციალური და პოლიტიკური ბრძოლის ფორმა თუ მასობრივი შიზოფრენია, რომელსაც ვიღაც გამალებით უკეთებს ცეცხლს და აღვივებს?! (ესაა სწორედ აღნიშნული კარნავალური ფსიქოზის სინდრომი). სახელმწიფო პრესა სავსეა ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული წერილებითა და გამოხდომებით - მაგრამ დემოკრატია ხომ იმითაა დემოკრატია, რომ ოპოზიცია არსებობს და ეს ოპოზიცია "ტყავს აძრობს" ძალაუფლებას (ხელისუფლებას) სრულიად უფლებამოსილად. სწორედ ოპოზიციის ატანის კოეფიციენტიც განასხვავებს დემოკრატიას ტოტა-ლიტარიზმისაგან და ხელისუფლებას ძალაუფლე-ბისაგან. ვიდრე ძალაუფლება და მხოლოდ ძალაუფლება არიგებს "სახელოებს" და პრივილე-გიებს, ანუ არის ცხოვრების პირობების განმკარგუ-ლებელი, ე.ი. ვიდრე სახელმწიფოში არ არსებობს თავისუფალი(კერძო) საკუთრების საფუძველმდებელი კანონმდებლობა და სამართლებრივი გარანტიები, ცვლილებებზე და დამოუკიდებლობის განხორცი-ელებაზე შეუძლებელია ფიქრიც კი, რადგან ყოველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გამოიწვევს ისეთი პრობლემების აქტივიზირებას, რომელთა უკან ალტერნატივად ისმის "ახალი საკავშირო ხელშეკრულების" ჯაჭვების ჩხარუნი.

ის კითხვაც უნდა დავსვათ: ოპოზიციის მხრიდან რეალურად და მშვიდად განხორციელებული კონსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებების (ოპოზიციის საზრიანი წნეხით) გამო ხომ არ გადაწყვიტეს კომუნისტებმა უკან დაეხიათ და გზა მიეცათ ისეთი ჯგუფებისათვის, რომელთა მოქმედება ბუნებრივად ასრულებს კომუნისტების მისწრაფებას? ხელს უწყობს უკომუნიზმო (და უკომუნისტებო ან წმინდაკომუნისტებიან - არ დაგვავიწყდეს, რომ კომუნისტები ყოველთვის უმცირესობაში იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ "ბოლშევიკები" ერქვათ) ტოტალიტარიზმის რესტრუქტურირებას და სისტემის[18] რესტავრაციას? რას ნიშნავს ის, რომ ახალი ძალაუფლება პირწმინდად კომუნისტებივით (ბოლშევიკებივით) აცხადებს, რომ ყველამ ერთხმად მას დაუჭიროს მხარი და გვერდში ამოუდგეს, ხოლო

---

17 იხ. "ახ.ივერ." 25 დეკ. 1990; რადგან საქართველოს რესპუბლიკა სსრკ-ს შემადგენლობაშია, ცხადია, საგარეო საქმეთა მინისტრიც საკავშირო მინისტრის მოადგილე-მოხელედ ითვლება სსრკ-ს კანონის ძალით, რომელიც კვლავინდებურად მოქმედებს საქართველოშიც, ვიდრე დამოუკიდებლობა არ გამოგვიცხადებია); საზღვარზეც საბჭოთა დიპლომატის - და არა საქართველოს - პასპორტით მიმოდიან ეს მოხელენი და ვიღას აყრიან თვალში ნაცარს თავისი ლოზუნგებით "სუვერენობაზე"?).

18 იხ. "ტოტალიტარიზმის რეინკარნაცია" "ივერია" 31-33 და 35.

ამის აუცილებლობას კი ამტკიცებს იმით, რომ იგი და მხოლოდ იგი იბრძვის დამოუკიდებლობისათვის და საქართველოს ბედნიერებისათვის?! განა ამასვე არ მოითხოვდნენ ბოლშევიკებიც, იმავე ლოზუნგებითა და ამ ლოზუნგების "უნივერსალურ ბედნიერებაზე" ორიენტირებით? რა მნიშვნელობა აქვს რა სახელს დაირქმევს ძალაუფლება და რა ლოზუნგებს გადმოჰკიდებს - მთავარი ხომ ძალაუფლების ხელისუფლებად ტრანსფორმირება და სამართალზე და თავისუფლებაზე (კერძო საკუთრებაზე) დაფუძნებული თანამედროვე ლიბერალური და დემოკრატიული საზოგადოების აშენებაა საქართველოში. დამოუკიდებლობის რეალური განხორციელება ამას გულისხმობს პირველ რიგში, ხოლო ამ გზაზე კი გასაკეთებელი გაცილებით მეტია, ვიდრე "სალოზუნგო". და რამდენადაც მეტია გასაკეთებელი, იმდენადვეა აუცილებელი მძაფრი და კრიტიკული ოპოზიცია, რომელიც, და მხოლოდ რომელიც, აიძულებს ძალაუფლებას ხელისუფლებად იფუნქციოს იმის შიშით, რომ უახლოეს არჩევნებზე მის მავნე საქმეთა კვალდაკვალ "სულს ამოაძრობს". ცხადია, თუ ძალაუფლებამ მანამდე არ მიმართა თავის ნაცად ხერხს და ოპოზიციას "ხალხის მტრებად" მონათლულს, სტალინურად არ ამოართვა სული! სწორედ ამისთვის ხომ არ ამზადებენ "ეროვნულ გვარდიას", რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში უნდა იყოს, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრო კი, თავისთავად, ჯერ კიდევ მოსკოვის ქვემდებარეა. იგივე ითქმის საქართველოს კგბ-ზე(სს-უკი), რომელიც, როგორც 1 თებერვლის (1990 წ.) "ფიგარო" გვამცნობს, "ისევ მოსკოვიდან ფინანსდება". ("მოსკოვი განაგრძობს ჩვენს დაფინანსებას და ჩვენ განვაგრძობთ მისთვის გამოძიების ცნობების მიწოდებას, მაგრამ პრაქტიკულად არაფრისა საქართველოს შესახებ" - მოჰყავს კორესპონდენტს სს-უკ-ის მინისტრის სიტყვები[19]). სს-უკ-ის საკითხი ასე თუ ისე ნათელია და მოულოდნელი არ არის, მაგრამ "გვარდიის" თემაზე თავს ნებას მივცემ ერთი მოსაზრება გამოვთქვა: ვენაში განიარაღების შესახებ მოლაპარაკებების დროს (სწორედ მაშინ, როდესაც საქართველო ევრობულ ზონაში იქნა შეყვანილი) საბჭოთა დელეგაციამ არაფრით არ დასთმო და გაიტანა პუნქტი, რომლის მიხედვით განიარაღება არ ეხება შინაგან ჯარებს. მათთვის, ვინც ტოტალიტარიზმის სტრატეგიას კარგად იცნობს, ეს იყო ნიშანი იმისა, რომ მოსკოვი ყველა ღონეს იხმარდა იმის საჩვენებლად, თუ რაოდენ უჭირს მას შინაგან და რამდენად აუცილებელია მისთვის ძლიერი შინაგანი ჯარები, რათა მოეპოვებინა საერთაშორისო მხარდაჭერა ამ ჯარების გაძლიერებისა და ლეგიტიმირებისათვის. ასევე, ნათელი იყო, რომ ამიერიდან ძირითადი კონვენციონალური ძალა გახდება სწორედ შინაგანი სამინისტროს არმია. ტოტალიტარულ სისტემაში ჯარისადმი (მხედრებისადმი) შიში თანდაყოლილია, და აუცილებელია მას დაუპირისპირდეს ძლიერი შინაგანი ძალა, რომელზედაც კონტროლი ერთპიროვნულად აქვს მმართველ ძალაუფლებრივ აპარატს (პარტიას ან "ბლოკს") და მის ბელადს. საკმარისია სტალინისეული სტრატეგია გავიხსენოთ და დიდი ტერორი ჯარში. ამგვარად, საგსებით შესაძლებელია, რომ საქართველოში, რომელიც "ნეო-ტოტალიტარიზმის" საცდელ პოლიგონად[20] შეიძლება განვიხილოთ ამ თვალსაზრისით, ხდება საბჭოთა სისტემაში პირველი განხორციელება აღნიშნული სტრატეგიისა: იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ჯარი, რომელიც, მილიციისაგან განსხვავებით, აღჭურვილი იქნება (უნდა იყოს!) მთელი კონვენციონალური ტექნიკით, რომელსაც "ჩამოწერენ" მხედართა ჯარის შემცირებების დროს. ამგვარი საქმის კურთხევა უკვე მიღებული აქვს მოსკოვს "ნაციონალისტური" ორომტრიალის ატეხით საბჭოთა კავშირში და სტრატეგიული შეიარაღების შემცირებაზე და აკრძალვაზეც კი დათანხმებით. საერთაშორისო ასპარეზზე "მტრედად" გამოფრენით (ტყუილად ხომ არ მიიღო შიგნით ამდენი სისხლისღვრის შემდეგ გორბაჩოვმა "ნობელის მშვიდობის პრემია"!). ამგვარად, "ეროვნული გვარდია" არც მარტოოდენ ისაა, რაც ოპოზიციას ჰგონია ("პრეტორიელთა

---

19 იხ. "Figaro" 1 fevrier 1990; " Un KGB dissident" par Vladimir Ivanov. იქვე გამოქვეყნებულ სხვა წერილში სათაურით: "საქართველო: ჯარი დამოუკიდებლობისათვის" იგივე კორესპონდენტი თბილისიდან გადმოსცემს ახალი კანონის ზოგიერთ მუხლს, რომლებიც ადასტურებენ ჩემს მოსაზრებას: " Tous les déserteurs (géorgiens) de l'armée soviétique doivent puvoir effectuer leur service militaire au sein de la garde nationale s'ils le souhaitent" ცოტა უფრო ზევით, პრეამბულაში ნათქვამია რომ ეს არის "devoir d'honneur de servir au sein de la garde nationale". ხოლო დანიშნულება ამ "გვარდიისა" არის "დედა სამშობლოს ინტერესების, ეროვნული ტერიტორიის მთლიანობის, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა". "პრეზიდენტ გამსახურდიასთვის ეროვნული გვარდიის მიზანი იქნება წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველგვარ აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ "საბჭოთას ჩათვლით"" - წერს ვლ. ივანოვი. რასაკვირველია, ეს ლამაზი სიტყვებია, მაგრამ თუ დავუკვირდებით, და საქართველოს იუსტიციის მინისტრის განმარტებებსაც გავიხსენებთ, "რეალობებისადმი თვალის გასწორების" შესახებ (იხ. ზევით), მაშინ დავინახავთ რომ "პრეზიდენტის" (?? ამ ლაფსუსს მე კორესპონდენტის მიერ დაშვებულ ფსიქოლოგიურ შეცდომად ვთვლი, რადგან საქართველოში პრეზიდენტი არ არჩეულა, აირჩა მხოლოდ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, მსგავსად ნოე ჟორდანიასი,... ირაკლი აბაშიძისა, ან, საფრანგეთში, ფაბიუსისა...) ამ ლამაზი სიტყვების უკან სრულიად არალამაზი მიზნები ისახება.

20 ამ თემაზე იხ. ჯ. კაშია " საქართველო - რუსული ექსპანსიონიზმის საცდელი პოლიგონი" 1984 წ. ნიუ იორკი ( ფრანგულ ენაზე.) - "ივერია" 30.

გვარდია" - მთავრობის თავმჯდომარის უშუალო მორჩილებაში მყოფი, როგორც იყო ნოე ჟორდანიას დროს) და არც ის, როგორადაც, შესაძლოა გულუბრყვილოდ, ეჩვენება იგი საქართველოს ახალ უზენაეს საბჭოს. "გვარდიის" შექმნა გაცილებით უფრო დიდი და შორსგამიზნული სტრატეგიის ნაწილია და ვიდრე საქართველო იმყოფება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, იგი შეასრულებს იმას, რაც არის ამ დიდი სტრატეგიით გათვალისწინებული. კიდევ ერთი ასპექტი: საქართველოს ეროვნული გვარდიის რაოდენობას განსაზღვრავენ 30 000-ით. ეს ის რიცხვია, რომელიც საქართველოდან უნდა გასულიყო ჯარში და არ გავიდა - "დეზერტირებად იქცნენ". ახლა ამ "დეზერტირებს" ებატიეებიან "ეროვნულ გვარდიაში" ანუ სხვა კარებიდან აბრუნებენ საბჭოთა სისტემის სამსახურში. ემოციური დატვირთვა "საქართველოსთვის სამსახურის" ლოზუნგისა ძალიან დიდია, ჩვენ ვიცით, და ახალგაზრდებსაც ბუნებრივი მისწრაფება ექნებათ ამ სამსახურში ჩადგომისა. მაგრამ ეყოფათ თუ არა მათ გონიერება დინჯად და დაფიქრებით მიიღონ თავისი გადაწყვეტილება და არა სამიტინგო ენთუზიაზმის ტალღაზე, რომ თავისი ენერგია საქართველოსათვის ჭეშმარიტად სასარგებლო საქმეს მოახმარონ და არა ფარული ტოტალიტარული გეგმების განხორციელებას? იქნებ სჯობდეს, რომ ამ 30000 ახალგაზრდამ, თუ ისინი მართლა საქართველოზე ფიქრობენ და სურთ ქართულ სამხედრო ჯარში სამსახური, მოითხოვონ თავისთვის ჯერ სამხედრო სკოლა და ისწავლონ სამხედრო საქმე, თუნდაც იმ დონეზე, რა დონეზედაც ეს არის შესაძლებელი მოცემულ სისტემაში. გაიხსენონ მათ, რა სამსახური გაუწიეს იუნკრებმა საქართველოს, და ამავე დროს გაიხსენონ ისიც, თუ როგორი იყო ურთიერთობა ჯარსა და "გვარდიას" შორის დამოუკიდებელი საქართველოს მემარცხენემენშევიკური ერთპარტიული მთავრობის დროს, როდესაც გვარდია ნოე ჟორდანიას პირად გამგებლობაში იყო... გვარდიაში კი, რადგან მის შექმნას არაფერი შეაფერხებს, როგორც ჩანს, რამეთუ ცენტრმა (მოსკოვმა) ასე გადაწყვიტა, იმსახურონ იმათ, ვინც უკვე არის გაწვეული საბჭოთა არმიაში და იქ მსახურობს ან უმსახურია. განა უფრო დიდი საქმე არ იქნება, რომ უკვე გაწვეულები დავაბრუნოთ სამშობლოში და აქ გამსახუროთ, ხოლო ახალგაზრდობა კი მოვამზადოთ მომავალი საქართველოს ეროვნული მხედრიონისათვის, რომლის ბირთვი უკვე არსებობს "არაფორმალური" "მხედრიონის" სახით?

პაი-პაი, რომ იქნება!

ახლა ჩვენ ისევ გზასაყარზე ვდგავართ და თუ, რომელ გზას დავადგებით, პასუხს მომავალი საქმე და მოვლენები გაგვცემენ. ეს ჩემი კრიტიკული (რადგან სადღეგრძელოების დრო დიდი ხანია წაგვივიდა, ხოლო "ალტაცებული იდიოტიზმის" სენიდან განკურნება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს საქართველოსათვის!) მიმოხილვა მინდა დავამთავრო ერთი წერილით, რომელიც გამოქვეყნებული იყო ქართული ლეგიონის გაზეთში "საქართველო" 1943 წლის 25 აპრილს.ამ წერილში ჩანს კარგად, თუ რისთვის სწირავდნენ თავის სიცოცხლეს სამშობლოს განთავისუფლებაზე მეოცნებე ყოფილი საბჭოთა ჯარისკაცები - ქართველი ერის ფუძე-წილი.

## რა სურს ქართველ გლეხს

საქართველო უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. მისი მოსახლეობის 80 პროცენტამდე მიწად-მოქმედებას მისდევს. სახელმწიფოს მთელი შემოსავლის 69.8 პროცენტს იძლევა სოფლის მეურნეობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობა განსაკუთრებით განადგურდა მთლიანი კოლექტივიზაციის შემოღების დღიდან. მიწის განსაზოგადოებამ მოსპო რა გლეხის პირადი საკუთრება მიწაზე, შრომის მოყვარე გლეხი საკოლმეურნეო დაქირავებულ მუშად გადააქცია. დაიწყო გლეხების გალატაკება.

თუ გადავხედავთ წარსულს, დავინახავთ, რომ ქართველი გლეხკაცობის სანუკვარი ოცნება ყოველთვის იყო მიწა. ქართველ გლეხს მიწა უყვარს და იგი ისტორიულადაა მასთან დაკავშირებული; ქართველი გლეხი მიწას "დედა-მიწას" ეძახის, ესე იგი მიწაა მისი მშობელი, მისი შემნახავი და აღმზრდელიც კი.

თუ ჩვენ დღემდე გაუძელით ისტორიულ ქარტეხილს და შევინარჩუნეთ ჩვენი ეროვნული სახე და გამძლეობა, ამით უსათუოდ უნდა უმადლოდეთ ქართულ მიწას და მის მთავარ მამოძრავებელს ქართველ გლეხობას, რომელიც ყოველთვის წარმოადგენდა ჩვენი ერის ჯანსაღ ნაწილსა და მის მაჯის ცემას.

ქართული მიწის სიყვარული სისხლში და ხორცში აქვს გამჯდარი ჩვენს გლეხკაცობას. "გლეხკაცმა, რომ თავი დაანებოს თავის ადგილს, - ამბობდა ილია ჭავჭავაძე, - უნდა ჯერ გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისი ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ვაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი, სამკვდროს ეძახის, ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია."

ქართველი გლეხის ოცნებას მიწაზე ჩვენი პოეტი რაფიელ ერისთავი ამაღელვებლად გადმოსცემს:

"ე შავი მიწა მაინც, რომ
სასყიდლად არა მქონოდა.

შაკ სამარემდინ რა ვიცი
მე რაღა დამაღონებდა" - ამბობს გულდაკოდილი ქართველი გლეხი.

კერძო საკუთრება მიწაზე, საკუთარი მიწა, ადგილ-მამული, აი რისთვის იბრძოდა ჩვენი გლეხკაცობა.

"ე როგორ არი, ვერ მიჯხვდი
როგორი განაჩენია,
მიწა სხვისია, ვქირაობ,
შრომა კი მარტო ჩემია"... აღმოხდება ხოლმე გულიდან რაფიელ ერისთავის გლეხს.

საქართველოში ისე როგორც სხვა ქვეყნებში გლეხური მოძრაობის მთავარი საგანი იყო მიწა. ბოლშევიკებმა სწორედ ამ ლოზუნგით შესძლეს მშრომელი გლეხობის გადმობირება; ოქტომბრის, ბოლშევიკური რევოლუციის მთავარ ძალას ფარაჯაში გადაცმული გლეხობა წარმოადგენდა, რომელიც იბრძოდა მიწისა და თავისუფლებისათვის, მაგრამ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ბოლშევიკებმა დაპირება არ გაამართლეს; გლეხობა უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდა.

საკოლმეურნეო წყობილებამ გლეხობა სახელმწიფო მუშად გადააქცია, საზოგადოებრივმა ინტერესებმა ჩაკლეს - პირადი; დღეს გლეხი მეტს ხნავს, მეტს თესავს, მაგრამ იგი მაინც განიცდის გაჭირვებას, რადგან იგი არ არის ბატონ-პატრონი საკუთარი შრომისა. მისი ნაშრომის უდიდესი რაოდენობა მიდის დამზადებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები დაწესებულია სახელმწიფოს მიერ, მონოპოლია სახელმწიფოს ხელშია; ის "ნარჩენი", რომელიც მას რჩება ყოველგვარი დამზადებისა თუ საკალდებულო ჩაბარების შემდეგ, გააქვს ქალაქში, მაგრამ ქალაქიდანაც გლეხს ვერაფერი მიაქვს, რადგან ქალაქი მას არ აწვდის აუცილებელ მოთხოვნილების საგნებს; იძულებულია სხვა გზით შეიძინოს მისთვის საჭირო ნაწარმი. ამ ნიადაგზე ადგილი აქვს აუტანელ სიძვირეს და აღვირახსნილ სპეკულაციას, რასაც განადგურებამდე მიყავს სოფლის მეურნეობა, ეროვნული სიძლიერე ჩვენი ხალხისა.

საბჭოთა მთავრობის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკამ გააპარტახა ქართველი გლეხი, იგი დაადგა გაჩანაგების გზას და ლუკმა-პურის საშოვნელად ქალაქს მოაწყდა. 1940 წელს იმდენად დამშივდა ქართველი გლეხობა, რომ ქალაქში ჩამოდიოდა გამომცხვარი პურის სასყიდლად.

ჩვენ, ქართველი ლეგიონერების, მიზანია: განთავისუფლებულ, ახალ საქართველოში, აღსდგეს ქართული სოფელი. მიწა უნდა ეკუთვნოდეს მიწის მუშას (გლეხს) კერძო საკუთრებად, უნდა აღსდგეს მიწის კერძო საკუთრების ინსტიტუტი. საკოლმეურნეო მიწები და ის მიწები, რომლებიც მიეზომათ საბჭოთა მეურნეობებს სახელმწიფოს მიერ განაწილებული უნდა იქნეს გლეხებზე კერძო საკუთრების უფლებით. მიწა გამოუყენებელი უნდა იქნეს საერთო კეთილდღეობისათვის; ამის გამო მიწა უნდა მიეცეს მხოლოდ და მხოლოდ მიწის მუშას საკუთრებად. უნდა აიკრძალოს მიწის ყიდვა და გაყიდვა. მიწის დამუშავება ერთ და იმავე დროს იქნება მოვალეობა ერის წინაშე. თავისუფალ საქართველოში ადგილი არ ექნება მიწაზე პრივილეგიურ ჯგუფებს; მიწის მეპატრონე იქნება ის, ვინც მიწას ამუშავებს.

"გლეხობა - ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენი ეროვნული იმედებისა" როგორც დიდი ილია იტყოდა. ნივთიერად და კულტურულად უნდა ამაღლდეს და ამ ნიადაგზე უნდა გაძლიერდეს ქართული სოფელი, ჩვენი ეროვნული სიძლიერის წყარო.

გარდა ამისა სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის, ჩვენ ვითვალისწინებთ სასოფლო-სამეურნეო ბანკების მოწყობას, რომელიც ფულად დახმარებას გაუწევენ კერძო მეურნეს მიწათმოქმედების საქმეში. ამასთანავე ერთად გლეხური მეურნეობის განვითარებისათვის საჭიროა სამეურნეო სკოლების გახსნა, საცდელ მინდვრების, სათემო სამანქანო სახელოსნოების მოწყობა და სხვ.

როგორც ვთქვით, მიწაზე აღდგენილი იქნება კერძო საკუთრება. გლეხს ამავე დროს უნდა მიეცეს სამოსახლო მიწა და საძოვარი. ყველა ამაზე აღდგენილი იქნება კერძო საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება, რომელიც დაცული იქნება სახელმწიფო კანონით.

მიწა მიწის მუშას, ქართველ გლეხს, კერძო საკუთრებად? სამემკვიდრეო უფლებით - აი ჩვენი ბრძოლის აზრი და დანიშნულება.

ლეგ. დურუჯელი."

ამ წერილიდან გამომდინარე დასკვნების გაკეთება ჩემი კრიტიკული წერილის კონტექსტში - მკითხველისათვის მიმინდვია.

ეს კრიტიკული შენიშვნები გაკეთდა საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალურ პრესაში ("ახალი საქართველო", "საქართველოს რესპუბლიკა", "ზარია ვოსტოკა", "ახალგაზრდა ივერიელი"...) გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე. ეს მასალები ამჟამად ერთი თვის, და მეტისაც, დაგვიანებით მოგვდის, ამიტომ, ფაქტობრივად (თუ უცხოელ კორესპონდენტთა მასალებს არ ჩავთვლით) ერთგვარი ინფორმაციული ვაკუუმია შექმნილი რაც სრულიადაც არ უწყობს ხელს საქართველოში მიმდინარე მოვლენების ობიექტურ ანალიზს. საქართველოს მთავრობაც და მისი ოპოზიციაც თავად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი ინფორმაციის მაქსიმალურ გავრცელებაში. განა ამას არ

უკიჟინებდით კომუნისტურ ძალაუფლებას - ქვეყნის ინფორმაციულ ჩაკეტვას და იზოლირებას? ზემოთქმულიდან გამომდინარე მე მხოლოდ საქართველოს ახალარჩეული უზენაესი საბჭოს ნოემბერ-დეკემბრის საქმიანობას ვეხებოდი.

დამატებითი ინფორმაციისა და იანვარ-თებერვლის პრესის ანალიზი საშუალებას მოგვცემს უფრო ნათლად წარმოვადგინოთ ის გეზი, რომელსაც ახალარჩეული უზენაესი საბჭო და მმართველი უმრავლესობის ლიდერები ადგანან.

## II

## ძალაუფლების აღების "ნაციონალტოტალიტარისტული" ტექნოლოგია.

წინა წერილი უკვე გამზადებული იყო, როდესაც საქართველოდან მეტად შემაშფოთებელი ცნობები მოვიდა. როგორც ჩანს ძალაუფლებისაკენ მისწრაფებულ ქართველ ფსევდონაციონალისტებს სულმა წასძლია და კვლავ ნაცად გზას დაადგნენ - მოსკოვის ორლესული მახვილი გამოიყენეს ოპოზიციის "ასალაგმავად". ჩვენი ყველაზე მძიმე წინაგრძნობა ვგონებ მართლდება. ტოტალიტა-რიზმის რეინკარნაციის საცდელი პოლიგონი ისევ საქართველოა. შეძლებენ თუ არა საქართველოს სამმართველო აპარატს გარეთ მყოფი პოლიტიკური პარტიები, ანუ ოპოზიცია, დაიცვან ეროვნული ღირსება და ის გზა, რომელზედაც ქართული ეროვნული მოძრაობა იდგა განუხრელად კომუნის-ტური ტოტალიტარიზმის ბატონობის ქვეშ, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ამჟამად კი ჩვენი მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ შემდეგ მოვლენებზე.

თბილისიდან მოსული ცნობებით საბჭოთა "შავბერეტიანებმა" საქართველოს უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით იერიში მიიტანეს და დაარბიეს არაფორმალური შეიარაღებული ეროვ-ნული შენაერთის, "მხედრიონის" შტაბ ბინა შავნაბადას მთაზე, თბილისთან. დაჭრილია 6 მხედრიონელი. 30 (40) კაცი დაპატიმრებულია. შეუმოწმებელი ცნობით "შავბერეტიანებთან" ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებიც ("გვარდია" ან მილიცია). ისევე, როგორ შეუძლებელი იყო 1989 წლის 9 აპრილის აქციის განხორციელება დამოუკიდებლად საქართველოს ძალაუფლებისაგან, ასევე, ამჟამადაც, ალბათ, "შავბერეტიანთა" ეს აქცია საქართველოს უზენაესი საბჭოს "კურთხევით" და მასთან შეთანხმებით განხორციელდა. (ყოველ შემთხვევაში უზენაეს საბჭოს პროტესტი არ ჩანს, ხოლო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია კი თავის განცხადებებით ადასტურებს იმ აზრს, რომ მოსკოვის თვითნებური ჩარევა საქართველოს საქმეებში "პარტიზანულ ბრძოლას გამოიწვევს"[21]). ამის თქმის საფუძველს, გარდა "ტრადიციისა", გვაძლევს საქ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზ. გამსახურდიას განცხადებები და უზენაესი საბჭოს საქმიანობა განვლილ სამ თვეში (იხ. წინამდებარე წერილი)

საქართველოს უზენაესი საბჭოს ეს ანტიდემოკრატიული და თავისი ბუნებით "ნეოტოტალიტარიტარული" ქმედება შეიძლება განხილულ იქნას როგორც ცდა ძალაუფლებისათვის ბრძოლის ბოლშევიკური მეთოდების აღორძინებისა ნაციონალისტური ლოზუნგებით. ამავე დროს, ეროვნული მოძრაობის დისკრედიტირების ცდაც არის საბჭოთა ცენტრალური ძალაუფლების მხრიდან, რომელიც ამ შემთხვევაში უეჭველად მოქმედებს ახალარჩეული უზენაესი საბჭოს "ნებართვით" და, ამდენად, ხელგახსნილია. ეროვნული ლოზუნგები ქმნიან ფარს ტოტალიტარიზმისა ისევე, როგორც ადრე ქმნიდნენ ამ ფარს კლასობრივი თუ კომუნისტური ლოზუნგები. ორივე შემთხვევაში ტიპოლოგიურად ერთგვაროვან "სიცრუის ბადესთან" გვაქვს საქმე, რომელიც "შეუძლებელს" ხდის კრიტიკას და აქცევს მას "კლასობრივ ღალატად" ანუ "ეროვნულ ღალატად". ეს უკანასკნელი კიდევ უფრო საშიში დემაგოგიაა და გაცილებით მეტი საფრთხის შემცველი...

"მხედრიონის" როლი ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში კარგადაა ცნობილი და ამ როლის არც დაკნინება და არც ამოშლა ძალაუფლებას აღარ ხელეწიფება. "მხედრიონი" იცავდა ქართულ ინტერესებს მაშინ როდესაც ხდებოდა "ეთნოკონფლიქტების" პროვო-ცირება იმპერიული ტოტალიტარული რეჟიმის მხრიდან (რაც, არსებითად, ახლაც გრძელდება); ამდენად, ჩემის აზრით, "მხედრიონის" შესახებ მადისკრედიტირებელი ხმების გავრცელება, მაშინ, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და ე. ი. მველი ძირითადი სტრუქტურების მორჩილებაში იმყოფება - მეტად საეჭვო ხასიათს იძენს. თუ "მხედრიონს" რაიმე დარღვევები ჰქონდა (რაც სრულიადაც არ არის გამორიცხული ამ "ორომტრიალში" და დესოციალიზაციის

---

21 იხ. ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ იტალიური "სტამპას" კორესპონდენტთან ჯულიეტტო კიეზასთან: "За Рубежом" N9 1991. საქართველოს დისკრედიტაციის შესანიშნავი ნიმუშია ეს ინტერვიუ! განსაკუთრებით ვრცელი წერილის ფონზე, წინ რომ უსწრებს მას.

ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში). ეს უნდა მშვიდად და საჯაროდ განხილულიყო, როგორც ამას სთავაზობდა კიდეც თვით "მხედრიონის" მეთაური პროფ. ჯაბა იოსელიანი ("მხედრიონი" ხომ მოსკოვს "არ აწყობდა" არსებითად!). საქართველოში წარმოებულ ეროვნულ ბრძოლაში მონაწილეობის და "როლის" გასაკუთრება, მნიშვნელოვნად მხოლოდ საკუთარი საქმიანობის ჩარაცხვა და ოპოზიციური აზრის ღალატად გამოცხადება ტიპოლოგიურად ნეობოლშევიკური მომენტია და, ავლენს თუ რაოდენ ღრმად არის ჩაბეჭდილი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის (რამეთუ მათ მიერ მხარდაჭერილი და არჩეული ძალაუფლების) ცნობიერებაში ტოტალიტარისტული მესობრივი სტრუქტურები, რამდენად მძიმეა "ტოტალიტარიზმის ბნელი გვირაბიდან" ვერგამოსული ცნობიერების "მესამე მდგომარეობა". ისტორიამ დაგვისაბუთა ერთი უბრალო ჭეშმარიტება: "ტყუილს მოკლე ფეხი აქვს" და "ბოროტს არსება არა აქვს" რის გამოც, ყოველი ბოროტი და მატყუარა გამოაშკარავებული და დაგმობილი იქნება თავად. თუ ახალი უზენაესი საბჭო თავისი ძალაუფლების განმტკიცებიისათვის კვლავ დადგა "ბოლშევიკურ პლატფორმაზე" და შეიარაღდა ბოლშევიკური ტაქტიკით, ეს მხოლოდ იმის ნიშანია, რომ ამ ძალაუფლებას დააკისრა "თვითგადამდგარმა" კომუნისტურმა პარტიამ ტოტალიტარული რეჟიმის რესტავრაცია "ახალ პირობებში". სახელდობრ, იმ პირობებში, როდესაც გრძელდება ეროვნული ბრძოლის სხვადასხვა ასპექტების (ბრძოლა სოციალური სამართლიანობისა და ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ეკონომიკური წინსვლისათვის...) "ნაციონალიზმის" (ანუ შოვინიზმის) ნიღაბში წარმოჩინება მსოფლიოს წინაშე და, არსებითად, ამ რთული პროცესის მხოლოდ "ნაცისტური" ნიშნით კვალიფიცირების ცდა. "ტოტალიტარიზმის რეინკარნაციაში" (იხ. "ივერია" 31,32,33,35-პარიზი) მე შევეცადე მეჩვენებია თუ რაოდენ ღრმად გააზრებული სტრატეგია აქვს სისტემას და ე.ი. რაოდენ დიდი სიმშვიდე და დაკვირვება გვმართებს ეროვნული (ინტეგრალურად) ბრძოლის წარმოებისას. სამწუხაროდ საქართველოში ვითარება ისეთი შეიქნა, რომ ამ დამშვიდებული და მიზანმიმართული საერთო ბრძოლის ნაცვლად გამართულია "ნეობერიული" ორიენტაციის მქონე ანგარიშსწორება ოპოზიციასთან და იმათთან, ვისი წვლილიც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში უკვე ისტორიით დადგენილი ფაქტია. ჩვენს ხელთ არის დოკუმენტური ფაქტოგრაფიული მასალა ოფიციალური პუბლიკაციების, ვიდეო და მაგნიტური ჩანაწერების სახით. ამ მასალაში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გასაოცარმა განცხადებებმა, რომლებიც ააშკარავებენ იმ საფრთხეს, რომელსაც ქმნის ძალაუფლების გაზვიადებული კომპლექსი. მხოლოდ ერთი სიმართლე და სამართალი რომ აქვს - საკუთარი. ძალაუფლების მისაკუთრების ეს ნეოტოტალიტარული ცდა, ბუნებრივია ბევრ რამეზე დაგვაფიქრებს და უპირველეს ყოვლისა იმაზე, რომ ხდება საქართველოს სრული დისკრედიტაცია მსოფლიოს თვალში, იმ მსოფლიოსი, ურომლისოდაც საქართველო გადაიქცევა გაველურებულ და ცივილიზაციის ყოველგვარი კონტექსტიდან თუ გზიდან ამოვარდნილ პარტახ ქვეყანად. საქართველოში არსებული პოლიტიკური ძალები (არამმართველი) შეშფოთებულები არიან ამ მდგომარეობით. 18 თებერვალს 5000 (სხვა მონაცემებით 2000) ადამიანი შეიკრიბა ოპერის ბაღსა და კინოს სახლთან საპროტესტო დემონსტრაციაზე, რომელიც ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ მოაწყო ეროვნული კონგრესის სხვა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებთან ერთად. ამ მიტინგზე სხვებთან ერთად გამოვიდნენ პროფ. ჯაბა იოსელიანი, რუსლან მიქაბერიძე, გიორგი ჭანტურია... ამ მიტინგზე პროფ. ჯაბა იოსელიანს განუცხადებია, რომ "შავბერეტიანებთან" ერთად "მხედრიონზე თავდასხმა მოხდა საქართველოს მთავრობის ძალების მხრიდან". (ხოლო სსრკ მვდ-მ კი თავისთავზე აიღო პასუხისმგებლობა - ოფიციალური ცნობებით) და რომ ამიერიდან იგი ქმნის ახალ პოლიტიკურ პარტიას და "იბრძოლებს საქართველოში ფაშიზმის წინააღმდეგ " (იხ. "le mond" 20 თებ. 1991; აგრეთვე: Rcut, UPI, AFP) პროფ. ჯაბა ისოსელიანმა ბრალი დასდო უშუალოდ საქ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიას ამ თავდასხმის მოწყობაში საკავშირო მვდ-ს ძალებთან ერთად. მიტინგის მომდევნო დღეს პროფ. ჯაბა იოსელიანი დააპატიმრეს.[22] ოპერის ბაღში უნდა გაფიცულიყვნენ (ცნობები არა გვაქვს ჯერჯერობით) "მხედრიონისა" და გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები მხედრიონის მეთაურის, დრამატურგის, პროფესორ ჯაბა იოსელიანის განთავისუფლების მოთხოვნით (სხვა მოთხოვნები ჯერ არ ვიცით) აღსანიშნია, რომ უზენაესი საბჭოს (რომელიც მრგვალი მაგიდის აბსოლუტური უმრავლესობის დიქტატით

---

22 აღსანიშნია და ყურადსაღები ისიც, რომ პროფ. ჯაბა იოსელიანი დააპატიმრეს მას შემდეგ, რაც მან წერილი გაუგზავნა პრეზიდენტ ბუშს და გაეროს თავმჯდომარეს პერეს დე კუელიარს გაერთიანებული ერების რეზოლუციის თანახმად კუვეიტის განთავისუფლებაში მონაწილეობის მისაღებად 100 "მხედრიონელის" მოხალისედ წასვლის სურვილით. ამ პირწმინდად არასაბჭოთა მოქმედებისათვის ხომ არ მოუწყო საქართველოს "ანტისაბჭოთა" უზენაესმა საბჭომ რეპრესიები პროფ. ჯაბა იოსელიანს და მის "მხედრიონს"?! - იხ. "ერი" 31 იანვ. 1991 წ.

მოქმედებს) ეს რეპრესიები ისევ და ისევ მოგვაგონებს იმ ბნელ ბოლშევიკურ ანგარიშსწორებას, რომელმაც საქართველოს ისტორიაში ასეთი ტრაგიკული როლი ითამაშა. ქვევით გთავაზობთ ორ პარალელურ ტექსტს, რომელთაგან ერთი წარმოადგენს უზ-ნაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას სხვადასხვა გამოსვლებიდან ამონაკრეფს, ხოლო მეორეს კი მკითხველი თავადაც იოლად გამოიცნობს, როგორც კვინტესენციას "მესამე მდგომარეობაში" მყოფი ტოტალიტარისტული ცნობიერებისა.

სტილი ავტორისაა და ხელუხლებლადაა დაცული:

"ტელევიზია არის დიდი იარაღი ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელიც გრძელდება სხვათა შორის, და მე პირდაპირ მოგახსენებთ, რომ ჩვენ ვერ დავუშვებთ ქაოსსა და ანარქიას ამ დაწესებულებაში, ვერ დავუშვებთ. ჩვენ ვერ დავუშვებთ იმას, რომ ქუჩიდან მოსული ადამიანები, რეციდივისტები, განსაკუთრები საშიში რეციდივისტები ერეოდნენ ტელევიზიის მუშაობაში და თავიანთი ნების მიხედვით წარმართავდნენ მას. ამას ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ, მეგობრებო.არიან ცალკეული პირები, რომელთაც ეს ეოცნებებათ, აქ, თქვენთან. მე მათ ვურჩევ. ვურჩევ, რომ ეს ილუზიები ნუღარ ექნებათ. მე ვგულისხმობ, რომ იმ ცრუ პოლიტიკურ პარტიებს რომლებიც რეციდივისტებმა, დამნაშავეთა სამყარომ გადაიბირა, უფრო სწორად, დაიმორჩილა, დაიქვემდებარა, აიძულებს, რომ ემსახურონ მათ ინტერესებს, პირდაპირი გაგებით, პირდაპირი გაგებით, იარაღის ძალით, ისინი ჩააყენეს თავის სამსახურში, ისინი უკვე გამოდიან, როგორც შირმა ამ დამნაშავეთა სამყაროსი და ეს ეგრეთ წოდებული პოლიტიკური ვითომ პარტიები ცდილობენ ტელევიზიის ხელში ჩაგდებას და ამ ტელევიზიის ეკრანიდან ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ. კატეგორიულად გეუბნებით ამთავითვე - ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ტელევიზიის გაუქმებამაც რომ მოგვიწიოს მთლიანად. სრული პასუხისმგებლობით... მომიტევეთ მე პირდაპირობა. მე არასოდეს არ ვმალავდი სათქმელს, თვით კრემლის იმპერიას არ ვერიდებოდი და ამიტომ არავის არ მოვერიდები. გიმეორებთ, თუ არ დაედება მზღვარი კრიმინალების თარეშს ტელევიზიაში და კრიმინალების მიერ ჩვენი ეკრანის გამოყენებას ეროვნული პარლამენტის წინააღმდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ, ჩვენ ტელევიზიას გავაუქმებთ. ჩვენ სავსებით მზად ვართ ამისათვის ყოველნაირად. და შევქმნით ახალ ტელევიზიას, არც ამას დაგიმალავთ. და ამის ძალებიც გაგვაჩნია. და შევქმნით ისეთ სამსახურს, სულაც რომ ერთმა, ერთადერთმა სამსახურმა იარსებოს, მაინც გვირჩევნია ჩვენ. ყოველდღიურად ეკრანის წინაშე მთელი ქართველი ერის შიშით... ჩვენ მოგვდის უამრავი პროტესტები.. უამრავი სიგნალები საზოგადოების, მთელი ქართველი ერისა, რომელიც კატეგორიულად მოითხოვს, დაედოს მზღვარი ამ ანარქიას და ამ, ამ.... უკანონობას. პირდაპირ მოგახსენებთ: განსაკუთრებით საშიშმა რეციდივისტმა, ორჯერ მკვლელობაზე, ქურდობაზე ნასამართლევმა ჯაბა იოსელიანმა ჩაიგდო ხელში კონგრესის პარტიები. მან ისინი დაიქვემდებარა, იგი მათ ამოქმედებს თავისი მიზნების შესაბამისად. მან ისინი თავის მარიონეტებად აქცია, ნიღბავს თავის დანაშაულებრივ საქმიანობას მთელ საქართველოში, ტერორს, ყაჩაღობას, ყოველგვარ უკეთურებას და ამჟამად გადავიდა პირდაპირ იერიშზე ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი მოძრაობის წინააღმდეგ და ტელევიზიის საშუალებით ცდილობს მოიტანოს იერიში. გიცხადებთ ყველას კატეგორიულად, ვინ ალიანსში აღმოჩნდება ამ პიროვნებებთან, გავაიგივებთ მათთან. სრული სერიოზულობით გეუბნებით, ყველა თვალსაზრისით, - როგორც მორალური, ასევე იურიდიული თვალსაზრისით. ამას ჩვენ აგარ დავუშვებთ, ბატონებო, არავითარ შემთხვევაში აღარ დავუშვებთ. რეციდივისტების და კრიმინალების ადგილი სადაც არის, ყველამ იცის. ტელევიზია და პრესა არ არის მათი სათარეშო და მათი დამქაშების, ყველამ გაიგონოს ეს კარგად. მე ძალიან გთხოვთ"... "...იტაცებენ ხალხს, როგორც გინახავს იმას. აი, ასეთია მდგომარეობა, გაიგეთ ხალხო, გაიგეთ, გენაცვალეთ, ასეთი მდგომარეობაა. რითი უნდა გააძლიერო, აქ პრინციპული ომი არის ფაქტიურად ამაზე სანამ ჩვენ ამ ხალხს ავლაგმავთ და გეუბნებით, რომ ავლაგმავთ ძალიან მალე, იმიტომ, რომ მე პოლიტიკურ იმეებთან არა მაქვს საქმე, ეს არ არიან პოლიტიკური ოპონენტები. გენაცვალე, ესენი მოვიდნენ, მოდიან და... ვისი ავტორიტეტით მელაპარაკებიან მე, სოლჟენიცინის და სახაროვის ავტორიტეტით და დისიდენტების ავტიორიტეტით ვლაპარაკობდით მე და მერაბ კოსტავა[23], კაცო, და ესენი მოვიდნენ და რეციდივისტების ავტორიტეტით მელაპარაკებიან.

---

23 მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპნენ თავისი მოღვაწეობის ზენიტში. შემთხვევით გადარჩა მესამე თავდადებული მებრძოლი (რომელმაც არსებითად, გამოაცოცხლა ქართული ეროვნული მოძრაობა 70-იანი წლების ბოლოს და) თამარ ჩხეიძე. ეჭვი გამოითქვა აქაც და საქართველოშიც, რომ ამ ტრაგედიაში, რომელსაც ერთი ხელის მოსმით უნდა მოესპო სამი დიდი მეთაური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა, "ვიღაცის" ხელი ურევია. ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები ბრალს სდებდნენ (და, ვგონებ, ახლაც სდებენ) თამარ ჩხეიძეს. კრიმინალისტიკაში მიღებული საყოველთაო პრინციპით თუ ვიხელმძღვანელებთ "ეძებეთ ის ვისაც ყველაზე მეტად აწყობდა ეს" (რომლის ვარიანტია: "ეძებეთ ის, ვინც ყველაზე მოხერხებულად გამოიყენა ეს შემთხვევა" - რაც მორალურ მკვლელს მიუთითებს, თუ ფაქტობრივს არა), მაშინ მათემატიკური სიზუსტით შეიძლება მივიდეთ მთელ რიგ დასკვნებამდე, რომელნიც მეტად საინტერესო პერსპექტივაში გადაგვიშლიან ქართულ ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას და მასში ძალთა განაწილებას. - პ.ი.

ai. ჯაბა დგას ჩვენს გვერდზე და ახლავე დამიჯერე რასაც გეტყვი. თორემ ეს ჯაბა შენო შუბლს გაგიხვრიტავსო. აი. ამას მეუბნებიან ჯანტურია და წერეთელი. ეს პოლიტიკოსები არიან. გეკითხებით მე თქვენ?! ეს პოლიტიკური მოღვაწეები არიან?!... მეგობრებო. გახსოვდეთ. რომ აი ეხლა. რაც ჩვენ შევედით ამ ხელისუფლებაში. არ გვაცლიან არაფერს. გენაცვალე. აი. ყოველდღე იმას ვფიქრობთ. რომ თქვენი ოჯახები იყოს სავსე. რომ თქვენ არ გაგიჭირდეთ. რომ თქვენ იაროთ ქუჩაში მშვიდად. ამაზე ვიმუშაო მე. თუ ყაჩაღებსა და ბანდიტებს ვსდიო. როდის შეიკრებიან ტელევიზიაში. აი. გეკითხებით მე თქვენ. კაცო. გეკითხებით. არ უნდა დამაცადოთ მუშაობა. კაცო? თქვენთვისვე ვმუშაობ. ვისთვის მინდა მე. ჩემი თავისთვის ვიბრძვი? მე მაკლია. მაკლდა რამე როდესმე. ამისთვის ვიბრძოდი. ჩემი. ჩემი კეთილდღეობისთვის ვიბრძოდი მე. ამისთვის გავიწვალე და გავიძაღლე ცხოვრება?.. და ცოტა გაიაზრეთ თქვენც რა. კაცო. და შექმენით ისე. რომ ვიმუშაოთ. ვიმუშაოთ ისევ თქვენთვის. გესმით? შეგვიწყვეთ ხელი. რომ აქ იყოს წესრიგი და დისციპლინა. აი ამ გაგებით. გესმით. გარეთა ძალების შემოჭრიდან. და აქ იმას საერთოდ არ ჩავაყოფიებ ცხვირს არაფერში. კაცო. არაფერში არ ჩავაყოფიებ. ჩემს ხელშია. რასაც მე ვეტყვი. რასაც მე ვუბრძანებ... ეს ხალხია. კაცო?! ეს ნორმალური ხალხია ფსიქიკურად. გეკითხებით მე. კაცო. თუ საგიჟეთია ეს ტელევიზია. გამოაკარით ბატონო აბრა - "ფსიქიატრული საავადმყოფოს სატელევიზიო განყოფილება" და მოაწყვეთ აქ დიდი თარეში. კაცო. კონცერტს მოველით. რაღაცა. ლექსს მოველით. პოეზიას მოველით და გიყებით გვიმასპინძლდებით. რა არის ესო კაცო. აღარ არის უკვე მოთმინება ხალხის. კაცო.... ჰოდა ამისთანა ხალხის ჭკუაზე ვიარო მე ახლა? როგორ მირჩევთ. მეგობრებო. ვიარო ამათ ჭკუაზე?! და რომ არ ვუჯერებ ახლა და მათ შემოტანილ. მათ ბრძანებას რომ არ ვასრულებ. და არ ასრულებო და. მომიყვანა ახლა რეციდივისტები. უწინ რომ იცოდნენ. ქუჩის ბიჭებმა რომ ბიჭების მოუყვანა. ქურდების და ვიღაც ყაჩაღების და შეშინება. ასე მოუყავს და ამით მაშინებს თავის ჭკუით. ის კი ავიწუდება. რომ მე მაგათზე უარესი ვარ. თუ გაჭირდა საქმე. ეს. ეს ავიწუდებათ მაგათ. გესმის? და არც მაგაში ჩამოვრჩები მაგას. თუ ძალიან გაჭირდა საქმე. გესმით? ის გაფიცვებიც მე ვასწავლე მაგათ. ის შიმშილობაც მე ვასწავლე. ის პიკეტიც მე ვასწავლე და და ყველაფერი მე ვასწავლე. ეს ავიწუდებათ. გესმით? (ხმაური. ტაში) და ვერც მაგაში ვერ მომერევიან. ვერაფერში ვერ მომერევიან. ფიზიკურადაც ვერ მომერევიან. რომ მიდგეს საქმე. გესმით?..აი. ესეა და ამიტომ ეხლა... ეს ხალხია ცოდვა. მე ჩემს გამო კი არ გეუბნებით. მე მაგისთანებისთვის გამიძლია?! მაგისთანებისთვის გამიძლია. მეგობრებო?! მე რომ გამიძლია. ბევრც ერთი ერთად აღებული თქვენ ვერ გაუძლებთ იმას. მაგრამ მე ხალხი მეცოდება. კაცო. დაიღალა ეს ხალხი და შეშჭამა ამ ხალხმა. კაცო... ამიტომ. მოდით. გავაკეთოთ ისე. რომ აქ იყოს ეს. უსაფრთხოება იყოს. ტელევიზიაში რომ არ შემოიჭრას ავტომატით და არ გამოჭენდეს ეკრანზე და ავტომატი არ ესროლოს ეკრანიდან ხალხს. ამაზე ვიფიქროთ. კაცო!.. ისიც იქნება. მაგრამ ყველაფერში ვფრთხილობ. იმიტომ. რომ ქართველი ადამიანი არ მინდა. კაცო. ქართველის სისხლის დაღვრა არ მინდა. ქართველი კაცი არ მინდა. ციხეში რომ ჩავსვა. თორემ რა უნდა მაგათ. ერთ დღეში მოვხვეტავ სუყველას. კაცო. მაგრამ არ მინდა ამ გზით. არ მინდა. გესმით? ჰოდა..." (ხაზგასმა ჩემია. იხ. საქ. უზენ. საბჭოს თავმჯდ. ზ. გამსახურდიას შეხვედრა ტელევიზიის მუშაკებთან. რომლებმაც თავის ხელმძღვანელად არ მიიღეს მის მიერ დანიშნული ბ-ნი კვანტალიანი. შეხვედრის ჩანაწერი. იხ. აგრეთვე "ივერია" 26. 1991 წ. 18 იანვარი; თბილისი).

ტიპოლოგიურად ნაცნობია თავისი ოპონენტების "კრიმინალებად და ტერორისტებად" გამოცხადება. ასევე. საერთოდ უარყოფა ოპოზიციისა და ყველას ერთთავად "ხალხის მტრებად" ან "სახელმწიფოს მტრებად" ან "ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრებად" გამოცხადება და ერთადერთ სწორ პოლიტიკურ გეზად საკუთარი გეზის აღიარება. ჩვეულებრივ. ამგვარ გამოსვლებს მოჰყვებოდა ხოლმე ტერორი თავის ოპონენტებზე. ამიტომ არც ამჟამადაა გასაკვირი. რომ პროფესორი ჯაბა იოსელიანი დააპატიმრეს. დააპატიმრეს აგრეთვე "მხედრიონის" წარმომადგენლები უკარელში. ახმეტაში. თელავში. ლაგოდეხში დააპატიმრეს გაერთიანებული ეროვნ-დემოკრატიული პარტიის ლაგოდეხის განყ. თავმჯდომარე გოგა ხიდაშელი და ადგილობრივი "მხედრიონელები". ეს ტექნოლოგია ძალაუფლების აღებისა და "დიდი ძმის" იარაღის ძალით შენარჩუნება-განმტკიცებისა. "არ ახალია - ძველია" საქართველოს ისტორიაში. ასე მოვიდნენ ამ საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში ქართველი ბოლშევიკები რუსული ხიშტებით და გამკვიდრდნენ მთელი 70 წლის განმავლობაში. ასე იმაგრებდნენ თავს 9 აპრილს კომუნისტები და ეგონათ. რომ მიაღწევდნენ საწადელს... თუმცა. ისე ჩანს. რომ ძირითად საწადელს მოსკოვი მართლაც აღწევს "ნაციონალისტების" ხელშეწყობით. რომლებითაც ლეგალურად შესცვალა კომუნისტები. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა. რომ საქმე დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობის დაფუძნების გზების ძიებას კი არ ეხება. არამედ

გაზვიადებულ კომუნიზმს, რომელსაც ხელში ნაციონალისტური ლოზუნგები უკავია (ესეც სტალინური მეთოდოლოგიიდანაა!).

აი კიდევ ერთი ამონაწერი ოფიციალური პრესიდან:

"პასუხი: ჩვენ, დღეს კრემლის უზარმაზარი საინფორმაციო მანქანა გვიპირისპირდება, უფრო სწორედ, დეზინფორმაციის მანქანა, საკდესის სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს სახით, სუკის სახით. მათ მიზნად აქვთ დასახული მსოფლიოს დეზინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, სამწუხაროდ, ამაში მათ პირველ რიგში ხელს ჩვენივე გადაგვარებული ქართველები უწყობენ როგორც აქ, ასევე საზღვარგარეთ. აქ ვისაც ვგულისხმობ, თქვენ კარგად იცით და მე ზედმეტად ჰაერს აღარ მოვწამლავ მათი ხსენებით, ხოლო უცხოეთში მათი აგენტურა ჯანრი კაშიას, რამაზ კლიმიაშვილის და სხვა ვაჟბატონების სახით, ისინი ლანძღავენ პარლამენტს, აქებენ კონგრესს, ამბობენ, პირდაპირ აღმაშფოთებელია, რომ პარლამენტი ხელს უშლის კონგრესს და არ აძლევს მუშაობის საშუალებასო. პარლამენტში თითქოს ფალსიფიციის გზით შევიდა ხალხი, არ ყოფილა არავითარი არჩევნები, რომ საარჩევნო კანონი არასრულყოფილია და სხვა. ამას რუსი რომ ამბობს "კრასნაია ზვეზდაში", არ გეწყინება, რადგან ეს ბუნებრივია, მაგრამ ქართველი როგორ უნდა დაკნინდეს იმდენად, რომ მის ქვეყანაში პირველად ჩატარებული დემოკრატიული თავისუფალი არჩევნების შედეგები უცხოეთიდან ლანძღოს და მოთხაროს. ამას არც ერთი ერი არ აკეთებს. მაგალითად სომხებში ასეთი მოღალატეები რომ გამოჩნდნენ, სახალხოდ ჩამოახრჩობენ. ამდენი მოღალატე არც ერთ ერს არა ჰყავს. ამით სარგებლობს კრემლი და მისი პროპაგანდა. "თავისუფლების ქართული რედაქცია საქართველოს მტრების ხელშია და რატომღა გიკვირთ, რომ გამოდის უცხოელი და ამდაგვარად წერს, რომ შეეკამათო შევეკამათოთ, იმ წუთში ქართველებზე მიგვითითებენ - ამათ თქვესო. როგორც იტყვიან ციხე შიგნიდან ტყდება. კრემლის დეზინფორმაციის მანქანა ძლიერია, მაგრამ მას ჩვენივე მოღალატეები უწყობენ ხელს.

კითხვა: ბატონო ზვიად აქ არა გვყავს ხალხი, რომელიც ამ საქმეს მოაგვარებდა?

პასუხი: ძალიან სუსტი, რადგან საზღვარგარეთ ძალიან ძლიერია მოსკოვი - საბჭოთა საელჩოები, მათი აგენტურა, ტერორის გზითაც კი გვებრძვის. მაგალითად, ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი (გ. ხოშტარია - პ.ი.) ძალიან საეჭვო მდგომარეობაში მოიწამლა იტალიაში, იმავე დილას მანქანა დაუმტვრიეს. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ეს მაინცადამაინც მოსკოვის გაკეთებული, მაგრამ ძალიან საეჭვო მდგომარეობაში მოხდა არა მგონია, რომ პროდუქტების საქმე იტამიაში ისევე იყოს, როგორც ჩვენში, რომ გაფუჭებული პროდუქტები მიიტანონ სამთავრობო სუფრაზე. ჩვენი იქაური მომხრეები ტერორიზირებულნი არიან, შევიწროებულნი არიან - მათ არავითარი მხარდაჭერა არა აქვთ. ეს აგენტურა კი ყოველგვარი მხარდაჭერით სარგებლობს. ეს დასავლეთის დასუსტების შედეგია." (იხ. "საქ. რესპუბლიკა" 24(44) 5 თებერვალი 1991 წ "საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია").

მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს უზენაეს საბჭოში მრავლად არიან გულწრფელი და გულუბრყვილო ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ტოტალიტარიტალური მეთოდებითა და ძალაუფლებრივი (ბრძანებითი) პრინციპებით შესაძლებელია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება ან დემოკრატიულ საზოგადოებად გარდაქმნა. "მსგავსი მსგავსს წარმოშობს" და "საქმემან შენმან წარმოგაჩინოს შენ" - ნათქვამია. ხოლო ეჭვი რომ არ შეეპაროს ჩემს მკითხველს აღნიშნულ მსგავსებაში ვთავაზობ ამონაწერს "საქართველოს გადამრჩენელის" საარჩევნო სიტყვიდან:

"... ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი ძველ პოზიციებზე რჩებოდა, გულმოდგინედ ინარჩუნებდა რა ძველ... ტრადიციებს და იღებდა რა ორიენტაციას კაპიტალისტურ დასავლეთზე...

ქართველი ხალხის საზიზღარი მოღალატეები.... ერთ დროს თავის თავს სთვლიდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებად.

... ისინი გაიქცნენ თავიანთ საზღვარგარეთელ პატრონებთან, აშკარად და ცინიკურად გახდნენ ... დაზვერვათა აგენტები და ლაქიები.

მიჰყიდდნენ რა ხოლმე თავს განურჩევლად ყველას, ოღონდ კი ფული ეძლიათ, ერთსა და იმავე დროს მსახურობდნენ რა უცხოეთის რამდენიმე დაზვერვაში, ეს საზიზღარი გამცემლები ერთი წუთითაც არ სტოვებდნენ თავიანთ შავ ზრახვებს... საქართველოს წინააღმდეგ, ქართველი ხალხის წინააღმდეგ...

ქართველმა ხალხმა შეაჩვენა ისინი, როგორც ყველაზე მოსისხლე მტრები, მაგრამ ხალხის საზიზღარმა მტრებმა არ შესწყვიტეს თავიანთი ძირგამომთხრელი მუშაობა, ცდილობენ რა თავისი აგენტების საშუალებით თავიანთ მოღალატურ ბადეში მოაქციონ ზოგიერთნი ქართველი ინტელიგენციიდან, რომლის ძირითადი მასაც უკვე დადგა... ხელისუფლების მხარეზე...

ისინი ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს... მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ისინი, უკლებლივ ყველანი ეწეოდნენ ჯაშუშობას, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი უცხოეთის დაზვერვებთან, აგროვებდნენ და მათი საშუალებით საზღვარგარეთ ჰგზავნიდნენ ჯაშუშური ხასიათის ცნობებს.

თავიანთ შავბნელ ძირგამომთხრელ მუშაობაში ისინი არ თაკილობდნენ არავითარ საშუალებას, არაფრის წინაშე არ ჩერდებოდნენ. ისინი ამზადებდნენ წყლის მოწამვლას ნატახტარის წყალსადენში, ამზადებდნენ ბაქტერიოლოგიურ დივერსიას, რომელიც ნაწილობრივ განახორციელეს სიღნაღის რაიონში, სადაც ბაქტერიების გამოყენების გზით შარშან მათ მოახერხეს გამოწვევა მასობრივი დაავადებისა მუცლის ტიფით, რამაც 50 კაცზე მეტი იმსხვერპლა.

მერე რით დასრულდა მთელი ეს დანაშაულებრივი მუშაობა ხალხის მოსისხლე მტრებისა, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების ნაძირალთა ფსკერზე მოექცნენ?

...ხელისუფლების ორგანოებმა ყველა ისინი შეიპყრეს, გაანადგურეს და მოსპეს (ხანგრძლივი ტაში). მთელი ქართველი ხალხი ზიზღითა და კრულვით იხსენიებს მათ.

ასეთივე ბედი მოელის ყველას, ვინც გაბედავს მძლავრი...ხალხის წინააღმდეგ. ... ხელისუფლების წინააღმდეგ წასვლას (ხანგრძლივი ტაში)..."[24]

ისტორიას თავისი კანონი აქვს და იმ კანონით განწირული, რამდენიც არ უნდა ეკიდებოდეს ხავსს და როგორადაც არ უნდა იფარებდეს ახალ ლოზუნგებს "ძველ სახეზე" მაინც ვერ გადარჩება. "ნაციონალისტური-დემოკრატიის" ნიღბით "მონარქო-ფაშიზმის"[25] დამკვიდრება საქართველოში არა მარტო დიდი ამწუთიერი უბედურებაა, არამედ იმ სათუთი ნერგის მომსპობიც, რომელიც ასეთის რუდუნებითა და გაჭირვებით გაზარდეს ქართველმა პატრიოტებმა თაობიდან თაობაზე, ვისაც როგორ შეეძლო, ზოგმა "დათმობით"[26], ზოგმა თავდადრეკით, ზოგმა შეგნებული სამსახურით ეროვნული ღირებულებებისადმი, ახალგაზრდობის აღზრდით, ტრადიციული ქართული ცხოვრების წესის

---

24 ლ. პ. ბერია "სიტყვა ინტელიგენციის წინასაარჩევნო კრებაზე" 1937 წლის 9 დეკემბერს. - იხ. "მნათობი" 7, 1937 წ. გვ. 13-14. მრავალწერტილში სტილის შენარჩუნების მიზნით გამოტოვებული "ხალხის მოღალატეთა" სია ასეთია: "ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, მ. წერეთელი, ა. ჩხენკელი, გრ. რობაქიძე; პროფესორები გ. ელიავა, ჯანდიერი, ცქიტიშვილი, ა. წერეთელი, ლეონიძე, ინჟინერი ჭიჭინაძე, რუსთაველის თეატრის ყოფილი დირექტორი ს. ახმეტელი, მწერლები მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე საქართ. სმკ ლიტფონდის ყოფ. დირ. დავით წერეთელი, ცნობილი მენშევიკი გაიძვერები ნ. ქარცივაძე, სეით დევდარიანი, გ. მახარაძე და სხვ."

25 "მონარქოფაშისტებს" უწოდებდნენ თავისთავს პირველი "სამართალდამცველები" საქართველოში (გამსახურდია და სხ.) "ინტელიგენციის გასამართლებების ეპოქაში"(70-იანი წლების შუაში). ეს ცნება "მონარქოფაშიზმი" სრულ გაუგებრობაზეა აგებული და ამჟღავნებდა ცნობიერების სრულ აღრევას. ყმაწვილებს არც მონარქიისა გაეგებოდათ რამე და არც ფაშიზმისა. ამიტომ ხელში მოხვედრილ ქართველ ფაშისტთა თეორეტიზირებებს სერიოზულად იღებდნენ და იმას კი არ ხედავდნენ, რომ ტოტალიტარიზმი და მონარქია, ისევე, როგორც ფაშიზმი და მონარქია - შეუთავსებელი ცნებებია. ქართველ ფაშისტთა ჯგუფი "ქართლოსი"(ფაშისტური დარაზმულობა) არაფერს ფაშისტურს (იმ გაგებით, როგორც იგი კომუნისტებმა ჩამოაყალიბეს, როგორც კომუნიზმის ალტერნატივა, რაც "სიმპათიურს" ხდიდა ფაშიზმს ანტიკომუნისტების თვალში, თუმცა ფაშიზმი იგივე ტოტალიტარიზმია გასამხედროებული "ნაციონალიზებული" საზოგადოებით... - ამ საკითხებზე სხვა დროს) არ შეიცავდა არსებითად. ეს იყო ერთგვარი მოდა ეპოქისა, გამარჯვებული წყობისადმი საზღაური, ხოლო დაკვირვებით გაცნობა ინტეგრალური ნაციონალიზმის პრინციპებისა სრულიად სხვა სურათს გვაძლევს. იგი ეფუძნებოდა კერძო საკუთრების პრინციპს, არჩევითი მონარქიის რესტავრაციას და ეროვნულ ერთობას ყოველგვარი ნაციონალ-ეთნიკური "რასიზმის" გარეშე. საყურადღებო ისაა, რომ კგბ-ს მძვინვარების ხანაში ანუ "რესტალინიზაციის" დროს, "სტაგნაციის" მეორე (შევარდნაძისეულ) ეტაპზე - იხ "ტოტ. რეინკ" "ივ" 35) ეს "ცხრაკლიტულის" მასალა, რომელზე თვალის შევლებისთვისაც კი უმაღლეს სასჯელს "იძლეოდნენ", ვიღაცის ხელში ხვდებოდა და პოლიტიკურ კონცეფციად ყალიბდებოდა. აქვე აღვნიშნავ, რომ ჰიტლერი თვლიდა, რომ ბოლშევიკები მეტად იოლად ხდებიან ნაცისტები, და, არსებითად, მათ შორის მხოლოდ "ტექნიკურ" საკითხებშია წინააღმდეგობა - კერძოდ კი რასობრივში.(იგი ბოლშევიკებს ებრაელებად მიიჩნევდა). ამდენად, კომუნისტური ტოტალიტარიზმიდან ნაცისტურისაკენ გადახრა ბუნებრივი პროცესის სახეს იძენს ტოტალიტარიზმის რეინკარნაციის სტრატეგიაში.

26 ამ "დამთმობებზე" შესანიშნავად წერს გრიგოლ რობაქიძე: "რომანში გამოყვანილია ერთი ფეოდალი, მეფის მოწინააღმდეგე, რომელიც აგრეთვე ეკლესიას ებრძვის, რადგან განხრილია წარმართობისაკენ (და ეს მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს). მეფეს უნდა თავიდან "მოიცილოს" იგი, ეკლესიას სურს მოიგოს მისი გული. იმართება შეხლა-შემოხლა. ფეოდალი იძულებული ხდება ერთხელ სვეტიცხოვლის სასწაულმომქმედ ხატს ეამბოროს, შინაგან "უგულოდ", რასაკვირველია. რამოდენიმე წუთის შემდეგ იგი კვდება. ხალხს ჰგონია: ხატმა "უწია", სჯულის უარისმყოფელსო. ხოლო აქ სხვა რაღაცაა! ფეოდალის უეცარი სიკვდილი იწვევს ათასგვარ მითქმა-მოთქმას. საქმე იქამდეც მიდის, რომ ხატსა სინჯავენ. მოჰყავთ ერთი ჯიშიანი ძაღლი, რომელმაც ხატი ენით უნდა ალოკოს. ალოკვის შემდეგ ძაღლი კვდება წამსვე. ირკვევა, თურმე ერთს აგენტს მეფისა მოუწამლავს ხატი რაღაც სითხით. შინაგანი მიმართება ამ ადგილისა აშკარაა: 1. მეფე "გაბითურებულია" - რაა ის მეფე, რომელიც მოწინააღმდეგის მოსაცილებლად ასეთ საშუალებას მიმართავს? 2. "გაბითურებულია" ხატიც - რაა ის სათაყვანო ხატი, რომელსაც ასე ექცევიან და ასე იყენებენ? ბოლშევიკები, რასაკვირველია, გაიხარებდნენ, როცა რომანის ამ ადგილს წაიკითხავდნენ, ხოლო ქართველს? ყოველ ქართველს ეს სცენა ისარივით მოხვდება გულში.

შესაძლოა რომელიმე ქართველი მეფე ვერ იდგა თავის მეფურ სიმაღლეზე; ამის მაგალითებსაც ვხედავთ საქართველოს ისტორიაში, ხოლო აქ მალულად, თითქოს სუნთქვით, თითქოს "ხელმწიფების" იდეაც არის "გაკაწრული", ის იდეა, რომლითაც გამართულია "ცხოვრება ქართლისა", მაგრამ ეს კიდევ არაფერი; თავიდათავი აქ ხატის შელახვაა. "სვეტიცხოველი" საკრალური შუაგულია საქართველოს ისტორიისა და მისი ხატი სიმბოლური სახე ამ შუაგულის. მცხეთის ახლოს, ერთ გორაკზე, რომელსაც მოგვთასს უხმობდენ, ძველად მოგვნი მზესა და ცეცხლს თაყვანსა სცემდენ. მცხეთის გვერდით ეგულებოდათ კარდუს საფლავი; მცხეთაში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული, მეოთხე საუკუნის დამდეგს. აქ გამოსჭრა წმინდა ნინომ ჯვარი, რომელსაც თავისი თმები მოახვია: უნივერსალური სიმბოლო მთელს საქრისტიანოში; მცხეთა უძველესი დედაქალაქი იყო საქართველოსი; მის წიაღში განისვენებენ მეფენი და მთავრები. არ არის შემთხვევითი ამბავი თუ აქ აგებულ ტაძარს "სვეტიცხოველი" დაერქვა.; გასაგებია ისიც, რომ ქართველთა განცდაში და შეგნებაში ამ "სვეტის" გარდამქმნელი ძალა "გასაგნდა" როგორც სასწაულმომქმედი ხატი. და აი გამსახურდიას რომანში ეს ხატია შეგინებული. რელიგიური კულტი რომ განზე დავტოვოთ, ეს შეგნება ფსიქოლოგიურად მაინც ქძაფივით მწველია. ეს არის ერთი მოკლე ეპიზოდი რომანში, გარნა ვიცით: ხშირად ერთ წვეთს საწამლავისა შეუძლია მოწამლოს მთელი წყარო. აი სადამდე მისულა გამსახურდიას "დათმობა", იმ გამსახურდიასი, რომელიც ერთ დროს მისტიკოსად და მორწმუნედ თვლიდა თავის თავს! ამ დათმობით "მოწამლა" მან არა მხოლოდ თავისი წიგნი, არამედ თავისი თავიც. საბჭოეთის ატმოსფეროში რომ არ ეცხოვრა, ამ "დათმობას" იგი არ დაუშვებდა და ვერც დაუშვებდა. თავიდათავი აქ ესაა" - იხ. გრ. რობაქიძე "სულის დაშლა"; "თავის. ტრიბუნა 35; 1981 წ. დეკ; პარიზი. გვ. 40-41).

შენარჩუნებით... კარგი ფილმით, კარგი ნააზრევით, პროფესიული კეთილსინდისიერებით... ზრდილობით... ღირსებით... ვისაც როგორ შეეძლო... საქართველო ისაა რაც ახლა გვაქვს მოცემული მთლიანობაში, კარგითა და ცუდით, მაღალითა და მდაბალით, ზრდილითა და უზრდელით... შედეგი ჩვენი 70 წლიანი ულირსო და ულირსებო ბნელ გვირაბში გავლისა... ოღონდ ის, თუ ვინ რა არის და ვის რა წვლილი აქვს საქართველოს შენარჩუნებასა თუ გადარჩენაში, ვინ რა აგური ჩაუდო საქართველოს საძირკველს - ეგ მხოლოდ ჩვენი მომავალი თაობებისთვის იქნება ნათელი... და შემფასებელიც და დამფასებელიც ის იქნება, რამდენიც არ უნდა გაგრძელდეს კიდევ "საქართველოს პერესტროიკა".... უბედურება ისაა, რომ მბრძანებლობით დაავადებული "გაზვიადებული კოწიებისათვის" მნიშვნელობა მხოლოდ ამწუთიერ მპყრობელობას აქვს და "ჩემს შემდეგ წარღვნაც მოსულა"-ს პრინციპით განაგრძობენ არსებობას...

ტოტალიტარიზმი "სამ ვეშაპს" ეყრდნობა: შიში, სიძულვილს (პიროვნულს, კლასობრივს, ეთნიურს, ნაციურს, რასიულს, "რელიგიურს"...) და ძალაუფლების განუყოფლობას და განუკითხაობას. უოველივე ეს "სიცრუის ბადეში" არის გახვეული.[27] ვიდრე ეს სამი ვეშაპი ცოცხალია, და ადამიანის თუ მასის ცნობიერება ჰკვებავს მას, ტოტალიტარიზმი იარსებებს, სახეშეცვლილი, ხან ნაციონალური, ხან პიროვნული, ხან რელიგიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ლოზუნგების ნილაბქვეშ. ერთადერთი გზა ამ წყვდიადით მოცული გვირაბის გავლისა არის გზა ცნობიერების განვითარებისა და საცხოვრებისო პრინციპად კერძო საკუთრების მიღებისა და დაცვისა, გზა სიმართლისა და სამართლიანობისა. ეს არის გზა, რომელზედაც მიგვყავდით ქართველი ერის მამას ილია ჭავჭავაძეს, წმ. ილიას. ეს არის გზა ლიბერალური და დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ, გზა ეროვნული ღირებულებების აღდგენისა და განვითარებისა, იმ **კულტურულ** საყრდენებზე დადგომისა, იმ **ზრდილობისა**, რომლითაც ასე ხიბლავდა ყველას ქართული (და ერთობ კავკასიური) ცხოვრებისა და ურთიერთობების **სტილი, კულტურა**. ეს გზა მშვიდი და შეგნებული განვითარების გზაა და არა რევოლუციური შექანებებისა და უაზრო ხელების ქნევისა, ერთმანეთის ცხვირპირის დასამტვრევად, რაც საბოლოოდ იმავე ბნელ გვირაბში გვტოვებს, კიდევ უფრო დამცირებულებს და დაავადებულებს იმ სენით რომელზედაც წერდნენ და რომელსაც დაუნდობელი სიმართლით ჰკურნავდნენ ილია, აკაკი, ვაჟა, მიხაკო წერეთელი, სპირიდონ კედია და ყველა ის, ვინც საქართველოს ღირსებისა და ზრდილობის სახლად მიიჩნევდა უპირველესად. გვახსოვს ეს სიტყვები: "ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ საქართველოსაც მოჰკლავდნენ". ილია ანდრეზის კაცია უკვე, წმიდანი, ის რაც მას გარდაჰხდა - უოველწამიერ არსებობს უოფიერების მარად აწმყოში, ამიტომ ილიას გზიდან გადახვევა, ღირსებისა და ზრდილობის დაკარგვა მამისადმი ხელისშექცევითა და ზურგის მიბრუნებით, ისევ და ისევ მის (და ე.ი. საქართველოს) მკვლელობას ნიშნავს, და ვიდრე ამის სრული გაცნობიერება არ მოხდება - მამის მკვლელობა (ე.ი. საქართველოსი) გარდუვალია. სიძულვილის დღევანდელ აზვიადებაში, სწორედ მამისმკვლელური მასობრივი კომპლექსის გამოვლინებას ვხედავ და რევოლუციურად შექანებული მასობრივი ცნობიერების მიერ ტოტალიტარიზმის ბნელი გვირაბიდან გამოსასვლელი გზის ჩახერგვას...

იქნებ ამის ღირსიც იყოს ულირსობით ამდენგზის თვითმკვლელობის ჩამდენი საქართველო?... ნუთუ?... ნუთუ?...

პ. ი.

* * *

---

[27] პროფ. მიხაილ გელლერი თავის საინტერესო წერილში "სახელმწიფოებრივი გადატრიალების ტექნიკა" აანალიზებს რა სახელმწიფოებრივი თვითგადატრიალების ტექნიკას რუმინეთის მაგალითზე წერს: "რუმინელი ჟურნალისტი რადუ პორტოკალია წერს თავის წიგნში "რუმინული სახელმწიფოებრივი გადატრიალების ავტოპსია (გამარჯვებული ტყუილის ქვეყანაში)":

ტყუილი - უპირველესი გამარჯვებულია რუმინეთის წარმატებით განხორციელებული კარის გადატრიალებისა. ახალი ძალაუფლების მთავარი ლოზუნგია: ყველაფერში დამნაშავეა ჩაუშესკუ, ეს მან დაამახინჯა კეთილი საქმე, გადაახვევინა ქვეყანას სოციალიზმისაკენ მიმავალი შარაგზიდან.

კურციო მალაპარტე მოგვითხრობს, რომ 1920 წელს, როდესაც წითელი არმია იდგა ვარშავასთან, ინგლისელი ელჩი მოითხოვდა დიპლომატიური კორპუსის გადაყვანას პოზნანში, რამეთუ, ასკვნიდა ის, ქვეყანაში ისეთი ქაოსია გამეფებული, რომ რევოლუცია გარდუვალია. მას შეეპასუხა პაპის ნუნციუსი (წარმომადგენელი) რატტი, მომავალი პაპი პიუს XI. ცნობდა რა, რომ ქვეყანაში მართლაც ქაოსია გამეფებული, იგი ასკვნიდა, რომ რევოლუცია არასოდეს არ არის არეულობათა პირდაპირი შედეგი. მომავალი რომის პაპი მართალი იყო: რევოლუცია არასოდეს არ წარმოიშობა როგორც ქაოსის პირდაპირი შედეგი, მაგრამ ქვეყანაში გამეფებული არეულობის შედეგი ხშირად არის გადატრიალება, რომელმაც შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს, მათ შორის - "თვითგადატრიალების" ფორმაც. პრეზიდენტი, რომელსაც განუსაზღვრელი ძალაუფლება აქვს, მიმართავს ძალას იმისათვის, რომ დროებით აღკვეთოს ხალხისათვის ადრე ბოძებული ყველა თავისუფლება - და დაამყაროს წესრიგი. ვინ გაუწევს მას წინააღმდეგობნას?"(იხ. ("Русская Мысль" 2 ნოემბ. 1991) - ჩვენი საკითხავიც ეს არის: ვინ გაუწევს წინააღმდეგობას??

## ცვლილება ჟურნალ "ივერიაში"

ჟურნალ "ივერიას" გამოცემის საქმეში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. "ივერიას" შემდეგი რვეული ქართულ-ევროპული ინსტიტუტის სახელით გამოვა. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ სატუვვათა რიგი წარწერისა: "პუბლიცისტიკა ხელოვნება მეცნიერება" იქნებ შებრუნებული სახით უფრო შეეფერებოდეს განახლებულ ჟურნალს, რაკი იგი არა რომელიმე პოლიტიკური მიმართულების არამედ კულტურული დანიშნულების ინსტიტუტის სახელით გამოიცემა. ეს კი ცხადია ჟურნალის ახალი ხელმძღვანელის ბ-ნ ჯანრი კაშიას არჩევანზეა დამოკიდებული.

ამ ცვლილების გამომწვევი მიზეზი შემდეგია: გასული წლის ნოემბრის ბოლოს ჟურნალის რედაქტორმა ოთარ პატარიძემ მიიღო შემდეგი განცხადება: "ძვირფასო ოთარ, შენ ცხადია გახსოვს ჩემ მიერ ამ ერთი წლის წინად შენთვის, გულიკოსათვის და გივი ზალდასტანისათვის განდობილი გადაწყვეტილება - ჟურნალის პასუხისმგებელ ხელმძღვანელობისათვის თავის დანებებაზე.

ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დღემდე იმიტომ გადავდე, რომ ეს საქმე არა მხოლოდ მოვალეობად მიმაჩნდა, არამედ იმიტომაც, რომ მართლა მიყვარდა. მაგრამ სიყვარული და მოვალეობის შეგნება არ კმარა იმის გაკეთების შესაძლებლად, რისი გაკეთებაც უკვე აღარ შემიძლია.

ახლა მე ვხედავ ჩემი ფიზიკური და გონებრივი უნარის იმ ზომით მოდუნებას, რომ დროა ხელი ავიღო ჟურნალის ხელმძღვანელობაზე. ეს ჩემი საბოლოო გადაწყვეტილებაა. ჟურნალის 35 ნომერი უკანასკნელია, რომელიც ჩემი პასუხისმგებლობით გამოდის.

დეკემბერში გივი ზალდასტანი და გულიკოც პარიზში ჩამოდიან, ასე რომ შენ მშვენიერი შემთხვევა გექნება მთელი კოლეგიის შეკრებისა (გაბლიანის გარდა), რომ საქმე ისე მოვაგვაროთ, როგორც გადავწყვეტ.

შენდამი, როგორც ჟურნალის ოფიციალური-უფლებრივი პატრონის და დირექტორისადმი მიმართულ ამ განცხადების ასლს ვუგზავნი: გივი გაბლიანს, გივი ზალდასტანს, გულიკოს და ჯანრი კაშიას.

მამობრივი სიყვარულით, მიხეილ ქავრათაძე."

დეკემბრის შუა რიცხვებში შესდგა ზემოთ ნავარაუდები კრება. კრებამ გადაწყვეტილება მიიღო ჟურნალი ბატონ ჯანრი კაშიასათვის გადაეცა, რომელიც ამ წინადადებაზე დათანხმდა პირობით, რომ გამოცემა ქართულ-ევროპული ინსტიტუტის სახელზე ყოფილიყო. დირექტორმა ოთარ პატარიძემ თანხმობა გამოაცხადა და ბ-ნ კაშიას აღუთქვა, რომ სათანადო ფორმალობას ჩაატარებდა. აგრეთვე გადაწყდა, რომ ჟურნალის ნივთიერი ქონება, ბანკის ანგარიში ჟურნალისავე განკარგულებაში გადავიდოდა. კოლეგიამ აგრეთვე საჭიროდ ცნო ამ ცვლილების მაუწყებელი კიდევ ერთი ნომერი გამოსულიყო. ასეთია მიზეზი და გარემოება ამ მოვლენისა, რომელიც ადამიანთა ცხოვრების ბუნებრივ კანონს ემორჩილება: როდესაც უღლის გამწევი დაიღლება იგი სხვამ უნდა შეცვალოს. მე პირადად ძლიერ კმაყოფილი ვარ, რომ საქმე ამგვარად მოგვარდა: ჟურნალი სიკვდილს გადაურჩა, განსხვავებით, ვთქვათ, "კავკასიონისა". ხოლო რაც მთავარია ასეთი ჟურნალის აქ უცხოეთში გამოცემა დღეს ბევრად უფრო საჭირო და გამართლებულია, ვიდრე ორი თუ სამი წლის წინად იყო.

ახლა მცირე რამ ჟურნალის წარსულის შესახებ. "ივერიას" პირველი ნომერი 1949 წლის მაისში გამოუშვა ელისე პატარიძემ. ეს ის დრო იყო, როდესაც გერმანელთა მხარეზე ომში მონაწილეობა, თუმცა ლიბერაციის პირველ წლებთან შედარებით შენელებულად, ჯერ კიდევ მძიმე დანაშაულად ეთვლებოდა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველობას. ქართველ ეროვნულ-დემოკრატ ლიდერთაგან იმ დროს მხოლოდ და მხოლოდ სამი კაცი-ღა იყო ცოცხალი: ალექსანდრე ასათიანი, დავით ვაჩნაძე და რევაზ გაბაშვილი. ამათგან მხოლოდ რ. გაბაშვილი იყო პარიზში დაბრუნებული. ა. ასათიანი ესპანეთში ცხოვრობდა და პარიზში დაბრუნების შესაძლებლობას უცდიდა. დავით ვაჩნაძე კი გერმანიაში ცხოვრობდა იქ შერთულ გერმანელ მეუღლესთან.

"ივერიას" გამოცემის გადაწყვეტილება ე. პატარიძისა და ა. ასათიანის შეთანხმებით მოხდა. ამ საქმის გაკეთება კი ფრიად საჭირო იყო, რადგან ემიგრაციის საგრძნობი ნაწილი მერყეობას შეეპყრო. იყო აშკარა გადახრაც საბჭოებთან შერიგებისაკენ. ამიტომ უნდა აღინიშნოს ღვაწლი ელისე პატარიძისა, რომელმაც გაბედულება, ენერგია და სულიერი სიმტკიცე გამოიჩინა. ელისეს დიდი პასუხისმგებლობა ედო თავს, რადგან ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ომამდე ფრაქციებად დაყოფილი ეროვნულ-დემოკრატებს ერთი ჟურნალი აერთებდა. ამ პასუხისმგებლობას მშვენივრად გაართვა თავი ელისე პატარიძემ ჟურნალის თანამშრომლებთან ერთად - ჯერ მკითხველისათვის ჟურნალის წარმდგენ დეკლარაციით და მერე შიგ გამოქვეყნებულ წერილებით საკმაოდ მაღალი დონისა.

დეკლარაციაში რედაქცია ამბობდა: ჩვენ, ილიას აზრსა და იდეებზედ აღზრდილნი, "ივერიას" პირველი ნომრის გამოცემიდან სამოცდათორმეტი

წლისთავზედ ვკადნიერდებით და იმავე სახელწოდებით ვცემთ ჩვენს ამ ქართული პოლიტიკის ორგანოსო. "ივერიის" პირველი ნომერი 1877 წლის 3 მარტს მოევლინა ქართულ საზოგადოებას. მისი სულისჩამდგმელი და მამამთავარი დიდი ილია იყო. მან მესამოცე წლების სახელოვან მოღვაწეთა თანამშრომლობით. სიცოცხლის წყლით ააცოცხლა გარეშე მტრის მიერ დათრგუნვილი და სამარის პირზე მიმდგარი ქართული ეროვნულობა. იმავე ილიამ ჩაუყარა იდეური საფუძველი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებას. რომლის უდავო მამამთავრადაც ის ითვლება. იესო ქრისტეს ჯვარცმამ ვერ ჩაჰკლა მის მიერ შთანერგული ქრისტიანული იდეები. პირიქით. ხელი შეუწყო მათ გავრცელებასა და კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის სარწმუნოებადაც აქცია. ბოროტმა ძალამ ფიზიკური სიცოცხლე მოუსპო ილიას. მაგრამ ამით სიცოცხლე და მარადობა მიანიჭა მის აზრსა და იდეებს.

ჩვენი მიმართულების მეთაურები ილიას კურთხეულ მკლავებზედ განათლულნი. ყოველ ქართულ საკითხსა თუ მოვლენას ილიას წყლიანი და შორსმჭვრეტელი თვალით უყურებდნენ. მისი ღვთიურის აზრითა და გონებით აფასებდნენ. მისი იმედის წყაროდ ქცეული გულით ეკიდებოდნენ. მისი ქართული ადლით ზომავდნენ. "ხშირად მკვდართა სულები განაგებენ და ხელმძღვანელობენ ცოცხალთა" სთქვა ფრანგმა სოციოლოგმა ლებონმა. ეს ბრძნული თქმა ზედმიწევნით უდგება ილიას მაგალითს.

ჩვენ მეტად საზიანოდ და დრომოჭმულად მიგვაჩნია ვიწრო პარტიულ ჩარჩოებში ჩაკეტვა - აზროვნება და მოქმედება. საჭიროა ფართო ეროვნულ ასპარეზზე ქართულ მოაზროვნე და მომქმედი ძალების ერთობა. ქართული ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება არასოდეს ყოფილა ვიწრო პარტიული დარაზმულობა. იგი იყო ზეკლასიური და სახელმწიფოებრივი. ამ ჟურნალის გამოცემით ჩვენ ამ ტრადიციულ ქართულ პოზიციას ვადასტურებთ. "ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეუკუდნოდესო" სთქვა ილიამ. ეს არის ჩვენი ჟურნალის დედააზრით.

დეკლარაციიდან ამოღებულ ამ ციტატების დედააზრისათვის არასოდეს უღალატნია "ივერიას" პარიზულ გამოცემას 1949 წლიდან დღევანდლამდე. ჟურნალის თანამშრომელთა ქრონოლოგიურად დალაგებული სია შემდეგია: ა. ასათიანი; ე. პატარიძე; სევ. ჭირაქაძე; ვიქტორ შუბლაძე; შ. კალანდაძე; რ. გაბაშვილი; ვანო ნანუაშვილი; დ. ყურულაშვილი; რაფ. ინგილო; დ. ქიმერიძე; ევტიხი აბულაძე; პ. ფარცხაშვილი; ლ. ნ.; დ. პ; დიმ. სინჯიკაშვილი; დონ-ჩინი; დავით ვაჩნაძე; გ. მაღალაშვილი; იოსებ ხანანაშვილი; სერგო კოხრეიძე (იანეთელი); მ. ქავთარაძე; გულნარა ურატაძე-პატარიძისა; ალექსი აბაშიძე; გივი გაბლიანი; გივი ზალდასტანიშვილი; ალ. ბადურაშვილი; ალ. მანველიშვილი; ჯ. კაშია; დავით ოდიშარი (აჯიაშვილი); ირ. ოთხმეზური; ნიკოლოზ მათიკაშვილი; იროდ. ბეგიაშვილი; პ. იბერი; ს. ქართველი.

ელისე პატარიძემ 1949 წლიდან 1971 წლამდე უხელმძღვანელა "ივერიას" მის მიერ გამოცემული უკანასკნელი ნომერი იყო 1971 წლის მაისისა. იმავე წლის ბოლოსათვის კი მას სენი იმდენად მოერია. რომ არავითარი აქტივობა აღარ შეეძლო. ასე რომ მეთხუთმეტე ნომრიდან მთელი სამუშაო მე დამაწვა - რადგან ჟურნალის მეორე ხელმძღვანელი. ჭირაქაძე. პროვინციაში ცხოვრობდა. 1975 წლის 10 თებერვალს ელისე გარდაიცვალა. ხოლო იმავე წლის 24 ოქტომბერს ს. ჭირაქაძემაც დასტოვა წუთისოფელი.

ამ მოვლენებს ზედ დაერთო კიდევ სხვა გარემოება. რომელმაც ჩემი ტვირთი და პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მეტად დაამძიმა: 1975-76 წელთა მიჯნაზე მე. როგორც ხშირად ადრეც. ამერიკაში წავედი ჩემ ქალიშვილთან და შვილიშვილებთან შობა-ახალწლის გასატარებლად. იქ ყოფნისას შევხვდი ამერიკაში გამომავალ გაზეთ "ქართული აზრის" გამომცემელთ. გაბლიანთან ილინოისის შტატში ჩამოვიდნენ გივი ზალდასტანი ბოსტონიდან და დიმიტრი სინჯიკაშვილი ნიუ-იორკიდან. ესენი ჩემი მეგობრები იყვნენ და ეროვნულ-დემოკრატები. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ მეგობრების შეხვედრა. მათ მაცნობეს. რომ დიმიტრი სინჯიკაშვილის ავადმყოფობის გამო გაზეთ "ქართული აზრის" გამოცემა წყდება და ჩვენი სურვილია "ივერიას" გარშემო შემოვიკრიბოთო.

ამ მცირე "კონფერენციაზე" ჩვენ შევადგინეთ გადახალისებულ "ივერიას" სარედაქციო კოლეგია. პარიზში დაბრუნებულმა. მე მოვიწვიე პარიზელ ეროვნულ-დემოკრატთა საერთო კრება და მომხდარი ამბავი ვუამბე. თანაც გავაცანი მათ დაუკითხავად შედგენილი. მაშასადამე პროექტის სახით. "ივერიას" ახალი სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის სია. კრებამ ყოველივე დაადასტურა. ამგვარად 1977 წლის ბოლოს. დეკემბერში. გამოვიდა "ივერიის" მეთვრამეტე ნომერი. რომლის დირექტორად დასახელებულია ოთარ პატარიძე. ხოლო სარედაქციო კოლეგიაში არიან: გივი გაბლიანი; გივი ზალდასტანიშვილი; შალვა კალანდაძე; გულნარა ურატაძე და მიხეილ ქავთარაძე (ტექსტის და გამოცემის რედაქტორი).

ასეთია მოკლე ისტორია იმ ჟურნალისა. რომლის გამოცემასაც ჩემი სიცოცხლის უკამასკნელი წლები შევწირე. ჩემი "გაჟურნალისტების" ამბავს უკვე შევეხე "ივერიას"

ოცდამერვე ნომერში მოთავსებულ "ელისე პატარიძის მოსაგონარში". იქ ვამბობდი ჟურნალისტობაზე არასოდეს მიფიქრია მეთქი. ახლა დავუმატებ: არც პოლიტიკოსობაზე მიფიქრია. მაგრამ თუ ჟურნალისტობა ავად თუ კარგად მაინცა შევძელ. უოვლად გამორიცხულია. რომ პოლიტიკოსობაში იოტის ოდენი უნარი გამომეჩინა. ამით იმისი თქმაცა მსურს. რომ არასოდეს მქონია ილუზიები. თითქოს მე პოლიტიკას ვაკეთებდი. მე მხოლოდ ვიპუბლიცისტე და თანაც მუდმივ უკმაყოფილო ვიყავ ჩემი ნახელავით.

მიხეილ ქავთარაძე.

* * *

## შოთა მარგველაშვილის ხსოვნისათვის.

ამერიკიდან ცნობა მოვიდა. რომ ლოს-ანჟელესში 84 წლის ჰასაკში გარდაიცვალა შოთა მარგველაშვილი. განსვენებული დაიბადა კახეთში 1907 წლის 22 სექტემბერს). მისი მშობლები იყვნენ გაბრიელ და დარია მარგველაშვილები. შოთა პროფესიით აგრონომი იყო და ომის დროს ტყვედ ჩავარდნის გამო აღმოჩნდა უცხოეთში. მას ორი ვაჟიშვილი დარჩა. ერთი თადარიგში გადარიცხული ოფიცერია და ინდუსტრიაში მუშაობს; მეორე პედაგოგია და პაპამისის სახელი ჰქვია.

მე მას ჯერ სამთო შენაერთ "ბერგმანში" შევხვდი. უფრო გვიან კი ბერლინში მასთან ერთად ვმუშაობდი ქართულ-გერმანულ საკავშირო შტაბში. ჩვენ ერთმანეთთან განსაკუთრებული დაახლოვება და მეგობრობა არ გვქონია - გაზიარებული სიმპათია და პატივისცემა გვქონდა მხოლოდ. ომის დამთავრების შემდეგ. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენ ერთმანეთისაგან სრულიად მოწყვეტილად ვიცხოვრეთ. მიმოწერაც კი არა გვქონია. მაგრამ როგორც კი მისი გარდაცვალება შევიტყვე. წამსვე ვიგრძენი. რომ ვალდებული ვიყავ - მისი გარდაცვალების აღნიშვნა უბრალო განცხადებით არ შემომეფარგლა. ეს იმიტომ. რომ შოთა მარგველაშვილი. ჩემი აზრით. განსაკუთრებული პიროვნება იყო. თუ მე ამ ჩემს აზრს საჯაროდ და პრესის საშუალებით გამოვთქვამ. ამის ნებას შემდეგი გარემოების გამო ვაძლევ ჩემს თავს:

რუსეთთან ომის დაწყებიდან ბოლომდე ვერმახტში ვირიცხებოდი. როგორც თარჯიმანსა და მრჩეველს ხშირ შემთხვევაში ბანაკებიდან გამოსაყვან ხალხის არჩევა მევალებოდა. ამგვარად. ასობით კი არა. ათასობით ტყვესთან მომიხდა კონტაქტის დაჭერა. რომლის დროსაც უნდა ვცდილიყავ მორალურად დადებითი და პოლიტიკურად სანდო ხალხი ამერჩია. ეს კონტაქტები მეტნაკლებად ხანგრძლივი იყო. ერთ შემთხვევაში ორი თვე ვიცხოვრე ბანაკში. რომელშიც ოციათას ტყვეთა შორის 750 ქართველი იყო.

ომის ბოლო წლებში. როცა ქართული ბატალიონები უკვე შემდგარი იყო და მე ბერლინში საკავშირო შტაბში დავიწყე მუშაობა. ჩემი სამუშაო იმავე ხასიათისა იყო: მე ვიყავი ქართულ საბრძოლო ბატალიონთა მდგომარეობის (უმთავრესად მორალურის) შემსწავლელი და მომხსენებელი ოფიცერი. ეს ნაამბობი ცხადჰყოფს. ამა თუ იმ ერის ხასიათის შესწავლისათვის გამოსადეგ იმ იშვიათ მდიდარ მასალას. რომელსაც მე ჩემდაუნებურად გავეცანი. მაგრამ შოთა მარგველაშვილი რა შუაშია? მახსოვს შოთა მარგველაშვილმა გაცნობისთანავე მიიპყრო ჩემი ყურადღება. მაკვირვებდა უჩვეულო წონასწორობა მისი პიროვნებისა. მაშინ მე ამ მოვლენის ახსნას არ ვცდილვარ. ამგვარი ფსიქოლოგიური ძიების თავი მაშინ ვის ჰქონდა. მხოლოდ ბერლინში ზოგჯერ მიფიქრნია - შოთასავით ღირსეული პიროვნება ტყვეთა შორის არ შემხვედრიათ.

ომი დასრულდა. მე ოფიცრის ფორმის ნაცვლად ისევ მუშის ტანისამოსი ჩავიცვი და ლუკმა პურის მოპოვება-ღა იყო ჩემი საქმე. ასეთ ყოფაში კი. როცა მხოლოდ ხელი მუშაობს. გონება კი უსაქმოდ დარჩენილა. ფიქრები მოდიან. და რაზედ უნდა მეფიქრნა თუ არ ჩემი ქვეყნის ბედზე და მიზეზზე მისი უბედურებისა? და აი ათეულ წელთა განმავლობაში ამაზე ფიქრმა. საქართველოს ისტორიის ცივმა ანალიზმა. ემიგრანტ ქართველთა ხასიათზე დაკვირვებამ და ბანაკებში თუ ბატალიონებში გაცნობილ ქართველთა ხასიათის გაცნობამ ჩამომიყალიბა შეხედულება. რომ ყოველი სიავე. რაცა გვჭირს. ჩვენივე ხასიათის ბრალია. ბრალია ჩვენს ხასიათში არსებულ მავნე თვისებებისა. რომელნიც. ზოგჯერ ჭკვიან და ნიჭიერ ქართველსაც კი უკუღმართ ან უგუნურ ნაბიჯისაკენ უბიძგებს. აქ უადგილოა ჩამოთვლა ამ თვისებათა. მათ ყოველი ჭკუაგახსნილი ქართველი ჩამოგითვლით. თუმცა. გამოტოვებით იმ არასასურველ თვისებებისა. რომელნიც თვით მას ახასიათებენ. მხოლოდ ვიტყვი. რომ ამ თვისებათა ჩემს გონებაში გამოწვლილვისა და სისტემაში მოყვანისას მახსენდებოდა ერთი პიროვნება. რომელიც ჩემს მეხსიერებაში აღბეჭდილი იყო ვით სრულიად სპეტაკი და იჭვმიუტანლად უცხო ყველა ამ საბედისწერო თვისებათაგან. ამიტომ იგი მესახებოდა იმ იდეალურ

ქართველად. რომლის მსგავსთა ქართველთა შორის მომრავლებაც დიდი ბედნიერება იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვის. ეს რწმენა თანამედროვე მოვლენებმაც გამიძლიერა.

შოთას პიროვნებაში ბუნებრივად არსებულ დადებით თვისებათა ჩამოთვლა არ გამოძნელდებოდა. მაგრამ ვფიქრობ ამგვარი ქებათა შესხმა ზედმეტია რაიმეს მისამატებლად ისეთი პიროვნების ღირსებისათვის. როგორიც შოთა იყო. რაც ვთქვი საკმარისია. რადგან მე სხვას არავის შევხვედრილვარ ვიზედაც იგივეს თქმა შემძლებოდა. როცა ვამბობ არ შევხვედრილვარო იქნებ მთლად სწორი არ იყოს. იქნებ შევხვდი მაგრამ ვერ გამოვიცანი. ასეთი ბუნების ადამიანები თავიანთ საუნჯეს ჩუმად ატარებენ გარეშე ყოველ ხმაურისა. ესეც ხომ ერთი უძვირფასესი თვისებაა კაცის ღირსებისათვის.

ასეთი კაცის ხსოვნის არდაკარგვისათვის დავწერე ეს რამდენიმე სტრიქონი - ვით მის საფლავის ქვაზე ამოჭრილი ეპიტაფია. ვინძლო მისმა წაკითხვამ ქართველი მკითხველიც დააფიქროს.

საუკუნო იყოს ხსენება მისი.

მიხეილ ქავთარაძე.

*

* *

## სამგლოვიარო

ნათესავთა და მეგობართა მიმართ სამძიმრის გამოთქმით მკითხველებს ვაუწყებთ 1990 წლის ოქტომბრის შემდეგ უცხოეთში გარდაცვლილთა ვინაობას:

ლეონიდე ჭეიშვილი; ნინა მაჩაბელი-ჩერბაკოვისა; აკაკი ბარკალაია; კარლო შატბერაშვილი; მიხ. მიმინოშვილი; ლიდა შარაშიძე-ნოზაძისა; გიორგი ნოზაძე; ჯაბა ხაბულიანი; მერაბ კვიტაიშვილი.

ღმერთმა განანათლოს მათი სულები.

*

* *

## ჟურნალის ფონდი

| | | |
|---|---|---|
| გივი გაბლიანი | 100 | დოლარი |
| ვლ. ემხვარი | 150 | ფრანკი |
| ნიკ. თოფურია | 250 | ფრანკი |

ულრმესი მადლობა რედაქციისაგან.

*

* *

ი ვ ე რ ი ა
ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების
ჟურნალი
დაარსებული ილია ჭავჭავაძის მიერ 1877 წელს;
აღდგენილი პარიზში ეროვნულ-დემ. პარტიის
მიერ 1949 წელს.
36
თებერვალი 1991
პარიზი

# ი ვ ე რ ი ა

ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი
დაარსებული ილია ჭავჭავაძის მიერ 1877 წელს:
აღდგენილი პარიზში ეროვნულ-დემ. პარტიის
მიერ 1949 წელს.

36

თებერვალი 1991
პარიზი


* * *


მთავარი რედაქტორი მიხეილ ქავთარაძე
სარედაქციო კოლეგია:
გივი გაბლიანი
გივი ზალდასტანიშვილი
გულნარა პატარიძე-ურატაძისა
ჯანრი კაშია

დირექტორი ოთარ პატარიძე

**Directeur Otar Pataridze**



Adresse d'Editeur:

**Michel Kavtaradze**

**61, Chemin de Tabor 91310, Linas**
**Tel: (1) 69 01 47 81**



Edition hors commerce (250 ex)

ეროვნული
ბიბლიოთეკა